


კვირის პალიტრა



1(132) 19/XII.-25/XII.2002.

სი 60 თ.

1168
2002

პრობლემა —
გარემოწესებულ
ლოცვები



ქალღობა
ქალზე


— რუსა სსოვრება
ჯოჯოხეთად იქცევა

რბომ ალაპარაკდა მსხვერპლი

მეზარავე ეკვლეობა — სდაკბაზოსთან 20 წლის გიჭი ჩასხრილს



უნეფო პატარკალი —
ნატო ნიშარაკე და
„ო სოლე მიო“
ფანჯრებთან



მარადისობა თაფლში
— საფლავი უამრავი
კითხვით


თემურ ყვითელაშვილი:

„მე არსად მისწავლია მუსიკა და არასდროს გეოლია
პედაგოგი... მთავარი, რასაც მივალწი, არის გიგარაზე
ხელის დაყენება. მე ჩემი მიღგომა გაქვს იმისადმი,
თუ როგორ უნდა დადო თითი გიგარაზე...“

გვ. 50



პოლიტიკა, პოლიტიკოსები და პოლიტიკანები



რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული პოლიტიკური ცხოვრება, რით განსხვავდება ქართული პოლიტიკოსები სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისგან? – ამ და სხვა კითხვებზე პოლიტოლოგებსა და დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს ვესაუბრეთ.

8

მინიატურები

ღათვი გათმარში 3

ერთი კითხვა 4

აინდი

გათმარი ჩვეულებრივზე ცივი იქნება – გვაზრთხილებს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრი 5

ბრალდება

ბოჩა შიფია: „ეს ის 25 მილიონია, რომელსაც საქართველოსთვის 800 მილიონი უნდა მოეხანა“ ანუ პიტერ შოუს ახალი შოუ 6

თემა

პოლიტიკა, პოლიტიკოსები და პოლიტიკანები 8

კულვა

ნატო ნიჟარაძე: „ტელევიზიიდან ჩემი წასვლის მიზეზს ანასტასია ერქმევა...“ 11

კრივიანა

- ჩაღენილი მკვლელობისთვის კირვალისთვის 14 წლით პატიმრობა ემუქრება 14

- „არ მომეწონა მისი ლაპარაკი და გაღაფფყვიტა, ლამაზალებინა“ 15

- 20 წლის ბექა სადარბაზოსთან ჩაცხრილეს 16

მსახიობი

მკვლელების გასამაგრებლად ნატო მურვანიძემ სხვადასხვა თეატრში ხეტიალი აეჩოვინა 18

ტანტი

ერთგული მკითხველი 20

ტრაგედია

მარადისობა თაუღში 21

ვეფხინა

რას ნიშნავს უღელური ბავშვი, როდემდე ვიხმაროთ პაპიერისი და რითაა საშიში ჭივბით ინვაზია 24

სასარგებლო აზრები

აზორიგებების ენციკლოპედია 26

ტკივილი

„მთელი ეს წლები ჩემი უბედურების შესახებ არავისთვის ვითქვამს, გულში ვიკლავდი ღარღს...“ 27

პრობლემა

გარემომცხეპული ლოცვები ანუ დიქტოვონის დანახვაზე ყველას ენა ებოღა... 30

კინოს საყვარო

ღუიონ ჯონსონი – მებტახელად კლდე 32

ნატო ნიჟარაძე: „ტელევიზიიდან ჩემი წასვლის მიზეზს ანასტასია ერქმევა...“

ეს იყო გადაწყვეტილება, იმაზე, თუ რა არის საჭირო, რომ გახდე ვარსკვლავი. ჩემი „გავარსკვლავებისათვის“ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ჭორი და რაც შეიძლება კარგი სიმღერები – ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი ეს-გრადის ვარსკვლავად გახდომას მოვიხდომებ.



11

20 წლის ბექა სადარბაზოსთან ჩაცხრილეს




20 წლის ბექა პაპუაშვილი საკუთარი ბებიისა და ბაბუის სახლის სადარბაზოსთან, სრულიად მოულოდნელად, ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილეს. დაჭრილმა ბექამ ბებიის ბინის კარამდე როგორღაც შიადწია, თუმცა იქვე ჩაიკეცა და ძირს უგონოდ დაეცა.

16

„დოქის ტური მირჩვენია ქალისას...“ მებრამ არა ასეთი ქალისას...

ბოლოს, როდესაც ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. ისე მომბაძებრეს თავი, ექიმმა რომ მკითხა – დოქინგი ხომ არ მიგიღიათ? – ვუპასუხე: კი-მეთქი, – და გასახდელში გავიქეცი „დოქინგის“ მოსაგანად. რომ დავბრუნდი, ხელში „ბორჯომის“ ბოთლი მეჭირა. ეს იყო ჩემი „დოქინგი“.



40

საქართველოს
მემორიალი
ბიბლიოთეკა

22391

ქველი საყვარელი

საღვთისმშობლის ხელმოწერის ზედაპირი 33

ანტიდოქსანტი

ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან 34

ტაქარი

რა არის სინანულის საიდუმლო? 34

საფუძვართო მინერალები

36

პარსკლავი

მოღელი, რომელსაც ბავშვის მოვლა კოლიუმზე გამოსვლას ურჩევნია 38

ფალავანი

„ლოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას...“ მაგრაბ არა ასეთი ქალისას... 40

რომანი

რუსულან ბერიძე. ქალური ინტენსია ანუ ზიარბიას ფრთები (ბაბრკელეა) 42

ფავორიტები

46

სკორტული მოზაიკა

47

ავტო

48

შემოქმედი

კონსერტზე აბსოლუტურად გათიშული გიტარისტი ენერბიას მოგენტალურად აღიღვენს 50

მოგზაურის დღიურები

ამერიკული შრომის ბირჟიდან ეგვრთიკურ დასახლებებში და... „ბოგეების“ კონსონთან 52

აქატიური-ნიკითური

55,56

ჯანმრთელობა

- როგორ ვუშვარნალოთ სურდოს 58
- მელიტინის სიასლეები 58
- ნავროგები 59

სკანოვრდი

61

პოროსკოპი

კვირის (23-29 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

განგონდით თუ არა ოღესმე ქალური ბედნიერება? 63

ქალეიფოსკოპი

ჩრეთ-ჩრეთი აბგები 64

გარეკანზე: გიორგი შოროლიანი კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: შურაბ აბაშიძე რედაქტორი: გოჩა ტყემულაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მარადისობა თაფლი



9 წლის ბიჭუნას სიკვდილით შოკირებულმა ბურამ ხელსაწყოთა პანელის გვერდით მდებარე სათავეს, - ე.წ. „ბარდაჩოკის“ კარი გატეხა, შიგ მოთავსებული მამამისის პისტოლეტი ამოიღო, საფეთქელთან მიიღო და... რამდენიმე წუთის შემდეგ 9 წლის ბიჭუნა გონს მოეგო.

21

„თელი ეს წლები ჩემი შაქრების უსახეობისთვის მიტოვებ, გულში მიკლავდი დაღვ...“

გააფთრებული დათო ისევ დამეძვრა. სახეში ვაფურთხებდი, არაკაცს ვეძახდი და ვფიქრობ, ამან უფრო გაახელა. ბოლოს, თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და თავი დამანება. განადგურებული და შეურაცხყოფილი, გარეთ გამოვედი. უკვე თენდებოდა. ეკაც უკან გამოიყვანა.



27

მოღელი, რომელსაც ბავშვის მოვლა კოლიუმზე გამოსვლას ურჩევნია



„თუ გამოჩნდება მამაკაცი, რომელიც ჩემი ყველა უცნაურობისა და ნაკლის მიუხედავად შემიყვარებს, ასეთ მამაკაცს მე საჩუქარს ვუძღვნი და ბავშვს ვაგვზენ“, - აცხადებდა კვიტი. და როცა ასეთი მამაკაცი მართლაც გამოჩნდა, მისმა დანაპირები შეასრულა.

38

ქალური ინცუიზია ახე ჯიამიას თრობი

ნინის თავისსავე გყუილზე გულში მწარედ ეღიმებოდა და ერთი სული ჰქონდა, ხმამაღლა აღრიადებულიყო...

რაიონში ჩასულმა ნინიმ სოფლამდე მისასვლელად გაქსი აიყვანა. საბედნიეროდ, გაქსის მძღოლი ნინის არ იცნობდა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია.



42

დათვი ზამთარში



ჩემს ბავშვობაში ერთი ინგლისური ფილმი მაქვს ნანახი, რომელიც მაშინ უკვე ძველ ფილმად ითვლებოდა, ამიტომ ბევრ თქვენგანს იქნებ არც გაუგია – „ლომი ზამთარში“ ერქვა.

ის ფილმი, როგორც მასსოვს, მეფეს, სახელმწიფოს უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას ეხება და ამდენად, მთავარი გმირის ლომთან შედარებაც უპრიანია. მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, ლომი ბრიტანეთის სამეფო კარის სიმბოლოდ არის მიჩნეული.

„ზამთარი“ კი, ალბათ, ეფექტისა და ორიგინალობისთვის არის სათაურში შერჩეული – სიუჟეტის მიხედვით, თოვლ-ყინვიანი ზამთარი იგულისხმება და ლომი თოვლში, დამეთანხმებით, საკმაოდ იშვიათი და არაორდინარული მოვლენაა.

სულ სხვაა დათვი – აბა დაუფიქრდით, რაიმე არაბუნებრივსა და უცნაურს თუ ხედავთ სიტყვებში: „დათვი ზამთარში“?! ცხადია, არა! პირიქით – ბავშვობიდან ვიცით, რომ დათვი ზამთარში თავის ბუნაგში წევს და ტბილად სძინავს, როცა მოშვიდება – თათს ილოკავს, როცა კარგ სიზმარს ნახავს – საყვარლად ბურღლუნებს... მაგრამ გაიხსენეთ, ბავშვობიდან ისიც ვიცით, რომ ქართული ღვინო მსოფლიოში საუკეთესოა, ქართული „ბორჯომი“ – მსოფლიოში ყველაზე სასარგებლო მინერალური წყალი, ქართველი ქალი – მსოფლიოში უღამაზესი, ქართული მარგანეცი – მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხარისხის, ქართული ვირი – მსოფლიოში ყველაზე გამძლე (ვირებზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ) და საერთოდ – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“ ამიტომ ქართული დათვიც ყველაზე მაგარი დათვია მსოფლიოში (თუმცა, რამდენად ქართულია ის დათვი, რომელსაც ვგულისხმობ – სადავო საკითხია)! ყველაზე მაგარია იმიტომ, რომ ბუნების კანონების მიუხედავად, სწორედ თოვლ-ყინვიან თბილისურ ზამთარში დაიბადა და მაშინვე დაიწყო „ბურღლუნი“ (თუმცა, არც ისე „საყვარლად“, როგორც ზემოთ ვწერდით).

დაიხს! – ჩვენს ცა-ფირუზ-ხმელეთზურ-მუხტოვან ქვეყანას კიდევ ერთი პარტია შეემატა, სახელად – „დათვი“!

„დაე. ამობრწყინდეს თავისუფლების ვარსკვლავი“ – „პოლიტიკურად“ ასე იმიფრება ეს სიტყვა, თუმცა ბოლო „ი“-ს „ფუნქცია“ ვერ დავადგინე, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბოლოს, „დათვი“ გამოდის და ეს ცხოველი კი, მთელ მსოფლიოში რუსეთთან ასოცირდება, იმის მიუხედავად, რომ იქ მხოლოდ ერთი თუ ორი სახეობის დათვი ბინადრობს; მაგალითად, ამერიკაში კი – რვა თუ ათი.

დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო! – ნაოქვამია. ამიტომ სანამ მოშერევა და როგორც აპირებს – რუსების უკანალში შეგვტენის ყველას, მანამდე უნდა მოვასწრო და ვთქვა ყველაფერი, რასაც მასზე ვფიქრობ.

დათვი, როგორც ზოოლოგები ირწმუნებიან, არ გამოირჩევა განსაკუთრებული ჭკუითა და გონებამახვილობით, მეტიც –

ბუბუქვორებს შორის ერთ-ერთ ყველაზე უჭკუო ცხოველად ითვლება. ის, რომ ცირკში ველოსიპედებს და მოტოციკლებს ატარებენ „შარვალ-კოსტიუმში“ გამოწყობილი დათვნიები, მათ საოცარ ჭკუაზე კი არ მეტყველებს, არამედ მათი მომთვინიერებლის ეშმაკობასა და სხვების დამორჩილების უნარზე... და კიდევ იმაზე, რომ დათვს, ერთი ნატეხი შაქრის საფასურად, იმასაც კი გააკეთებინებ (ან ხალხს მოაჩვენებ, რომ აკეთებს), რისი ტვინიც ღმერთმა არ მისცა...



კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი: დათვი, როგორც წესი, ბალახის მჭამელი ცხოველია. მაგრამ საკმარისია, ერთხელ გადაუხვიოს ნორმიდან, ერთხელ გასინჯოს სისხლიანი ხორცის გემო, რომ იგი მტაცებლად იქცევა და განსაკუთრებით საშიში ხდება სხვა ცხოველებისთვისაც და რაც მთავარია, – ადამიანებისთვისაც. „ნორმიდან გადახვევაში“, ცხადია, იმასაც ვგულისხმობ, რომ ნორმალურ დათვს ზამთარში უნდა ეძინოს და საკუთარ თათს ლოკავდეს. ხოლო ის დათვი, რომელიც ზამთარში ფხიზლობს და სხვას ულოკავს (თათს), უკვე არანორმალური და საზოგადოებისთვის საშიშია.

ამიტომ, თუ ჩვენს ახალგაზრდებს „დათვს“ უნდა, რომ საზოგადოებამ ნორმალურად აღიქვას, ჩრდილოურ შაქარზე უარი უნდა თქვას და გრიზლობას „შიაწვეს“ – ეს ამერიკული დათვი არც ზამთარში იძინებს და ხორცის ჭამაც ნორმად ეთვლება. რაც მთავარია – ერთი გრიზლი სამ-ოთხ რუსულ დათვს ერევა ერთად.

P.S. დათვზე და ამერიკელზე ძველი ანეკდოტი გამახსენდა: კახეთში მდიდარი ამერიკელი ქალბატონი მოხვდა ტურისტად. გადაჰყვინნენ ზედ კახელები – არ დააკლეს „მანავ-საფერავი“ და ჩაქაფულ-ხაშლამა. ბოლოს, „თავისუფალი სამყაროს“ წარმომადგენელმა, კაცი (უფრო სწორად, „სექსუალური პარტნიორი“) მოითხოვა

და მიჰგვარეს მიხო. ეს „საქმე“, ვენახის მოვლასთან ერთად, ხუთიანზე იცოდა მიხომ და გადაირია ქალი: ამერიკაში წამომყევი და ოქროში ჩაგსვამო, – შეეხვეწა. მიხომ, – ვენახს ვერ დავტოვებ, ერთი უსაქმური ძმა მყავს და იმას გაგატანო. უსაქმური თუა, რად მინდაო?! – იუარა ქალმა. ჰმ, შარშან ზაფხულში, ტყეში დათვი „შემოეხარჯა“ და ის დათვი მთელი ზამთარი თაფლს ვვიზიდავდო! – მიუგო მიხომ.

გესმით? – ზამთარში გვიზიდავდაო, ე.ი. ისიც არ იყო ნორმალური დათვი, რადგან ზამთარში ძილის მაგივრად იმასთან დარბოდა თაფლით, ვინც ზაფხულში „ასიაიმონა“. ჰოდა, რა ვიცით, რა არ აძინებს ჩვენს „დათვს“, იქნებ ვის რას დაჰპირდა, ჯერ კიდევ ზაფხულში...

პროვოკატორი
ილინაძის ქ. 106/106
20-00-88 :ლიტ. მ. 41
„ინფორმაცია“

„გაზის გვიქნება და წნევას დარეგულირდება“

— თბილისის რამდენიმე რაიონის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გაზი დაბალი წნევით მიეწოდება. რა არის ამის მიზეზი და შეიცვლება თუ არა მდგომარეობა?

პანტაძე ცაბუაძე, „თბილისის“ გენერალური დირექტორი:

— ეს ხდება უფრო მეტად, საბურთალოს რაიონში და მთაწმინდაზე. ორივე გან, ჩვენგან დამოუკიდებლად, მუშაობდა „გაზმენი“, რომელმაც თავის დროზე, როცა გაზიფიცირება მოხდა, არ გაითვალისწინა

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებები და იქ შედარებით პატარა დიამეტრის მილები გაიყვანა. „თბილისის“ კი, არ გააჩნია საკმარისი ფინანსები საიმოსოდ, რომ ქსელში გადაიარაღება მოხდეს. თუმცა ბოლო პერიოდში, როდესაც მთელი დატვირთვა გაზზე მოდიოდა ენერგოკრიზისის გამო, როგორც მოვხერხეთ და საკუთარი სახსრებით დავამონტაჟეთ გაზის გამანაწილებელი დამატებითი პუნქტები, რათა წნევა მეტ-ნაკლებად დარეგულირებულიყო. დღე-ღამეში გაზის ხარჯვა მაინც ძალიან დიდია — 1,5 მლნ

კუბომეტრამდე. „საქგაზში“ ჩვენი განაცხადის შემდეგ, 18 დეკემბრიდან ეს რაოდენობა 1800000-მდე გაიზარდა. ამ დღეებში, ფონიჭალის მაღალი წნევის მაგისტრალურ გაზსადენზე სერიოზული ავარია მოხდა — ძალიან ძველი მილები იყო და ქსელი გაიხსნა. სავსე სამსახური ახლაც ატარებს სალიკვიდაციო სამუშაოებს. ეს პროცესი ძლიერი ყინვების გამო გაჭიანურდა. გათხრები ახლაც მიმდინარეობს. ასე რომ, უახლოეს პერიოდში გაზიც იქნება და წნევაც დარეგულირდება.

„საჩინოების“ „დათვის“ „თეთრი ფერი“ იქნება?!“

— ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა „ზოლოტოვი“ დასახელების პარტია ჩამოაყალიბა. ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ეს „რუსული ორიენტაციის ქართული „დათვის“ დაბადებად“ მონათლა და ამ მოვლენას ბევრი, საკმაოდ მტრულად შეხვდა. რა არის ამის მთავარი მიზეზი?

პიტაძე ხაზარაძე, პარლამენტარი:

— დათვი ძალიან მიყვარს — ლამაზი

ცხოველია, განსაკუთრებით — თეთრი დათვი. ვფიქრობ, თემურ ხაჩიშვილის „დათვიც“ „თეთრი ფერი“ იქნება, რადგან რუსეთზეა ორიენტირებული. ბევრი პოლიტიკური პარტია აღშფოთდა, რომ ასეთი პარტია შეიქმნა. რა არის აქ აღსაშფოთებელი? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ პარტიას არა აქვს იმის პერსპექტივა, ახლო მომავალში ხელისუფლებაში მოვიდეს!..

გიორგი თარგამაძე, პარლამენტარი:

— ხაჩიშვილს და მის თანამოაზრეებს

სრული უფლება აქვთ, დააარსონ პოლიტიკური პარტია. ხოლო ის, თუ როგორი სიმპათიით განიწყობა საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი ამ პარტიის მიმართ, მომავალში უკეთ გამოჩნდება. ერთი რამ კი ცხადია: იმის მიუხედავად, რომ „დათვს“ ცენტრისტული პოზიციის დაკავება სურს, ამის განხორციელება ძალიან გაუჭირდება! თითოეული ადამიანის სახელსა და გვარს გარკვეული წარსული უკავშირდება. ეს კი „დათვის“ ლიდერებსა და ახალ პარტიას საკმაოდ რთულ პრობლემებს შეუქმნის.


„ალბათ იანვარ-თებერვალში ჩატარდება პარლამენტართა სამედიცინო გამოკვლევა...“

— სხდომების მასობრივი გაცდენებისთვის, დეპუტატებს ოქტომბერ-ნოემბრის ხელფასს დაგუქვითავთ და ამით სამაგალითოდ დავსჯითო, რომ განაცხადეთ, რატომღა გადაიფიქრეთ? მათთვის საახალწლო გუნება-განწყობის გაფუჭებას ხომ არ ერიდებით?

როსტომ დოლიძე, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

— საახალწლო განწყობის გაფუჭება-არგაფუჭება აქ არაფერ შუაშია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ისევე, როგორც შარშან, ახლაც დღესასწაული მოიმიზეზონ და თქვან: კარგით, რა, ახლა, საახალწლოდ ასეთ „საჩუქარს“ ნუ გავიკეთებთ და იანვრიდან დავსაჯეთო... დეპუტატები ამჯერადაც რომ გადაურჩნენ სასჯელს, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ბიუროს, როგორც ყოველთვის, ახლაც წარვუდგინეთ კონკრეტული მონაცემები,

რათა მას თანხმობა მოეცა ამ დაქვითვებზე, მაგრამ დღემდე ეს თანხმობა არ მიგვიღია. პარლამენტის თავმჯდომარის წინადადებას ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, ფრაქციებმა მხარი არ დაუჭირეს. არადა, როგორც კი პარლამენტარების ჯიბეებს შეთხელების საფრთხე დაემუქრა და ბულალტერიამში გამცდენტა სია დაიდო, დასწრება მაშინვე გაუმჯობესდა: მეორე დღესვე სხდომათა დარბაზი ცარიელი აღარ იყო... პასუხისმგებლობის გრძნობა მოემატათ, რაც თავისთავად, მისასალმებელია. არა უშავს! თუ არ გადამაყენეს, ვეცდები, ეს სია გამოვაქვეყნო და იანვრიდან მაინც განვახორციელო მატერიალური სანქციები ურჩ პარლამენტარებზე. გარდა ამისა, მოვითხოვ, რომ პარლამენტის წევრებმა წელიწადში ერთხელ გაიარონ სამედიცინო შემოწმება. იცით, რატომ? ზოგჯერ არც თუ ისე იშვიათად, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ესა თუ ის დეპუტატი თურმე მთლად ნორმალური ვერ არის, ან ნარკო-



ტიკებისკენ აქვს მიდრეკილება. ამას წინათ, ბიუროს სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ ჩვენთან 20-მდე ნარკომანია. სათანადო ორგანოებს უკვე მივმართე. ისინი ჯერჯერობით ვერ ადასტურებენ ამას, თუმცა, რაღაც სერიოზული ეჭვები არსებობს. ამ დღეებში ძალიან უწყვეტების ხელმძღვანელებთანაც მქონდა საუბარი და ალბათ, იანვართებერვალში ჩატარდება პარლამენტართა სამედიცინო გამოკვლევა.

ჯორბენაძე და სააკაშვილი უკვანის ჩასაძირად ერთიანდებიან?



— ამბობენ, რომ სახელმწიფო მინისტრს შეუმუშავებია ჯერჯერობით გასაიდუმლოებული პროგრამა, რომელიც „მოქცავშირის“, „აღორძინების“, „ლეიბორისტებისა“ და „ნაციონალების“ გაერთიანებას ითვალისწინებს. ისიც ითქვა, ჯორბენაძე სააკაშვილს მერობას შეჰპირდა და სანაცვლოდ, უვანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვაო. რას იტყვი ამის შესახებ?

ზვიად ძიძიძური, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი: — „მოქცავშირისა“ და „აღორძინების“ გაერთიანებაზე მინიშნებები უკვე არსებობს, ამ ორი პარტიის შემაკავშირებელი რგოლი კი, ვახტანგ რჩეულიშვილია... აი, „მოქცავშირთან“ „ლეიბორისტე-

ბისა“ და „ნაციონალების“ გაერთიანება კი უკვე ფანტაზიის ზღვარს სცილდება. სამტრედიის არჩევნებში ყველა ოპოზიციური პარტია — „ლეიბორისტები“, „დემოკრატები“ და „მრეწველები“, „მოქალაქეთა კავშირის“ კანდიდატურას უჭერდა მხარს. ჩვენ გვერდით მხოლოდ „ტრადიციონალისტები“ დადგნენ, რაც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორი სურათი გვექნება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. რაც შეეხება მთარულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ჯორბენაძე სააკაშვილს მერობას შეჰპირდა, ამის სანაცვლოდ კი უვანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა, — თუ მერის თანადეობა არჩევითი იქნება, სააკაშვილს არავის წყალობა არ დასჭირდება, შეუძლია, კენჭი იყაროს და გაიმარჯვოს.

„რა უნდა, რატომ არ მიდის?!“

— შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით, ხელმოწერების შეგროვება დაიწყეთ. მართლა გგონიათ, რომ ხელმოწერებს თუ შეაგროვებთ, შევარდნაძე უბრალოდ, ადგება და წავა?

ბორის კაკუშავა, დეპუტატი:

— მილიონი ხელმოწერის შეგროვებას ვაპირებთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ მას საგანგებო მდგომარეობის შემოღების

უფლება არ მიეცეთ. არადა, პრეზიდენტი ცდილობს, მოძებნოს რაიმე მიზეზი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოსაღებად. იცით, რატომ? ხვდება, რომ ქვეყნის მართვა აღარ შეუძლია და ძალაუფლების შენარჩუნებას ამ გზით აპირებს. რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ვიყავი და ძალიან სოლიდური და საქმიანი შეხვედრები მქონდა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. საოცრად დადებითი შედეგებია, მაგრამ ამ

პროცესებს ხელს სწორედ ედუარდ შევარდნაძე უშლის. როგორც კი ის პრეზიდენტი აღარ იქნება, აფხაზეთის პრობლემაც მაშინვე გადაწყდება და აფხაზეთს დაიბრუნებთ! ბოლოს და ბოლოს, რა უნდა, რატომ არ მიდის?! ერთი ხომ გააღატაკა და ყველას მისი პრეზიდენტობიდან წასვლა სურს. საზღვარგარეთაც როგორი იმიჯი აქვს? არანაირი!

მოამზავა ნინო ჩავეხიშვილი

აქიანი

ნინო ჩავეხიშვილი



ზამთარი ჩვეულებრივზე თივი იქნება

— გვაფრთხილებს პიდრომეტეოროლოგიური ცენტრი და კონკრეტული ინფორმაციის უქონლობას, უსახსრობას უჩივის

ალბათ გახსოვთ, ზაფხულში მთელი ევროპა წყალმა რომ წაიღო. მაშინ გლობალური ციკლონი „ჩაკეტილი“ იყო ევრო-

პის თავზე — 3 კილომეტრიდან დაწყებული 15 კილომეტრამდე ფარგლებში მოქმედებდა. შესაბამისი სამსახურების პროგ-

კარგა ხანია, ასეთი თოვლიანი და ცივი ზამთარი აღარ გვექონია. წლეულს კი პირველი თოვლის სიხარულიცა და ზამთრის სუსხიც დეკემბრის დასაწყისშივე ვინწინეთ. როგორც პიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსი ირაკლი ჩოგოვაძე გვამცნობს, 1992 წლის შემდეგ ნამდვილი, თოვლიანი ზამთარი წლეულს პირველად განმეორდა. იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური ცვლილება ატმოსფერულ პროცესებში და როგორია ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი, თავად ბატონი ირაკლი ჩოგოვაძე მოგვითხრობს.

— გლობალურ ატმოსფერულ პროცესებში დიდი ცვლილებები შეინიშნება.



ირაკლი ნოგაიძე

ნოზის თანახმად, დრო გავიდოდა და ეს სიტუაცია შეიცვლებოდა, მაგრამ რეალურად პროცესები სხვანაირად განვითარდა. ოქტომბრიდან, ამ ციკლონმა, რომელიც ატმოსფეროში მძლავრობდა, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გადაინაცვლა და სწორედ ამან გამოიწვია ასეთი რადიკალური ცვლილება ატმოსფერულ პროცესებში — ყერძოდ, ის, რომ უშუალოდ არქტიკის აუზში „დაბადებული“ ცივი ჰაერის მასები ნელ-ნელა წამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის სამხრეთ ნაწილისკენ და მოაღვა კავკასიონის ქედს. ეს მოხდა ნოემბრის ბოლოს. ჯერ იყო მინუს 5, მერე — მინუს 10, ახლა კი მინუს 25-30-მდეც კი ავიდა ყინვა. აღმოსავლეთიდან — კასპიის ზღვით, დასავლეთიდან კი — შავი ზღვით, ნელ-ნელა ამ ჰაერის მასებმა აქ შემთავლია და „დაიბუდა“. საქართველოში ზამთარი ისედაც საკმაოდ ცივია, ამას დაემატა შემოსული ცივი ჰაერის მასაც და ამიტომაც აცივდა ასე მკვეთრად.

— უკანასკნელ პერიოდში თბალისში დაფიქსირებული ყინვა რამდენ გრადუსს აღწევს?

— დეკემბერში თბალისში ყველაზე დაბალი ტემპერატურა დაფიქსირდა — მინუს 9, აეროპორტის ტერიტორიაზე კი — მინუს 10. ახლა, წინა დღეებთან შედარებით, ცოტა დათბა — მინუს 5 გრადუსია. საერთოდ, დეკემბერში საშუალო ტემპერატურა პლუს 3 გრადუსის ფარგლებში უნდა იყოს, ე.ი. ახლა ნორმაზე დაბალია.

— კარგია ეს თუ ცუდი?

— დათბობის და ტემპერატურის მატების ტენდენცია, რაც საქართველოში აქამდე შეინიშნებოდა, უკანასკნელ წლებში საგრძობლად შეჩუდა. ეს ძალზედ დიდებ-

იოთ მოვლენაა. იგი სასიცოცხლო პირობებს მოუსპობს ათასნაირ მავნებელს — კოლო, ვირთხა, კალია, ველარ გამრავლებს. დეკემბრის დასაწყისშიც კი თბილისში კოლოები იყო, რაც იშვიათობაა. მინდვრებიც მღრღნელებით იყო სავსე და მათი განადგურებისთვის ეს სიცივეები და ყინვები პირდაპირ მისწრებაა, ასე რომ, დიდად წაადგება მოსავალს. 1992 წლის შემდეგ, ზამთარი ზამთარს აღარ ჰგავდა. 1992 წლის დეკემბერი და 1993 წლის იანვარი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ყველაზე ცივი იყო. მაშინაც მინუს 9 გრადუსამდე დაეცა ტემპერატურა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ზამთარი 10-წლიანი პაუზის შემდეგ განმეორდა. თუმცა, წლებანდელივით ხანგრძლივი სიცივე მაშინ არ ყოფილა.

— ე.ი. ცივი ახალი წელი გვექნება? მაინც როგორ ამინდება უნდა ველოდეთ? თუ შეგიძლიათ გაგვაცნოთ გრძელვადიანი პროგნოზი?

— უახლოეს კვირაში მოსალოდნელია ცივი, დროგამოშვებით — თოვლიანი ამინდები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ვერაულობდით, რომ დეკემბრის მეორე დეკადა (11-დან 20 დეკემბრამდე), ყველაზე ცივი იქნებოდა და ასეც მოხდა. განსაკუთრებით აცივდა კახეთის რეგიონში, სადაც ტემპერატურამ მინუს 14 გრადუსამდე დაიწია. პროგნოზის თანახმად, დეკემბერი იქნება ჩვეულებრივზე უფრო ცივი, თუმცა არა — კატასტროფული. იანვარიც ცივი იქნება, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, არ ვფლობთ საწყის ინფორმაციას, რომ ამ კითხვაზე უფრო კონკრეტული პასუხი გაგცეთ და უფრო ზუსტი გრძელვადიანი პროგნოზები გავაკეთოთ. არადა, ოპერატიული პროგნოზების სამსახურის ინფორმაციები წყალივით სჭირდება სოფლის მეურნეობას (სად, რა და როდის უნდა დაითესოს), ენერგეტიკის სამინისტროს (თელასი ვერ დაგვემავს, სად როგორი იქნება ელექტროენერჯის მოხმარება, თუ არ იცის, როგორი ტემპერატურაა მოსალოდნელი) და, რასაკვირველია, ქალაქის მერიას — ხომ უნდა იცოდეს ქალაქში თოვლი იქნება, ქარბუქი ამოვარდება, წყალდიდობაა მოსალოდნელი თუ სხვა რაიმე სტიქიური მოვლენა, რომ შესაბამისი სამსახურები მოემზადონ და თოვლისგან ქუჩების გაწმენდა მაინც მოახერხონ. მაგრამ როგორც ჩანს, ეს არავის აღელვებს და ჩვენც ვერ ვაწვდით შეასაბამის სამსახურებს მოსახლეობისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციას...

გოჩა ფიფია:

ეს ის 25 მილიონია, რომელსაც საქართველოსთვის 800 მილიონი უნდა მოეტანა ანუ პიტერ შოუს ახალი შოუ

ნანა ქიბიშაური


პიტერ შოუს განცხადება იმის შესახებ, რომ მას საქართველოში ორი განაწესებული ადამიანი ჰყავდა და მისი გატაცება შესაძლოა, სწორედ მათ მიერ ყოფილ იყო ორგანიზებული, სენსაციის ტოლფასი აღმოჩნდა. ორ განაწესებულ ადამიანად მან სოფლის მეურნეობის მინისტრი, დავით კირვალიძე და კომპანია „უშპას“ გენერალური დირექტორი, გოჩა ფიფია დაასახელა. კირვალიძეს პრეზიდენტი გამოეხარა და საკუთარი მინისტრის დადანიშნულება ძირად შეურაცხყოფად მიიღო. ვინ გამოეხარა და ვისი იმედი აქვს გოჩა ფიფიას?

— ბატონო გოჩა, გაგვანდეთ — სად გყავდათ პიტერ შოუ დამალულნი?

— რა უნდა ვიპასუხოთ? — სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრთან.

— რით განაწესეთ ასე ევროკავშირის ექსპერტი და თქვენი აზრით, რა საფუძველი აქვს მის ამ განცხადებას?

— მის ნათქვამში არანაირი განაწესება არ იგრძნობა. მასში გამოსჭვივის ის ცინიკური დამოკიდებულება, რომელიც მას საქართველოსა და ქართველების მიმართ ჰქონდა. ეს არის ცინიზმი იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც უსუსურია და ვერაფერს უპირისპირებს იმ საფინანსო ინსტიტუტებს თუ საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მასზე. დღეს ჩვენ ვართ



უბორკილო მონები. იმ კონკრეტულ საკითხს, რაც ჩემ შესახებ პიტერ შოუს განცხადებას ეხება, ისე ნუ შევხედავთ, თითქოს ვილაკამ გოჩა ფიფიას ტყუილად დასწამა ცილი - გოჩა ფიფია ამ შემთხვევაში, განტყუების ვაცვი კი არ არის. ასეთ დროს, სახელმწიფო საკუთარ თავზე უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას - ამ ცინიზმზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

როგორ ფიქრობთ - შოუს საქმესთან დაკავშირებით, თქვენ დაგკითხავთ პროკურატურა?

- არა მგონია, დამკითხონ, მაგრამ თუ მაინც გამოძიასებენ ჩვენების მისაცემად, მე კატეგორიულ უარს ვიტყვი. მე ჩვენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივცემ, თუ ჩვენი სამართალდამცავები ვერ შოუს ჩამოართმევენ ჩვენებას. ის, რაც მან თქვა, არ იყო ოფიციალურ ჩვენებაში ნათქვამი და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი წარგზავნილები, ხელცარიელები დაბრუნდებოდნენ.

რატომ იყავით დარწმუნებული? ასე კარგად იცნობთ შოუს?

- ძალიან კარგად ვიცნობ. ჩვენი კონფლიქტი, საბანკო დავაში მერე გადაიზარდა, თორემ თავიდან, სხვა საფუძველი ჰქონდა. შოუ ოფისში რომ შედიოდა, თანამშრომლებს საქართველოს გინებით ესალმებოდა. არ ვაჭარბებ - მისთვის დილა მართლა საქართველოს გინებით იწყებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. როცა ამას შევესწარი, ვეღარ მოვითმინე და მისი თანდასწრებითვე უუთხარი მის თანამშრომლებს: თქვე იდიოტებო, 300-400 ლარის გამო ყოველ დღით უსმენთ, როგორ გაგინებთ ეს კაცი-მეთქი? ქვეყანას რომ აღარავინ ესარჩლება, საქართველოს გინება საკუთარი ღირსების შელახვად რომ აღარ

მიაჩნიათ, აი, ეს არის ყველაზე სავალალო. ქართველები არ უნდა იტყვნენ პიტერ შოუგად, თორემ უცხოეთიდან შემოსული ასეთი ხალხის გარეკვას საქართველო მოახერხებს. მისსავე ოფისში მივუბრუნდი შოუს და ვუთხარი: შენი დედაც, შენი ქვეყნისაც, შენი უელსისაც და შენი დედოფლისაც-მეთქი... და იცით, რა მითხრა? კი, ბატონო, ავინე ჩემს ქვეყანას და ჩემს დედოფალს - მე არანაირი პრობლემა არ მაქვსო. პირველი ვიყავი, ვინც დაწერა და თქვა, - ვინ იყო და როგორი კაცი იყო შოუ: ვთქვი, რომ ეს არის ვითომ ბანკირი, რომელმაც გააძარცვა საქართველო და ნუ გაუშვებთ ამ კაცს ქვეყნიდან ისე, რომ არ შეისწავლოთ მისი საქმიანობა; „აგრობიზნეს ბანკი“ არის შავი ფულის „სარეცხი მანქანა“ და არა ბანკი-მეთქი. ამის შემდეგ მან შეიტანა სარჩელი პატივისა და ღირსების შელახვისათვის და 200.000 დოლარი მოითხოვა ჩემგან. ამის გამო ჩემი ფირმა დააყვადლეს. სხვათა შორის, პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

თქვენ ამბობთ, რომ თქვენი ფირმა ერთადერთია, რომლის „ჩაძირვაც“ შოუს უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. როგორ წარმოიშვა თქვენ შორის სასამართლო დავა?

- ორი წლის წინ, ევროკავშირმა საქართველოს ხორბალი აჩუქა. მისი გაყიდვიდან მიღებული თანხა ბანკების გავლით ფერმერებამდე უნდა მისულიყო. ამ ფულით შოუმ „აგრობიზნეს ბანკი“ დააარსა, ბანკები და ფერმერები კი, გაკოტრდნენ. ამ ბანკში შეტანილი 200.000 დოლარი, ჩვენს ფირმასაც თვალსა და ხელს შუა გაუქრა. შევიტანეთ სარჩელი და შოუმ ეს პროცესი წააგო. ჩვენ 250 ათას დოლარს ვითხოვდით. მხოლოდ 32.000 დოლარი მივიღეთ, მაგრამ როგორც იტყვიან, ყვავს კაკალი გაუვადლებინეთ. მთავარია, სახელმწიფომ მოისურვოს და მას ნამდვილად შესწევს უნარი, უფრო მეტი გაავადლებინოს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ბანკის გახსნისას ლენტი თავად ქვეყნის პრეზიდენტმა გაჭრა. შოუმ სადაზღვევო კომპანიიდანაც მიიღო თანხა, ლაპარაკია 10 მილიონზე. სხვათა შორის, ის საკმაოდ ნიჭიერი კაცია და კარგად ერკვევა ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში. საალსრულებო სამსახურს უკვე გამოწერილი ჰქონდა, რომ ჩვენ 250.000 დოლარი უნდა მიგველო, მაგრამ შოუმ ნახევარ დღეში მოახერხა ყველაფრის შეცვლა და 32.000 მივიღეთ.

დავით კირვალაძემ პრეზიდენტმა დაიცვა. თქვენ ვისი იმედი გაქვთ, თუკი შოუ კიდევ გაიმორჩებს და ოფიციალურად დაადას-

ტურებს თავის ვერსიას?

- ოღონდაც მან ჩვენების დროს გაიმორჩოს იგივე და არავის დაცვა არ მჭირდება - ჩემში იურისტის სისხლი აჩქეფდება. თუ ჩვენების დროს იმავეს გაიმორჩებს, ჩათვალეთ, რომ საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება: ჩვენს ქვეყანას რამდენიმე მილიონს შეეძენ.

როგორი იყო თქვენი პირველი რეაქცია, როცა შეიტყვევთ, რომ შოუ თქვენზე მიანიშნებდა სამართალდამცავებს?

- პირველი რეაქცია იყო შოკი! მერე ვიფიქრე: ვაითუ, ეს სპეცსამსახურებმა შეითხნეს ჩემს წინააღმდეგ-მეთქი?! ასეთ შემთხვევაში, ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდებოდი, იმიტომ, რომ „გამათხრევენდნენ გვირაბს“ პალესტინიდან აშშ-მდე...

ისე, სიმართლე თუ გნებავთ, შოუს ამ განცხადებამ თქვენ მიმართ ცუდი პიარი არ შექმნა. მასმედიაში აიტაცა ეს თემა, თანაც, მე მგონი, არავის სჯერა, რომ შოუ თქვენ და კირვალაძემ ჩასვით ორმოში...

- ასეთი პიარი მე არ მჭირდება. მე ის მაწუხებს, რომ სანამ ბოლომდე არ დავიტყვევით და ფაქტის წინაშე არ დავდგებით, მანამდე არავინ ფიქროს, სერიოზულად დაინტერესდეს უცხოური ფირმების საქმიანობით. ავიღოთ „აი-ტი-ეს“-ის საქმე - მისი საქმიანობა მიჩუმათდა, არადა, ამ ფირმამ მილიონები წაიღო საქართველოდან, ან - „ეი-ი-ეს თელასი“, რომელიც თითქოს ზარალობს საქართველოში... რა ხდება სინამდვილეში, იცის ვინმემ?

დავუბრუნდეთ შოუს თემას; დღეს რომ შეხვდეთ, რას ეტყოდით?

- მისი ტელეფონის ნომერი რომ გავიგო, სიამოვნებით ვაგინებდი კიდევ ერთხელ. პირისპირ რომ შევხვდე, მაშინ კი ნამდვილად გავიტაცებდი.

გამოსასყიდ თანხად რამდენს მოითხოვდით?

- მოვითხოვდი იმ თანხას, რაც საქართველოს მოჰპარა. 25 მილიონს ამბობენ, მაგრამ ეკონომიკური კატეგორიებით რომ მივუდგეთ, ეს ის 25 მილიონია, რომელსაც საქართველოსთვის 800 მილიონი უნდა მოეტანა.

დავით კირვალაძის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?

- ამ საქმეში როგორც მე არ ვიცი, ის საიდან გაჩნდა, ისე მან არ იცის, მე რატომ გაჩნდი. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. სამართალდამცავებმა უნდა შეძლონ შოუს დაკითხვა. ეს არის კაცი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკური დევერსია მოუწყო.

პოლიტიკა, პოლიტიკოსები და პოლიტიკანები

„პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთებაა. პოლიტიკოსები კი ყველგან ერთნაირები არიან: ისინი ჰპირდებიან ხიდის აშენებას იქ, სადაც მდინარეც კი არ არის...“

პოლიტიკა ადამიანის ცხოვრებას გასდევს. სახელმწიფოს წარმოშობამ

(ნიკიტა ხრუშჩოვი) დასაბამიდანვე მას მხოლოდ

ჩამოყალიბებული სახე მიანიჭა.

რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული პოლიტიკური ცხოვრება, რით განსხვავდება ქართველი პოლიტიკოსები სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისგან? ვისა აქვს უფლება, საკუთარ თავს პოლიტიკოსი უწოდოს? — ამ და სხვა კითხვებზე პოლიტოლოგებსა და დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებს ვესაუბრეთ.

ლელა ჭანაშვილი


სოსო ცინცაძე, დიპლომატიური აკადემიის რექტორი:



— პოლიტიკა ძალიან ფართო ცნებაა, თავის დროზე ფან ფაკ რუსო ამბობდა: პირველი ჯოხი რომ „დააარსა“ ვიღაცამ და თქვა — ჩემიაო, — იქიდან იწყება სახელმწიფოს უბედურებაო. პირველმა პირველყოფილმა ადამიანმა გამოქვაბულიდან თავისი მუხობელი რომ გამოაგდო, სწორედ იქიდან დაიწყო პოლიტიკა. ე.ი. პოლიტიკა დაიწყო სხვისი ქონების მითვისებიდან, კერძო საკუთრებიდან...

დღეს საქართველოში პოლიტიკოსად წერა-კითხვის უცოდინარი ნებისმიერი ბრიყვი ითვლება, რომელიც რაღაც მაქინაციებით მოხვდა პარლამენტში. ამავე დროს, პოლიტიკოსად ითვლება სპეციალისტი, მეცნიერიც, რომელიც ათეული წლების განმავლობაში პოლიტიკას თეორიულად სწავლობს და რომელზეც, სამწუხაროდ, მოთხოვნილება ჩვენში დღეს არ არის.


ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:



— პარლამენტში რომ უმეცრები სხედან, ისინი პოლიტიკოსები კი არა — პოლიტიკანები არიან. პოლიტიკოსი ის ადამიანია, რომელიც თავისი ქვეყნისთვის იბრძვის და ამ ქვეყნის ბედს გვემავს. ვინც მხოლოდ ზემოთ „აძრომაზე“ ფიქრობს, ის პოლიტიკანია!

ირაკლი შინგალია, „ქრისტან-დემოკრატიული კავშირის“ ლიდერი:

— უნდა დაწესდეს რაღაც კრიტერიუმები მათთვის, ვინც პოლიტიკაში მოდის. საჯაროდ უნდა ქვეყნდებოდეს, თუ რა ინტელექტის პატრონია ესა თუ ის ადამიანი, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია მიღებული. ადამიანის პოლიტიკაში მოსვლისას, მისი ქონებრივი ავლადილების შესახებაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რათა გარკვეული იყოს, თუ რა ჰქონდა მას პოლიტიკაში მოსვლაზე და რა შეიძინა პოლიტიკაში ყოფნისას. დაუშვებელია, რომ პარლამენტში იჯდეს



კაცი, რომელიც ტურებს აცმაცუნებს, რადგან ტექსტს სხვანაირად ვერ სწვდება, ან ნაწერს თითს აყოლებს და ისე კითხულობს... ერთი სიტყვით, საზოგადოებამ უნდა გაიცნოს მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. ისიც კი უნდა გაირკვეს, დოლარის დანახვაზე რა ემართება: სისხლში ადრენალინი ემატება თუ თვალები უციმციმებს.

— რით განსხვავდებიან სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები ერთმანეთისგან? როგორია იდეალური პოლიტიკოსის ტიპი?

სოსო ცინცაძე:

— თუ გაინტერესებთ, იდეალურ ვარიანტში როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი, ჰკითხეთ ჩემს კოლეგებს — ნებისმიერი ჩამოკითვლით ზნეობრივ სტანდარტებს:

უნდა იყოს პატიოსანი, არ იღებდეს ქრთამს, ხალხს არ ატყუებდეს, ქვეყნის გასაჭირზე ფიქრობდეს და სხვა ამგვარი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ლირიკაა. რეალური პოლიტიკა კი, სულ სხვაგვარი რამ არის. რეალურ პოლიტიკაში ადამიანის თვალწინ ხდება ზნეობრივი პრინციპების ინფლაცია. ყველაფერი შედარებითაა: შედარებით წესიერი, შედარებით პატიოსანი და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს ეპოქას და ქვეყანას. მაგალითად, ევროპული თვალსაზრისით კორუმპირებული პოლიტიკოსი, ჩვენში უწესიერესია. საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იმის გამო დაადანაშაულეს, რომ მან საჩუქრად მიიღო ძალიან ძვირფასი ფეხსაცმელი...

— საქართველოში თუ არის განსაზღვრული, რა ღირებულების საჩუქარი არ უნდა მიიღოს პოლიტიკოსმა?

— არ არსებობს არანაირი ჩამონათვალი. ჩვენში საკმარისია, აბსოლუტურად უვიცი, გაუნათლებელი ადამიანი, პარტიული სიით გავიდეს პარლამენტში და ის უკვე პოლიტიკოსია, თანაც — მთელი სიცოცხლის მანძილზე, რადგან მას ენიშნება გარანტირებული პენსია, რომელიც აკადემიკოსის პენსიაზე 30-ჯერ მეტია.

— როგორ ჩამოაყალიბებული განსხვავებას პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოხელეს შორის?

— თავის დროზე, უინსტონ ჩერჩილმა ძალზედ მოსწრებულად თქვა: პოლიტიკოსი იმით განსხვავდება სახელმწიფო მოხელისგან, რომ პირველი მუდამ მომავალ არჩევნებზე ფიქრობს, მეორე კი — მომავალ თაობებზე. გადმოვიტანოთ ეს მოდელი ქართული სინამდვილის თუნდაც ერთ მაგალითზე: პოლიტიკოსია ისიც, ვინც ეწინააღმდეგებოდა ბორჯომში ნავთობის მილსადენის გაყვანას და ისიც, ვინც მას ემხრობოდა...

— დასავლეთში, ხელისუფლებაში მოსვლისას, ახალი პოლიტიკური ძალა ჩვეულებრივ არ ცვლის აპარატს, მოხელეებს. ჩვენში კი, ახალ პოლიტიკოსებს ბიუროკრატიული

აპარატის სრული განახლება მოსდევს ხოლმე.

— ევროპაში, სამინისტროებსა და უწყებებში არსებობს მატერიალურად ზედმიწევნით უზრუნველყოფილი კლასი. მინისტრები მიდიან, მოდიან, ეს კლასი კი რჩება. იტალიაში მეორე მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული, თითქმის სპეციალურ შეიქცვალა მთავრობა, მაგრამ ამის გამო ქვეყანას არანაირი კრიზისი არ უგრძნია. ჩვენში ნებისმიერი ჩინოვნიკი პოლიტიკოსია. ამიტომ, როცა თანამდებობაზე ახალი პიროვნება მოდის, ყველა საკვანძო ადგილზე თავის მომხრეებს ნიშნავს, თანაც — არა პოლიტიკური კვალიფიკაციის პრინციპით, არამედ პირადი ერთგულების ნიშნით. პრეზიდენტისთვისაც, როცა ახალ კადრს ნიშნავს, მთავარია, რომ ის მისი კურსის ერთგული გამტარებელი იყოს. ამიტომაც, საქართველოში კოალიციური მთავრობა წარმოდგენილია, რაც დაბალ პოლიტიკურ კულტურას ნიშნავს. იმ ქვეყანაში კი, რომელშიც დაბალი პოლიტიკური კულტურაა, ცივილიზებული პოლიტიკოსის არსებობა ნონსენსია.

წოდარ ნათაძე:

— ვისაც პოლიტიკური კულტურა არა აქვს, ის სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს და ვერ დაიცავს. ფაქტია, რომ ჩვენ პოლიტიკური ზერხებისა და პრინციპების განვითარებას ჩამოვრჩით, მაგრამ პოლიტიკური კულტურა ნამდვილად გვაქვს. უბრალოდ, არა გვაქვს დემოკრატიის კულტურა. სამწუხაროდ, პარლამენტი არ არის დემოკრატიის სკოლა. ჩვენი პარლამენტი ნამდვილი საროსკიპია.

— თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ის, რომ პარტიები პოლიტიკური წრეების მიღმა ეძებენ ხოლმე ახალ სახეებს?

— დღეს „მოქალაქეთა კავშირს“ უჭირს და ახალ სახეებს ეძებს. ასეთი სახე შეიძლება რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორში დაინახოს. სასურველია იყოს ახალგაზრდა, თანაც ქალი. კიდევ უკეთესია, თუ ცოტათი სიმპათიურია. არა აქვს მნიშვნელობა — ფილოლოგი იქნება, ენდოკრინოლოგი თუ ზოოვეტერინარი. უბედურება ის არის, რომ სახელმწიფო დღეს ასეთი, ე.წ. პოლიტიკოსების მიერ მიღებული კანონებით ცხოვრობს.

— ყოფილი დისიდენტი თუ შეიძლება ჩამოყალიბდეს ნამდვილ პოლიტიკოსად?

— დისიდენტი თავისუფალ ქვეყანაში ვერასდროს იქცევა პოლიტიკურ მოღვაწედ. მე მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ვიცი, როცა დისიდენტი ცივილიზებულ პოლიტიკოსად იქცა: ეს არის ვაცლავ ჰაველი. ანდრეი სახაროვიც კი ვერ იქცა დიდ


პოლიტიკოსად, ალექსანდრ სოლჟენიცინი კი, უკვე ძალიან სახიფათოდ უახლოვდება ფაშიზმს.

— რას ნიშნავს „ქუჩის პოლიტიკოსები“ და რამდენად გამართლებულია ქუჩიდან პოლიტიკაში მოსვლა?

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

— უცხოეთში თითქმის არ არსებობს რაიმე აკრძალვა, რომელიც ადამიანს არ მისცემს საშუალებას, გახდეს პრეზიდენტი. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გუბერნატორობა და კონგრესმენობა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად აუცილებელია უზარმაზარი თანხა. ვისაც ფინანსური უზრუნველყოფა არა აქვს, მას ასეთი შანსი არ მიეცემა. მაშინ, როცა საქართველოს პოლიტიკაში „ქუჩის პოლიტიკოსები“ მოვიდნენ, სხვა გზა არც არსებობდა. პოლიტიკაში მოსვლა ძალიან იოლი იყო: ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ხელისუფლებაში მოვიდნენ „პროტესტის პარტიები“ — ანუ ისინი, ვინც გამოხატავდა პროტესტს არსებული ხელისუფლების მიმართ. სადაც დესტაბილიზაციაა, იქ ბუნებრივია, პოლიტიკაში ქუჩიდან მოდიან.

— თუ ჰყავს მსოფლიოს დღეს ისეთი პოლიტიკოსები, რომლებზეც ისტორია იტყვის — დიდი პოლიტიკოსები იყვნენო?



— მე საინტერესო პოლიტიკის გამტარებლებად ვგორჯ ბუში და ელუარდ შევარდნაძე მიმაჩნია. ამ ორ ადამიანს ისტორია დიდ პოლიტიკოსებად შერაცხავს. შევარდნაძეს იმიტომ არ ვასახელებ, რომ ის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტია. მან მოახერხა საქართველოს უსაფრთხოების გადაწყვეტა მსოფლიოს გამოყენებით. შევარდნაძემ ქუვეითისა და ერაყის მაგალითზე დაინახა, რომ ვინც მსოფლიოს აინტერესებს, მას დაიცავს კიდევ. შევარდნაძემ საქართველოს საერთაშორისო ფუნქცია უპოვა, ნავთობსადენის გაყვანით ჩვენ მიმართ მთელი მსოფლიოს ინტერესი გამოიწვია. მან ბუშს ათქმევინა, რომ საქართველოზე გადის მისი ინტერესების საზღვარი. ამასთანავე, შევარდნაძემ რამდენიმე რაუნდი მოუგო რუსეთს, რაც თვით

რუსებმაც აღიარეს. **ირინა სარიშვილი-ჭანტურია,** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:

— დღეს მთელ მსოფლიოში ისეთი პოლიტიკური თამაშები მიდის, რომ ნებისმიერ პოლიტიკოსს, ვისზეც მსოფლიოს პოლიტიკური ამინდის შექმნაა დამოკ-



იდებული, ისტორია დიდ პოლიტიკოსებად შერაცხავს.

ირაკლი შენგელაია:

— ძალიან დიდი პოლიტიკოსები ჰყავდა მსოფლიოს XX საუკუნეში, მაგრამ ერთს მაინც გამოვარჩევ. ეს არის კონრად ადენაუერი. წარმოიდგინეთ ნაცისტური გერმანია, რომელიც გარიყული იყო ყველასგან. ნაცისტური ხელისუფლების გადადების შემდეგ, ისევ დაიწყო ებრაელების ინტეგრაცია გერმანიაში. ამასთან, ადენაუერი გახლავთ კაცი, რომელმაც ევროპა წითელი კომუნისმიზმისგან გადაარჩინა. მისი, როგორც პოლიტიკოსის გამჭრიახობა ყველაზე მეტად გამოჩნდა მაშინ, როცა წყდებოდა საკითხი, თუ როგორ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო გერმანია. როცა დადგა გერმანიის ორად გაყოფის საკითხი, ადენაუერმა თქვა: მირჩევნია, გერმანიის პატარა ნაწილის თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე, დანარჩენი გერმანია იყოს თავისუფალი... ის გერმანიის გახლეჩაზე წავიდა, თან აღნიშნა: გავა წლები, გერმანია ისევ გაერთიანდება, ოღონდ — გაერთიანდება თავისუფლების მოპოვების შედეგად. ის ვერ მოესწრო გერმანიის გაერთიანებას, მაგრამ მისი ნათქვამი ახდა. ადენაუერი პოლიტიკოსის საოცარი ნიმუშია იმ თვალსაზრისითაც, რომ ის პირველად, სამოცდაათი წლის ასაკში გახდა კანცლერი, თანაც — 13 წელი ედგა სათავეში ქვეყანას.

— ეროვნული ძალები და ხელისუფლება — რა კომენტარს გააკეთებდით ამ თემაზე, რომელიც ქართველებისთვის მტკივნეულიცაა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს?

წოდარ ნათაძე:

— სანამ შევარდნაძე და მისი გუნდი ხელისუფლებაში იქნებოდნენ, ეროვნული ძალები იქ ვერ მოვლენ, რასაც უარყოფითი



გავლენა აქვს ქვეყნის კეთილდღეობაზე. კომუნიზმის დრო მთავრდება, შევარდნაძე ისტორიის სანაგვეზე დიდი ხნის წინ გადასროლილი უკანასკნელი ნაშთია. რუსებს იმდენად უჭირთ საქართველოში მათი მომხრე კაცის მოძიება, რომ იძულებულები არიან, დაეყრდნონ პოლიტიკურ კარიკატურებს: პატიაშვილს, ჭაჭიას, კაკუბავას.

— თქვენი აზრით, ზვიად გამსახურდია თუ იყო მზარდი პოლიტიკოსი?

— იყო. ეს კაცი დაბადებიდან ფიქრობდა იმაზე, როგორ შეიძლებოდა საქართველოს დაესხნა თავი რუსეთის ჩექისგან. ის დაბადებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე პოლიტიკოსი იყო. იგივე შეიძლება ითქვას მერაბ კოსტავაზეც. მერაბი არის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული მათ შორის, ვისაც დედამიწაზე ადამიანის გაჩენიდან დღემდე უცხოვრია.

— დღეს საქართველოში, როგორც მზარდ პოლიტიკოსზე, ვისზე შეიძლება საუბარი?

სოსო ცინცაძე:

— სააკაშვილს ძალზე კარგი სასტარტო პოზიცია აქვს. ის ფაქტი, რომ მან დასავლეთში მიიღო განათლება, მას ბევრს მატებს. აშშ ის ფენომენია, რომელიც თავისი დამლის გარეშე არავის ტოვებს, ის მენტალიტეტში ცვლილებებს ახდენს. დღეს სააკაშვილს მწვანე შუქი უნთია, მაგრამ მან შეიძლება შეცდომები დაუშვას, ადამიანი კი მაშინ უშვებს შეცდომებს, როცა ამის საფუძველი ექმნება, რაც არა აქვს არც ერთ მინისტრს, რადგან ისინი დამოუკიდებლები არ არიან — მათ ყოველ ნაბიჯს ზემოდან ჰკარანახობენ. სააკაშვილი დღეს, კარგი გაგებით უმართავია. ამიტომ მას შეუძლია სწორი ნაბიჯებიც გადადგას და მცდარიც. თან ისეთი შეცდომა, რომელიც შეიძლება სხვას შერჩეს, სააკაშვილს არ შერჩება. შანსი ჰქონდა ფვანისასაც, მაგრამ ვერ გამოიყენა. ფვანამ შესანიშნავად იცის, რა შეცდომაც დაუშვა, თუმცა ამას არასდროს აღიარებს. შეიძლება, საკუთარ თავსაც კი არ გაუმხილოს...

— რა შეიძლება ითქვას პოლიტიკური პარტიების ლიდერებზე?

ნოდარ ნათაძე:

— ეროვნულ სახელმწიფოსთან ნათელაშვილს არანაირი მიმართება არ

გაჩნია. სოციალურ საკითხებშიც სხვა აპრიორული პოსტულატები აქვს. მე, რა თქმა უნდა, სააკაშვილის სოციალური პოსტულატები უფრო მომწონს. კარგი დამოკიდებულება მაქვს მიშასთან, მაგრამ მაინც

უნდა გითხრათ, რომ სოციალურ საკითხებში მან და მისმა გუნდმა შეიძლება მეტ-ნაკლებად ივარგონ. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ, ე.ი. პოლიტიკურ საკითხებს, ისინი აბსოლუტურად დეზორგანიზებული არიან და გრამი ნაციონალიზმი არა აქვთ. მათ არ იციან, რა არის ეროვნული სახელმწიფო.

— ნინო ბურჯანაძე მზარდი პოლიტიკოსია?

სოსო ცინცაძე:

— მან მოახერხა ის, რომ მის წინააღმდეგ კომპრომატი არ არსებობს. მისი სიძლიერე ისიც არის, რომ ქალია და ეს მას შანსებს მატებს. მაგრამ სულ მალე, მას მოუწევს ძალზე პრინციპული არჩევანის გაკეთება — თუ რომელ მხარეზე უნდა დადგეს. მაშინ გამოჩნდება, არის თუ არა ის ტეტჩერივით მტკიცე ქალი. მარგარეტ ტეტჩერი ნამდვილი რკინის ლედი იყო: როცა პრინციპული საკითხები წამოიჭრებოდა, ის თავის კარიერას ყოველთვის სასწორზე დებდა. დღეს საქართველოში არ არის არც ერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თავის კარიერას დადებს სასწორზე. ამის უტყუარი მაგალითია ნინო ჩხობაძის უპრინციპობა.

— თქვენი აზრით, როგორი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნება ედუარდ შევარდნაძის ნასვლის შემდეგ?

— სიტუაციის გაუარესების საფრთხე ნამდვილად არსებობს. ამ მხრივ ბევრი რამ თავად შევარდნაძეზეა დამოკიდებული. არჩევნებამდე ორ წელზე მეტი რჩება. ეს საკმარისი დროა იმისათვის, რომ გამოჩნდეს რეალური კანდიდატი და შეირჩეს საპრეზიდენტოდ. შევარდნაძეს ჯერ კანდიდატი არ ჰყავს. მმართველ პარტიად „მოქალაქეთა კავშირი“ რომ ქცეულიყო, ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, ამის შანსი სამი თვის წინ არსებობდა. მაგრამ ჯორბენაძე ისეთ მცდარ ნაბიჯებს დგამს, რომ ეს შანსი მინიმუმამდე მცირდება.

— გამოჩენილი დიპლომატის, ნიკოლო მაკიაველის აზრით, პოლიტიკა ამორალური უნდა იყოს, პოლიტიკა ცბიერების, მზაკვრობისა და და-

უნდობლობის სფეროა...
— კრისტალურად სუფთა, პოლიტიკა ვერასდროს იქნება, რადგან ის კომპრომისების ხელოვნებაა. რა თქმა უნდა, კომპრომისზე, დათმობაზე წასვლა აუცილებელია. მაგრამ საქართველოში არ არსებობს სიბინძურის ზღვარი, ეს საშინელებაა. თორემ პოლიტიკა თუ სუფთაა, პოლიტიკა აღარ არის.

— თქვენი აზრით, რა უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მეთაურისთვის — საგარეო პოლიტიკაში ჰქონდეს წარმატებები თუ საშინაო პოლიტიკაში?

ირაკლი შინგელია:
— საგარეო პოლიტიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს. მაგრამ საქართველოს მაგალითზე თუ ვილაპარაკებთ, დასავლეთი ახლა თვალს ხუჭავს ჩვენში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე. ეს მალე დამთავრდება. ქვეყანამ უნდა გადაიტანოს რუსული კომმარი, რის შემდეგაც საქართველოს მიმართ დასავლეთს მკაცრი დამოკიდებულება ექნება და ის თვალს აღარ დახუჭავს ჩვენში არსებულ შინაპოლიტიკურ პრობლემებზე.

— თუ შეგიძლიათ, დაასახელოთ თუნდაც ერთი, ევროპული დონის ქართველი პოლიტიკოსი?

სოსო ცინცაძე:

— საქართველოში ღირსების გრძნობა აღარ არსებობს. მინისტრს პრეზიდენტი ეუბნება: როგორც მინისტრი არ ვარგინარ, შენზე ამბობენ, მეცნიერიაო; წადი მეცნიერებაში, მაგრამ... შენ ალბათ, მეცნიერებაშიც აღარ ვარგინარო... მინისტრი მაინც არ მიდის. ასეთი მინისტრი პოლიტიკოსია?! ადამიანს ჯერ სინდისი და ღირსება უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება პოლიტიკოსი. სამწუხაროდ, ჩვენში არ არსებობს გარემო, რომელიც პოლიტიკოსს აღზრდის. ამიტომაც, ევროპული ან ამერიკული ყაიდის პოლიტიკოსს საქართველოში ნუ ეძებთ...

P.S. თემის გავრძელებად, „გზის“ მომღვწე ნომერში შემოვთავაზებთ საუბარს პარტიებსა და ფულის როლზე პოლიტიკაში.



ნატო ნიჟარაძე ბაიკერებთან, ნატო ნიჟარაძე ცხენზე, პურის მცხოვრელი ნატო, მომღერალი ნატო და რა ვიცი კიდეც, ვინ აღარ და რა აღარ. ტელეჟურნალისტს სურს, საკუთარ თავზე გამოსცადოს ის ყველაფერი, რასაც მისი რესპონდენტები გრძნობენ ან რაზეც ისინი საუბრობენ. მისი რესპონდენტები კი, ძირითადად, ის ადამიანები არიან, ვისაც დილით ადგომა არ ეზარება, ვისი ფეხის ხმა, ჩახველება თუ ცოცხის შრიალი ჩვენს თბილისს აღვიძებს...

ნატოსთან ინტერვიუს დროს შევიტყვეთ ისიც, რომ მათ, ვინც დილის გადაცემას ამზადებს, დღე-ღამეში მხოლოდ 4-5 საათი სძინავთ. ამ მხრივ რეკორდი ნატა ამალღობელს მოუხსნია, რომელიც დილის 5 საათზე უკვე სამსახურშია, შინ მიბრუნებული კი, დედური მზრუნველობის გამოჩენასაც ახერხებს და ბავშვი სასეირნოდ ქუჩაში გაჰყავს...

მიუხედავად იმისა, რომ ნატო ნიჟარაძე ძალიან მცირე დროს უთმობს ძილს, სიზმრების ნახვას მაინც ასწრებს თურმე და თანაც უბრალო სიზმრებს კი არა — ინასწარმეტყველურ სიზმრებს ნახულობს. ასე რომ, ერთი-ორი დღით ადრე უკვე იცის, თუ როგორი პირდაპირი ეთერო ექნება — წარმატებული, ძალიან ხალისიანი თუ ისე რა. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განწყობიან კამერის მიმართ დილაადრიან ნატო ნიჟარაძის გვერდით „გაუგებრობაში მოხვედრილი“ ადამიანები.



ნატო ნიჟარაძე:

ქუჩუნიოვთან ჩემი წახვის მიხედვით რისთვისა ურჩევია...

ნანა ქიბიშაური

— ნატო, თქვენ თავად როგორ მოხვდით „ამ გაუგებრობაში“?

— თუ „გაუგებრობაში“ დილის 5 საათზე ობიექტივში მოხვედრას გულისხმობთ, გეტყვით, რომ ეს „რუსთავი-2“-ის დამსახურებაა. ამ ტელეკომპანიაში გადმოსვლამდე ვმუშაობდი „იბერვიზიაში“. საინფორმაციო გამოშვება მიმყავდა. შემდეგ ნიკა ტაბატაძემ შემომთავაზა ახალი პროექტი და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. გამოვედით მე და ნატა ამალღობელი ლეკრეტიდან და ვიფიქრეთ — დილის გადაცემაზე მუშაობისას ბავშვებისთვის მეტი დრო დავგვრჩება-თქო, მაგრამ შევცდით. ნატას დღე-ღამეში მხოლოდ 3-4 საათი სძინავს. „ტოროლებს“ შორის ის რეკორდსმენია. თუმცა ჩვენ ისეთ რეჟიმში გვიწვევს მუშაობა, რომ უკვე იმასაც ვეღარ ვარჩევთ, ტოროლები ვართ თუ დამურები.

— ალბათ შრომის ანაზღაურება ისეთი გაქვთ, რომ ღირს, დილის ძილი დაიფრთხოს ადამიანმა...

— ნათქვამია — ანაზღაურება არასოდეს არ არის ბევრი, თანხა კი — ზედმეტი.

— ამას წინათ იყო პირდაპირი ჩართვა, რომლის დროსაც კოკა ყანდიაშვილმა და ირმა სოსხაძემ თქვენი ვარსკვლავად ქცევა იკისრეს...

— ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ეს იყო გადაცემა, სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ რა არის საჭირო, რომ გახდე ვარსკვლავი. როგორც კოკამ და ირმამ მიჩიეს, ჩემი „გავარსკვლავებისათვის“ საჭიროა, რაც შეიძლება

მეტი ჭორები და რაც შეიძლება კარგი სიმღერები — ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი ესტრადის ვარსკვლავად გახდომას მოვინდომებ.

— ამ ბოლო დროს ეთერში ხშირად გინევთ სიმღერა. რაშია საქმე? მართლა გინდათ გახდეთ ესტრადის ვარსკვლავი?

— არა. აბსოლუტურად მაკმაყოფილებს ის პოპულარობა, რაც უკვე მაქვს. გავდივარ ქუჩაში და დილის თბილისი, გაღიმებული მესალმება. მესალმებიან ჩემი ყოფილი ან პოტენციური რესპონდენტები: მეეზოვეები, პურის მცხოვრებლები, ჯიხურების გამყიდველები, ჩანთააკიდებული მეწვრილმანეები, მემაწვნიები, ტაქსისა და ნავის მანქანის მძღოლები... ნამდვილად არ მშურს ეკა ხოფერიასი, რომლის სტუმრებიც ძირითადად პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები არიან და ერთხელ „აღებული კურსიდან“ არ გადაუხვევენ, იმიჯი რომ არ შეელახოთ: არჩვენ სიტყვებს, ცდი-



ჩემი მეუღლე ლევან ვივიძე, რომელსაც გაცნობდნენ ერთი თვის შემდეგ ცოლად გავყევი.




ალბათ შეამჩნევდით, რომ მე ძალიან სწრაფად ვსაუბრობ...

ლობენ მაყურებლისა და წამყვანის კეთილგანწყობა მოიპოვონ და შეინარჩუნონ... მე კი ხშირად მეუბნებიან: „არ მცალია, დედიკო, ახლა შენთვის — ხომ ხედავ, რა მძიმე ჩანთები მიმაქვს“. ან კიდევ: „რას ამბობ, ვოგონი, ამ ყინვაში რა მამღერებს ან შენ რა გემღერება, პატრონი არ გყავს?“ მაგრამ ამ დროს გამოივლის ვიდაც ღვთისწიერი და აქეთ შემოგეხვეწება — სიმღერა არ ვიცი და ლექსს ვიტყვი, არ შეიძლებაო? მერე მეორე გამკვლევი გათამამდება — მეც მათქმევინეო, — და ასე ვწერ ინტერვიუებს ქუჩის „ინტერიერში“. ეს არის ის, რაც არის ჩვენი რეალობა — „გაუპრანჭავი“, შიშველი რეალობა, ნაღდი და ალალი ხალხი, ნიჭიერი ხალხი, რომელსაც შეუძლია. ამ პირობებშიც კი გაგიღიმოს და უთენიაათასი საზრუნავით დატვირთულმა,

შენი პრობლემაც გულთან ახლოს მიიტანოს. რაც შეეხება ჩემს სიმღერებს — ვმღერი ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შეიძლება, გენეტიკურად გადმომეცა სიმღერის სიყვარული: ჩემი ბაბუა თურმე გაიღვიძებდა თუ არა, მაშინვე ღიღინს იწყებდა და მთელ ოჯახს ახალისებდა; მეორეც — მაყურებლისთვის კარგი განწყობილების შექმნა, ჩემი სიუჟეტების მთავარი ხაზია: ხალისიანად დაწყებული დილა, ხომ კარგი დღის საწინდარია. მთლად ჯამბაზად არ უნდა იქცე ადამიანი, მაგრამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ მაყურებელს მსუბუქი, სასიამოვნო განწყობილება შეუქნა.

— მასმედიაში ბევრი ისეთი ადამიანი მუშაობს, ვისაც არა აქვს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დამთავრებული. თქვენ თუ ხართ განათლებით ჟურნალისტი?

— არა. მე გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. მაგრამ სადისერტაციო თემა სულ სხვა სფეროში მოვამზადე. ჩემი თემა იყო: „მეტეოროლოგიური ელემენტების როლი დაბინძურების ფონის ფორმირებაში“. გარკვეული პერიოდი ძალიან გატაცებული ვიყავი მეცნიერებით, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მაქსიმუმი, რასაც მივალწევდი, იქნებოდა უნივერსიტეტში ლექციების კითხვა, ან სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობა. იქ სადაც ხელფასი 30-დან 60 ლარამდეა. ამიტომ სხვა



გზა ავირჩიე და მე მგონი, არც შეგმცდარვარ.

— თქვენს რესპონდენტებს როგორ ამზადებთ საეთეროდ? ვერც ერთ მათგანს ვერ შევაჩნე კამერის კომპლექსი. თუმცა, ყოველი მათგანი ამბობს, რომ ეს მის ცხოვრებაში პირველი შემთხვევაა და ძალიან ღელავს.

— ალბათ შეამჩნევდით, რომ მე ძალიან სწრაფად ვსაუბრობ. ვიწყებ მათთან საუბარს იმ თემაზე, რომელშიც ისინი კარგად ერკვეიან. ჰოდა, აქტიურად ერთვებიან საუბარში და ვერც აფიქსირებენ, როგორ იწყებს კამერა მუშაობას. ასე რომ, ისინი დაკომპლექსებას ვერც ასწრებენ. სამაგიეროდ, მე ვიხარაჯები ბოლომდე — თან ვსაუბრობ, თან ყურსასმენში სტუდიას ვუსმენ, თან ჩემს მოსაუბრეს ვიჭერ, რომ არ გამექცეს. გაითვალისწინეთ, რომ ამ დროს, ან ცხენზე ვარ ამხედრებული, ან მოტოციკლეტზე, ან თონეში ვარ ჩაყუდებული. ყურადღების მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, რომ პირდაპირ ეთერში ყველაფერი ისე ჩანდეს, როგორც საჭიროა. თუმცა, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს ჩვენც ვერ ავცდებით ხოლმე. ჩემთვის ყველაზე ძნელი გადაცემა პირველ სექტემბერს იყო. ეს იყო ჩემი პირველი გასვლა დილის ეთერში. ტექსტი მქონდა ასეთი: „... ჩემს ბავშვობაში პირველ სექტემბერს ზოგი ტიროდა...“ ამ დროს ვგრძნობ, ფეხზე ვიდაც მექაჩება. დავიხედე ქვემოთ და ვხედავ ბავშვს, რომელმაც, დავამთავრე თუ არა სიტყვები — „ზოგი ტიროდა,“ — ისეთი ტირილი მორთო, რომ ძლივს დავაწყნარეთ... საერთოდ, ბავშვებთან ძალიან ადვილია მუშაობა და დასვენებაც ძალიან სასიამოვნოა. თუ ოდესმე ვიფიქრებ, ტელევიზიას თავი დავანებო, ამას მხოლოდ ერთადერთი მიზეზი ექნება — ამ მიზეზს ანასტასია ერქმევა: ჩემი ანასტასია ერთი წლისაა და დედას ძალიან უჭირს დილაობით მასთან განშორება.

— მუდღე როგორ ეგუება თქვენს დღის რეჟიმს?

ჩემი ანასტასია ერთი წლისაა და დედას ძალიან უჭირს დილაობით მასთან განშორება



მთელი ხმით მიმღერეს უნეფო პატარძალს „ო სოლე მით...“



სხვა რა ვითხრათ? – გოროლა ვარ, გო-რო-ლა!

– მე მგონი, შეეჩვია.
— ვინ არის თქვენი მეუღლე? როგორ შეუღლდით და საერთოდ, როგორ გრძნობთ ერთმანეთის გვერდით თავს?

– ჩემი მეუღლეა ლევან ჟივიძე. ის კინოპროდიუსერია და თავისი სპეციალობით მუშაობს „ტელე-იმედში“. ერთმანეთი გავიცანით ქობულეთში, ერთკვირიანი შვებულების დროს. გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ კი, ცოლად გავყვივი. დაქორწინებამდე მოვასწარით ყველაფერი – შეხვედრები, საუბრები, ოჯახების მივდიოდით ერთმანეთთან, მეგობრების მონახულებასაც ვახერხებდით, თან ორივეს გადატვირთული სამუშაო გრაფიკი გვქონდა. ქორწილის დღესაც კი ვერ მოახერხა ლევანმა ის, რომ არ დაეგვიანა. მოვიდა მეგობრებთან ერთად, ფანჯრის ქვეშ დადგნენ და მთელი ხმით მიმღერეს უნეფო პატარძალს „ო სოლე მით...“ უზარმაზარი თაიგული მომიტანეს. ჰოლანდიური ყვავილების თაიგული ახლა, ჩვენი შეუღლების წლისთავზეც მომართვა ლევანმა, ამ ფაქტის აღსანიშნავი ფოტოც გვაქვს, მაგრამ მე თაიგულზე მეტად, ქოთნის ყვავილები მხიბლავს. თუმცა, როგორც ყველა ემოციურ ადამიანს, ყველანაირი საჩუქარი ძალზედ მიჩუყებს გულს.

– გულწრფელად მითხარით — არ ოცნებობთ ისეთ პროექტზე, დილის 5 საათზე რომ არ დაგჭირდებოთ მალვიძარას დაყენება?

– მე მადლობელი ვარ ბედის, რომ სწორედ მე და სწორედ ასეთი

საქმე მარგუნა. შეხვედრიხართ გათენებას თბილისის ძველ უბანში? ბინდუნდში პირველი ნაბიჯების ხმისთვის მოგისმენიათ? მე-ზოვის ცოცხის მონოტონურ შრი-ალს რომ მანქანის პირველი სიგნალი შეერევა, მერე მეორე მანქანა გაივლის სადღაც, ნარიყალა ნისლ-შია ჩაძირული, ჰერე აფერადდება, აივნებზე გადმოფენილი ნოხებით და ხალიჩებით, მეზობლებით, სალამი და გადაძახილ-გადმოძახილი გახშირდება, მერე მანქანები მოძრავლდება, თანდათან მოიმატებს და ქალაქი უკვე ჩვეულებრივ იერსახეს იღებს... რომ არა დილის ეთერი, მე ხომ ამ სილამაზეს ვერ ვნახავდი. არ ვიცი, როდის ან რა პროექტებში მომიწევს მონაწილეობა, მაგრამ ის კი

ვიცი, რომ ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანთან შეხვედრას მპირდება. ჩემი ხასიათიც რაღაცნაირად შეეწყო ამ გადაცემას. სხვა რა ვითხრათ? – ტოროლა ვარ, ტო-რო-ლა! და თქვენი ჟურნალის საშუალებითაც მადლობას ვუხდით ყველას, ვინც უარს არ მეუბნება ინტერვიუს ჩაწერაზე და მეხმარება იმაში, რომ ჩემი ჩართვები უფრო ხალისიანი გამოვიდეს.

მის: ჭავჭავაძის გამზ. №11
ტელ: 22-24-58

მაია გვენეტაძის
სტომატოლოგიური კლინიკა

„Smile Dent“
„სმაილ დენტი“

სახალსლო ვასლაყუბა 25%

გაიღიმეთ თამამად და უბრობლემოდ. ჩვენთან მკურნალობა მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად დაგრჩებად. საუკეთესო მასალები საუკეთესო ფასები.



განსასჯელი ლერი კირვალიძე

მეზღ სანაპი

განსასჯელი ლერი (მამუკა) კირვალიძე, რომლის შესახებაც „გზის“ წინა ნომერში მოგიხსნებოდა, უზენაესი სასამართლოსგან განაჩენს ელის. სასამართლომ მოწმეთა დაკითხვა უკვე დაასრულა და სახელმწიფო ბრალმძებელმაც თავისი სიტყვა თქვა. მან განსასჯელისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ლერი კირვალიძემ უახლოესი მეგობრისა და საკუთარი ცოლის საყვარლის მკვლელობაში თავი დახმავდა არ ცნო, თუმცა, პროკურატურაში, წინასწარი გამოძიებისას მან ეს დანაშაული აღიარა. როგორც ამბობენ, ჩადენილი მკვლელობის გამო, ის ციხეში „კარგი სახელით“ ანუ ვაჟაკის სახელით შევიდა...

კირვალიძის დაპატიმრებიდან დაახლოებით ორ თვეში, ციხის სამკურნალო დაწესებულებაში შემზარავი, სადისტური მკვლელობა მოხდა. ერთ-ერთი პატიმარი – კახა ყურაშვილი თავისივე პალატაში დანით აჩეხილი იპოვეს. ყურაშვილი უკვე მკვდარი იყო. მის გვამზე 63 ჭრილობა დათვალეს... იმავე დღეს გავრცელდა ხმა, რომ იგი, ბოლო დროს მასთან დაახლოებულმა პატიმარმა – ლერი კირვალიძემ მოკლა...

კირვალიძემ გამოძიებულთან ეს მკვლელობაც აღიარა. როგორც პროკურატურა გვამცნობს, ვია გორგასლიძის მკვლელობის შემდეგ, ლერი კირვალიძე თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციაში, 2001 წლის 4 ივლისს, ბრალის აღიარებით გამოცხადდა. 2001 წლის 19 ივლისს, ის, მკურნალობის მიზნით, სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შეასახლეს. იმავე დაწესებულების №17 პალატაში პატიმარი კახა ყურაშვილი იმყოფებოდა.

ჩადენილი მკვლელობების კიკვალიძე 14 წლით პატიმრობა ემუქრება

ფებოდა. როგორც ამბობენ, ის ე.წ. ქურდული ტრადიციების მიმდევარი იყო, ცდილობდა, ციხეში ავტორიტეტი ჰქონოდა და რაც შეიძლება დიდი გავლენით ესარგებლა. კახა ყურაშვილი იმ დროისთვის უკვე მსჯავრდებული გახლდათ. იგი უზენაესმა სასამართლომ ყაჩაღობის მუხლით გაასამართლა.

ლერი კირვალიძე კახა ყურაშვილს 2001 წლის აგვისტოში დაუახლოვდა. ამბობენ, რომ ერთმანეთთან მათ ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა, 2001 წლის 1 სექტემბერს, ეს შემზარავი ფაქტი მოხდა...

ლერი კირვალიძის პალატა მესამე სართულზე მდებარეობდა. 2001 წლის 1 სექტემბრის ღამეს, აღნიშნულ სართულზე წყალ-კანალიზაციის გაუმართობის გამო, ის მეორე სართულზე ჩავიდა საპირფარეშოში. შემდეგ იქვე, №17 პალატაში შევიდა. პალატაში ის თავად ყურაშვილმა შეიპატოვა. ისინი ტელევიზორს უყურებდნენ. მაშინ დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა.

ლერი კირვალიძის ჩვენებიდან: „მიუხედავად იმისა, რომ კახა ყურაშვილი ტელევიზორთან უფრო ახლოს იყო, საწოლზე წამოწოლილი, მბრძანებლური ტონით მითხრა – ტელევიზორი სხვა არხზე გადაართო. წინააღმდეგობა გაუუწიე. ჯერ უარი ეუთხარი, მაგრამ მერე ტელევიზორი მაინც გადაართო. ამის შემდეგ მომთხოვა, წავსულიყავი, რომელიმე პატიმრისთვის სივარეტი გამომერთმია და მისთვის მიმეტანა. მისგან ასეთი ტონით მოთხოვნა შეურაცხყოფად მივიღე და ვთხოვე, თავი შეეკავებინა ჩემი დამცირებისგან...“

კირვალიძის ჩვენების მიხედვით, ყურაშვილმა, როგორც ქურდული ტრადიციების მიმდევარმა პატიმარმა, ასეთი შენიშვნა და წინააღმდეგობა იუკადრისა. მან ხის ხელკეტი აიღო და კირვალიძეს ცემა დაუწყო. თან აფრთხილებდა – ქურდი ვარ და იცოდე, ხელი არ შემომიბრუნო.

მიუხედავად ამისა, კირვალიძემ ხელისკვრით მისი შეჩერება მაინც მოახერხა. თუმცა, ახლა ყურაშვილმა მაგიდიდან დანა აიღო და კირვალიძეს მარცხენა ფერდის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა. ამან კირვალიძე მოთმინებიდან გაპო...

ოიყვანა, გაბრაზებული ყურაშვილს ებგერა და მას დანა წაართვა. მერე იმავე დანით მისი მოკვლა განიზრახა და ყურაშვილს მრავალი ჭრილობა მიაყენა. დანას მას სხეულის სხვადასხვა ადგილას გაშმაგებით ურტყამდა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ყურაშვილს თავის თმოვან მიდამოში, საფეთქლის არეში – 3, სახის არეში – 10, გულმკერდისა და ზურგის არეში – 46, მუცლის არეში – 1, წელის არეში, ორივე მხარეს – 3, დანით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა. ექსპერტთა თქმით, დაზიანებები სიცოცხლის დროინდელია, ისინი სიკვდილამდე მიყენებული.

კახა ყურაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ლერი კირვალიძე კი იზოლირებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ. პროკურატურამ ამ დანაშაულისთვის მას 109-ე – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა.

სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ლერი კირვალიძის შერაცხადობის შესამოწმებლად განმეორებითი კომპლექსური სასამართლო-ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვეს. სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კომისიური ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა, თუმცა, როგორც შევიტყვეოთ, ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. „ამჟამად ორი ურთიერთსაპირისპირო დასკვნა გვაქვს. ერთის თანახმად, ორივე მკვლელობის ჩადენისას კირვალიძე აფექტურ – ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეორე დასკვნა ამას უარყოფს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პირველს ხელს სამი ექსპერტი აწერს, მეორეს – მხოლოდ ერთი“ – გვითხრა ადვოკატმა **იასონ ზასელიამ**.

საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის. ვნახოთ, რომელ დასკვნას გაიზიარებს ის, თუმცა, როგორც ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებამა აღნიშნული, სასამართლო კოლეგია ლერი კირვალიძის შერაცხადობის საკითხს ეჭვქვეშ არ აყენებს.

„არ მოეწონა მისი ლაპარაკი და გადაწყვიტე, დაეყარა ლეონი“

მათი კრიტიკული ზანდის დაყარა ლეონის გარდა, პოლიციის მკვლელობის ელემენტებით გარდა

მეტი სანაპი

ნუგზარ ჩახუნაშვილს, ბადრი ჯაჭვიაძეს და გელა წვერუკმაზაშვილს თბილისის მოქალაქეებსა და მათ საცხოვრებელ ბინებზე არაერთგზის ყაჩაღური თავდასხმისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის ასამართლებენ. გარდა ამ დანაშაულებისა, მათ ყოფილი პოლიციელის – გიორგი ღირსიაშვილის განზრახ მკვლელობაშიც ადანაშაულებენ. განსასჯელები თავს ნაწილობრივ ცნობენ დანაშაულებს და აცხადებენ, რომ პროკურატურამ ისინი ბევრ ისეთ ფაქტში დაადანაშაულა, რაშიც მათ მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ. პროკურორი და გამოძიებელი საპროსპორის ირწმუნებიან. მათი თქმით, ჩახუნაშვილი, ჯაჭვიაძე და წვერუკმაზაშვილი იმ კრიმინალური ბანდის წევრები არიან, რომელშიც მათ გარდა, „შავი სამყაროს“ კიდევ რამდენიმე წარმომადგენელიც შედის. პროკურატურის ცნობით, ამ ბანდის სახელს არაერთი მძიმე დანაშაული უკავშირდება, მათი ჩადენილი ბევრი ფაქტი კი დღემდე გამოუვლენელია.

ამასთანავე პროკურატურა იმასაც დასძენს, რომ ბანდა კარგად ორგანიზებული არ იყო. გამოძიების ცნობით, ბანდის წევრებს ერთმანეთში ხშირად მოსდიოდათ უთანხმოება და ბევრ დანაშაულს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სჩადიდონენ. ამ კრიმინალურ დაჯგუფებაში ვინმე ვადიმ კრასტილიოვი, კახა უსტარაშვილი, ბერდია მამულაშვილი და სხვა, ჯერჯერობით დაუდგენელი პირებიც შედიოდნენ. ვადიმ კრასტილიოვი და კახა უსტარაშვილი გარდაცვლილები არიან, ბერდია მამულაშვილი კი იძებნება.

ვადიმ კრასტილიოვი თავისივე მეგობრის – ნუგზარ ჩახუნაშვილის ძმამ – ლეონიდ ჩახუნაშვილმა მოკლა. ამ საქმეს ამჟამად ისანი-სამგორის რაიონული სასამართლო განიხილავს. მკვლელობის მოტივი, როგორც პროკურატურიდან შევითქვით, ურთიერთშელაპარაკება გახლდათ. ვადიმ კრასტილიოვი და ლეონიდ ჩახუნაშვილი მეგობრებთან ერთად ქეიფობდნენ. ქეიფისას ნასვამი ჩახუნაშვილი კრასტილიოვს აუხიბდა – ჩემი სადღეგრძელო რატომ არ შესვიო? განაწყენებულმა ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და კრასტილიოვს სამჯერ ესროლა. მიყენებული ჭრილობის შედეგად, ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

რაც შეეხება კახა უსტარაშვილს, ის რამდენიმე წლის წინ, მარჯანიშვილზე მდებ-



ბარე უნივერსიტეტზე განხორციელებული თავდასხმისას დაიღუპა. ამ ფაქტის შესახებ „გზის“ 2001 წლის №22-ში ვწერდით. აღსანიშნავია, რომ კახა უსტარაშვილი ადრე ეკოლოგიური პოლიციის თანამშრომელი გახლდათ, თუმცა, საშტატო განრიგში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების გამო, ის უმუშევარი დარჩა და კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა.

ასევე პოლიციელი გახლდათ ბანდის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი – გიორგი ღირსიაშვილიც. ის თბილისის, მთაწმინდის რაიონის პოლიციაში მსახურობდა და უფროსი სერჟანტი გახლდათ. გამოძიების ცნობით, ღირსიაშვილს ბანდის ერთ-ერთი წევრი – ნუგზარ ჩახუნაშვილი იცნობდა და ახლობლობდა კიდევ მასთან. ჩახუნაშვილმა იცოდა, რომ ღირსიაშვილი პოლიციელი იყო და კაფე-ბარის – „უჩინმაჩინის“ დაცვაში მუშაობდა. იცოდა ისიც, რომ ღირსიაშვილს გერმანელი ცოლი ჰყავდა, რომელიც ბავშვებთან ერთად გერმანიაში, მშობლებთან იყო წასული, ღირსიაშვილი კი შინ მარტო იყო, თუმცა გერმანიაში მალე თვითონაც აპირებდა გამგზავრებას. ჩახუნაშვილის ვარაუდით, გასამგზავრებლად მომზადებულ ღირსიაშვილს სახლში დიდი რაოდენობით ფული და შესაძლოა, ძვირფასი ნივთებიც ჰქონდა. ეს ცნობები მან ბანდის სხვა წევრებს მიაწოდა და მათ ღირსიაშვილის დაყაჩაღების იდეა შესთავაზა.

ბრალდების თანახმად, ბოროტმოქმედებმა როლები გაინაწილეს: უსტარაშვილი მანქანაში უნდა დარჩენილიყო, თავად ჩახუნაშვილი და კრასტილიოვი – სადარბაზოსთან ახლოს, ხოლო

წვერუკმაზაშვილსა და ჯაჭვიაძეს ბინაში უნდა შეეღწიათ. ჯაჭვიაძეს ღირსიაშვილისთვის მუშტი უნდა დაერთყა და გაეთიშა. ისინი შეიარაღებულები იყვნენ. ღირსიაშვილმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც წვერუკმაზაშვილმა იარაღიდან გაისროლა. ღირსიაშვილი მძიმედ დაიჭრა. გასროლის შემდეგ, ჯაჭვიაძესა და წვერუკმაზაშვილს ბინაში ნაბიჯების ხმა მოესმათ. მიხვდნენ, რომ იქ კიდევ ვიღაც იყო და გაიქცნენ. ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ღირსიაშვილთან კი მართლაც იყო მისი ნათესავი – ნოდარ ღირსიაშვილი. მან მაშინვე „სასწრაფო“ გამოიძახა, თუმცა დაჭრილის შველა ვერ მოახერხა. ის ადგილზევე გარდაიცვალა.

ამ დანაშაულთან დაკავშირებით განსასჯელებს სასამართლოსთვის ჩვენება ჯერჯერობით არ მიუციათ. აღნიშნული მკვლელობის გარდა, პროკურატურა მათ ხუთ სხვადასხვა ყაჩაღურ თავდასხმაში ადანაშაულებს, მათ შორის, შვეიცარიელ კრისტიან ზენდერის დაყაჩაღებაშიც. გამოძიების ინფორმაციით, ბინაში შევარდნილმა თავდამსხმელებმა ზენდერს თავზე ბალიშის პირი ჩამოაცვეს და ფული და პირადი ნივთები გაიტაცეს. „ზენდერს მეგობრის – მაკა ყურაშვილის სახლში, დაბადების დღეზე შეეხვდი. იქ შევტყვევე, რომ ის პროფესიით რეჟისორი ყოფილა. თუმცა, საქართველოში სამი წლის მანძილზე ცხოვრობდა და არაფერს აკეთებდა, არც ერთი ფილმი არ გადაუღია. არ მომეწონა მისი ლაპარაკი და გადავწყვიტე, დაეყარა ლეონი“; – განაცხადა სასამართლო სხდომაზე ნუგზარ ჩახუნაშვილმა. გამოძიების ცნობით, ჩახუნაშვილის მიერ ნახსენები მაკა ყურაშვილი კრისტიან ზენდერის შინამოსამსახურედ მუშაობდა.



20 წლის ბექა სადარბაზოსთან ჩაცხრილეს

„ასე აშკარად მხოლოდ ის ისერის, ვისაც გავლენიანი მფარველი ეგულება“

მეზი სანავა

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ბექა მუხანათურად მოკლეს – შინისკენ მიმავალს მოულოდნელად სამმა უცნობმა ახალგაზრდამ დაუმახა. რამდენიმე სიტყვა უთხრეს და ბექა კვლავ სადარბაზოსკენ შეტრიალდა წასასვლელად, როცა ერთ-ერთმა მას სახელით ისევ მიმართა. ბექა მიბრუნდა. იმავე წამს მას ტყვიები დაახალეს.

ვინ ან რატომ გაიმეტა ბექა, ჯერჯერობით უცნობია. არსებობს მკვლელობის ორი ვერსია, რომელთაგან დალუპულის ოჯახის წევრები რეალურად მხოლოდ ერთს მიიჩნევენ. მეორე ვერსიის თანახმად, მკვლელობა გოგონას გამომოხდა. თუმცა, დაზარალებულის მხარე ამას კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს, რომ ეს შემზარავი დანაშაული, მკვლელობამდე ორი დღით ადრე, ერთ-ერთ ბარში მომხდარ ინციდენტს მოჰყვა.

მანია მაჭავარიანი, გარდაცვლილის დეიდა:

„23 ნოემბერს, ვიორგობას, ბექა თავის მეგობრებთან ერთად საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთ ბარში შესულა. სულ ოთხნი ყოფილან – ბექა, მისი დეიდაშვილი და მეგობარი, თავის შეყვარებულ გოგონასთან ერთად. ძალიან მშვიდად და სასიამოვნოდ ატარებდნენ თურმე დროს. ცოტა ხანში მათთან ვიღაც ყმაწვილი მისულა და სანთებელა უთხოვია. მიუციათ, მას კი, გამოყენების შემდეგ, ის მაგიდაზე უხეშად დაუვდია. ბექას და მის მეგობარ ბიჭს უთქვამთ – სანთებელა ნორმალურად დადე მაგიდაზეო. რა თქმა უნდა, თავმოყვარეობა შეელახათ, მით უმეტეს, გოგონების წინაშე. ასეთ აგდებულ საქციელს ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ვერ აიტანდა. ამით შენიშვნაზე იმ ბიჭს უპასუხია, – აქ რას მირჩევთ საქმეს, წაშლით, გარეთ ვილაპარაკოთო. ესენიც გაპყლიან. ერთმანეთში ძალიან უსიამოვნო საუბარი ჰქონიათ, შელაპარაკებას კი,



მოკლული ბექა პაპუაშვილი (მარჯვნიდან პირველი) მეგობრებთან ერთად

25 ნოემბერს, კვირას, თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე შემზარავი მკვლელობა მოხდა. 20 წლის ბექა პაპუაშვილი საკუთარი ბებიისა და ბაბუის სახლის სადარბაზოსთან, სრულიად მოულოდნელად, ცეცხლსასროლი იარაღით ჩაცხრილეს. დაჭრილმა ბექამ ბებიის ბინის კარამდე როგორღაც მიაღწია, თუმცა იქვე ჩაიკეცა და ძირს უგონოდ დაეცა.

ბოლოს, ჩხუბიც მოჰყვა თურმე. ამის შესახებ თავად ბექა და მისი მეგობრები მომიყვნენ.

ორი დღის შემდეგ, 25 ნოემბერს, საღამოს, ახალი შებინდებული იყო, როდესაც კარზე კაკუნის ხმა გაისმა. გარედან ვიღაცამ ბექა იკითხა. უცხო, ჩახლეჩილი ხმა იყო და არ მომეწონა. საერთოდ, ბუნებით მშიშარა ადამიანი ვარ, ამიტომაც ეს ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ უსიამოვნო გრძნობა გამჩნოდა. ბექა არ არის სახლში-მეთქი, – ვუპასუხე. ამ დროს დედაჩემიც, ანუ ბექას ბებია, გამოვიდა და იკითხა, – ვინ არის, ვინ კითხულობს ბექასო? მან კარიც გააღო. კართან ვიღაც ყმაწვილი იდგა და ღიმილით გვითხრა: ნუ გეშინიათ, მე აქვე თქვენს მეზობლად ვცხოვრობ,

პატიოსანი ბიჭი ვარ, უბრალოდ, ჩემს ბიძაშვილ გოგონას ვიღაც ბიჭი ურეკავს, ხშირად აწუხებს და არ ვიცი, ეს თქვენი ბექაა თუ სხვა შავგვრემანი ბექა (ბექა პაპუაშვილი ქერა გახლდათ. – ავტ.), ამის გარკვევა მინდაო. მაშინ იმ ყმაწვილს ვუთხარი, – ჩვენი ბექა სხვა ბუნების ადამიანია, მას ვოგონებთან ტელეფონით რეკვა და ვინმეს ზედმეტად შეწუხება არ სჩვევია. თანაც ვიცი, რომ ამჟამად შეყვარებული არ ჰყავს და არც რომელიმე გოგონა მოსწონს სერიოზულად-მეთქი. მინდა აღვნიშნო, რომ ბექა ჩემთან განსაკუთრებით ახლოს იყო. როგორც დეიდას კი არა, როგორც მეგობარს, ისე მიყურებდა. ყველაფერს მიყვებოდა, ყველა საიდუმლოს მიმხელდა და თუკი ვინმე

მოეწონებოდა, მე ეს აუცილებლად მეცოდინებოდა. ამაში დღემდე ღრმად ვარ დარწმუნებული. ამიტომაც ვფიქრობ, რომ იმ უცნობი ყმაწვილის სიტყვები განვებ გამოვონილი მიზეზი იყო ბექას გარეთ გასაყვანად. კუთხარი - იცით, ბექა ორი დღეა აქ, ბებიასთან არ მოსულა, თავის სახლშია-მეთქი. თავისი სახლი მე არ ვიციო, - თქვა და ასე, ღიმილით წავიდა ჩვენგან. სხვათა შორის, წასვლისას ვიორგობა მომილოცა. ისიც აღნიშნა, ვაცივებული ვარ და ასეთი ხმა ამიტომაც მაქვსო. მაშინ დაახლოებით საღამოს 7 საათი იქნებოდა.

როცა უფრო შებინდდა - დაახლოებით ცხრის ათი წუთისთვის, ძალიან ახლოს სროლის ხმა გაისმა. ჯერ ერთი გასროლა იყო, ორი წამის შემდეგ კი - ზედიზედ სამჯერ, მიყოლებით. დღეაჩემი მაშინვე წამოხტა. მეც წამოვხტი და ორივენი კარისკენ ვაკვარდით. ამასობაში ძლიერად დააკაკუნეს. ვინ არის-მეთქი? - ვიკითხე და, ვააღე, ვააღე - გარედან ბექას უცნაურად შეცვლილი ხმა ვავიკონე. მაშინვე ვააღე კარი... როცა მის თვალებს შევხედე, ყველაფერს მივხვდი. მხოლოდ ის დავინახე, რომ ფეხზე იდგა, მეტი არაფერი მახსოვს, კივილი დავიწყე. ბექა თურმე კართან ჩაიკეცა. მის დას, ელენეს შეუსველებია ხელი ძირს დავარდნილი ძმისთვის. „სასწრაფო“-მეთქი! - ვყვიროდი. მეზობლები მაშინვე მოცვივდნენ და მომაკვდავი მანქანაში ჩავსვიით. მტკივაო, - იძახდა ბექა მომენტებში, როცა გონს მოდიოდა და მუცელზე იდებდა ხელს. რამდენიმე წუთში სავადმყოფოშიც მივედი, სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, 20 ლიტრი სისხლი ვადაუსხეს, მაგრამ ვერ უშველეს... ექიმები შეძრწუნებულები იყვნენ, ეს ცისფერთვალეა მომაკვდავი ბიჭი რომ დაინახეს. ხვდებოდნენ, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო და თვალს შეგნებულად ვვარიდებდნენ. ისიც კი თქვეს - რა ესროლეს ასეთი, თითქმის ყველა ორგანო დაზიანებული აქვსო. კუჭი, ელენთა, ღვიძლი, ნაწლავები სულ დაფლეთილი ჰქონია. როგორც სპეციალისტებმა თქვეს, ტყვიები ახლოდან იყო ნასროლი.

როგორც ჩანს, სადარბაზოში ჩაუსაფრდნენ და ელოდებოდნენ, შინ როდის დაბრუნდებოდა. ბექა ძირითადად ჩვენთან, ბებიის სახლში ცხოვრობდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ისინი, ვინც მის მოსაკლავად იყვნენ მოსულები, ბექას არ იცნობდნენ. არც ბექა იცნობდა მათ.

თვითმხილველები გვიყვებიან, რომ სადარბაზოსთან სამი უცნობი ახალგაზრდა კარგა ხანს მდგარა. ბოლოს, კორპუსისკენ მომავალი ბექაც გამოჩენილა. იმ ბიჭებს დაუძახიათ - ბექაო! ალბათ, აინტერესებდათ, ნამდვილად ის იყო თუ არა ბექა. მესამე დაძახებაზე მიუხედავს კიდევ. მაშინ უკითხავთ, - შენა ხარ ბექაო? მე ვარო, - უპასუხია. ერთ-ერთს უთქვამს, - შენთან სალაპარაკო გვაქვსო...

ჩემი საცხოვრებელი სახლის წინ კორპუსია, რომელსაც თალი აქვს. სწორედ იქითკენ ეპატიჟებოდნენ ბექას, თურმე. ბექა შესწინააღმდეგებია - რატომ მაინცდამაინც იქ აქეთ ვილაპარაკოთო, - ჩვენი სახლისკენ მიუთითებია. ამაზე უთქვამთ - კარგი, მანქანას ვადმოვაყენებთ და ვილაპარაკოთო. ამის შემდეგ ერთმანეთთან ძალიან ხანმოკლე საუბარი ჰქონიათ. თუ რაზე ლაპარაკობდნენ, თვითმხილველთაგან, იმავე მეზობლებისგან არავინ იცის, არ გაუვინიათ. მხოლოდ ის შეუნიშნავთ, რომ ბექა კვლავ სადარბაზოსკენ მიტრიალებულა და შინ წამოსვლას აპირებდა. თურმე, ამ დროს ისევ დაუძახიათ მისთვის, ისიც მიბრუნებულა და... გასროლაც მოხდა. ვინ ისროლა ან რამდენმა, ზუსტად არავინ იცის. დამნაშავეები მაშინვე გაქცეულან.

სროლის მომენტი მე არ მინახავს, მაგრამ როგორც მითხრეს, ყველაფერი წამებში მომხდარა. ვფიქრობთ, რომ მკვლელები სწორედ იმ ბიჭის ახლობლები იყვნენ, რომელთაც ბექამ და მისმა მეგობარმა ბარში იჩხუბეს. რაღაც არ აპატიეს ამ მხარეს. თუმცა, იმასაც ვგრძნობთ, რომ არის მცდელობა, ის ინციდენტი, რაც ბარში მოხდა, ამ მკვლელობის საქმეს მოსწვევითონ და გამოძიებაში განვებ შემოიტანონ გამოვონილი ვერსია ვიდაც გოვონას თაობაზე. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზნით ითქვა თავდა-

პირველად იმ უცნობი ყმაწვილის მიერაც მის ბიძაშვილ გოვონასა და სატელეფონო ზარებზე. ცხადია, რომ ის ბიჭი დამნაშავეთა მხარეს ეკუთვნის.

ყველაფერთან ერთად, გასროლა საკმაოდ თამამად მოხდა: საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს, არაერთი ადამიანის დასანახად, მკვლელმა რამდენჯერმე, მიჯრით ისროლა. ასე აშკარად მხოლოდ ის იხვრის, ვისაც ვაკლენიანი მფარველი ეგულება და დარწმუნებულია იმაში, რომ ამ დანაშაულისთვის ის არ დაისჯება...“

ბექა პაპუაშვილი აგრარული უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდათ. თანატოლთაგან, როგორც ამბობენ, ძალიან გამოირჩეოდა - ბუნებით მშვიდი და თანაც, თავისებური იყო. ლექსებს წერდა და 20 წლის ბიჭი, სტუდენტთა უმრავლესობისგან განსხვავებით, უნივერსიტეტში ყველა ლექციას ესწრებოდა თურმე.

მაია მაჭავარიანი:

„საკონფერენციო თემაზე მუშაობდა. ძალიან ამაყი გახლდათ და მაქსიმალურად ცდილობდა, ვინმესგან შენიშვნა არ მიეღო. უნდოდა, ყველასთვის კარგად დაემახსოვრებინა თავი. საოცრად ნიჭიერი და თავისებური იყო.“

დამნაშავეთაგან ჯერჯერობით დაკავებული არავინაა. სამართალდამცავთა ცნობით, მათი ვინაობა ზუსტად დადგენილი არ არის და ამდენად, ისინი ჟურნალისტებთან მკვლელობის ვერსიებზე საუბარსაც ერიდებიან. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული. გამოძიებას ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა აწარმოებს.

ნდობის ტელეფონი
ქონსუტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005
„მეტი“, „ჯუსიკლი“, „მეგაკომი“ - 0,70 ლ.
თბილისი - 0,45 ლ.
რაიონები - 0,65 ლ.



სამართალმცემი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა მსახიობები ნატო მურვანიძე და ნიკა თავაძე ულამაზეს ეზოში ცხოვრობენ ერთი შეხედვით, ედემის ბაღია, რომელშიც თითოეულ ქვას, თითოეულ კენჭს თავისი დანიშნულება აქვს და იმ ჯადოსნურ სამყაროს ქმნის, გრძნობებს რომ ამძაფრებს, სიცოცხლეს კი ელფერს მატებს. ამ სამყაროს დიასახლისი — ხელმარჯვე ნატო მურვანიძე — იმ დიდი ოჯახის შვილია, რომლის სათავეში ყველასთვის საყვარელი მსახიობი მედეა ჩახავა დგას. ცხადია, ნატოს თავისი ოჯახის შესახებ მოსაყოლი ძალიან ბევრი აქვს: მას ორი და ჰყავს: უფროსი — თეა და უმცროსი — ანუკა. თეა განათლებით ექიმა. ის და ნატა ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან. თეა სამედიცინო ინსტიტუტში რომ სწავლობდა, ნატა მის მაგივრად ლექციებზეც კი შედიოდა ხოლმე... ანუკა ვიზაჟისტია, ასე რომ, ნატას პირადი გრომის ოსტატი ჰყავს. ანუკამ განათლება პოლანდიაში მიიღო. ის აქტიურად მუშაობს — ხან გადაღებებზეა, ხან — პრემიერებზე. ნატასთვის ძალიან ძვირფასია როგორც საკუთარი ოჯახი, ასევე ის ოჯახიც, რომელშიც გაიზარდა.

მკაცრი მსახიობები ნატო მურვანიძე სწავლობს თეატრის ხელოვნებას

ლელა ჭანჭიჭიანი

— სასტუმრო „ჭარის“ გვერდით, ერთ დიდ სახლში მედიკოსთან ერთად ვცხოვრობდით მე, დედა, მამა, ჩემი და და ბიძაჩემი. იმ სახლში დაიბადე. რვა წლამდე იქ ვიზრდებოდი. ნებისმიერი ბავშვისთვის უსაყვარლესია მშობელი, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. ერთადერთი, რითიც სხვა ბავშვებისგან განვსხვავდებოდი, ის გახლდათ, რომ ჩემი მშობლები კარგები რომ იყვნენ, მარტო მე არ ვიცოდი — ეს იცოდა ყველამ. როცა ამას მივხვდი, მაშინ დაიწყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ხანა.

— ამბობენ, ცნობილი ადამიანების შვილები მშობლების ჩრდილში ექცევიანო. როგორ მოხდა შენს შემთხვევაში?

— მსგავსი. რამ ხშირად გამოვიჩინა. ბევრჯერ იმისთვისაც მიმიქცევია ყურადღება, რომ ცნობილი მსახიობების შვილებს ჰქონდათ კომპლექსები, პრობლემები, რაც მე არასდროს მიგრძნია. ალბათ იმიტომ, რომ მშობლებმა სწორად აღმზარდეს. ერთადერთი, რაც შემიძლია გავიხსენო, ის არის, რომ ყოველთვის მაქსიმალურად ვცდილობდი, შეცდომა არ დამეშვა, რადგან ვფიქრობდი — ამითი შეურაცხყოფას მივაყენებდი ჩემს მშობლებს.

— როგორები არიან ბავშვის თვალთ დანახული შენი ოჯახი წევრები? ვინ რა თავისეულ

ბურებით დაგამახსოვრდა?

— მაშინ ყველაზე ნაკლები ურთიერთობა მქონდა ბაბუასთან — კოტე მახარაძესთან, რადგან ის ჩვენთან არ ცხოვრობდა. იმისი ყოველი მოსვლა განსაკუთრებული მოვლენა იყო ჩემთვის. ასევე განსაკუთრებულად ვეზრდებოდი, როცა მასთან სტუმრად უნდა წავსულიყავით, მაგრამ არასდროს წუთით არ მიგრძნია, რომ ჩვენ ცალკე ოჯახი ვეკვს. კოტეზე უფრო მეტად ბებიები დამამახსოვრდნენ. მამაჩემის დედა არაჩვეულებრივი, თან — ულამაზესი ქალი იყო. ეს მხოლოდ ჩემი შეფასება არ არის. მას ტუსია ერქვა — ნატუსიას შემოკლებული ვარიანტი. მეც ტუსია დამარქვეს. მაგრამ ორი ტუსია ხომ არ ვიქნებოდით? — ამიტომ მე შემრჩა მეტსახელი ნატო... მან ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, რომ ცნობილი ადამიანი ვერ გახდა. ომის პერიოდში კონსერვატორიაში ჩააბარა. ქმარი ომში დაეღუპა. მაშინ მამაჩემი სამი წლის იყო. ბებია იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო. ის უბედნიერესი ქალიდან ძალზედ უბედურ ქალად იქცა. სულ ახლახან, ლიანა ისაკაძეს თბილისში მეგობრებმა საღამო გაუმართეს. იმ საღამოს ჩანაწერები ტელევიზიითაც აჩვენეს. ლიანა ისაკაძის ერთ-ერთმა მეგობარმა ასეთი რამ თქვა: მე და ლიანა ერთად ვსწავლობდით ფორტეპიანოს

კლასში ქალბატონ ტუსია გიორგობიანთან, — ე.ი. ბებიამეტან. ლიანა არაჩვეულებრივი მოსწავლე იყო, მაგრამ ქალბატონი ტუსია მაინც შეეღიჯა და მის მშობლებს ურჩია: ვიოლინოზე გადაიყვანეთო. ასე გადაწყვიტა ჩვენმა პედაგოგმა ლიანა ისაკაძის ბედით. მე ეს არ ვიცოდი. რომ მოვიხსინე, ცრემლები გადმომცვივდა. ძალიან მიყვარდა ბებია. პირველ კურსზე ვიყავი, ის რომ გარდაიცვალა.

— ქალბატონმა ტუსიამ მუსიკა თუ გასწავლა?

— არა, ის ჩემი მესაიდუმლე იყო, მაგრამ როცა საქმე მეცადინეობაზე მიდევ



ნატოსა და ნიკას შვილები დათა და მაკა

ბოლა, ერთმანეთს ვზოცავდით. აგრესიულად ვიყავი განწყობილი იმის გამო, რომ მაძეკადინებდა... ორივე ბებია ჩემთვის ძალიან დიდ სითბოსთან არის დაკავშირებული. ამაში ორიგინალური ვერ ვიქნები, რადგან ნებისმიერი ადამიანისათვის ბებია ბუნებრივია ცხოვრებაში. მეორე ბებია — მედეა, იმდენად მოუცლელი იყო, რომ ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, ის უბრალოდ ბებია იყო. ახლა კი ჩემი უახლოესი მეგობარია.

— **გამიგონია, რომ ქალბატონმა მედეამ თავისი შვილიშვილებისთვის საქორწილო კაბის ქსოვილები უცხოეთიდან ჩამოიტანა...**

— ინგლისში შეიძინა თეთრი ქსოვილი, რომელიც ერთიანად ხელითაა მოქარგული. ეს ქსოვილი საკმარისია იმისათვის, რომ მისგან საქორწილო კაბა შეიკეროს. ჩანაფიქრიც ასეთი იყო: ჯერ ეკა (*ჩხეიძე* — *ავტ.*) უნდა გათხოვილიყო იმ კაბაში, შემდეგ — მე, მეუღლე — თონა და დეიკო... ერთი სიტყვით, მედეას ექვსივე შვილიშვილს ეს კაბა უნდა გეცმოდა. მოხდა ისე, რომ მე ეკაზე ადრე ვავთხოვდი. თან ეკას სხვანაირი აღნაგობა აქვს, მე — სხვანაირი. ქორწილის წინა დღეს მამამთილმა საზღვარგარეთიდან ჩამომიტანა საქორწილო კაბა. ასე რომ, ის ქსოვილი დღემდე მდიდკოსთან დევს.

— **ნატო, როგორი განცდა დაგეუფლა, როცა სცენაზე მოფარფატე ბალერინაში დედა შეიტანა?**

— ეს განცდა არ მახსოვს, რადგან ბავშვობაში მე თვითონ ძალიან ბევრს ვცეკავდი. ოთხი წლის ვიყავი, დედამ სპექტაკლზე რომ წამიყვანა. ის ბილეთი დღემდე შენახული აქვს. ჩემთვის თეატრი, სცენა, სპექტაკლი ძალიან ჩვეულებრივი რამ იყო. ამიტომ ბალერინა დედის სცენაზე დანახვა ჩემთვის სასწაული არ ყოფილა. ჩემი გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მამაჩემმა (*ცნობილი მხატვარი მურაზ მურვანიძე* — *ავტ.*), რაც ძალიან კარგია. გარდა იმისა, რომ ხშირად ვიყავი თეატრში, შეხება მქონდა დეკორაციებთანაც, ვმონაწილეობდი კოსტიუმების შეკერვაში. ხანდახან სკოლასაც ვაძღვებდი და მამასთან ვავრბოდი. ის უფრო ხშირად, მუსიკალურ სპექტაკლებს აფორმებდა. მახსოვს, უზარმაზარ — ათმეტრიან ქსოვილებს აპლიკაციებს როგორ აწებებდა. საოცრად ბედნიერი ვიყავი, როცა ამაში მეც ვმონაწილეობდი.

ახლა ვფიქრობ ხოლმე: რა ბედნიერებაა, რომ ვიცი, როგორ კეთდება დეკორაცია და იკერება კოსტიუმები. რომ არ ვიყო მარჯანიშვილის თეატრში და ვიყო ქუჩაში დარჩენილი, მე თვითონ შევძლებდი სხვა საქმის გამონახვას: შემიძლია რაღაც ავაშენო, დავაჭვლო, გავაკეთო და ა.შ. ეს ყველაფერი მან მასწავლა.

— **თემური (რეჟისორი თემურ ჩხეიძე, ნატოს ბიძა) როგორ დაგამახსოვრდა — მკაცრი თუ ლმობიერი?**

— ჩვენ ერთად არ გვიცხოვრია. ის ცალკე ცხოვრობდა. ძალიან მიყვარდა მასთან მისვლა და დარჩენა. დიდი ოთახი ჰქონდათ, უამრავი საინტერესო სათამაშოთი სავსე. მე და ეკა ვმეგობრობდით. თემურთან ურთიერთობა ნაკლებად მქონდა. თემური რომ საინტერესო პიროვნება იყო, კარგად მახსოვს. რადგან ჩემში რაღაც უდიდეს რიდს იწვევდა. არ ვიცოდი, ეს რიდი რითი იყო განპირობებული. მაგალითად, ტელეფონზე ვერ დავურეკავდი. მაკახშირად მბარებდა ხოლმე: დაურეკე და უთხარი, — მაკა შენთან წამოვიდა, მალე მოვაო, მაგრამ მე ვერ ვურეკავდი. ახლაც მაქვს რიდი, იმიტომ, რომ ჩემი რეჟისორია. ერთად ვმუშაობთ და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს არ არის ხელოვნური. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ შეიძლება თქვენობით მივმართო. საერთოდ, თემურს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ყველა თავს დაჰკანკალებდა. ყველა აფასებდა მის თვისებებს და მის ნიჭს.

— **თუ იყო შესაძლებელი, რომ სხვა პროფესია აგერჩია? თუ ბავშვობიდანვე გასურდა, მსახიობი გამხდარიყავი?**

— მე არ ვაპირებდი თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებას, გული სამხატვრო აკადემიისკენ მიმიწევდა. ვპერწავ, ცოტას ვხატავ კიდევ. თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი ბავშვობის მეგობარი აპირებდა. მისგან გარკვეული აზარტი მეც გადმომედო. თეატრთან ან თეატრალურ სამყაროსთან შეხებისას არანაირი წინააღ-



შვიდი წელი უერთმანეთოდ ბევრია. დათა გაიზარდა. პრობლემები არ შეეცვლილა, არც მე და ნიკუშა გავმხდარვართ სხვანაირები. უბრალოდ, მივხვდით — ერთმანეთზე ვგიჟდებოდით და ერთად ყოფნა გვინდოდა

დგეობა არ შემსვენებია. არ ყოფილა შემთხვევა, თეატრში ვერ შევსულიყავი ან კულისებში ვერ შექმლწია. ამიტომ, გამოცდების სახით, როგორც კი პირველი წინააღმდეგობა შემხვდა, მაშინვე მივხვდი, რომ თურმე ბრძოლისუნარიანი ვარ. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. აღმოჩნდა, რომ თურმე აზარტულიც ვყოფილვარ. პირველად მაშინ ვიგრძენი, რომ გავიზარდე. ასე მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში.

— **ოჯახიც ჩვეულებრივად შეხვდა ამ ამბავს?**

— პატარ-პატარა წინააღმდეგობები შემხვდა. მამაჩემმა ამის შესახებ საერთოდ არ იცოდა. მარიას (პეტერბურგის) თეატრთან ერთად საკმაოდ დიდი ხნით იყო გასტროლებზე პარიზში წასული. რომ ჩამოვიდა, უკვე სტუდენტი ვიყავი. მამას, ბუნებრივია, უნდოდა, რომ მის კვალს გაველოლოდი, ერთად გვემუშავა. რომ ჩამოვიდა, საკმაოდ დასწყდა გული... შემიძლია ვთქვა, რომ როგორც მსახიობს, ტუზი დამეცა: თეატრალური ინსტიტუტიდან პირდაპირ რომიკო სტურუას სპექტაკლში აღმოჩნდი. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო ამ ადამიანთან თუნდაც ხანმოკლე შეხება. სტურუამ როლი მომცა კალდერონის პიესის მიხედვით შექმნილ სპექტაკლში „ცხოვრება სიზმარია“. პრემიერა ესპანეთში წარმოვადგინეთ. მაშინ გადაწყვეტილი მქონდა: უნდა ვიმოდრაო, უნდა ვიმუშაო სხვადასხვა თეატრში, სანამ ძვლები არ ჩამომიყალიბდება და არ გავმარდები-მეთქი. როცა გვერდით გყავს ისეთი ძლიერი პიროვნება, როგორიც რობერტ სტურუაა, ეს ნიშნავს, რომ სულ ვიღაცას ვყრდნობი, ვიღაცაზე ხარ ჩამოკიდებული და ასე ძე-

ერთგული მკითხველი


თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის ვაცემა...

1. „ნიცილაუზი ბ.ბ.“ —
ასე ეწოდება ნიშნს, რომელ-
შიც პრიმიტივ გარდო მოგვი-
თხრობს თავის 4 ძმარსა და...



- ა) საყვარლებზე;
- ბ) შვილებზე;
- გ) ძაღლებზე.

2. რა არის ასტროლოგი-
ური ეთიკის მიხედვით აკ-
რძალული?



- ა) ვარსკვლავის აღმოჩენისას მის-
თვის სახელის დარქმევა;
- ბ) ინფორმაციის დამალვა;
- გ) სხვისი ჭოგრიტის გამოყენება.

3. „პარლ ცაისთან“ მატჩში
ვიტალი დარასელიამ გადახ-
შვებით გოლი გაიტანა:



- ა) თავით;
- ბ) მარცხენა ფეხით;
- გ) მარჯვენა ფეხით.

ლები არ გაგიმაგრდება. ამიტომ ვარჩიე,
რომ მეხეტიალა და მეწონიალა სხვა-
დასხვა თეატრში. ჯერ დათო დოიშ-
ვილთან ერთად გავაკეთე სპექტაკლი
„ცხოვრება იდიოტისა“, რაც სადიპლო-
მი ნამუშევრად ჩამითვალეს, შემდეგ კი
მარჯანიშვილის თეატრში მივედი. სამე-
ფო უბნის თეატრშიც ვითამაშე. ყველა
რეჟისორმა თავისი შტრიხი შემმატა, ყვე-
ლამ თავისებურად მძერწა, თავისი ხელწ-
ერა დამატყო.

— **შენმა დიდმა ოჯახმა ტაში
როდის დაგიკრა? თუ შენთვის
გაცილებით მნიშვნელოვანი იყო,
თემურ ჩხეიძე როდის დაგი-
კრავდა ტაშს?**

— თემურს ჩემთვის ტაში ღლებზე არ
დაუკრავს. მისგან სიტყვები არც მჭირდ-
ება. მთავარია, რომ მან მანლო იმხელა
სამუშაო, რასაც ანტიფონე ჰქვია. საერ-
თოდ, ოჯახში არ ვართ კომპლიმენტებით
განებიერებულები. ჩვენ კომპლიმენტებით
მცხოვრები ხალხი არ ვართ, ჩვენ უბრალო-
დ, ერთმანეთი გვიყვარს. მე არ მჭირდება
თემურისგან ქება-დიდება. მიუხედავად იმ-
ისა, რომ მისთვის ხელის შემშლელია
მისი დისშვილი რომ ვარ, ამხელა როლი
მანც მანლო. თუმცა, „ანტიფონეში“ ცოტა
ხანს ვითამაშობდი, რადგან მალე ღეკრეტ-
ში გავედი.

— **პირველად როდის შედგა
თქვენი ურთიერთთანამშრომლობა,
როგორც რეჟისორისა და მსახ-
იობის?**

— ეს იყო 1994 წელს „სეილემის
პროცესში“. ჩემი როლი არანორმალუ-
რად მიყვარდა, რადგან მერი უორენი ჩემთვის
პირველი სახასიათო სახე აღმოჩნდა.
სპექტაკლის შემდეგ, ისეთივე თოჯინა შეკ-
ერე, როგორც მერი იყო და ახლა ეს
თოჯინა ჩემს ოთახს ამშვენებს.

— **თემურ ჩხეიძეზე ამბობენ:
მასთან მუშაობა ძალიან კარ-
გია, მაგრამ არ არის იოლი.
რეპეტიციების დროს რა კუთხ-
ით დაინახე ბატონი თემური?**

— ის მსახიობისგან მოითხოვს ურ-
თულეს რაღაცას — იმას, რასაც არ ჰქვია

ტყუილი. ნებისმიერ მსახიობს შეუძლია
სცენაზე რაღაც დამალოს, ძალები დაზოგ-
ოს. თემური ასეთებს არ გააჭკაჭანებს. სან-
ამ იმას არ მიაღწევს, რომ მსახიობს ეჭვი
არ ეპარებოდეს იმაში, რასაც სცენაზე
აკეთებს, არ მოასვენებს. მას არ სჭირდება
სამსახიობო ტექნიკა — მას უნდა ის, რაც
ნაღია. ე.ი. ან ხარ მსახიობი, ან არ ხარ.
თუ ვერ შეძლებ, მოგხსნის როლიდან. თე-
მურთან მუშაობას ერთი ნაკლიც აქვს:
მასთან მუშაობის შემდეგ, გინდა, ყველა
რეჟისორთან იგივე აკეთო, რაც უმეტესად
შეუძლებელია.

— **გადავიდეთ იმ დიდ ოჯ-
ახზე, სადაც გათხოვების შემდ-
ევგ მოხვდი.**

— ქალბატონი იზა გიგოშვილისა და
ბატონი მერაბ თავაძის ოჯახი ყველასთვის
ცნობილია. თუმცა, ვერ ვიტყვი, ადრე მათ
ახლოს ვიცნობდი ან ნიკასთან ბავშვობიდან
ვემეგობრობდი-მეთქი. ის უფრო რუსთავე-
ლის თეატრის „შვილობილი“ იყო, მე —
ოპერისა და ბალეტის თეატრის. ერთმანეთი
თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანი. ნიკა
მოტოციკლეტით მოვიდა, რაღაც მკითხა
და მოტოციკლეტივე გავარდა... მალე
დავმეგობრდით, მერე გრძობაც შემოგვეპარა.
შვეულდით. უცხო გარემოში არ მოვხ-
ვედრილვარ — ისევ მსახიობების ოჯახში
გადავვი საცხოვრებლად. სულ სხვა იქნე-
ბოდა, ექიმების სახლში რომ აღმოვჩენილ-
იყავი. მშობლებთან ვცხოვრობდით. ერთ-
მანეთი გვიყვარდა, მაგრამ ვერ ავეწყვით.
უამრავი რჩევა გვესმოდა... ურთიერთობა
მოწესრიგებული არც გვექონდა, დათა რომ
გაჩნდა, ამხელა პასუხისმგებლობამ სულ
ავერია. ვინმე კი არ ერიოდა ჩვენს ურთ-
იერთობაში — უბრალოდ, არ გვინდოდა, ორასი
მოწმე გვეყოლოდა. ბოლოს, ძალიან დავილა-
ლეთ და გავიყარეთ.

— **ერთმანეთის გარეშე მგონი,
შვიდი წელი იცხოვრეთ?**

— შვიდი წელი უერთმანეთოდ ბევრია.
დათა გაიზარდა. პრობლემები არ შეცვ-
ლილა, არც მე და ნიკუშა გავმხდარვართ
სხვანაირები. უბრალოდ, მივხვდით — ერთ-
მანეთზე ვგვიყვარდით და ერთად ყოფნა
გვინდოდა. ახლა ამ სახლში ცალკე ვცხ-
ოვრობთ. სახლში ჯდომა გვირჩევია სადმე
სიარულს. სალაპარაკო არ გველევია, არც
საფიქრალი. ყველაზე მეტად, ერთმანეთთან
ყოფნა გვსიამოვნებს.

ნატომ და ნიკამ შერიგების შემდეგ
მეორე შვილი გააჩინეს. ნატო მთლიანად
ბავშვის მოვლით არის დაკავებული. თე-
ატრში მაშინ დაუბრუნდები, როცა ფორმა-
ში ჩავდებო, — გამიმხილა.



თბილისთან ახლოს, სოფელ ქანდასთან, გზატკეცილის გასწვრივ მდებარე სოფლის სასაფლაოზე, უკვე რამდენიმე წელია, თეთრად აღმართულ, სრულიად განსხვავებული არქიტექტურის საფლავს ხედავს გამვლელ-გამომვლელი. აქ 19 წლის ბიჭის — ზურა ნიკლაურის სამუდამო სასუფეველია. საფლავის ისტორიას ათასგვარი ინტერპრეტაციით ჰყვებიან. ისიც თქვეს — საფლავი კი არა, აკლდამააო, ჟურნალისტებს ახლოს არ იკარებნო და ა.შ. ასჯერ გაგონილს, მაინც ერთხელ ნანახი ვარჩიეთ. სასაფლაოზე მისულებს, ცოტა ხანში, ზურას ბაბუა წამოგვადგა თავს. ხუთი წლის წინ გარდაცვლილი შვილიშვილის საფლავზე 70 წლის ბაბუა ფირუზი ყოველდღე მიდის. დიდხანს ვისაუბრეთ, უსაშველო ტკივილით გვიამბო მომხდარის შესახებ, თუმცა ისიც გვითხრა, — ჩემს შვილს არ სურს, ჩვენს უბედურებაზე საჯაროდ საუბარი და ერთი კვირის მერე მობრძანდითო.

სოფელ ქანდაში ერთი კვირის შემდეგ ჩასულებს კი, ბატონი ფირუზი იმდენად მძიმე ავადმყოფი დაგვხვდა, რომ შეუძლებელი იყო მასთან გასაუბრება. ასე რომ, რაც პირველი შეხვედრის დროს შევიტყვეთ, იმას გვიამბობთ, „საიდუმლოებით მოცული“ საფლავის შესახებ.



მარადისობა

თაფლუი



შვილიშვილის საფლავზე 70 წლის ბაბუა ფირუზი ყოველდღე მიდის. მინ დაკულ, მის გადიღებულ სურათებსაც სათუთად უკლს...

მამა კახიძე

საბედისწერო თხოვნა

1997 წელს, ზაფხულის არადადებებზე, ზურა მშობლიურ სოფელს, ბებია-ბაბუას და აქურ მეგობრებს ესტუმრა მოსკოვიდან. ზურა და მისი მშობლები მოსკოვში კარგა ხნის გადასულები იყვნენ, მაგრამ როგორც კი ნახავდა თავისუფალ დროს, მაშინვე საქართველოში ჩამოდიოდა ხოლმე. 24 აგვისტოს, 20 წელი უსრულდებოდა და მოსკოვში აპირებდა თანაკურსელებთან ერთად აღნიშვნას.

სწავლის დაწყებამდე, ორიოდე კვირა რჩებოდა. ქანდელმა მეგობრებმა შესთავაზეს, — მოდი, ჯერ აქ აღვნიშნოთ, სჯობს, ადრე, ვიდრე — არასდროსო, — და ამაზე დაითანხმეს ზურა. მოილაპარაკეს, რომ ბუნებაში, ტბის პირას გასულიყვნენ, ითევზავდნენ, ტბაში იჭყუპაალავდნენ და „ჩვენებურად“ აღნიშნავდნენ ზურას „მრგვალ“ თარიღს.

ზურამ ბებიას სთხოვა: რამე გემრიელი გამოგვიცხვეო. ხილი, კიტრი და პომიდორი საკუთარი ხელით დაკრიფა. ყველაფერი რომ მოაზხადა, მამასთან მივიდა ავტომანქანის გამოსართმევად. ბა-

ტონი ნუგზარი, ზურას მამა, შვილს ყოველთვის უყოყმანოდ აძლევდა მანქანას, რადგან ზურა მშვენიერად მართავდა მას და ძალიან წინდახედული მძღოლიც იყო, მაგრამ ამჯერად მამამ რატომღაც უარი უთხრა — შესაძლოა, მამის გულმა მოსალოდნელი უბედურებაც იგრძნო და იმიტომ. თუმცა, ერთადერთი ძე იმდენს ეხვეწა და ემუდარა, რომ საბოლოოდ მაინც დაითანხმა და მამამ შვილს „მერსედესის“ გასაღები მისცა...

მოულოდნელი ტრაგედია

ზურამ, მადლობის ნიშნად, მამას

გაუღიმა, საჭვეს მიუჯდა და მეგობრებს გაუარა. ისინიც გახარებულები ჩასხდნენ და გაუდგნენ გზას.

მოულოდნელად, გზაზე, ორ ბავშვთან ხელიხელჩაკიდებული ქალი გამოჩნდა. ზურამ მოახერხა და აარიდა მანქანა, მაგრამ ავარია ვერ აიცვალა: იმათ კი აარიდა, სამაგიეროდ, საჭე რომ მარცხნივ აიღო, შემხვედრ ზოლზე გადავიდა და საპირისპირო მხრიდან მომავალ მანქანას შეეჯახა. ზურა მყისვე გადმოხტა მანქანიდან და მეორე მანქანასთან მიიჭრა. ჭკალარა ქალბატონი მთელი ხმით ტიროდა... უკანა სავარძელზე უსიცოცხლოდ იწვა 9 წლის ბიჭუნა...

— შენ მოკალი! შენ მომიკალი! — ჰყვიროდა ბიჭის ბებია და გამწარებული გულში იკრავდა შვილიშვილს...

საჭესთან მჯდომი მოხუცი კაცი კი მღუმარედ, უსიტყვოდ შესცქეროდა ზურას. ზურამ საშინელი ტკივილი ამოიკითხა მოხუცის თვალებში... მერე მოწყდა ადგილიდან და მამის მანქანასთან მიბრუნდა. თვალებს არ დაუჯერა, როცა დაინახა, რომ სამივე მეგობარი გამქრალიყო — საქეიფოდ მიმავალი ბიჭები „აორთქლდნენ“, გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან და ზურა ღვთის ანაბარა დატოვეს... 9 წლის ბიჭუნას სიკვდილით შოკირებულმა ზურამ ხელსაწყოთა პანელის გვერდით მდებარე სათავისის, — ე.წ. „ბარდაჩოკის“ კარი გატეხა, შიგ მოთავსებული მამამისის პისტოლეტი ამოიღო, საფეთქელთან მიიღო და...

გასროლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, 9 წლის ბიჭუნა გონს მოეგო. მას უბრალოდ, გონება ჰქონია დაკარგული... შემთხვევის ადგილზე მისულმა „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა ერთი პა-



დედა-შვილი წიკლაურები

ტარა განაკაწრიც კი ვერ აღმოუჩინეს ბიჭუნას, მის ბებიას და მანქანის მძღოლს. ზურა წიკლაური კი უსულოდ იწვა გზაზე...

მითი და სინამდვილე

სამინელ დღეში აღმოჩნდნენ ზურას ოჯახის წევრები, თანასოფლელები... ყველას ძალიან უყვარდა ბიჭი და არ იცოდნენ, რით, როგორ ენუგეშებინათ თავს დამტყდარი უბედურებით გამწარებული ზურას მშობლები...

ბატონი ნუგზარი, ზურას მამა, ერთადერთი შვილის კუბოსთან იჯდა, არ სცილდებოდა შვილს, ეფერებოდა, მაგრამ ჩუმად, უხმოდ... მერე, გასვენების დროც დადგა. უეცრად, ყველასთვის მოულოდნელად ამოიღო ხმა და განაცხადა, რომ შვილს ასე, უბრალოდ, მიწის შესაჭმელად ვერ გაიმეტებდა... რა თქმა უნდა, შეეცადნენ მის გადარწმუნებას, მა-

გრამ ამაოდ, ბატონი ნუგზარი თავისას არ იშლიდა... მამის გადაწყვეტილების შესახებ ახლომახლო ყველამ შეიტყო. წიკლაურების ოჯახში ერთი მოხუცი მივიდა და შვილის დაკარგვით გულდათუთქულ მამას ასეთი რამ უამბო: ძველად, წესად ჰქონდათ, სამშობლოდან შორს დაღუპულ მეომარს თაფლწასმულ ქსოვილში ახვევდნენ და ისე მიასვენებდნენ სამშობლოში, რომ არ გახრწნილიყო. ყველაზე შორ გზაზეც კი თაფლით გაჟღენთილი ქსოვილი მიცვალებულის სხეულს ინახავდაო...

ამის გამგონე მშობელს, პირველად დაედინა ცრემლი... ზურას სასახლე თაფლით აავსეს, პლასტიკატისაგან სპეციალურად დამზადებულ მეორე ჩასასვენებელშიც თაფლი ჩაასხეს, ორივეს, სახურავი დაახურეს და მერე ჩვეულებრივად დაასაფლავეს. ასე რომ, ზურა წიკლაური აკლამაში კი არა, 800 კილოგრამ თაფლშია ჩასვენებული... გარეგნულად, სხვა სამარხის მსგავსია ზურას საფლავი, ანუ, მხოლოდ მიწაა საფლავის ზედაპირზე, ოღონდ, ჩვენში მიღებული რკინის გისოსების ნაცვლად, მისი მამის მიერ მოფიქრებული და აგებული თეთრი ფილები და არქიტექტურული ძეგლია აღმართული. საფლავის გვერდით კი პატარა ნაგებობაა, სადაც ზურას ყველა ახლობელს ჩამოჯდომა და ჭიქის აწევა შეუძლია იმ ქვეყნად წასულების პატივსაცემად. ლამაზ ყვავილებში ჩაფლულ საფლავს დიდი შავი მარმარილოც დაჰყურებს 19 წლის ბიჭის პორტრეტით და ძალიან გრძელი ლექსით, რომელიც ასე მთავრდება:

„... და ქვეყანაზე ყავმა არ იცის, რომელი უფრო სავიღვავა: ის — ვისაც გულზე ვარდებს აღენენ თუ ვისაც მასთან ვარდენი მიაქვს...“


ღამით კი მაღალი, რამდენიმე მეტრიანი არქიტექტურული ძეგლი, რომელსაც ზვიდან ჯვარი აქვს მიმაგრებული, საოცრად ანათებს იქაურობას ჯვარში ჩამონტაჟებული მანათობლივით. როგორი სიბნელე და უკუნეთიც არ უნდა იყოს, ჯვარი მუდამ „ანთებულია“...

კიდევ ერთი საშინელება — პანკისი

ზურას მამა, ბატონი ნუგზარი — ბიზნესმენია, მოსკოვში მოღვაწეობს, თუმ-

ჭურა და ნუგზარ წიკლაურები





ფირუმ წიკლაური დარწმუნებულია, რომ ის სწორედ ამ ორმა კაცმა „მოიგაცა“. „ქართული ლაპარაკიც მესმოდა და სხვა ენაც, ოღონდ ის სხვა, არ ვიცი, რომელი იყო, პანკისში რა ენაზე აღარ ლაპარაკობენ, რას გაიგებ?!

და საბედნიეროდ, მე შევჩი გამტაცებლებს, მაგრამ ჩემს სიცოცხლეს სულ არ ვჩიოდი – ბედნიერი ვიყავი, ჩემი შვილი რომ თავისუფალი იყო...”

კვითხე: ქართველები იყვნენ თქვენი გამტაცებლები-მეთქი? „ქართული ლაპარაკიც მესმოდა და სხვა ენაც, ოღონდ ის სხვა, არ ვიცი, რომელი იყო, პანკისში რა ენაზე აღარ ლაპარაკობენ, რას გაიგებ?! დანამდვილებით იმის თქმა შემიძლია, რომ ნამდვილად პანკისში ვიყავი გატაცებული“, – მიპასუხა. შვილმა ყველა ღონე იხმარა მამის გასათავისუფლებლად...

ქოსტსკრიპტუმის მაგიერ

თბილისში დაბრუნებულმა, გადავწყვიტე, კომპეტენტურ ადამიანებს გავსაუბრებოდი:

ნოდარ ლაღარია, საეკლესიო

მეცნიერებათა დოქტორი:

– ქრისტიანულ რელიგიაში, საფლავის მიწისზედა ნაწილი, ანუ გარეგნული სახე, არ არის ღოგმა. ადამიანის სიკვდილი კულტურული ფუნოქნია, რომელიც ემორჩილება გემოვნების გრძობას. თუ ადამიანს სურს, თავის ახლობელს რაიმე განსაკუთრებული გაუკეთოს, ეს, რა თქმა უნდა, მისი გემოვნების საკითხია. მაგალითად, ჩინეთშიც იყვნენდენ თავფლს მუმიფიცირებისთვის. საერთოდ, ადამიანის სხეულის გადარჩენა-შენახვა უფრო, ეგვიპტური რელიგიისთვისაა დამახასიათებელი...

ემზარ ჯგერინაია, სო-


ციოლოგი:

– ასეთი რამ არ გახლავთ საქართველოში გავრცელებული


ფორმა, თუმცა, ამ ბიჭის გარდა, ვიცი, რომ ზუგდიდშიც ჰყავთ ამგვარად დაკრძალული მიცვალებული. მომხდარი ფაქტი, სიყვარულის გამოხატვა, დემონსტრირება, თვითგამოხატვის ფორმაა. ჭირისუფალს ბევრი რამ მიეტევება, განსაკუთრებულ მოქმედებად შეიძლება მშობლებს ჩავუთვალოთ – ერთი სიტყვით ეს ყველაფერი გახლავთ მიცვალებულის რეპრეზენტაცია, მაგრამ ფაქტია და ვერსად გავიქცევით მომხდარს. ფაქტობრივად, კრემაციაც ხომ არის ქრისტიანულ ევროპულ ქვეყნებში?! ძნელია იმის თქმა, საით წავა ჩვენში ეს ყველაფერი. შეიძლება, ბევრი რამ შეიცვალოს ამ მხრივ, ყოველივე, ქვეყნის მომავალზე დამოკიდებული. შეიძლება, მიცვალებული სახლშიც აღარ დაასვენონ, როგორც ახლა ევროპაში ხდება და ჩვენთანაც გაიხსნას მიცვალებულთა სახლები. ჩემი აზრით, ქალაქელები უფრო გააკეთებენ ამას. ვნახოთ, ქვეყანა წინ როგორ წავა. ასე რომ, არც ის არის გამორიცხული, მიცვალებულმა მეორე პლანზე გადაინაცვლოს...

ცა მანძილს ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ მშობლიურ სოფელშიც და მოსკოვშიც ეკლესიები აეგო. ვერ გეტყვი, ვის მოუვიდა აზრად, მაგრამ ქანდაკი კიდეც ერთი საშინელება მოხდა, ზურას ბაბუა, 70 წლის მოხუცი, ერთ „არამშვენიერ“ დღეს, გაიტაცეს. სამი თვე და 5 დღე დაბმული და ბორკილებდადებული ჰყავდათ გამტაცებლებს, ბორკილებისგან მიყენებული ნაიარევი დღესაც აჩნია. თითქოს შვილი-იმვილის უბედურება არ ეყოფოდა მოხუცს, მთელი ის პერიოდი ჯურღმულში ჰყავდათ გამომწყვდეული, წყალსა და პურზე; საზიზღრად, აგრესიულად მექცეოდნენო, – აკი, მითხრა კიდეც, იმ საშინელი დღეების გახსენებისას. „ჩემ-

საფლავის გვერდით პაგარა ნაგებობაა, სადაც ზურას ყველა ახლობელს ჩამოჯდომა და ჭიქის აწევა შეუძლია. იმ ქვეყნად წასულების პატივსაცემად



ზურას სასახლე თავფლთით აავსეს, პლასტიკისაგან სპეციალურად დამზადებულ მეორე ჩასასვენებელშიც თავლი ჩასახეს, ორივეს, სახურავი დაახურეს და მერე ჩვეულებრივად დაასაფლავეს. ასე რომ, ზურა წიკლაური აკლდამაში კი არა, 800 კილოგრამ თავფლშია ჩასვენებული...



რას ნიშნავს უღელური ბავშვი, როდემდე ვინაააროთ კამპერსი და რითაა საშიში ჭიხით ინვაზია



ნანა ქიბიშაური

„ბავშვი შეიძლება დაბადებიდან იყოს მომთმენი ან ნაკლებად მომთმენი, იმის მიუხედავად, აწუხებს რაჟე თუ არა. ზოგს სულ მცირე მიზეზი ჰყოფნის, რომ ტირილისგან დაოსდეს, — გადაბყირდეს, სუნთქვა შეეკრას... თუ არ იმარჯვე, შეიძლება ხელიდან გამოგეცალოს. ეს ავადმყოფობაა. ჩვენ მას თვეზის ქონით, ფოსფორით, ურძეო დიეტით ვკურნალობთ, მაგრამ ასეთი ბავშვები ძლიერი ნებისყოფის, უშიშარი, გენიალური ჭკუის ადამიანებად იზრდებიან. ნაპოლეონი ბავშვობაში საშინლად მტირალა და ჭირვეული ყოფილა... ზრდილობიანია, დამჯერი, კარგი ბავშვია, ადვილი მოსაკვლელოა-თქო, ვამბობთ ჩვენ და ფიქრდაც არ მოგვდის, რომ ბოლოს, უშწუო, უნებისყოფო, უძლეური ადამიანი შეგვკრება ხელში“ — წერდა გამოჩენილი პედაგოგი იანუშ კორჩაკი და გვარწმუნებდა, რომ პატარა ადამიანის ინდივიდუალურობა რაც მის პრეტენზიულობაში გამოიხატებოდა, სრულებით არ იყო საშიში. არადა ის, ხშირად ავადმყოფადაც კი იყო მიჩნეული. რას გვეტყვიან ჩვენი ექიმი-პედაგოგები, ნანა მჭედლიშვილი და თემურ ყორყოლიანი — ზოგადად ბავშვის ჯანსაღად აღზრდისა და კონკრეტულად ბავშვთა დაავადებების შესახებ?

დავიწყოთ ბავშვთა აღზრდის საკითხებით: დღეს ბევრი მეთოდისტი და ექიმი აღიარებს, რომ მცდარია შეხედ-

ულება, თითქოს ახალშობილი მხოლოდ ინსტინქტის კარნახით ცხოვრობს და მოქმედებს. მართალია ეს თუ არა?

თიანურ შორაშოლიანი:

— დასაწყისშივე შეგახსენებთ ერთ ძველ ლეგენდას: როდესაც დედამ მამართა ბრძენს რჩევისათვის, — თუ როდის დაეწყო ექვსი თვის ბავშვის აღზრდა? — ბრძენმა უპასუხა, რომ მან ზუსტად ნახევარი წლით დაიგვიანა... მცდარია შეხედულება, თითქოს ახალშობილები ვერაფერს გრძნობენ და ამ პერიოდში მშობლის ერთადერთი მოვალეობა მხოლოდ ფიზიოლოგიური მიმართულებით ზრუნვაა, რაც უმთავრესად ბავშვის დროულად კვებას გულისხმობს. ახალშობილობის პერიოდის მეცნიერული შესწავლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ დღეს, ის უკვე ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მიმართულებად მიიჩნევა. მეცნიერები გოცებულნი არიან იმით, თუ რამდენი რამ შესძლებიათ ამ საოცრად უშწუო არსებებს. საინტერესოა მუცლად ყოფნის პერიოდის ზოგიერთი დეტალიც: ნორმალური ორსულობის ხანგრძლივობა 38-41 კვირაა და ნაყოფის ყლაპვითი მოძრაობები უკვე მე-14 კვირიდან შეიმჩნევა (ემბრიონი დედამეში დაახლოებით ერთ ლიტრამდე ამნიონურ სითხეს ყლაპავს). მე-18 კვირიდან ის ასრულებს სუნთქვით მოძრაობებს, ნევროლოგიური აქტივობა კი, უკვე მე-8 კვირიდან შეიმჩნევა, ხოლო ნაყოფის მოძრაობა — ძირითადად, მე-17 კვირიდან — მაშინ, როცა ის უკვე ამცნობს დედას თავისი არსებობის შესახებ. ზოგჯერ თვითონ ნაყოფი ეხმარება დედის ორგანიზმს. მაგალითად, ცნობილია, რომ დიაბეტით დაავადებული ქალბი ორსულობის დროს თავს კარგად


ცნობილია, რომ დაიბეგით დაავადებული ქალები ორსულობის დროს თავს კარგად გრძნობენ და ხშირად, ინსულინის ინიექციების გაკეთებასაც წყვეტენ

გრძნობენ და ხშირად, ინსულინის ინიექციების გაკეთებასაც წყვეტენ. ამის მიზეზია ნაყოფის კუჭქვეშა ჯირკვლის ინსულარული აპარატი, რომლის მიერ გამოიმუშავებული ჰორმონი დედის ორგანიზმში ნახშირწყლოვან ცვლას არეგულირებს. თუმცა, ასეთი „მსხვერპლი“ ნაყოფისთვის საკმაოდ საშიშია, რადგან ეს იწვევს ინსულარული აპარატის გადაძაბვას, რაც დაბადების შემდეგ ბავშვში დიაბეტის განვითარების საფრთხეს ქმნის. დაბადების პირველივე დღეებიდან ადამიანს უწნდება არა მარტო საჭმლის, ჰაერისა და მოძრაობის მოთხოვნილება, არამედ მისი ტვინი აქტიურად ითხოვს ახალ შთაბეჭდილებებს. არსებობს სპეციალური გამოკვლევები, რომელიც ადასტურებს, რომ თუ ახალი შთაბეჭდილებები საკმარისი არ არის, ბავშვის ტვინი ცუდად ვითარდება და შეიძლება დაავადდეს კიდევ. დღეს უკვე აღარავინ დაობს იმ საკითხზე, რომ ჩვევები, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევს, სწორედ სიცოცხლის პირველ წლებში ყალიბდება.

— ზოგჯერ ეს პატარა ადამიანები ჩქარობენ — ნავარაუდევზე ადრე იბადებიან და მათ დღენაკლულთა სპეციალურ ინკუბატორებში ათავსებენ...

— ასეთ დროს მშობლები ძალიან ნერვიულობენ ხოლმე, თუნდაც მათი პატარა ერთი კვირით ადრე დაიბადოს. საშიში არაფერია. ბავშვი შეიძლება შედარებით პატარა იყოს, მაგრამ კარგად განვითარებული. ჩვეულებრივ, ზღვრულ მასად ითვლება 2,5 კგ, ზღვრულ სიმაღლედ კი — 47 სმ. ზოგჯერ ბავშვის მონაცემები ამ ლიმიტსაც არ შეესაბამება, მაგრამ ახალშობილი მაინც საღად უნდა ჩაითვა-





თუ ახალი შთაბეჭდილებები საკმარისი არ არის, ბავშვის გვინი ცუდად ვითარდება

ლოს. საერთოდ, ტერმინები: „უღლეური“, „დღენაკლული“ მთლად ზუსტად არ არის შერჩეული. უღლეური შეიძლება იყოს ზუსტად ნავარაუდევ დროს დაბადებული ბავშვიც. ჩვენ ხომ დღემდე არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ორსულობის დასაწყისი და, აქედან გამომდინარე, მისი ხანგრძლივობა. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ დედის მძიმე ავადმყოფობა, ან არასათანადო კვება, არასასურველ გავლენას ახდენს ნაყოფის სიდიდესა და განვითარებაზე. სტატისტიკური მონაცემებით, იმ ქალებს, რომლებიც ორსულობის პერიოდში სიგარეტს ეწევიან, საშუალოდ სამჯერ უფრო ხშირად უჩნდებათ შედარებით ნაკლებწონიანი ბავშვები. იმასაც ვარაუდობენ, რომ ერთხელ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა შედეგობაში ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხდება. ყოველივე ამის მიუხედავად, ბავშვის უღლეურობის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ამოუცნობი რჩება. თანამედროვე მედიცინას დღენაკლული ბავშვების მიმართ გაძლიერებული მზრუნველობის შედეგად შეუძლია, სიცოცხლე შეუნარჩუნოს და გამოზარდოს ძალიან მცირე წონის ახალშობილებიც კი, რომლებიც წინათ უეჭველად დაიღუპებოდნენ. უღლეურ ბავშვს ხომ შესუსტებული აქვს მრავალი სასიცოცხლო სისტემა: მას არ შესწევს სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებისა და რეგულირების უნარი, ვერ დაიცავს თავს ინფექციისგან, კარგად ვერ წოვს, ვერ ყლაპავს, უჭირს საკვების გადაამუშავება. ამიტომ ათავსებენ მათ სპეციალურ საწოლებში, რომელშიც შექმნილია საგანგებო, მისთვის აუცილებელი პირობები: მუდმივი ტემპერატურა, ჟანგბადის წყარო, გარემოსგან იზოლაცია ინფექციის შეჭრისგან მის დასაცავად. ასეთ ბავშ-


ვებს შინაც განსაკუთრებული პირობები უნდა შევუქმნათ. ისინი ძალიან სწრაფად მატულობენ წონაში და ვითარდებიან – ისე, რომ 6 თვის შემდეგ მათსა და სხვა ბავშვებს შორის არავითარი სხვაობა აღარ შეიმჩნევა, ერთი წლის ასაკიდან კი, არანაირი განსაკუთრებული რეჟიმი და მზრუნველობა აღარაა საჭირო. გარკვეულ პერიოდამდე ასეთივე მოვლა სჭირდება ტყუპსაც.

— რამდენად მნიშვნელოვანია სხვაობა ახალდაბადებული გოგონების და ბიჭების საშუალო წონასა და სიმაღლეს შორის?

— ახალდაბადებული ბიჭების საშუალო წონაა 3500 გ, გოგონების – 3200 გ; ბიჭების სხეულის სიგრძე საშუალოდ 1 სანტიმეტრით მეტია – მათი საშუალო სიმაღლეა 50 სმ, გოგონების – 49 სმ. მაგრამ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც დედებს ჰგონიათ. აქ მოყვანილი ციფრები, საშუალო მონაცემებია; ის, რომ ერთი ბავშვის სხეულის მასა ვთქვათ, 3 კილოგრამია, მეორისა კი – 4, არაფერს გვეუბნება მათ ჯანმრთელობაზე. და მანც, თავიდანვე შეიძლება ვივარაუდოთ, როგორი აგებულება ექნებათ ამ პატარებს მომავალში – ძლიერი თუ სუსტი. ჩვენ ხშირად არ ვიცით იმის მიზეზი, თუ რატომ იბადება ნაკლები წონის ბავშვი. არადა, სამშობიარო სახლებში ჩვილის წონა თავისებური შურის საგანია: დედები პირდაპირ ყოველ გრამს ანგარიშობენ. რა კარგი იქნებოდა, ბავშვის ძუძუთი კვებასაც ასეთივე ყურადღებით და სერიოზულობით რომ ეკიდებოდნენ...

— ბავშვი დაიბადა და პირველი დღეებიდანვე აღგზნებული გვეჩვენება. რა უნდა მოვიმო-

ასეთ ბავშვებს შინაც განსაკუთრებული პირობები უნდა შევუქმნათ



ქმედოთ? ნანა მჭედლიშვილი:

— ბავშვის ზედმეტ გაღიზიანებას თუ მოღუწებას თავისი ახსნა აქვს, მაგრამ პედიატრმა იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტ აღგზნებასთან გვაქვს საქმე, უნდა დაადგინოს – განებივრებული ბავშვის ჭირველობასთან აქვს საქმე თუ ავადმყოფისასთან. ზოგჯერ ბავშვის აქტიურობას მისი სიცელქით ხსნიან, არადა მას ნერვიული ხასიათის პრობლემები აქვს.

— ყველაზე მეტად რომელი დაავადებებია ჩვილ ბავშვებში გავრცელებული?

— ეს არის კუჭ-ნაწლავისა და სასუნთქი სისტემის დაავადებები: ფილტვების ანთება, პნევმონიები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დისფუნქციები, მწვავე ნაწლავური ინფექციები და დისბაქტერიები სერიოზული პრობლემა მშობლებისათვის. ძალიან ხშირია ბრონქიტის შემთხვევაც.

— რას ურჩევდით ამ შემთხვევაში მშობლებს?

— მშობლებსაც და პედიატრებსაც ვურჩევ, რომ არ მიმართონ ანტიბიოტიკურ თერაპიას. ის უფრო სიმპტომური საშუალებით და მიკროორგანიზმებით უნდა განიკურნოს. ანტიბიოტიკებით მკურნალობა უკუეფექტს იწვევს. მშობლებს ვურჩევ, აქცენტი გადაიტანონ ბავშვის იმუნური სისტემის გაძლიერებაზე. სასურველია ბავშვის ცილოვან პროდუქტებზე გადაყვანა: მაწონი, არაჟანი, ხილი, ბოსტნეული, სუფთა ჰაერი და მედიკამენტები. ბრონქების დაავადებისას ასევე სასურველია შინაურ პირობებში მომზადებული ნაყენების გამოყენება. რამდენიმე მათგანის მომზადების წესს ხალხური მედიცინის მიმდევრებაც ვკეთავთ:

წვრილად დაჭრილი ხახვი (თავიანი) შეწვით ზეთუნის ზეთში შაქრთან ერთად, გაწურეთ და დააღვინეთ ავადმყოფს ჩაის კოვზით 3-4-ჯერ დღეში. ეკალიპტის 10-15 ცალ ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მღულარე წყალი, 3-4 წუთი ადუღეთ თავდახურულ ჭურჭელში და მიეცით დამტკბარი, თბილი, მეოთხედი ჭიქით 3-4-ჯერ დღეში. ასეთივე მეთოდით შეგიძლიათ დაამზადოთ ამოსახველებელი საშუალება ვირისტერფას, წყლის სამყურას ან მრავალმარღვას ფოთლებისაგან, როგორც ცალ-ცალკე.

რადიკალიზაცია



თუ გსურთ ვინმე დაარწმუნოთ, რომ ცუდად ცხოვრობს, იცხოვრეთ კარგად. ადამიანს სჯერა ის, რასაც ხედავს.

ჰენრი ტორო

ცხოვრების მთელი აზრი მდგომარეობს უცნობლობის უსასრულო დაუფლებაში, მარადიულ მისწრაფებაში, რომ მეტი ვიცოდეთ.

ემილ ზოლა

შეცდომის შემჩნევა იოლია, შეუმცდარად უკეთესის შექმნა — ძალზე ძნელი.

ლომონოსოვი

კაცის ბუნების არსი — მოძრაობაა. სრული სიმშვიდე — სიკვდილია.

ბლეზ პასკალი

მშენიერი აზრი კარგავს მთელს თავის ღირებულებას, თუ უხეიროდაა გამოთქმული, ხოლო თუ მეორდება, თავს გვაბეზრებს.

კოლტერი

კარგად გამოყენება დროს კიდევ უფრო ძვირფასად აქცევს.

ჟან ჟაკ რუსო

გაურჯელად არ იქნება, არას კარგის მოსწავლობა.

ვახტანგ VI

ვის ვუწოდებთ ცინიკოსს? ადამიანს, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი, მაგრამ არაფერს არავითარ ღირებულებას არ აძლევს.

ოსკარ უაილდი

ისე ერთად (ყველა კომპონენტი თანაბარი რაოდენობით). მცენარე შეიძლება გამოიყენოთ როგორც ნედლი, ისე გამხმარი სახით. ძირტკილას ძირები წვრილად დაჭერით. ორ ჩაის კოვზ ძირებს დასხით ორი ჩაის ჭიქა ცივი წყალი და ასე გააჩერეთ 8-10 საათის განმავლობაში. ნახევარი ჩაის ჭიქა ნაყენი 3-ჯერ დღეში დაალევინეთ ბავშვს.

— რა შეიძლება იყოს ოფლიანობის მიზეზი?

— ხშირ შემთხვევაში ის რაქიტული მოვლენების მაჩვენებელია. ამიტომ, თუ მოჭარბებული ოფლიანობა 1 წლამდე ასაკის ბავშვებში შეიმჩნევა, საჭიროა რაქიტის პროფილაქტიკა. ოფლიანობა შეიძლება ტუბერკულოზის დასაწყისიც იყოს. თუმცა, შესაძლოა, არასწორი ჩაცმის შედეგად მომხდარი ორგანიზმის გადახურებითაც იყოს გამოწვეული.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ რაქიტის შესახებ?

— ეს არის ანომალია, რომელსაც სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად ვხვდებით ჩვილ ბავშვებში. ამ დროს დარღვეულია კალციუმის და ფოსფორის მინერალური ცვლა. საქმე გვაქვს როგორც ძვლოვანი სისტემის განვითარების დარღვევასთან, ასევე მთელი ორგანიზმის შინაგანი ორგანოების ფუნქციის მოშლასთან. დაავადება იწვევს ძილის დარღვევას, ღვიძლის, ელენთის გადიდებას. ის ითრევს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. მაგრამ იმდენად თვალსაჩინოა მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რომ მშობლები დროულად აქცევენ ყურადღებას და გართულებულ რეციდივს ადგილი აღარ აქვს.

— როგორც ვიცო, ნერვულ სისტემასთან კავშირშია უნებლიე შარდვაც...

— მას შემდეგ, რაც პამპერსების გამოყენებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ამ პრობლემის გამო ხშირად მოგვმართავენ მშობლები. პამპერსმა მშობელს გაუადვილა ბავშვის მოვლა, მაგრამ ბავშვს, რომელიც არ სველდება, რეფლექსური რკალი არ უყალიბდება, ამიტომ მოზრდილ ასაკშიც შარდვის რეფლექსი აღარ აღვიძებს და

ჭიები ღამის საათებში 9-10 საათის შემდეგ გამოდიან გარეთ და ღებენ კვერცხებს. ჭიებმა შეიძლება გამოიწვიოს უმადობა ან პირიქით — ღორმუცელობა

უნებლიე შარდვა, როგორც დაავადება, ისე ყალიბდება. ამიტომ მივიდნენ ექიმი-პედიატრები იმ დასკვნამდე, რომ 1 წლის შემდეგ პამპერსი საჭირო აღარ არის. აუცილებელია, ბავშვი, რომელსაც უნებლიე შარდვა აქვს, მაგარ საწოლზე დავაწვინოთ. ძილის წინ უნდა შევუზღუდოთ სითხის მიღება. სასურველია ძილის წინ ასეთ ბავშვებს 1 ს/კ თაფლი მივცეთ.

— ასევე გავრცელებულია ბავშვებში ჭიებით ინვაზია. რას ურჩევდით მშობლებს ამ შემთხვევაში?

— ეს მართლაც ძალიან გავრცელებული დაავადებაა და ძალიან დიდ ყურადღებასაც მოითხოვს. ამ დაავადების სიმპტომებია: ქავილის შეგრძნება სწორი ნაწლავის საპროექციო არეში; ღებინების შეგრძნება, ნერწყვის ღენა, მუცლის ტკივილი, მკურნალობა მოითხოვს, როგორც მედიკამენტურ საშუალებებს, ასევე ჰიგიენური პირობების დაცვას. ეს დაავადება განსაკუთრებით საშიშია გოგონებისათვის, რადგან ქვედა საშარდე გზებში ინფექციის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს. ჭიებით ინვაზია გადამდებია. ჭიები ღამის საათებში 9-10 საათის შემდეგ გამოდიან გარეთ და ღებენ კვერცხებს. ჭიებმა შეიძლება გამოიწვიოს უმადობა ან პირიქით — ღორმუცელობა, თუმცა, ამ დროს ბავშვს საკვები არ ერგება. ამიტომ, მშობლებს ძალიან დიდი ყურადღება მართებთ მაშინ, როდესაც ბავშვს ნორმიდან თუნდაც სულ მცირე გადახრას შეამჩნევენ.



მარი ჯაფარიძე

„ქაჯეთის ციხის დელოფალივით
 თმაგაწეწილა ქალი,
 ცრემლი სდიოდა,
 დარდი სტკიოდა,
 მაინც აწვალებს ქარი...
 და ქალის გარდა, ამდენ ტკივილს
 აიტანს მხოლოდ ქარი,
 ქარი ქრის, ქარი ზაფხულის,
 ამ დღეს დაერქვა უკვე წარსული...“

ამ სტრიქონების ავტორი ახალგაზრდა ქალია. მისი სურვილია, მოგვითხროს იმ ერთი დღის შესახებ, რომელიც მის ცხოვრებას მძიმე, მტკივნეულ მოგონებად დააჩნდა. საბედისწერო 6 აპრილის შემდეგ, გოგონას ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა, მაგრამ ღმერთი ხომ იმდენ განსაცდელს მოგვივლენს ხოლმე, რამდენის ატანაც შეგვიძლია, ამიტომ ცხოვრება გრძელდება...

– ეს ამბავი 1994 წლის 6 აპრილს მოხდა. ქვეყანაში არეულობა იყო. სიტუაციას შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებდნენ. მას შემდეგ 8 წელი გავიდა, მაგრამ დავიფიციტებ, რომ არც ერთი დღე ისე არ გასულა, რომ არ გამსხენებოდეს და არ მეტიროს. თავის მოკვლაც კი ცვალებად რამდენჯერმე, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, ღმერთის ნების გარეშე ესეც შეუძლებელია.

— მოდი, დავიწყოთ თავიდან და მივყვეთ მოვლენების განვითარებას...

– ბავშვობიდანვე ხიფათიანი ვიყავი. მახსოვს, 6 წლის ასაკში, ქუჩაში ვთამაშობდი. გზაზე დავინახე მაცივრის ყუთი და შიგ შევძვერი. მანქანით მომავალ ნასვამ ბიჭებს უფიქრიათ – მოდი ერთი, ყუთს დავეჯახოთო (გართობის მიზნით, თორემ რას იფიქრებდნენ, შიგ ბავშვი თუ იჯდა?!). მადლობა ღმერთს, ყუთს მხოლოდ გვერდი გაკრეს: ყუთი ამოვირავდა და მე გზაზე გადმოვგორდი. ელდა ეცათ, ბავშვი რომ დაინახეს. მომცვიდნენ, წამომაცყნეს, ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ უვნებლად გადავრჩი... შემდეგ, კახეთის გზაზე, ბიძაჩემთან ერთად ავარიაშიც მოვყვე. კიდევ რამდენჯერმე გადავურჩი აშკარა სიკვდილს. მერე შიში



mTeli es wlebi ჩემი უხადურების შესახებ არავისთვის მითხვამს, gulSi viklavdi dards...

მომეძალა, სიკვდილის მეშინოდა. სულ ვფიქრობდი: დღეს მოკვდები-მეთქი. გული ცუდს მიგრძნობდა, მაგრამ იმას ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რაც 18 წლის ასაკში შემემთხვა... შესაძლოა, მცირე წვლილი ჩემს უბედურებაში მეც მიმიძღვის, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ერთმა გოგონამ მომიწყო.

— უნე მეგობარი იყო?

– არა. ამ ამბავზე რამდენიმე თვით ადრე გავიცანი. მამასთან ერთად ქალაქიდან ახალციხეში მივდიოდი. მატარებელში გამოვვლავლავარაკეთ ერთმანეთს და საუბრისას გაირკვა, რომ ჩემი მეზობლის ახლო ნათესავი იყო. უმაღლესი ახალი დამთავრებული ჰქონდა და კახეთში, სოფელ სააკაძის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. მაშინ ეკა გორგოძისა და ჩემი ურთიერთობა მატარებლის ბაქანზე დამთავრდა. გავიდა რამდენიმე თვე და ჩემს ეზოში შევხვდი, ნათესავთან მიდიოდა სტუმრად. დამაბტიჟა, მაგრამ უარი ვუთხარი. შემდეგ კიდევ ერთხელ ვნახე და საუბრისას აღმოვაჩინეთ, რომ საერთო ნაცნობები გვყოლია. გაირკვა, რომ ჩემს შეყვარებულსაც იცნობდა. მოგვიანებით გავიგე – თურმე ის ბიჭი მასაც მოსწონდა. ახლა ვფიქრობ, რომ სწორედ ამის გამო გაუჩნდა ჩემდამი სიძულვილი და ეს ამბავიც ამიტომ მომიწყო. იმ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში კი, აი, რა მოხდა: დღით 9 საათზე გამოვვდი სახ-

ლიდან, მეგობართან მივდიოდი. რამდენიმე გოგონამ დავთქვით შეხვედრა ერთ-ერთის სახლში. გზაში ეკა წამომეწია. რამდენი ხანია, მანქანით უკან მოგვევბი, გეძახი, სიგნალს გაძლეე და ვერ გაგაგონეო, – მითხრა. არც მიკითხავს, ვისი მანქანით იყო, ან რა იქნა ის მანქანა... რომ გაიგო, მეგობართან მივდიოდი, მეც შენთან ერთად წამოვალო, – მთხოვა. არ მესიამოვნა, რადგან ძალიან ახლო მეგობრები ვიკრიბებოდით და ეს უცხო გოგონა იქ ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ არ მომეშვა და წავიყვანე. დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაიჭინა – დისშვილისთვის წამალი მაქვს საყიდელი და აფთიაქში გამომყვევიო. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ ვეღარ მოვიშორე თავიდან. მეგობარმაც წამწურჩულა: გაჰყვე, მერე დაემშვიდობე და ჩვენთან დაბრუნდი... აფთიაქში წამალი ვერ იშოვა. მერე მითხრა: გზის ფული არ მაქვს და თუ ვინმე მანქანას გაგვიჩერებს, გავყვეთო. ეკას სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენ წინ მანქანამ დაამუხრუჭა. ორი ახალგაზრდა იჯდა. უარს ვამბობდი, მაგრამ ეკამ სულ ჯიკავ-ჯიკავით ჩამსვა მანქანაში: რომ მექაჩებოდა, უხერხული სიტუაცია შეიქმნა, გამვლელი გვიყურებდნენ და ჩემდა უნებურად, მანქანის უკანა სავარძელზე აღმოვჩნდი. ორი წუთის შემდეგ, მანქანა ისევ გაჩერდა და კიდევ ორი მამაკაცი მოგვიჯდა აქეთ-იქიდან. მე შევშვოთდი, ეკა კი ათასგვარ სისულე-



მამშვიდებდნენ – კაციაშიები კი არა ვართ მალე უკან ჩამოგიყვანთო. ჩავედით მანავში.

ლეზე ლაყბობდა. წამალი რომ ვერ იშოვა, არც ის ამბავი დაჰვიწყნია... ბიჭები შეჰპირდნენ – წამალს ჩვენ გამოვინებთ, ოღონდ ჯერ ერთ ადგილას წავიდეთ, წავიქეიფოთ და ჩვენი გაცნობა აღვნიშნოთო. სასტიკი უარზე დავედქი, მაგრამ მანქანიდან აღარ გადმომიშვეს და კახეთისკენ აიღეს გეზი. მამშვიდებდნენ – კაციაშიები კი არა ვართ – ვიქეიფოთ და მალე უკან ჩამოგიყვანთო. ჩავედით მანავში. იქ დამსვენებლებისთვის პატარა კოტეჯებია. ბევრი ხალხი ირეოდა და ასე თუ ისე, გული მომეცა. ერთ-ერთ კოტეჯში ჩვენ ვიყავით, გვერდით კი, კორპუსში, ვინმე მაჭახელას დაბადების დღეს აღნიშნავდნენ.

— ის მამაკაცები შეიარაღებულები იყვნენ?

— დიახ. უამრავი იარაღი ჰქონდათ ასხმული და სუფრასთანაც კი არ იშორებდნენ... უამრავი სასმელ-საჭმელი მოიტანეს. ეკა დავიმართოხელე და გაავართხილე: არც დალიო და არც სიგარეტი მოსწიო-მეთქი, — მაგრამ ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. უგუნებოდ ვიყავი და მობუზული ვიჯექი. ერთ-ერთმა ბიჭმა, დათომ გვირილებიც კი დამიკრიფა და მომართვა, — ხასიათზე რომ მოვსულიყავი. მოსადამოვდა. ვთხოვდი — სანამ დაღამდება, შინ წამიყვანეთ-მეთქი, — მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში ეკა და ერთ-ერთი ბიჭი — ზურა სადღაც გაქრნენ. ცოტა ხანში, ზურა სადღაც გაქრნენ.

სახე — სისხლით მოსვრილი და ტიროდა. რა დაგემართა-მეთქი? — ვკითხე. — მცემა და ძალა იხმარაო, — მიპასუხა. შევეშინდი. ვუთხარი: სანამ გარეთ გამოსულან, წამოდი, გავიპაროთ-მეთქი. — არა, ვერ გავიქცევით, დაგვეწვეიან, დაგვიჭერენ და უარესს გვიზამენო, — მიპასუხა. ვემუდარებოდი: მართო მეშინია ტყე-ტყე სიარული, ორნი რომ ვიქნებით, გზას გავიკვლევთ და სამშვიდობოს გავალთ-მეთქი. ვერაფრით დავითანხმე. ცოტა ხანში, ორი ბიჭი შინ წავიდა. დარჩნენ დათო და ზურა. გვთხოვეს, კოტეჯში შევსულიყავით. ეკა შევიდა და ქეიფი გააგრძელა. მე ისევ ვემუდარებოდი

ბიჭებს — სახლში წამიყვანეთ-მეთქი. ბოლოს, ეკა და ზურა მეორე ოთახში განმარტოვდნენ. ჩემთან დარჩენილმა დათომ სცადა, მომფერებოდა. მე წინააღმდეგობა გავუწიე. ვეხვეწებოდი: ქალწული ვარ და არ დამლუპო-მეთქი... არ დამიჯერა: ეკას დაქალი ქალწული როგორ იქნებო?! მოდი, „გავსინჯავ“ და თუ მართალს ამბობ, ხელს არ გახლებო... დამიწყო ჯაჯგური. ვტიროდი, ვემუდარებოდი — თავი დამანებე, თავს მოვიკლავ-მეთქი! ხელში პისტოლეტი შემომამჩქა და მითხრა: მიდი, მოიკალი თავი, მიჩვენე, როგორი გმირი ხარო... ვერ შეეძელი, ჯერ კიდევ იმედს ვებლაუჭებოდი. ახლა ვნანობ — მისთვის უნდა მესროლა და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ არც იარაღის ხმარება ვიცოდი, არც ის ვიცოდი, დატენილი იყო თუ არა. ერთი სიტყვით, ისევ ხელჩართული ბრძოლა გავუმართე. მცემა, თავი საწოლის თავზე მარტყმევინა. თავი მოვიმკვდარუნე, ვითომ გონება დავკარგე. შეშინდა და ყვირილი მორთო: მოკვდა, მოკვდაო! მეორე ოთახიდან ზურა და ეკა გამოცვივდნენ. სახეში მილაწუნებდნენ, რომ გონზე მოვეყვანე, ზურა წყლის მოსატანად გავარდა. სიბნელით ვისარგებლე და ეკას წააფურჩულე: ნუ ყვირი, არაფერი მჭირს-მეთქი. მან კი დაიძახა: ნუ გეშინიათ — ეს თურმე კარგად ყოფილა და ჩვენ გულები დაგვიხეთქაო. — ადგა და ისევ მეორე ოთახში გავიდა... გააფთრებული დათო ისევ დამემგერა. სახეში ვაფურთხებდი, არაკაცს ვეძახდი და ვფიქრობ, ამან უფრო

გაახელა. ბოლოს, თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და თავი დამანება. განადგურებული და შეურაცხყოფილი, გარეთ გამოვედი. უკვე თენდებოდა. ეკაც უკან გამომყვა. ფეხით წამოვედით და გზატკეცილამდე მივალწიეთ. ერთადერთი, რაც მახსოვს, ის არის, რომ დათო მანქანაში იჯდა და თავი საჭეზე ჰქონდა ჩამოდებული. ტრასაზე გამოსულბმა, ფეხით გავაგრძელეთ გზა. ამ დროს დიდი ტრაილერი გამოჩნდა და რომ მოგვიახლოვდა, წინ გადავუხტი. მძღოლმა ძლივს მოასწრო დამუხრუჭება. მანქანა გვერდზე გადაწვა, საშინელი ღრჭიალის ხმამ გააყრუა იქაურობა. მძღოლი გადმოხტა და ჩემკენ გინებით წამოვიდა — მღუპავო?! იქვე მდგარმა პოლიციელმა უთხრა: თავი დაანებე, მაგას თავისი გაჭირვებაც ეყოფაო... — გამიკვირდა, ვიფიქრე, ტირილით რომ მოვიდიოდი, ალბათ იმით მიხვდა, რაღაც რომ მჭირს-მეთქი. მაგრამ მერე გავიგე, რომ თურმე ჩემი წივილი-კვილი მთელ მანავს ესმოდა და უკლებლივ ყველას სცოდნია — დათო გარსევანიშვილმა ქალიშვილი გააუპატიურაო... ამ დროს მსუბუქი მანქანა გაჩერდა. იქიდან ერთი ახმახი (როგორც შემდეგ შევიტყვე, სულხანი ერქვა, სახე სულ „დამრამული“ ჰქონდა) და უფრო მომცრო ტანის — ვანო — გადმოვიდნენ. ორივე იარაღში იყო ჩამჯდარი. ახმახმა იკითხა ჩოჩქოლის მიზეზი და რომ გაიგო, თავის მოკვლა მინდოდა, ჩაიციანა: „ეი. შენ სიკვდილი გინდა?“ — მკითხა, მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და მთელი სისწრაფით ჩემკენ გამოექანა. არ გავიწიე. ჯიქურ ვუყურებდი და ვნატრობდი, ისე დამჯახებოდა, რომ ადგილზევე მოვმკვდარიყავი... ჩემს ფეხებთან დაამუხრუჭა და რომ მიხვდა, მართლა სიკვდილს ვნატრობდი, შევეცოდე. დამიყვავა და შემპირდა — თბილისში გაგამზავრებო. მეც და ეკაც მანქანაში ჩავესვა და იქვე ახლოს, რომელიღაც სოფლის განაპირას, ორსართულიან კორპუსთან მივიყვანა — აქედან გავაყოლებ ვინმეს თქვენს თავსო. ეს კორპუსი ერთ-ერთ შეიარაღებულ ფორმირებას ჰქონდა დაკავებული და იქ მაჭახელას დაბადების დღის აღსანიშნავ ქეიფს განაგრძობდნენ. სტუმრებს შორის ქალებიც იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი ძალიან გულისხმიერად მომექცა — მამშვიდებდა, ცრემლებს მწმენდა. ეკა სუფრას მიუჯდა და ქეიფი განაგრძო. მე განუწყვეტლივ ვტიროდი, თან ეზოს ვათვალიერებდი. კორპუსის უკან დიდი ხრამი იყო. თუ სახურავიდან გადავხტებოდი,

ცოცხალი აღარ გადავრჩებოდი. გავიპარე, მეორე სართულზე ავედი და სხვენში ასასვლელი მოვძებნე. იქვე დიდი კასრი იდგა. ძლივს მივათრიე, კიბის მაგივრობა რომ გავწია, ავფორთხდი ზედ და უკვე სხვენში აძრომა რომ დავაპირე, ვილაკამ ფეხებში მტაცა ხელი. თურმე ეზოდან გამომყოლია ერთ-ერთი მამაკაცი და არ მომცა საშუალება, სისრულეში მომეყვანა ჩემი ჩანაფიქრი. დამიყვავა, დამამშვიდა და ქვემოთ ჩამომიყვანა. ამ დროს შევნიშნე — ეზოს შემოსასვლელთან დათო იდგა, მას გაცხარებით ელაპარაკებოდა სულხანი. ჩანდა, ეჩხუბებოდა და კიცხავდა. დათო თავჩაღუნული უსმენდა და ხმას არ იღებდა. მერე წავიდა. ჩვენც მანქანაში ჩავგვსვეს და თბილისში ჩამოგვიყვანეს. შემდეგ ეკას ფული მისცეს — კოლგოტი იყიდე, შიშველი რომ დადიხარ და შინაც ტაქსით წადითო.

— როგორი სიტუაცია დაგხვდა ოჯახში? 18 წლის გოგომ ღამე შინ არ გაათიე და ამისთვის პასუხი არ მოგთხოვეს?

— რა თქმა უნდა. მაგრამ ვთქვი — ეკასთან ერთად ვიყავი სტუმრად წასული, შეგვაგვიანდა და მის ახლობლებთან დავრჩი-მეთქი. ეკას ნათესავები, რომლებიც ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ, წესიერი ხალხია და ამიტომ, ეკაზეც კარგი აზრი ჰქონდათ ჩემებს. ამის გამო, ძალიან არ გამიბრაზდნენ... მთელი ღამე, ჩემს შეყვარებულს ჩემს მშობლებთან გაუთენებია. თურმე ამბობდა: ოლონდ ცოცხალი იყოს და მეტი არაფერი მინდაო. მე რომ შინ დავბრუნდი, იქ აღარ დამხვედრია. როდესაც შევეუთვალე, სტუმრად მოსულიყო, ასეთი პასუხი მივიღე: ეკასთან ერთად თუ იყავი, ვიცი, როგორიც იქნები, ამიტომ, კარგად იყავიო...

— დათო აღარ გამოჩენილა?

— მე სახლში ტელეფონი არ მაქვს. ეკას მისთვის ჩემი მეზობლის ტელეფონის ნომერი მიუცია. იმ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ტელეფონთან დამიბახეს. დათო რეკავდა. მითხრა: არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნებაო... ყურმილი დავეუკიდე. ორი კვირის მანძილზე, თითქმის ყოველდღე რეკავდა, მაგრამ ტელეფონთან არ მივიდიოდი.

— რატომ? იქნებ დაქორწინებას გთავაზობდა?

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა: მოძალადის გვერდით ცხოვრებას მაინც ვერ

შევიძლებდი.

— მისი ცხოვრება როგორ წარიმართა? თუ გაგიგია რაიმე მის შესახებ?

— დათო მანაველია, მის ამბებს ჩემი მეგობარი გოგონასგან ვგებულობდი — მას მანავში, ნათესავებთან ხშირად უხდებოდა ჩასვლა. მას ჰყავს ცოლი და ერთი შვილი — გოგონა. თურმე წლების მანძილზე, კომპარები არ ასვენებდა: ღამღამობით ისევ ჩემი კვილი ესმოდა და საწოლიდან გიჟივით წამოხტებოდა ხოლმე. დათოს გაუგია, რომ ის გოგონა ჩემი მეგობარი იყო და ამ ორი წლის წინ, მისი საშუალებითაც სცადა ჩემთან დაკონტაქტება. მე, რა თქმა უნდა, ისევ უარზე დავდექი.

— შენი ცხოვრება როგორ წარიმართა ამის შემდეგ?

— გულჩათხრობილი გავხდი. სიცოცხლე აღარ მიხაროდა. რამდენჯერმე თავის მოკვლის მცდელობაც მქონდა. ერთხელ ხიდიდან მტკვარში გადახტომას ვაპირებდი, მოხუცმა კაცმა გადაამარჩინა. დახედეთ ჩემს მკლავს. უამრავჯერ დავისერე ვენები, რადგან სულიერ ტკივილს ვეღარ ვუძლებ. მის ჩახშობას იმით ვცდილობ, რომ საკუთარ თავს ფიზიკურ ტკივილს ვაყენებ. ფეხზე დანით მიყენებული ჭრილობებისგან უამრავი ნაიარევი მეტყობა, მაგრამ შეება ვერც ამან მომეკარა. ისევ დრომ გაიტანა თავისი, დრომ ნელ-ნელა მოაშუშა იარა, მაგრამ ის საშინელი დღე არასოდეს დამავიწყდება.

— ამ ამბის შემდეგ, მრავალი წელი გავიდა. რამ გადაგანყვეტილა, დღეს შენი გასაქირილიად მოგეთხრო?

— ნათქვამია — კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო. ჩემმა ერთი ღამით გაუჩინარებამ ახლობლებსა და ნაცნობებში დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია. მე ჩემი უბედურების შესახებ არავისთვის მითქვამს, გულში ვიკლავდი დარღს. მაგრამ უკვე აღარ შემიძლია, ღამისაა ბოდმისგან დავიხრჩო. გადავწყვიტე, ხმამალა მოვყვე ამის შესახ-



მოძალადის გვერდით ცხოვრებას მაინც ვერ შევიძლებდი.

ებ — იქნებ, გავთავისუფლდე, იქნებ, ჩემი განცდების სიმძაფრე ცოტათი მაინც შევასუსტო. ვფიქრობ, ეს არის მცდელობა, დავევიწყო ნ აპრილი...

— რას ეტყობი თავად მოძალადეს?

— „მესიზმრა, თითქოს ვშიოდა, გციოდა... მიწის გვირაბში მივდებულე ტანი გტკიოდა! მე, ჩემი დარდით დამძიმებულს, ცრემლი მდიოდა, შენ კი გციოდა... შენ რომ გტკიოდა, ის სხეული მე არ მტკიოდა...“

P.S. ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოქმედი პირების გვარ-სახელები შეცვლილია.

გეონეტი ანაოგანსახსიო აქონორობიანი
GEONET

სერვისების სპეციფიკა

- მომსახურება ინტერნეტ პორტალში 16:20 წლამდე
- ინტერნეტი პორტლის და მენეჯინგის ხარჯები 8:00 50:50
- ბაზოქოფილი აბხაზი (დავით კიძე)

სახელმწიფო

სახელმწიფო ხანძრობისა


სახელმწიფო რეაგინირი

სახელმწიფო სახელმწიფო ხანძრობის - 10:20 წლამდე

- აბი, ანადა, კონსილი - 0.48 ჟანრ

სახელმწიფო რეაგინირი 1-3
47 21 20 92 41 25

www.geonet.ge



ნათია ქვიციანი

მეგობარმა მითხრა: დისკოთეკაზე ვიყავი და გვიან შევნიშნე, რომ გარემოქმედებული ლოცვების თანხლებით ვცეკვავდიო... გადავწყვიტე, თავად ვწვდი დისკოთეკას, რომელიც ცოტა ხნის წინ, თბილისში კინოთეატრ „ივერიაში“ იმართებოდა.

ვერ წარმომდგინა, ამ არეულ ქვეყანაში ასეთი „კაცთმოყვარე“ ხალხი თუ კიდევ არსებობდა – ლამის ხელკავით მიმაცილეს თავისუფალ სკამამდე...

ძალე სცენაზე ორმა მანდილოსანმა ერთდროულად დაიწყო ყვირილი (სწორედ ყვირილი და არა ლაპარაკი). ერთი რუსულად გაჰყვიროდა – იესო აქ არისო, მეორე – ქართულად. ხალხი ფეხზე წამოდგა, ხელები მძლავრად ადაპყრო და ექსტაზში შესული, აცრემლებული გაჰკიოდა: ჩვენო ალფავა და ომეგავ (ანუ – იესოვ), ჩვენთან მოდიო!.. გაოცებული, ხან ერთს უყურებდი, ხან – მეორეს, მაგრამ ნამდვილი გაოცება მაშინ მქოდა, როდესაც დარბაზში, მართლაც, ლოცვების რემიქსული ვარიანტი აჟღერდა და ხალხი ტამისკვრით სტუნავდა. როკით ატაცებულ ხალხს შორის, რის ვაი-ვაგლანთი გამოვალწიე და ფიიეში ერთ-ერთ დავვიანებულ სტუმარს შევეჯახე კეითზე: აქ რა მიზეზით მოხვდით-მეთქი? დიდი სამყარო განმცხვავა, ღმერთს ვეძებ, რომლისაც ეკლესიაში ვერ შევხვდი და აქ მივაგებო, – შემდეგ კარი გააღო და „თავით გადაეშვა“ ცეკვა-თამაშის მორევში. ვცადე, სხვა წევრებსაც ვავსაუბრებოდი. ვეკითხებოდი – ამხსენით, სად ვარ, რა ხდება-მეთქი? დიქტოფონის დანახვაზე ყველას ენა ებმოდა და სანქაროდ გვერდს მიქცევდა. მხოლოდ ერთმა კაცმა გამოიმეტა ჩემთვის პასუხი, ისიც – უკანმოუხედავად მომივლო – „ვეანგელისტები“ ვართო, – და მროკავებში გაერია...

გადავწყვიტე, კინოთეატრის ადმინისტრაციისთვის მეთხოვა ახსნა-განმარტება. როგორც

გარემოქმედებული ლოცვა

ანუ დიქტოფონის დანახვაზე ყველას ენა ებმოდა...



იქნა, ერთ ქალბატონს მივაგენი. ინფორმაციის მოწოდებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ „დღეაშვილურად“ მთხოვა: არავისთან გაამხილოთ, რომ ეს ყველაფერი მე ვითხარიო... **ქალბატონმა ნინომ** მითხრა – ჩვენს დარბაზში ასეთი ამბავი პირველად ხდება, თემცა...

— ქალბატონო ნინო, მე ვიცი, რომ ნინა კვირასაც იყო ზუსტად ასეთი თავგრილობა...

— დიას, იყო. მხოლოდ ამ ერთი თვის განმავლობაში, კვირაში ერთ დღეს უუთმოზღოვრად (ყური მოვკარი, ერთი „მროკავი“ მეორეს უებნებოდა – უკვე მათედ მოვდიო. – ავტ.). ახლა ვსაუბრობდი სწორედ, რომ დღეს უკანასკნელი შეხვედრაა და შემდეგი კვირიდან აქ აღარ იქნებიან. გპირდებით.

— აქამდე რატომ აძლევდით აქ შემოსვლის საშუალებას?

— კინოთეატრს ორი ათასი ლარი ვალი ჰქონდა და იკეტებოდა. იძულებულები ვიყავით, ხანდახან, ასი ლარის გამო, ეს ხალხი შემოგვეშვა. ძალიან ჭირს ცხოვრება...

— ეკლესია, სარწმუნოება თუ გაძლევთ ამის უფლებას?

— მართალი ხართ – ეკლესიისგან კუროთხევა არ გვაქვს. ამიტომ გადავწყვიტეთ, აწი სხვა რამით დაგვივითოთ კინოთეატრი. რატომ უნდა ვიყოთ უფლის წინაშე დანაშაულები?..

— თქვენ დირექტორი ბრძანდებით?

— არა, თანამშრომელი ვარ. ძალიან გთხოვთ, არ გამამხილოთ...

— რისი გეშინიათ?

— დარბევა იყო. ბასილ მკალავიშვილმა თავის მომხრეებთან ერთად დაარბია. აქ ისეთი საშინელება ტრიალებდა... მერწმუნეთ, რომ იმ კვირიდან აქ აღარ იქნებიან... ქალბატონი ნინო ამ სექტის ერთ-ერთ წარმომადგენელთან შეხვედრაშიც დაემხმარა.

— ვინ ბრძანდებით?

— მე ვარ მაშუკა ძევისაშვილი.

— რას წარმოადგენთ ამ სექტაში?

— ამ ეკლესიის, რომლის სახელწოდებაცაა „სიცოცხლის სიტყვა“, პასტორი ვარ.

— საიდან მოდის ამ „ეკლესიის“ წარმოქმნის იდეა?

— 1990 წელს ამერიკელები იყვნენ ჩასულები მოსკოვში, სადაც კონფერენცია ჩატარეს. თბილისიდანაც იყვნენ მიწვეულები.

— კონკრეტულად, ვინ იყვნენ ის ამერიკელები?

— ეს იყო ბიბ ვაინერი, რომელიც ახალგაზრდულ-სტუდენტურ, ქრისტიანულ მოძრაობას აყალიბებდა. საქართველოდან ბევრი იყო წასული და მათ შორის, მეც წავედი.

— თქვენ როგორ მოხვდით წამსვლელთა სიაში?

— ახლობელმა მითხრა და წავედი. ლატვიაში ვაისხნა პირველი „ბიბლიური სკოლა“ და იქ გადავწყვიტე სწავლა.

— რა გასწავლეს?

— „ბიბლია“.

— მართლმადიდებელი ეკლესია ქადაგებს, რომ შუამავალი ადამიანსა და ღმერთს შორის — მღვდელია. თქვენთან ვინ ასრულებს შუამავლის როლს?

— იესო ქრისტე.

— იესო ქრისტესთანაც ხომ გჭირდებათ შუამავალი, რადგან ისიც მიუწვდომელია თქვენთვის.

— ჩვენთვის საკმარისია იესო.

— ცოდვებს ვისთან ინანებთ?

— პირველ რიგში, ვინანიებთ ღმერთთან, მაგრამ თუ ჩვენი სინდისი ისევ ქნაჯნას განიცდის, თუ ვერ თავისუფლდება ადამიანი იმ ცოდვისგან, მაშინ არის მოძღვარი, რომელთანაც უნდა მივიდეს, გაესაუბროს, გაანდოს თავისი ცოდვა (თავდაც უთუოდ შეამჩნევდით წინააღმდეგობებს ბატონი მაშუკას მსჯელობაში... – ავტ.)...

— ყველაზე რთული ის არის, რომ მოძღვრის წინაშე შენი ცოდვა ხმამაღლა უნდა აღიარო...



— წმინდა წერილი ამას არ ითხოვს.
— ვთქვათ, თქვენ ჩაიდინეთ ცოდვა, იტყვიან — „უფალო, შემიწმინდე“, უფალიც შეგინდობთ და თავისუფლად ჩაიდინეთ მორიგ ცოდვას?

— მონანიება არ არის აღიარება, ეს არის შემობრუნება.

— მაშინ მითხარით, თქვენ როგორ ინანიებთ ცოდვებს?

— ვლგები ღმერთის წინაშე და ვთხოვ, რომ იესოს სისხლმა გაწმინდოს ჩემი ცოდვა, მაპატიოს და მომცეს ძალა, რომ აღარ შევცდე.

— ხატებს თუ სცემთ თაყვანს?

— ხატებს თაყვანს არ ვცემთ.

— ეკლესიას უარყოფთ?

— ეკლესიის უარყოფა როგორ შეიძლება?! ეკლესია, თავად მორწმუნე ადამიანები არიან.

— მართლმადიდებლები ღმერთს გალობითა და ლოცვით იახლოვებენ. თქვენთან აუღერებელი მუსიკა კი გალობას არ ჰგავს...

— არსებობს სხვადასხვა სახის გალობა. ფსალმუნებს თუ წაიკითხავთ, იქ ნათქვამია: „უძღვრეთ საგალობლებით“, „აღიღეთ იგი“, „აღიღეთ ყოყინით“, „აღიღეთ ცეკვით“ და ა.შ.

— თქვენ რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „ყოყინით“, „ცეკვით“ და არა „ღიდებით“ და „გალობით“?

— ჩვენ ვაღიღებთ უფალს. „აღიღეთ“ ებრაული სიტყვაა და ცეკვას, მხარულებით განდიდებას ნიშნავს...

— მართლმადიდებლურ ეკლესიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ? რამდენად ეთანხმება იგი თქვენს მოსაზრებებს?

— დღეს არის ინფორმაციის უქონლობა და არგავება. ამის გამო, არის ბევრი გაუგებრობა, თორემ მართლმადიდებლებს, ჩვენ და კათოლიკეებს — საერთო მრწამსი გვაქვს.

— აბა, რით განსხვავდებით მათგან?

— მსახურების ფორმით.

— მართლმადიდებლები ვკითხულობთ დილის და საღამოს ლოცვებს. თქვენ ასეთ დროს რას აკეთებთ? მღერით და ცეკვავთ?

— საღ დაინახეთ, რომ ცეკვა-თამაშით გამოვხატეთ ლოცვა?

— დარბაზში.

— დიას, მაგრამ ჩვენც ვლოცულობთ. მაღლობას უუნდით ღმერთს მფარველობისთვის...

— ვიცი, რომ დღეს უცხოელი სტუმარი გყავთ. ვინ არის იგი? ამ სექტის წარმომადგენელია?

— ეს სექტა არ არის.
— რა არის?

— ეკლესია...

ამ ინტერვიუს შემდეგ, იქურობას გავეცალე და საპატრიარქოსკენ გავეშურე. მომხდარის შეფასება საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელსა და ლურჯი მონასტრის წინამძღვარს — დეკანოზ **დავით შარაშენიძეს** ვთხოვე.

— იქნებ, თავიდან, მკითხველს განვუმარტოთ, თუ საკუთრივ რას წარმოადგენს სექტა?

— სექტა არის პროტესტანტული წარმომავლობის საკრებულო, რომელსაც არანაირი შეხება არა აქვს სამოციქულო სწავლებასთან. სექტების მოქმედების ერთადერთ აზრს საზოგადოების დაღუპვა, დანაწევრება და ურთიერთდაპირისპირება წარმოადგენს. სრულიად გაუგებარია სექტების მისიონერთა ჩამოსვლის მიზანი: საქართველო აფრიკის რომელიღაც ჩამორჩენილი ქვეყანა არ არის, სადაც ქრისტე უცნობია ხალხისთვის; აქ არის ეკლესია, რომლის არსებობაც ორი ათას წელს ითვლის, აქ არის უძველესი სამოციქულო ტრადიცია. სექტანტთა მოძღვრებით, ძირითადად, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები ინტერესდებიან, რომლებიც მართლმადიდებლობას გაცნობილნი არ არიან.

— თუმცა, საკმაოდ ბევრი ხალხია მათთან...

— ისინი ცდილობენ, სხვადასხვა ხერხით, თანამედროვე საშუალებებით, ცეკვებით თუ გამარტივებული წესით „სახარების“ მიწოდებით ხალხის მიზიდვას. მაგრამ იქ დამსწრეთაგანაც კი სერიოზული ინტერესი ალბათ ძალიან ცოტას ექნება.

— რით განსხვავდებიან „ევანგელისტები“, ვთქვათ, „იელოველებისგან“?



ბასილ მკალავიშვილია მომხრეებთან ერთად დაარბია. მერწმუნეთ, იმ კვირიდან აქ აღარ იქნებიან...

— მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ ერთი რამ აერთიანებთ — უარყოფენ ეკლესიას, ჯვარს, ხატს, საღმრთო სწავლებას...

— ეკლესიას არ უარყოფენ, ამბობენ, რომ თვითონ არიან „ეკლესია“...

— ისინი თვითმარტვიები არიან. მაცხოვარმა ერთი ეკლესია დააარსა სამოციქულო სარწმუნოებაზე და თქვა, რომ ამ ეკლესიას „ბჭვნი ჯოჯოხეთისანი“ ვერ მოერევიანო. ის „ეკლესიები“, რომლებსაც აცხადებენ „ევანგელისტები“, „იელოველები“, „ომოციანელები“ თუ სხვები, არის ცრუ.

— ცოტა ხნის წინ, ბასილ მკალავიშვილს დაურბევია ეს სექტა. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

— ამაზე არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს ალბათ იგივე მეთოდია, რა მეთოდებსაც ეს სექტები იყენებენ. ამგვარ დაპირისპირებას არ შეიძლება კეთილი ნაყოფი ჰქონდეს — პირიქით, ეს არის სწორედ ის, რაც ამ სექტანტების მოქმედებაზე ასხამს წყალს, მათდამი თანაგრძნობას იწვევს და უფრო მეტ აფიშირებას უკეთებს მათ არსებობას. დაპირისპირების ერთადერთ მართებულ საშუალებად მიგვაჩნია მათი ცრუ სწავლების, ღვთის სიტყვით მხილება.

— რას მოუწოდებთ მრევლს ასეთ შემთხვევაში?

— მოუწოდებთ, რომ რაც შეიძლება ღრმად გაეცნონ მართლმადიდებლობას, სამოციქულო სწავლებას. აუცილებელია, რომ ქართული კაცი „ბიბლიისკენ“ მიბრუნდეს. ხშირად არის, რომ სახლში გვაქვს „ბიბლია“ და ჩვენ მას არ ვეცნობით. ამით სარგებლობენ სხვადასხვა ჯურის სექტანტები და ისინი „ბიბლიით“, ღვთის სიტყვით გვიპირისპირდებიან, ჩვენ კი ძალალობასა და მუშტს ვახვედრებთ. ეს სექტები, როგორც სარეველა, ისე ვრცელდებიან. სადაც ნიადაგი დაუშუშავებელი და უნაყოფოა, სარეველაც სწორედ იქ აღმოცენდება...

დეკანოზი დავით შარაშენიძე

სად მდებარეობს მკვლევარის ძიება?

ბის დროს თქვენი პარტნიორი კლარკ დანკანი ნოკაუტში ჩააგდეთ... რამდენად მართალია ეს?

— არა, ნოკაუტში არ ჩავარდნილა, უბრალოდ დავაგდე, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დაიბნა, მაშინვე წამოხტა და ჩვენ ორთაბრძოლა განვაგრძეთ. ჩემი მეტოქე-პარტნიორების წასახალისებლად, მე განვაცხადე, რომ ნებისმიერს, ვისაც ჩემგან შემთხვევით მოხვდებოდა გადაღებების დროს, საჩუქრად მაჯის საათს მივუძღვნიდი. არ დაიჯერებთ და ამ განცხადების შემდეგ, ისინი საოცრად გააქტიურდნენ და ყველა ცდილობდა, რომ ჩემთვის ყბაში სათანადოდ მოედო! ალბათ ჩემი საპასუხო დარტყმის შედეგად, სულ ცოტა, „როლექსის“ ფირმის საათს ელოდნენ.

— რა საერთო თვისება აქვთ კლდესა და მათეუსს?

— ორივე ძლიერია — სახიფათოა მტრისთვის, მაგრამ მეგობრისთვის ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენს. დასახული მიზნისკენ ორივე შეუპოვრად ილტვის და უმაღლ მოკვდება, ვიდრე მის განხორციელებაზე უარს იტყვის.

— რინგისა და კინოს გარდა, დაგვისახელეთ თქვენი ყველაზე დიდი წარმატება...

— ჩემი პატარა გოგონა — სიმონა-ალექსანდრა! მისი დაბადების შემდეგ ცხოვრებას სულ სხვა თვალთ შევხედე და ჩემი დანიშნულება ჩემთვის უფრო ნათელი გახდა.

— ხომ არ გაშინებს ის, რომ როგორც ახალი კინოთაობის გამომავალი, შვარცენგერი, ულისი და სტალიონე, შესაძლოა, გზიდან ჩამოიშორო?

— წარმატების მიღწევა ყოველთვის მსურდა და ახლა, როცა სახელიც მოვიპოვე, ამქვეყნად აღარაფრის მეშინია. არ მინდა, რომ შვარცენგერის თუ სტალიონის შემცველად აღმიქვან, — მე საკუთარი ადგილის დამკვიდრება მსურს.

„მორიელთა მეფის“ როლმა 30 წლის დუეინ ჯონსონს 5 მლნ დოლარი მოუტანა. ეს თანხა კი ბევრად აღემატება იმ პონორარებს, რომელიც ბოვეიკის ჟანრის აღიარებულ ვარსკვლავებს თავიანთ პირველ ფილმებში გადაუხადეს.

დელფოს მუზეუმში, სადაც ძველბერძნული ორაკულია დაცული, ბევრი დამთვალიერებელი გულგრილად ჩაუვლის ხოლმე ერთი მეტრი სიმაღლის თალოვანი მოყვანილობის ქვას, ვინაიდან არაფერი იციან ამ საინტერესო ექსპონატის შესახებ. ლეგენდის თანახმად ერთხელ, როცა, თითქოს ზევსს უნდოდა გაეგო, თუ სად მდებარეობდა დელფიწის ცენტრი, რათა განესაზღვრა წმინდა ადგილი, სადაც ქაოსიდან იშვა წესრიგი, ერთდროულად აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გაუშვა ორი ერთნაირი სიჩქარის მქონე არწივი. არწივები დელფოში შეხვდნენ ერთიმეორეს და ამის შემდეგ, ზევსმა ომფალოსის (ბერძნ. ჭიპი) ქვით აღნიშნა ეს ადგილი. ომფალოსი წმინდა ქვად იყო მიჩნეული და იგი დელფოში, აპოლონის ტაძარში იდგა. ბერძნებმა დელფო ერთსულოვნად აღიარეს დელამიწის ჭიპად (ცენტრად), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ოლქს თავისი საკუთარი ომფალოსის ქონის უფლებაც ჰქონდა. რამდენიმე ბერძნულ ტაძარში ასეთი ქვები მართლაც იდგა. სავარაუდოა, რომ სწორედ აქედან იღებს სათავეს სამშენებლო ტრადიცია — საძირკველში ქვაკუთხედის ჩატანება.

ომფალოსს ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ, საიდანაც ქვეყნის ოთხი მიმართულების მაჩვენებელი ხაზები იღებს სათავეს, ეს ხაზები კი, თავის მხრივ, პორიზონტს ოთხ ნაწილად ყოფს. ე.ი. ქვას დროისა და სივრცის მოწესრიგების ფუნქციაც აქვს. ომფალოსი ქვეყნის, ქალაქის ან წმინდა ლანდშაფტის ცენტრს განსაზღვრავს და ამგვარად იგი ფიზიკურ სამყაროში გონების სიმბოლურ ანარეკლს წარმოადგენს.

დელამიწის ჭიპის უძველესმა იდეამ უამრავ კულტურაში პოვა ასახვა. სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, ზუნთა ლეგენდა გადმოგვცემს: პირველი ზუნები დელამიწაზე ხეტიალისას, კიან ასდებს (წყლის კაცი) გადაეყარნენ. მან თავისი გრძელი ფეხები გაფარჩხა და ზუნებს ქვეყნის მიმართულებები უჩვენა, ხოლო როცა მუცლით მიწას შეეხო, თქვა, რომ ეს ადგილი მიწის ცენტრი, მისი ჭიპი გახლდათ; ამ ადგილას კიან ას-

დებმა ინდიელებს გამაგრებული სოფლის აგება უბრძანა.

ჩრდილოეთ იტალიაში ოდესღაც მცხოვრები ეტრუსკები თავიანთ ცენტრს mundus-ს უწოდებდნენ, რაც ეტრუსკულად „სამყაროს“ ნიშნავს. ეს გახლდათ ორმო, რომელსაც დიდი ქვა ეფარა; ეტრუსკებისთვის საკუთარი ქალაქის ქუჩების დაგეგმარებისას, სწორედ ეს ადგილი წარმოადგენდა ორიენტირს.

მუსლიმანები სამყაროს ჭიპად შავ ქვას (სავარაუდოდ, იგი კოსმოსური წარმოშობისაა) აღიარებენ, რომელიც მექაში, ქაბის კუბის ფორმის შენობაშია მოთავსებული.

ბუდისტები და ინდუსები კი, სამყაროს ცენტრად ჰიმალაის მთის მასივში მდებარე მერუს, იმავე კაილას მწვერვალს თვლიან.

ბუნებრივია ისიც, რომ მორწმუნეებს დელამიწის ჭიპად იერუსალიმი მიაჩნით. იგი ხომ სამი უმთავრესი რელიგიის — ქრისტიანობის, იუდაიზმის და ისლამის სამშობლოა. კონკრეტულად სამყაროს ცენტრი კი მათი აზრით, მორიას მხარეში მდებარე მერნის მთაზეა, სადაც ძველი აღთქმის მიხედვით, აბრაამი თავის ძეს — ისააკს მსხვერპლად სწირავდა ღმერთს. სოლომონ ბრძენმაც ამ ადგილას ააგო თავის დროზე ტაძარი. მუსლიმანური გადმოცემით კი, მუჰამედი სწორედ აქედან ამალდა ზეცად.



... მამამ შემა ოგვიტანა	კოსმონავიგი, რომელმაც იქორწინა ვალენგინა გერეშკოვაზე	სიმინდის ნაყოფი	იგივეა, რაც კუჭი (ძველებურად)	მეყარე ... იაშინი	როგორ მოიხსენიებენ ცოლის მამას
მამამ შემა ოგვიტანა	კოსმონავიგი, რომელმაც იქორწინა ვალენგინა გერეშკოვაზე	სიმინდის ნაყოფი	იგივეა, რაც კუჭი (ძველებურად)	მეყარე ... იაშინი	როგორ მოიხსენიებენ ცოლის მამას
გროპიკული ხილი	რ. როლანი ... ბრუნიონი	ფილმი მადონას მონაწილეობით	აკაკი წერეთლის მამა გახლდათ წერეთელი	ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც ცნობილია ქუსლით	მდგრის საპირისპირი ქვესი

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნიგნაკიდან:

1. მარქაფა ცხენს ვინიბი ჰქვია.
2. მაი ძელუნი შეძლებული გლეხის ოჯახში დაიბადა.
3. გვანჯი მიხეილის ძე მანია ქართველი მათემატიკოსია.
4. ვაჟას „გოგოთურ და ავშინა“ რუსულად მანდელშტამმა თარგმნა.
5. პაბლო პიკასო ერთხელ ლუერდიან მობარული ქანდაკება იყიდა.
6. ესტონეთის სახალხო ფრონტს ნობელის პრემია აქვს მინიჭებული.
7. მარკაბო ტბა არის ვენესუელაში, მანაკარა – მდინარე აფხაზეთში.



8. „სამაია“ წარმართობის დროინდელი ქართული რიტუალური საფერწკელი ცეკვაა.
9. გურამ ფარცხლავას მიერ ნათამაშები ანტიგონიზმის კოსმოსის იმსახურებენ.
10. „ვისაც შურით არვენ ხელავს, არც აქვს ბული შესაშური“, – წერდა ესქილე.
11. აკუტები საკუთარ თავს სახას ეძახიან. P.S. მათ საცხ-

12. ორმოცდაათან წლებში ვეროპაში ჩასული ზოგიერთი საბჭოთა გენერალი უნიტაზში ფეხებს იბანდა და ზოგიერთი – პირსაც.
13. თუშეთი ოთხი ისტორიული ოლქისაგან შედგება: წოვა, ვიშქარი, ჩადმს და პირიქითა თუშეთი.
14. სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟს ფილმში „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ – ტასია ჰქვია, ერთი მანგაჯალაძის პერსონაჟს „ნატურის ხეში“ – ჩორეხი.
15. რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად დაძრული ნაპოლეონის არმია 610000 ჯარისკაცს ითვლიდა და 1372 ქვეშეხი ჰქონდა.
16. „სტროგი ვიგოვორ, ლიშინი პრემილის ი პერვი ტალონი რას მიყურებ, წაი და იმუშავე“ – უყვიროდა აერობორტის უფროსი, გივი ივანჩი გოგლიძე, ვალიკო მიხანდარს.
17. მასიური შესახედობის მიუხედავად, სამურაის აბჯარი 10 კილოგრამზე მეტს არ იწონის. ადვილად ჩასაცმელია და თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევს მებრძოლს.
18. სიკვდილის წინ, რამდენიმე საათით ადრე, აკობ გოგებაშვილმა სოსიკო მერკვილაძის მღაზიაში შეიარა, თავისი წიგნი მოიკითხა და შინსაკენ მიმავალ გზას გაუფლა.
19. მომავლავი სტალინი რომ არ შეეწუხებინა, მაღნკოვმა ფეხსაცმელი გაიხადა და ისე შევიდა მის სანახავად.
20. ნოსტრადამუსი სახელგანთქმული მკურნალი იყო, მაგრამ შავი ჭირის ეპიდემიის დროს საკუთარ ცოლ-შვილს ვერაფერი უშველა.



მამა კონსტანტინე (გიორგაძე)

რა არის სინანულის საიდუმლო?

შორენა მერკვილაძე

მართლმადიდებლური ეკლესია შვიდ საიდუმლოს აღიარებს, რომელთაგან ერთ-ერთია სინანულის საიდუმლო, რომელიც ახალი აღთქმის მიხედვით უფალმა იესო ქრისტემ დააწესა. ეკლესიური სწავლებით, სინანულის საიდუმლოს გარეგნული, ანუ ხილული მხარე არის, მონანულის მიერ სასულიერო პირთან აღსარების თქმა. ამიტომ, სინანულის საიდუმლოს აღსარებასაც ვუნოვებთ. ე.ი. სინანული არის საიდუმლო, რომელიც აღსარებით გადმოიცემა...

სინანულის საიდუმლოსთან დაკავშირებით გვესაუბრება ქვაშეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა კონსტანტინე (გიორგაძე).

– როგორც ვიცით, ნათლობით ადამიანი ყველა ცოდვისგან იწმინდება, მაგრამ ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე უხდება ცოდვებთან ბრძოლა. ამიტომ, ცხოვრების რთულ გზაზე უსათუოდ მოეღოს „ცოდვით დაცემები“. იმისათვის, რომ ადამიანი ცოდვებისგან განიწმინდოს, უფალმა იესო ქრისტემ სინანულის საიდუმლო დაგვიწესა. სინანულის საიდუმლოს დროს ადამიანი ღებულობს ღვთიურ მადლს, რომლის ძალითაც აღმსარებელი ცოდვებისგან განიწმინდება.

– რას ღებულობს ადამიანი ცოდვებისგან განწმენდის სანაცვლოდ?

– როდესაც ადამიანს კბილის ტკი-

ვილი აწამებს, მოსვენებასაც კარგავს და ვერც საქმის გაკეთებას უძლებს გულს, ასევე აწუხებს და აკარგვინებს მოსვენებას სულს მოუწინაველი ცოდვები. ამასთანავე, მიუტყვევებელი ცოდვები ადამიანს ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომის დროსაც მოეკითხება. რამეთუ უფალი ბრძანებს: „უკეთო არა შეინანოთ, სახელ ეგრეთუ ყოველნი წარსწყმდეთ“. აქედან გამომდინარე, ცოდვების მონანიების გარეშე შეუძლებელია სულის ცხონება, ანუ ცათა სასუფეველში ადგილის დამკვიდრება. ცოდვებისგან განწმენდა აუცილებელი პირობაა ამქვეყნად სულიერი სიმშვიდის და სინდისის ქენჯნის გარეშე ცხოვრების მოსაპოვებლად, რაც ამავდროულად იმქვეყნიურ სატანჯველსაც აგვარიდებს.

– რატომ არის აუცილებელი აღსარების თქმა სასულიერო პირის წინაშე?

– იოანეს სახარების მიხედვით, იესო ქრისტე მკვდრით აღდგომის შემდეგ გამოეცხადა მოციქულებს და აუწყა: „მიიღეთ სულიწმიდა, ვისაც მიუტყვევებთ ცოდვებს, მიტყვევებთ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ“ (იოანე 20, 21-23). აქედან გამომდინარე, მოციქულებს ცოდვათა მიტყვევა-არმიტყვევის ძალა თვით უფლისგან ჰქონდათ მინიჭებული, რომელთა შემდგომ ამ საქმეს, მათი მემკვიდრე – ღვთისმსახურები აღასრულებენ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი აღსარების თქმა სასულიერო პირის წინაშე. ამასთანავე ღვთისმსახური მონანულს უკითხავს მიტყვევის ლოცვას, რომლის წაკითხვის უფლება მხოლოდ სასულიერო პირს აქვს.

ინფორმაციული-გაყვანილობითი კოლაჟი

ეონი ღვალის უბის ნიგნაკიდან:



21. „რომანის მომავალი მაინც მცირე მოცულობაა. ადამიანს სქელი წიგნების წასაკითხად ჩვენს დროში, როცა ატმოსფერო ინფორმაციით არის გადატვირთული, ნაკლებად სცალია“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჭაბუა ამირეჯიბმა.

22. დაკარგული ენის — უბისურის, უკანასკნელი მკოდნე, ოთხმოცდაორი წლის თურქი გლეხი, რამდენიმე წლის წინ მძიმე მღვდმარობაში მყოფი, სასწრაფოდ პარიზში სამკურნალოდ გადაფრინეს. თვითმფრინავში ყოველი მისი სიტყვა მაგნიტოფონზე იწერებოდა.

23. „დამოკრუთ დარტანან, კარგად დამლეთ თქვენი ჭრილობები, რადგან ჩვენი ცრემლებით ისევე ტკბებან ცნობისმოყვარე, როგორც ბუზები დაჭრილი ირმის სისხლით“, — ასე მოძღვრავდა თავის ახალგაზრდა მკვობარს ათოსი.

24. კილიკიაში ლაშქრობისას ალექსანდრე მაკედონელი აუღ გახდა. მას ერთგული ექმი ფილიპე აქარნელი მკურნალობდა. ერთ დღეს ალექსანდრემ პარმენიონის წერილი მიიღო; შენი ექმი დარიოსის მოსყიდულია, წაძლით სავსე ფაღალში შუამის გარეგას და მოკვლას ვიპარებსო. ალექსანდრემ წერილი წაიკითხა და შენახა. დანიშნულ დროს ფილიპე წაძლით სავსე ფაღალთ ზღმა ავადმყოფთან შევიდა. ალექსანდრემ პარმენიონის მიერ გამოგზავნილი წერილი გადასცა, თვითონ კი წაძლით სავსე ფაღალ ჩამოართვა და სულმოუთქვლად შესვა. P.S. ამ ამბის შემდეგ ალექსანდრემ კარგა ხანს იცოცხლა.

25. „ერთი უდიდესი ნაკლი კი ჩვენს ხელთ არის, ჩვენი მიზეზით არის. ვე ნაკლი ჩვენი გულგრილობა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება. რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადევს, რამ გადაჩევა ჩვენი ჭკუა გული, გონება საყოველთაო საქმეს? რამ დავებთ თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც ჩემობის ფერი ადევს და არა ჩვენიობის. ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთ წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო ჩემობაზედ გაჩერებულიყო და ჩვენობა დავიწყებდნენ მისცემოდა, მაშინვე სულს გაგაფრთხილებდით და ჩვენი ერთ მტკვრსავეთ აიგებოდა დღემდისი ზურგიდან. ვე სენი ახალი სენია და სადამ არის მოსული, ვისგან დანერგულია, ვე ადვილი მისასვლელია. იმისგან, ვისაც უძღური „კე“ უფრო უსდება, ვიდრე ძლიერი და ძალუკლოები „ჩვენ“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

— აქედან გამომდინარე, ადამიანი აღსარებაზე არ უნდა ამბობდეს უარს იმის გამო, რომ დაკარგული აქვს ნდობა ზოგიერთი სასულიერო პირის მიმართ. შესაბამისად, ცოდვების მხოლოდ ღმერთის წინაშე აღიარებაც დაუშვებელია...

— როდესაც ადამიანი ექიმთან მიდის. მას არ აინტერესებს მისი პირადი ცხოვრება. ასევე სასულიერო პირთან მისვლის დროსაც. ყურადღება მის პიროვნულ ნაკლზე არ უნდა გავამახვილოთ, რადგან ადამიანის ღმერთისგან შეწყალება, სასულიერო პირის სიწმინდეზე არ არის დამოკიდებული. ეკლესიური სწავლებით, მონანული თვით უფლის წინაშე დგას და ღვთისმსახური მხოლოდ ღმერთთან მისი საიდუმლო საუბრის მოწმეა. ე.ი. აღმსარებელი თვით უფლისგან ღებულობს შენდობას. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უფალმა ცოდვათა მიტევების უფლება იმისთვის მიანიჭა ჩვენსავით ცოდვისკენ მიდრეკილ ადამიანებს, რომ მათთვის ცნობილია ადამიანური ბუნების უმწეობანი. ამიტომ მათ ძალუძთ გაუგონ, თანაუგრძნონ და ყურადღება გამოიჩინონ ცოდვით დაცემულთა მიმართ.

ამბობენ თუ არა აღსარებას სასულიერო პირები?

— ბუნებრივია, აღსარებას სასულიერო პირებიც ამბობენ. რადგან ღვთისმსახურს, როგორც ადამიანს, თვითონაც აქვს ცოდვები. საკუთარ ცოდვათა მიტევებას თვითონაც უფლისგან მოელის.

ვის აბარებენ აღსარებას სასულიერო პირები?

— შეიძლება მღვდელმა აღსარება სხვა მღვდლის ან ეპისკოპოსის წინაშე თქვას. ასევე შესაძლებელია, ეპისკოპოსმა აღსარება ჩააბაროს მღვდელს.

როგორ აღესრულება სინანულის საიდუმლო?

— სინანულის საიდუმლო შემდეგნაირად აღესრულება. ანალოლიაზე ასვენია ჯვარი და „სახარება“. აღსარების წინ, აღმსარებელმა უნდა შეასრულოს მეტანია (მუხლდრეკა) და ემთხვიოს ჯვარს. შემდეგ კი, მონანული იწყებს ცოდვების ჩამოთვლას. მონანულის გვერდით დგას ღვთისმსახური, რომელიც ცოდვების ჩამოთვლის შემდეგ, აღმსარებელს თავზე აფარებს ოლარს, გადასახავს ჯვარს და უკითხავს მიტევების ლოცვას.

რაზე მიგვანიშნებს ცოდვების ჩამოთვლის შემდეგ ოლარის დაფარება?

— ოლარის დაფარება მიგვანიშნებს, რომ მონანულის ცოდვები მაცხოვრის

საფარვლითაა დაფარული. ოლარი კი ქრისტეს უღელს განასახიერებს, რომელსაც აღმსარებელი ემორჩილება.

რაზე შეეხება ანალოლიაზე დასვენებულ „სახარებას“ და ჯვარს?

— „სახარება“ სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ იქ უხილავად თვითონ უფალი იესო ქრისტე იმყოფება. „სახარებით“ უფალი სინანულისკენ მოგვიწოდებს. რაც შეეხება ჯვარს, როგორც ვიცით, ჯვარი ჩვენი მხსნელია, რამეთუ უფალი იესო ქრისტე ჯვარზე ჩვენი ცოდვებისთვის ეწოდა და ჯვარცმის ტკივილები ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად დაითმინა. ამასთანავე, ჯვარი ყოველივე ბოროტებისგან გვიცავს.

როგორ უნდა მოემზადოს ადამიანი აღსარებისთვის?

— როდესაც ადამიანმა არ იცის, როგორ უნდა მიერთვას უცხო საკვები, დაუშვათ, რომელიმე ეგზოტიკური ხილი, ბუნებრივია, მისი ჭამა გაუჭირდება. ასევე გაუჭირდება ადამიანს აღსარების ჭეშმარიტად ჩაბარება, თუკი არ გააცნობიერებს, რა არის აღსარება, ანუ არ ჩასწვდება მის არსს. ამიტომ უპირველესად, ადამიანმა უნდა გააცნობიეროს სინანულის საიდუმლოს მნიშვნელობა. ამასთანავე, ის უნდა იყოს მონათლული და მტკიცედ აღიარებდეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. აღსარების წინ იკითხება სპეციალური ლოცვები აღსარებისათვის: „ლოცვაი აღსარებისაი“, „ლოცვაი წმიდისა იოანე ოქროპირისაი აღსარებისათვის ცოდვათა და სინანულისა“, „ლოცვაი წმიდისა ამონისი“, „ლოცვაი წმიდისა ევრემისი“, „ლოცვაი წმიდისა ისაკ განმორებულისა“ და „ლოცვაი წმიდისა ტიმოთესი“. გარდა ამისა, სასურველია ცოდვების წინასწარ ჩამოწერა, რათა სინანულის საიდუმლოს დროს რომელიმე ცოდვა არ დაგვაიწყდეს.

შეიძლება თუ არა, სასულიერო პირმა უარი გვითხრას აღსარებაზე?

— ადამიანმა აღსარებაზე შეიძლება უარი მიიღოს მანამ, სანამ არ გააცნობიერებს, რა არის აღსარება. რა მნიშვნელობა აქვს მას.

P.S. რა შემთხვევაში ვერ მიიღებს აღმსარებელი უფლისგან შენდობას და შეიძლება თუ არა აღსარება გვეძვეს ცოდვად? როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც გვრცხვენია ჩვენი ცოდვების აღიარება? რამდენ ხანში ერთხელ არის აუცილებელი აღსარების თქმა? აქვს თუ არა ძალა სიკვდილის წინ ნათქვამ აღსარებას? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

ბატიგოლს იტალიაში ულარ დაედგომა

„რომას“ საწვრთნელ ბაზაზე, კლუბის ტიფოზებმა გაბრიელ ბატისტუტა მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში მოაქციეს. ისინი არგენტინელ ფორვარდს არადამაკმაყოფილებელ თამაშში სდებდნენ ბრალს. „რომას“ ქომაგები განსაკუთრებით იმის გამო იყვნენ აღშფოთებულნი, რომ ბოლოსწინა ტურში მათთვის საყვარელმა გუნდმა „მილანთან“ 0:1 წააგო და იმ შეხვედრაში ბატიგოლმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავისადმი რომაელი გულშემატკივრების ამგვარი დამოკიდებულება ალბათ კიდევ უფრო დააჩქარებს იტალიიდან ბატისტუტას წასვლას, რომელსაც უკვე დიდი ხანია, რაც ინგლისისაკენ უჭირავს თვალი.



სანტა ხრუსი ხვლავ



„ბავარიაში“ დარჩება

პარაგვაის ეროვნული ნაკრების ფორვარდმა, როკე სანტა კრუსმა მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე გაავრცელა. მიუნხენელებმა იმისა, რომ პარაგვაიელ თავდამსხმელს გერმანულ კლუბთან კონტრაქტის ვადა 2004 წელს ეწურებოდა, მანაც და გუნდის ხელმძღვანელობამაც ადრევე გადაწყვიტეს ხელშეკრულების გაგრძელება. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში სანტა კრუსს ხუთი გოლი აქვს გატანილი. ორი მათგანი, სამხრეთამერიკელმა ბოლოსწინა ტურში „შტუტგარტის“ კარში გაიტანა. ის შეხვედრა მიუნხენური გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 3:0 დასრულდა. მეითხველს შევახსენებთ, რომ 21 წლის როკე სანტა კრუსი მიუნხენის „ბაიერნის“ ლისებს 1999-2000 წლების სეზონიდან იცავს. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში კი, პარაგვაიელ ფორვარდს თავის გუნდთან ერთად, მხოლოდ „გერმანიის ფრონტზე“ მოუწევს ბრძოლა, რადგან როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის არის ცნობილი, „ბავარიამ“ ჩემპიონთა ლიგაში სრული ფიასკო განიცადა და ამიტომ, მიუნხენური კლუბი ბუნდეს-ლიგაში გამარჯვების იმედზეა.

არგენტინელები ზიკს იხვევიან

ბატიგოლის გარეშე დარჩენილი არგენტინის ეროვნული ნაკრები 2003 წლისათვის ევროპაში ამხანაგური მატჩების გამართვას აპირებს. თეთრ-ცისფერმაისურიანები მარტში კიევსაც ეწვევიან და უკრაინის ნაკრებთან ჩაატარებენ მატჩს. როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის არის ცნობილი, წლევანდელ მუნდიალზე სამხრეთამერიკული გრანდის სამარცხვინო გამოსვლის მიუხედავად, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კვლავ მარსელო ბიელსა დარჩა. 20 ნოემბერს არგენტინელებმა იაპონიის ნაკრები ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. თებერვალში ისინი ჰონდურასის, მექსიკისა და აშშ-ის გუნდებს შეხვდებიან, შემდეგ პოლანდიასა და უკრაინას ეწვევიან, აპრილში კი, ლიბიის ნაკრებთანაც მოსინჯავენ ძალას.

დიუფს ბრალდება მოუხსნას

ლივერპულის პოლიციამ სენეგალის ეროვნული ნაკრების ფორვარდს, ელ ჰაჯი დიუფს ყველა ბრალდება მოუხსნა. დიუფს ბრალი იმაში ედებოდა, რომ მან 2 ნოემბერს, „ვესტ ჰემთან“ მატჩის წინ „ენფილდ როადზე“ მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრების მხარეს გადააფურთხა. ამის შემდეგ სამართალდამცავებმა სერიოზული გამოძიება ჩაატარეს და ორივე გუნდის ფანმოძრაობათა წარმომადგენლები დააკითხეს, რის შედეგადაც დარწმუნდნენ, რომ სენეგალელი თავდამსხმელის საქციელი გულშემატკივრების მიერ იყო პროვოცირებული.



ჰენტანამჯირონები ზილავ ერთი ჯილდოს მიიღებენ

ფიფას გადაწყვეტილებით, ბრაზილიისა და სენეგალის ეროვნულ ნაკრებს გუნდებს 2002 წლის მუნდიალზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით, სპეციალური პრიზები გადაეცემათ. მსოფლიო ჩემპიონები „საუკეთესო გუნდისთვის“ დაწესებულ ჯილდოს მიიღებენ. „ტყავის ბურთის ჯალოქები“ ამ ტიტულის მფლობელები შესამედ გახდებიან: ადრე ყვითელმაისურიანებს საუკეთესო გუნდისათვის ფიფას მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდო 1994 და 1999 წლებში გადაეცათ. რაც შეეხება სენეგალის ნაკრებს, მას ფიფა ყველაზე პროგრესული გუნდისათვის განკუთვნილი პრიზით დააჯილდოებს. მას შემდეგ, რაც ის კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე რვა საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდა, იგი ფიფას რეიტინგში მთელი 40 საფეხურით დაწინაურდა და 30-ე ადგილზე აღმოჩნდა. თავად ტურნირის მასპინძელი ქვეყნების – კორეისა და იაპონიის ნაკრებს გუნდებს კი, მსოფლიოს მთავარი საფეხბურთო ორგანიზაცია „სამართლიანი თამაშისათვის“ დააჯილდოებს.

მადრიდის „რეალი“ – წამყვანად სამეფო კლუბი

მოუხედავად იმისა, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონში მადრიდის „რეალი“ არასტაბილურად ასპარეზობს, სახელოვანი ესპანური კლუბი, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციის რეიტინგში მაინც პირველ ადგილზე იმყოფება. გარდა ამისა, წელს „სამეფო კლუბი“ თავისი დაარსებიდან 100 წლისთავს ზეიმობს, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ 17 დეკემბერს საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია სწორედ მადრიდში გაიმართა.



მადრიდის „რეალი“ საცხები სამართლიანად ითვლება პლანეტის უძლიერეს და ყველაზე ტიტულოვან კლუბად. იგი მსოფლიოს სხვა გრანდებს სჯავს არა მარტო თავისი ფენომენალური სპორტული მიღწევებით, არამედ უსაზღვრო პოპულარობითაც. 100-წლიანი ისტორიის განმავლობაში „რეალს“ ჰქონდა აღმასვლისა და იმედგაცრუების პერიოდებიც, თუმცა იგი ყოველთვის რჩებოდა მსოფლიოს მილიონობით გულშემატკივრის უსაყვარლეს გუნდად.

„რეალ მადრიდ კლუბ დე ფუტბოლ“ (მადრიდის სამეფო საფეხბურთო კლუბი) ოფიციალურად 1902 წლის 6 მარტს დაარსდა. მაგრამ პირველი ათი წლის მანძილზე მას მნიშვნელოვანი წარმატებისათვის არ მიუღწევია, ამიტომ ესპანურ საფეხბურთო-საკლუბო გრანდის ისტორიაზე საუბარს ჩვეულებრივ, 1912 წლიდან იწყებენ ხოლმე, როდესაც გუნდმა სათამაშო მოედნის მოსაწყობად იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი. ნაკვეთის საფასურად მისი მფლობელი იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხას – თვეში 1.000 პესეტს მოითხოვდა კლუბის ხელმძღვანელებისგან. იმავე წელს, „რეალის“ ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელი, სანტაგო ბერნაბეუ ჩაირიცხა, რომელიც შემდგომში კლუბის ყველაზე ცნობილ პრეზიდენტად იქცა. მომდევნო წლებში კი, „რეალმა“ ესპანეთის წამყვან საფეხბურთო გუნდებს შორის ადგილის დამკვიდრება შეძლო.

1920 წელს, მადრიდის „რეალის“ ისტორიაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა დაფიქსირდა: ესპანეთის მეფემ გუნდს „სამეფო კლუბის“ ტიტული მიანიჭა. იმ პერიოდში „რეალში“ თამაშობდნენ ესპანეთში ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: ტუესი, ერიკე, ეულოგიო, არანგურენი, რიკარდო ალვარესი, კასტელი.

1930 წელს „რეალმა“ ლეგენდარული რიკარდო ზამორა იმ დროისათვის ასტრონომიულ თანხად – 150 ათას პესეტად შეიძინა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას ფული ფუჭად ნამდვილად არ დაუხარჯავს. 1931-1932 წლების საფეხბურთო სეზონში „სამეფო კლუბმა“ ესპანეთის ჩემპიონატში ისე მოიპოვა გამარჯვება, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგია. 1933 წლის 6 მაისს კი, მადრიდელმა პირველად მოიგეს ესპანეთის თასი, როდესაც ფინალში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს „ვალენსია“. სამი წლის შემდეგ, „რეალმა“ კვლავ შეძლო ესპანეთის თასის მოგება. მან ფინალურ შეხვედრაში „ბარსელონას“ სძლია. ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ იმ დიდი დაპირისპირების შესახებ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის არსებობს. 1943 წლის 13 ივნისს ორ, „დაუძინებელ მტერს“ შორის პრინციპული შეხვედრა გაიმართა და სენსაციური ანგარიშით 11:1 მადრიდელთა გამარჯვებით დასრულდა. იმავე წლის 15 სექტემ-

ბერს კი, „რეალის“ პრეზიდენტის პოსტი სანტაგო ბერნაბეუმ დაიკავა, რომელმაც კლუბი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

1947 წლის 14 დეკემბერს მადრიდში სწორედ იმ დიდებული სტადიონის საზეიმო გახსნა მოეწყო, რომელიც დღეს სანტაგო ბერნაბეუს სახელს ატარებს (მისი ტევადობა 106500 ადგილს შეადგენს).

1953 წლის 27 დეკემბერს „რეალის“ შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ. საერთოდ, ის პერიოდი, როდესაც გუნდში დი სტეფანი და პუმპაში თამაშობდნენ,

ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე მონაკვეთად ითვლება „სამეფო კლუბის“ ისტორიაში. სწორედ დი სტეფანოს გუნდში მისვლის შემდეგ, „რეალმა“ კვლავ შეძლო ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება და ევროპის ჩემპიონთა თასის (ამჟამინდელი ჩემპიონთა ლიგა) პირველ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. განსაკუთრებით წარმატებული, მადრიდელი კლუბისათვის ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობა აღმოჩნდა. პირველი ხუთი სეზონის მანძილზე „რეალს“ პირველობა არავისთვის დაუთმოა და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნამდვილ ბატონ-პატრონად იქცა.

ეჭვგარეშეა – მადრიდის „რეალის“ ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე პერიოდად გასული საუკუნის 90-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ, როდესაც გუნდში მსოფლიო ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები გამოჩნდნენ, როგორებიც არიან: რედონდო, ლაუდრუპი, რაული, რობერტო კარლოსი. ცხადია, „რეალის“ შემადგენლობა ამის შემდეგაც იცვლებოდა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა არასოდეს დალატობდა ტრადიციას და ისევე, როგორც ყოველთვის, ცდილობდა, რომ ძვირად ღირებული ვარსკვლავებით გაეძლიერებინა გუნდი. სწორედ „სამეფო კლუბის“ სატრანსფერო პოლიტიკის შედეგად ის, რომ ბოლო წლებში გუნდის რიგები პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებულმა ოსტატებმა – ლუიშ ფიგუშ, ზინედინ ზიდანმა და რონალდომ შეავსეს.

1999-2000 წლების საფეხბურთო სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ვისენტე დელ ბოსკემ დაიკავა, რომელიც მაშინ თავისი სამწვრთნელო მოღვაწეობით მაინცდამაინც ცნობილი არ იყო. დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით „რეალმა“ 2000 და 2002 წლებში ჩემპიონთა ლიგა, ხოლო 2001 წელს – ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო.

სულ მადრიდის „რეალს“ 28-ჯერ აქვს მოგებული ესპანეთის ჩემპიონატი, 17-ჯერ – ქვეყნის თასი, 4-ჯერ – ესპანეთის სუპერთასი, 9-ჯერ – ევროპის ჩემპიონთა თასი (ჩემპიონთა ლიგა), 2-ჯერ – უფას თასი და სამჯერ საკონტინენტთაშორისო თასი. „სამეფო კლუბის“ წევრთა რაოდენობა 70 ათასს აჭარბებს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით კი, „რეალს“ ათეულობით მილიონი გულშემატკივარი ჰყავს.



მოელი, რომელსაც ხავშვის მოვლა ჰოლიუოზა გამოსვლას უნჩევნია



იაპონელები მიიჩნევენ, რომ რაც უფრო ვიწრო წელი აქვს ქალს, მით უფრო ბედნიერია იგი. ეს კი მხოლოდ ბავშვობაში და ისიც ნაწილობრივ თუ ამჟამად კეიტ მოსს. კომპლიმენტების ნაცვლად გოგონა იბულებული იყო, თანატოლებისგან დამცინავი კომენტარები მოესმინა, თავგანისმცემლების ნაცვლად კი, კომპლექსებს იძენდა: „რა გაქვს გულზე? უი, მაპატიე, ეს ხომ გული კი არა, ზურგია! შეხედე, მას ორივე მხარეს ზურგი აქვს!“ მის წინააღმდეგ ასეთი გამოხდომები ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა, ეს ორი წელი კი მოზარდი გოგონასათვის სრულიად აუტანელი და უსასრულო იყო. მერე კი, მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ – გოგონა მსოფლიოში სახელგანთქმული მოდელი გახდა. დიას, დიას, სწორედ ის კეიტ მოსი, რომელსაც თანატოლები საუთოო დაფის მეტსახელით მოიხსენიებდნენ და სამმა ბიჭმა ერთი და იმავე მიზეზით მიატოვა: მათი აზრით, იგი ჯოსისგან არაფრით განსხვავდებოდა და საოცრად არასექსუალური იყო.

სასოწარკვეთილი გოგონა სერიოზულად იმტკრვდა თავს იმაზე ფიქრით, ეს პრობლემა სილიკონის იმპლანტით გადაეჭრა თუ კიდევ უფრო იოლი გამოსავალი მოეძებნა და თავი ჩამოეხრჩო.

1988 წლის ზაფხულში კეიტი მშობლებთან ერთად ბაჰამის კუნძულებიდან ბრუნდებოდა; კარგად გატარებული შვებულების შემდეგ, მშობლები შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ, გოგონა – როგორც ყოველთვის, მოწყენილი. როცა ნიუ-იორკის აეროპორტში მათ ერთი ქალბატონი მიუახლოვდა, სამოდელი სააგენტოს წარმომადგენლად გაეცნო და „მომხიბვლელი ყმაწვილი გოგონა“ მოდლების კასტინგზე მიიწვია, კეიტს მოეჩვენა, რომ კვლავ მის აუჩქად

აგლებს ცდილობდნენ. მაგრამ მისგან განსხვავებით, დედაც და მამაც ღიმილით შესცქეროდნენ უცნობს და კასტინგში კეიტის მონაწილეობაზეც თანხმობა განუცხადეს. კასტინგის წინა საღამოს, კეიტი ტელევიზორს უყურებდა, მან უეცრად თვალი მოჰკრა გადაცემას ტვიგზე (60-იანი წლების სუპერმანეკნი, რომელიც სწორედ თავისი არაქალური ფორმებით გამოირჩეოდა). „აი, ეს მესმის! – გაიფიქრა კეიტმა. – მე ტვიგის მიმდევარი გავხდები და ჩემს ნაკლს ღირსებად ვაქცევ!“

ამის თქმა ბევრად უფრო იოლი იყო, ვიდრე მისი სისრულეში მოყვანა, მაგრამ ამაში კეიტს სააგენტოში გაცნობილი ფოტოგრაფები, რედაქტორები და სტილისტები დაეხმარნენ. მაგალითად, ფოტოგრაფმა – კორნი დეიმ (პირველი ფოტოოსტატი, რომელთანაც კეიტს მოუწია მუშაობა), ორი თვის ჩიჩინის შემდეგ, ძლივს დაითანხმა მოსი იმაზე, რომ კამერის წინ მისთვის საბუღალველი ღიმილი, წამახვილებული მუხ-



ლები და გულისპირზე არსებული ხალები გამოეჩინა. სააგენტო – Storm Models-ის ჩანაფიქრით, ასეთი მუხლების, ხალებისა და შემინებულ-გამომწვევი გამომეტყველების მქონე გოგონა აუცილებლად უნდა შეეძინა ვინმეს. ეს „ვინმე“ კი კელვინ კლაინი აღმოჩნდა; იგი ისეთ სახეს ებუდა, რომელიც მხილველში ვნებას კი არა, სინაზეს აღძრავდა (მას KC-ის ქვედა საცვლისა და Obsession-ის – უნივექსის პირველი არომატი – სარეკლამოდ ეძებდა).

KC-ის სარეკლამო ფოტოებზე ნახევრად შიშველი კეიტ მოსი და რუპერი – მარკი მარკი ჩახვეულები ისხდნენ. ისინი შეცივებული ბელურებით ეკვროდნენ ერთმანეთს და სიამის ტყუპის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. სარეკლამო დაფებზე განთავსებულ ამ ფოტოებს დიდი სკანდალი მოჰყვა: პურიტანებმა კლაინი პორნოგრაფიასთან ახლოს მდგომ გადაღებებში არასრულწლოვანთა გამოყენებაში დაადანაშაულეს.

კელვინ კლაინმა სწორი არჩევანი გააკეთა: მან გუშანით იგრძნო, რომ სულ მალე მსოფლიო კეიტ მოსს მიჰბაძავდა. მოსს მოდელისათვის შეუფერებელი სიმაღლე აქვს (იგი 170 სმ-ია), გამხდარია (55 კგ-ს იწონის) და არასტანდარტული პარამეტრებითაც გამოირჩევა (84-58-89), მიუხედავად ამისა (და შესაძლოა, პირიქით – ამის წყალობითაც!), იგი მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ მოდელთა ათეულში შევიდა, „ბრიტანეთის საუკეთესო მოდელი“ ტიტულიც მოიპოვა და მსოფლიოს ყველაზე ელევანტური ქალთა ათეულში მერვე ადგილი დაიკავა. ამ ბიზნესში კეიტმა 22 მილიონი დოლარიც გამოიმუშავა და ტანსაცმლის საკუთარი სტილი – სტილი „ალა კეიტი“ – შექმნა.

მოსი არასოდეს იძენს ორ ნივთზე მეტს

ერთი კოლექციიდან. მისი აღკაზმულობის ყოველი ცალკეული დეტალი სხვადასხვა ცნობილი თუ უცნობი ფორმის წარმოებისაა. კეიტის აზრით, ბრილიანტის სამკაულები განსაკუთრებით მაშინ ანათებს, როცა მინიქვედაბოლო (სასურველია გაცვეთილი) გაცვიათ. ქურთუკი (სასურველია, უხეში ქსოვილის) მისთვის საღამოს ტუალეტის მშვენიერ დანამატს წარმოადგენს. სრულიად წარმოუდგენელი შეფერილობისა და ზომის ჩანთაც ამ ტუალეტის აუცილებელი ატრიბუტია; ფეხზე კი მას სპორტული ფეხსაცმელი ან მსუბუქი, ძალზედ მოხდელი ქოში აცვია. კეიტისთვის მთავარია, საყოველთაოდ აღიარებული წესების მიხედვით ჩაცმული გოგონასავით არ გამოიყურებოდეს, რადგან მისი აზრით, წესების დასწავლა ყველას შეუძლია. აი, წვეულებაზე კეიტ მოსის მსგავსად მისვლა კი, თავად კეიტ მოსის გარდა, არავის ძალუძს. იგი მოდის ყოველგვარი წესების უგულებელყოფით მისდევს და ზედმიწევნით დახვეწილად სწორედ მაშინ გამოიყურება, როცა მისგან ამას არავენ მოეღობა.

მოსი ხელთუქმნელი მომხიბვლელობის ექსპერტადაა მიჩნეული. მას უამრავი მიმდევარიც ჰყავს. შეძლებულმა ამერიკელმა ქალბატონებმა კარგად შეითვისეს მისი შეხედულებები: ისინი არასოდეს ყოფენ ნივთებს ძვირფასად და იაფფასიანად, კლასიკურად და ავანგარდულად, უადგილოდ და შესაფერისად. ღიზინერებმაც თავის მხრივ გაითავისეს: მყდველისთვის ყველაზე მომხიბვლელი და სასურველი სწორედ ისეთი ნივთებია, როგორსაც კეიტ მოსი ატარებს. ღიზინერმა მარკ ჯაკობსმა კეიტის შესახებ სამართლიანად აღნიშნა: „მოსისათვის ტანსაცმლის ცალკეულ დეტალს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის მთავარი შეხამებაა და საოცარი ინტუიციის წყალობით, იგი შესაძლო ვარიანტებიდან, ყოველთვის საუკეთესოს ირჩევს. ალბათ, სწორედ ამიტომ, რომ კეიტი არასოდეს გამოიყურება პოდიუმზე ისე კარგად, როგორც ცხოვრებაში“.

სწორედ თავისი საოცარი ინდივიდუალობის წყალობით, იგი სერიოზულ გავლენას ახდენს თანამედროვე მოდაზე და ჯერჯერობით არავენ ჩანს ისეთი, ვინც ამ ასპარეზზე მეტოქეობას გაუწევდა მას. როგორც ამბობენ, „ვინტაჟის“ სტილის დამკვიდრება სწორედ კეიტ მოსის სახელს უკავშირდება. ეს არის სტილი, როცა თანამედროვე ქალბატონები წარსული ეპოქის სივრებიდან ამოღებული, სრულიად არაჩვეულებრივი ტანსაცმლით იმოსებიან. კეიტის თქმით, იგი ჯერ კიდევ კრიოლონში (კრიოლონი ლონდონიდან 25-ოდე კილომეტრის მოშორებით მდებარე პროვინციული, უსახური ქალაქია, სადაც კეიტ მოსი გაიზარდა) ცხოვრებისას იქცეოდა ასე, რადგან ქალაქის უნივერ-

სადაც წესიერს ვერაფერს წააწყდებოდა კაცი. „მე ხშირად დავდიოდი მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში და 50 ცენტად მთელ ტომარა ტანსაცმელს ვყიდულობდი. მერე, ყველაფერ ამას ვიზომებდი, ვირგებდი... ბოლოს კი, სრულიად წარმოუდგენელი ნივთების შეხამებას ვახერხებდი“. მოგვიანებით, ეს მას ჩვევად ექცა: იგი მოდელად გახდომის შემდეგაც, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებს სტუმრობს.

კეიტს სტილის შეგრძნების უტყუარი ალლო ყოველთვის ჰქონდა, თუმცა პირადი ცხოვრების მოწყობაში ამ ალლომ მას უმეტუნა. ამის უტყუარი მაგალითი ჯონი დეპთან რომანი გახლდათ. მოსი აღიარებს, რომ დეპი იყო ერთადერთი მამაკაცი, ვის შინაგნისკენაც იგი ტანსაცმლის შერჩევას ითვალისწინებდა: „მე უფრო ქალური სტილის სამოსს ვარჩევდი“. ეს იყო ნამდვილი სიყვარული, წვეილი ნიშნობის გამოცხადებასაც კი აპირებდა. კეიტი მზად იყო, ჯონის ყოველგვარი უცნაურობა აეტანა, მის გვერდით ყოფილიყო მედიტაციის, დეპრესიის თუ სიმოვრალის დროს, მაგრამ დეპმა ვანესა პარადი და პარიზი არჩია. კეიტს კი, მიყენებული ტკივილის გამოსყიდვის მიზნით, ძვირად ღირებული ავტომობილი უძღვნა. მოსს მისი ნაჩუქარი მანქანა არაფერში სჭირდებოდა, მას მხოლოდ ჯონის გვერდით ყოფნა სურდა... პირად ცხოვრებაში მიღებული დარტყმიდან სულ რამდენიმე დღეში, კელვინ კლანისაგან შეტყობინება მიიღო – მას კონტრაქტი აღარ განუახლებს.

კეიტ მოსმა სამოდელო ბიზნესი ხანგრძლივი დროით დატოვა. ის მართლაც ძალზედ გადაღლილი იყო. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემებიც შეექმნა, ხშირად საავადმყოფოშიც კი ხვდებოდა. ამბობდნენ, რომ კეიტი მარინუანას 12 წლის ასაკიდან ეწეოდა; ნარკოტიკების მოხმარებას კი, ჯონი დეპმა დააჩვია. ჰერონი იგი მუსიკოს ევან დანდოსთან დაახლოვა, ალკოჰოლმა კი გიტარისტს ენტონი ლენგლონთან სიახლოვისკენ უბიძგაო.

იმხანად აღარავის სჯეროდა, რომ კეიტ მოსი მდგომარეობიდან გამოვიდოდა და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, მაგრამ მან შეძლო ეს, რადგან სხვებზე ბევრად ძლიერი და ჭკვიანი აღმოჩნდა. იგი არ აპყობდა ილუზიებს, არ უოცნებია ბლოკბასტერში გადაღებაზე, მომღერლობასა თუ მილიონერის ცოლობაზე. მან საკუთარ თავს კონკრეტული ამოცანა დაუსახა... დაეწერა კინოსცენარი მარტინ მილერის წიგნის მიხედვით – „ნიუ-იორკის კეთილი ფერიები“ და ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა. „თუ გამოჩნდება მამაკაცი, რომელიც ჩემი ყველა უცნაურობისა და ნაკლის მიუხედავად შემიყვარებს, ასეთ მამაკაცს მე საჩუქარს უუძღვინ და ბავშვს გავუჩენ“, – აცხადებდა კეი-

ტი. და როცა ასეთი მამაკაცი მართლაც გამოჩნდა, მოსმა დანაპირები შეასრულა და ჟურნალ Dazed and Confused-ის 30 წლის რედაქტორს – ჯეფერსონ ჰეკს პატარა ლოლა გაუჩინა.

ორსულობას მისთვის მუშაობაში ხელი არ შეუშლია (მან ამ წლის მანძილზე 2,5 მლნ ლოლარი გამოიმუშავა) ჯერ კიდევ რამდენიმე თვის ორსული კეიტი ინგლისელი ცოცხალი კლასიკოსი მხატვრის, 80 წლის ლუსიდი ფროიდის შიშველი ნატურა გახლდათ (ამჟამად კეიტი მხატვარს საკუთარი პორტრეტის საფასურად 4 მლნ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს). მან „რიმენლის“ სარეკლამო აქციაშიც მიიღო მონაწილეობა და გამჭვირვალე შიფონის ტოპით ლონდონის ქუჩებში დაქროდა და ფოტოგრაფებსაც უდიოდა პოზირებისას.

მშობიარობის შემდეგ კეიტმა 15 კილო დაიკლო. იგი საოცრად მზრუნველი დედა აღმოჩნდა და მიჩნევს, რომ პატარა ლოლასთვის პამპერსების გამოცვლა ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე პოდიუმზე გამოსვლა. იგი ჯერ პატარა ლოლას გვერდიდან არ სცილდება და ვარაუდობს, რომ მას და ჯეფერსონს, შესაძლოა, სულ მალე, მეორე ბავშვიც შეეძინოთ.



გოგი ზრანგიშვილი

„ეს სიმღერა მეც ძალიან მომწონს, მაგრამ არა მგონია, ის ქართველ მამაკაცს მთლად შეეფერებოდეს. ჰკითხეთ ნებისმიერს — რომელი სჯობს — დოქის ტუჩი თუ ქალისა? — ორივეო, — გიპასუხებთ, თუმცა მეორეს არაფერი შეედრება, მით უმეტეს, ასეთი მანდილოსნის ამბორო ძნელად თუ დაავინყდება კაცს... სხვათა შორის, ამ ფოტოს გამო, რამდენჯერმე მისაყვედურა ჩემმა მეუღლემ, დახიეო, — მითხრა, — მაგრამ მე არ დაფანებე“, — მიაშობს ოლიმპიური თამაშებისა და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი რომბან რაშრაშა, რომელსაც 25 ნოემბერს 60 წელი შეუსრულდა.



თავად მაკოცა. უარით არც მე გამომიღვია თავი, — კარგი ქალბატონი იყო...

„როქის ტუჩი მიჩვენია ქარისას...“
მაკხამ ახა — ასეთი ქარისას...

გასასხენებელი ვეტერან ფალავანს საკმარისზე მეტი აქვს, თუმცა მე პირველ რიგში, სწორედ ამ ფოტოს ისტორია მაინტერესებს.

— 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინის მარ-დელ-პლატაში ჩატარდა, ტურნირზე ძლიერმა შემადგენლობამ მიიყარა თავი. რუმინელი პოპესკუ, იაპონელი ფუძიმოტო, თურქი ალაკოჩი სახელოვანი და ტიტულოვანი ფალავნები იყვნენ. ამასთან,

ისე მოხდა, რომ ბოლო მომენტში, წონითი კატეგორიის შეცვლა მომიხდა: ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე ვიცოდი, რომ 68 კილოგრამამდე წონაში უნდა მეჭვიდავა, არგენტინაში გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე კი გაირკვა, რომ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ ჩემს წონაში — 62 კილოგრამაში უნდა დავბრუნებულიყავი. ასე რომ, ბოლო მომენტამდე, საკუთარ წონას ვებრძოდი და ასპარეზობების დაწყებამდე ერთი დღით ადრეც, დამატებით სამი კილოგრამის დაკლება მომიხდა. სპეციალისტებმა კარგად იციან, რას ნიშნავს წონის დაკლება. ამის მიუხედავად, იმ ჩემპიონატზე მართლაც კარგად გამოვედი, შემიძლია ვთქვა, ღირსეულად მოვივე მსოფლიო ჩემპიონის მესამე ტიტული და ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედაც დამასახელეს. ამ ქალბატონის ამბორიც სწორედ მაშინ დავიმსახურე, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის შემდეგ, გამარჯვებულთა კვარცხლბეკიდან რომ ჩამოვედი. სხვათა შორის, ინიციატივა ჩემი არ ყოფილა — თავად მაკოცა. უარით არც მე გამომიღვია თავი, — კარგი ქალბატონი იყო...

— არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო თქვენთვის თუ რომელიმე სხვა ოქროს მედალი უფრო ძვირფასია?

— ყველა გამარჯვება დაუეწიყარია. ოლიმპიური ჩემპიონისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს ჯილდოები დაუღალა-

საბჭოთა კავშირის ხალხთა 1963 წლის სპარტაკიადის კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე



ვი შრომითა და ჯაფითაა მოპოვებული. ასე რომ, ყველა ეს მედალი ძალზე ძვირფასია ჩემთვის.

— რა ასაკში მიხვედით სპორტში?

— ჭიდაობა რომ დავიწყე, 15 წლისა ვიყავი. რა დასამალია და ჩემი ოჯახი ერთობ ხელმოკლედ ცხოვრობდა. სოფლიდან ჩამოსული ჭაბუკისათვის თბილისში თავის გატანა ადვილი არ იყო. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. საღამოს სკოლაში ვსწავლობდი. თან ვმუშაობდი და ვარჯიშსაც ვასწრებდი. ნათესავები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ მაინც იყო პერიოდები, როდესაც შშიერი მივიღიდი ვარჯიშზე. ვშიშობ, ბაქაიოლაში არ ჩამომართვით, მაგრამ რაც იყო, იმას გაიპობთ. ამ გაჭირვების მიუხედავად, ჩემს პირველ მწვთნელთან, ნერსეს აკოფოვთან რომ ვივარჯიშებდი, ძალუღალდ შემდეგი ჯგუფის ვარჯიშზეც ვრჩებოდი. ძალიან მინდოდა, ჩემპიონი გაემხდარიყავი, დიდი სპორტსმენი ვყოფილიყავი, მით უმეტეს, რომ პირველი წარმატებების მერე, როდესაც სპეციალისტები სერიოზულად ალაპარაკდნენ ჩემზე, ბედმა მიუხუთლა — ტრავმა მივიღე, სწორედ მაშინ თქვა ერთ-ერთმა ცნობილმა მწვთნელმა — რურუას მზე ჩაესვენაო... ამან კიდევ უფრო გამაძწარა და ისეთი შემართებით დავიწყე წვრთნა, თავდაღაც ვფიქრობდი — ვერ გაუძლებ-მეთქი.

პირველი დიდი გამარჯვება 1963 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე მოვიდა. მაშინ სპარტაკიადა საბჭოთა სპორტსმენებისთვის უმნიშვნელოვანესი ასპარეზობა იყო. მომავალი ოლიმპიური თამაშების სავზურებიც ძირითადად, იქ თამაშდებოდა. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი, სხვა რამ იყო. 60-იან წლებში საბჭოთა ნაკრებში რომან რურუასთან ერთად 62 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიო რანგის ფალავნები გამოდიოდნენ. ყველანი სხვადასხვა დროს, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ. ამ კონკურენციაში გამარჯვება პრაქტიკულად, საერთაშორისო არენაზე ჩემპიონის ტიტულის მოპოვების რეალურ განაცხადს უტოლდებოდა. სპარტაკიადის მოგების შემდეგ, ტოკიოს ხალიჩაზე მე-18 ოლიმპიურ თამაშებზე რურუას მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო, თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — ვერცხლი არგუნეს.

— ტოკიოში გადამწყვეტი, ჩემი და უნგრელი იმრე პოიაკის შეხვედრა აღმოჩნდა. მე კარგად ვიყავი მომზადებული და დარწმუნებულად ვიყავი გამარჯვებაში. არც მეტოქის ტიტულების შემწინებია — არადა, იმრე მაშინ სამგზის მსოფლიო ჩემპიონი იყო, მაგრამ ჩემი მთავარი მეტოქეები თავად უნგრელი ფალავანი კი არა, — მსაჯები აღმოჩნდნენ. პოიაკი მეოთხედ მონაწი-

ილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. წინა სამ-ში ზედიზედ მოიპოვა ვერცხლის მედლები, ოქროს კი ვერა და ვერ მისწვდა. ტოკიო მისი ბოლო შანსი იყო. როგორც ჩანს, ამან მსაჯებზეც იმოქმედა — ადამიანურად თანაუგრძობდნენ. სამჯერ გადავიყვანე ჩოქბეგენში, სამჯერვე გამექცა ხალიჩიდან, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც ვერც ერთხელ ვერ შეამჩნიეს პოიკის პასიურობა და არ გააფრთხილეს. საბოლოოდ, ფინალური ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა. იმრე პოიკამ ოლიმპიური ოქროს მედლით დაასრულა კარიერა, მე კი ვერცხლს დავჯერდი. მოგვიანებით გავიგე: ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაში სპეციალურად ნახეს ჩემი და უნგრელის შეხვედრის ამსახველი კინოფირი, რითიც საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ გამარჯვება მე მეკუთვნოდა, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა?!

— 50-იანი წლების ბოლოს, როდესაც თქვენ ჭიდაობას იწყებდით, ქართველი ჭაბუკების ოცნება ფეხბურთი იყო. თქვენ რამ „გაიძულათ“, ჭიდაობა აგერჩიათ?

— სიმართლე გითხრათ, თავიდან მეც ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ტანად პატარა ვიყავი და თანატოლები არ მაყენებდნენ სოფლის გუნდში. ერთხელ კი, ჩვენი სოფლის მეტოქეებს მოთამაშე დააკლდათ და იმათ გუნდში ვითამაშე. იმდენად მოვეწონე ორივე მხარეს, რომ შესვენების დროს დავა ატყდა — რომელ გუნდში უნდა გამეგრძელებინა თამაში. არჩევანი საბოლოოდ, ისევ მე გავაკეთე: კვლავ მეტოქეთა შორის დავრჩი. მაგრამ იმის შემდეგ, ჩემი სოფლის ნაკრების უცვლელი თავდამსხმელი გავხდი. თბილისშიც სწორედ ფეხბურთის სიყვარულით ჩამოვედი. ნამდვილი სტადიონიც მაშინ ვნახე, პირველად. სამწუხაროდ, უსამართლობასაც პირველად აქ წავაწყდი: როგორც გაირკვა, ფეხბურთელობა მართლ ჩემს სურვილზე არ ყოფილა დამოკიდებული. ამიტომაც ავირჩიე ჭიდაობა. აქ გამარჯვებასაც და წაგებასაც მხოლოდ



მისი ჭიდაობა მეიმი იყო გულშემატკივრებისათვის: იმდენად დამაჯერებლად, იმდენად აშკარა უპირატესობით იმარჯვებდა, მოწინააღმდეგეთა გაოცებასა და სპეციალისტების აღტაცებასაც კი იწვევდა

საკუთარ თავს დავაბრალედი...

რომან რურუას წაგება იშვიათად უგემა და რაც მთავარია, მისი ჭიდაობა ზეიმი იყო გულშემატკივრებისათვის: იმდენად დამაჯერებლად, იმდენად აშკარა უპირატესობით იმარჯვებდა, მოწინააღმდეგეთა გაოცებასა და სპეციალისტების აღტაცებასაც კი იწვევდა. მსოფლიო ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი რომ მოიგო აშშ-ის ქალაქ ტოლედოში, ექვსივე შეხვედრის საერთო ანგარიში 82-0 იყო ქართველი მოჭიდავის სასარგებლოდ. მეხიკოს ოლიმპიურ ხალიჩაზე შვიდეჯერ გამოვიდა ჩვენი ფალკანი და ამ ორთაბრძოლებში 60-მდე ქულა ისე აართვა მეტოქეებს, თავად მხოლოდ ორი დათმო, სტარტზე კი, ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვა წმინდად.

— სწორედ ამ წმინდა გამარჯვებების გამო იყო, რომ ტურნირის მსვლელობის დროს სადოპინგო კომისიამ რამდენჯერმე შემამოწმა. გამოცდა მომიწვევს ფინალურ ორთაბრძოლაშიც — იაპონელ ფუძიმოტოსთან. მეხიკო, მოგესხენებათ, ზღვის დონიდან 2240 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სუნთქვა ისედაც ჭირდა. აქ კი, როგორც ჩანს, დაძაბულობისაგან, სისხლი

წამსკდა ორივე ნესტოდან და ექიმებმა ტამპონები გამიკეთეს. შემდეგ კი ეს ტამპონები ლობინგკონტროლზე წაიღეს. ბოლოს, როდესაც უკვე ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე, კიდევ ერთხელ მიხმეს მედიკოსებმა. ისე მომაბეზრეს თავი, ექიმმა რომ მკითხა — ლობინგი ხომ არ მიგიღიაო? — ვუპასუხე: კი-მეთქი, — და გასაზღვლში გავიქეცი „დოპინგის“ მოსატანად. რომ დავბრუნდი, ხელში „ბორჯომის“ ბოთლი მეჭირა. ეს იყო ჩემი „დოპინგი“.

— თქვენს მდიდარ სპორტულ კარიერას ერთი საინტერესო საიდუმლო ახლავს. მიმიხვედით — ცხვირსახოცს ვგულისხმობ...

— ოო, ეს ცხვირსახოცი ჩემი თილისმა იყო — მასზე ოთხი მსოფლიო ჩემპიონის სისხლი იყო: ჩემი, იგუმენოვის, ანისიმოვის და ოლეინიკის. მასსოვს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, ფინალში იგუმენოვს წარბი ისე ძლიერ გაუსკდა, რომ ექიმებს შეეჯიბრებინა მისი მოხსნა უნდოდათ. ჩემი ცხვირსახოცი ვათხოვე და ვიქტორმაც ის შეხვედრა მოიგო... მომდევნო წელს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშები ტარდებოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მეც მოსკოვში ვემზადებოდი. ბოლო მომენტში გაირკვა, რომ გუნდის მწვრთნელებს ოლიმპიადაზე არ მიეცა. გამწარებული მამინევი თბილისში გამოვფრინდი. ცოტა ხანში მირეკავს იგუმენოვი — ცხვირსახოცი გამომიგზავნეო. რაღა თქმა უნდა, იმავე დღეს თვითმფრინავით გავეუზავენე, მაგრამ მოსკოვის აეროპორტში დაიკარგა. თავად გადავფრინდი მოსკოვში, მაგრამ ვეღარც მე მიეცა ცხვირსახოცს. თილისმა დაიკარგა, ხოლო ვიქტორმა მიუნხენში სტარტამდე ერთი დღით ადრე, ნეკნი გაიტეხა და ვეღარ იჭიდავა. მოგვიანებით რომ შევხვდი, მითხრა: რომან, ყველაფერი კანონზომიერია — ჩვენი დრო დამთავრდა და ჩვენი ცხვირსახოციც გაქრა...



დასანების იხ. „გზა“, №40-49

გოგიასთან მუშაობა ნინის სულ უფრო და უფრო უძნელდება. ერთ დღით კი ძლიერი ტკივილიც გამოაღვიძებს და მიხვდება, რომ მშობიარობა ეწყება. მაკა და ვახო ნინის საავადმყოფომდე მიაცილებენ, სადაც ის, ცოტა ხანში, ყოველგვარი ზედმეტი გართულების გარეშე იმშობიარებს.

გოგონას, რომელსაც დიტოს თმის ფერი გამოჰყვება, ნინი ნიტას დაარქმევს. საღამოს ნინის ექთანი ნითელი ვარდების უმშვენიერეს თაიფულს შემოუტანს. ნინის გული სიხარულით აეცება და ერთი წამით იმასაც კი დაიჯერებს, რომ ვარდები დიტომ გამომიგზავნაო. შემდეგ მისი ფიქრი გოგას გადასწვდება — შეიძლება, იმას გაეფასენდიო, მაგრამ, სინამდვილეში, ვარდები ბატონი ქიშის გამოგზავნილი აღმოჩნდება. დასევდიანებული ნინი მინაზე საბოლოოდ დაეშვება და მხოლოდ იმაზელა ფიქრობს, შვილი სად და როგორ გაგზარდო.

ბევრი ყოყმანისა და ვახოსთან კამათის შემდეგ, მაკა ნინის თავის სახლში ბავშვიანადაც მიიღებს, თუმცა, მკაცრად გააფრთხილებს, ბავშვის ტირილ-ჭყვიტინით ზედმეტად არ შემანუხრო.

ნინი მაკასთვის მიცემული პირობის შესრულებას ყველანაირად ცდილობს, მაგრამ სანამ ის გოგიასთან მუშაობს, კეთილი მეზობლებისა და ზოგჯერ ბედის ანაბარად მიტოვებული ნიტა, სახლს ტირილით მაინც ხშირად იკლებს და მაკას მოთმინების ფიალაც ნელ-ნელა ივსება.

მეორე საღამოს, შინ მიმავალ ნინის, ქუჩის კუთხეში ბატონი ქიშო დახვდა. ნინი მიხვდა, რომ ქიშო მას ელოდა. შემთხვევითი შეხვედრის სცენა არც ბატონ ქიშოს გაუთამაშებია:

- გამარჯობა, ნინი. მთელი საათია, გელით. მინდოდა, ჩემთან, სახლში დამეტატიყუო.
- სახლში?... - დაიბნა ნინი.
- დიახ. დედაჩემს გაგაცნობთ. თქვენი სტუმრობა ორივეს ძალიან გაგვახარებდა...
- გამაღობთ, მაგრამ... - კიდევ უფრო დაბნეულმა ნინიმ უარის თქმის საბაბს დაუწყო ძებნა, - მაგრამ, ბავშვის მარტო დატოვება არ შემიძლია.
- გოგონაც წამოიყვანეთ, - არ დაახანა ბატონმა ქიშომ, - ორივეს გვატყუებთ.
- ნინიმ უცბად წარმოიდგინა, ბავშვით ხელში ქიშო მინდელის სახლში როგორ შევიდოდა და იმასაც მამინვე მიხვდა, რომ მის ამ საქციელს ყველა ერთნაირად სწორხაზოვნად აღიქვამდა: ესე იგი, ქიშოს ცოლობას დათანხმდა.
- კარგით, - სახლში გავივლი და წამოვ-



რუსულან ბერიძე

ქალური ინსუიქია ანუ ქაიძიას თვითობი

იყვან.

- დაგელოდით? - სახე გაეპარა ქიშოს.

- თუ არ შეწუხდებით... თხუთმეტ წუთში აქ გაეჩნდები...

ნინიმ მინისკენ გამოსწია. ნიტას საწოლზე მშვიდად ეძინა. მის გვერდით, სკამზე, ჩამოქვდარი მოზუცი მეზობლის ქალიც თვლებდა. ნინიმ მეზობელი ფრთხილად შეაფხიზლა, ბავშვს ერთი-ორი საათი კიდევ მიმიხედო, სთხოვა და ქუჩაში კისრისტენით გამოვარდა...

ქიშო მინდელის სახლი, რომელიც პურის ქარხნის მახლობლად, კერძო დასახლებაში იდგა, საკმაოდ დიდი, მაგრამ ლამაზი და მყუდროც აღმოჩნდა. სახლს გარშემო მოზრდილი ბაღი ერტყა. ბატონმა ქიშომ თითრად შეღებილი ლამაზი ჭიშკარი შეაღო და ნინის გზა დაუთმო.

უცბად სახლის შესასვლელი კარი გაიღო და ზღურბლზე მაღალი და საკმაოდ მოხდენილი ხანში შესული ქალი გამოჩნდა.

- გაიცანით, ნინი, ეს დედაჩემია, - უთხრა ბატონმა ქიშომ, რომელიც დაბნეული, ხან

დელას მიაშტერდა და ხან - ნინის.

- გამარჯობა, ნინი, - წარმოთქვა ქალმა სასიამოვნო ხმით და ნინის ხელი გაუწოდა. - პაწია სადღა? ქიშომ მითხრა, რომ ბავშვთან ერთად მოხვიდოდიო...

- ნიტას ეძინა. შემეცოდა და ვერ გავალვიძე.

- მესმის, მესმის... - პირზე ღიმილი არ შორდებოდა ქიშოს დელას.

- ქიშო, შვილო, - მიუბრუნდა შემდეგ დელა შვილს, - ქარხნიდან დაგირეკეს, რაღაც დოკუმენტი დაგჩენია ხელმოუწერილი...

- დოკუმენტი?... რა დოკუმენტი? ა-ა-ა, გამახსენდა, - უცბად შუბლზე ხელი იტკიცა ქიშომ, - გამახსენდა, ერთი დოკუმენტი ნამდვილად გამომჩნა... ნინი, - მიმართა შემდეგ მან სტუმარს, - თქვენის ნებართვით, რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. იმედია, დედაჩემთან არ მოიწყენთ.

- დარდი ნუ გაქვს, მე და ნინი შენს მოსვლამდე ცოტას წავიჭორავებთ. წამოდი, შვილო, - მიუბრუნდა ქიშოს დელა ნინის და მხარზე ხელი ალერსით მოხვია, ... - ჰო,

მართლა, შეგიძლია, ჯერჯერობით, დედა თამარი დამიძახო...

ნინის სიტყვა „ჯერჯერობით“ გულში ლახვარავით მოხვდა, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია:

– თუ არ მიწყნობ, მე, მანც, ქალბატონ თამარს ვარჩევდი...

– როგორც გენებოს, ჩემო კარგო, როგორც გენებოს... სახლში შევიდეთ. ქიშოს მოსვლამდე ყავა დავლიოთ, თან სახლს დაგათვალიერებინებთ... იმედია, ყველაფერი მოგეწონებათ.

ნინის ქიშოს სახლში, მართლაც, ყველაფერი მოეწონა... თავად ქიშოს გარდა.

– ნინი, – მიმართა ქალბატონმა თამარმა სასტუმრო ოთახში მდგარ ტყავის ფართო სავარძლის კიდეზე უხერხულად ჩამოხვდარ ნინის, – თქვენთან ძალიან სერიოზული სალაპარაკო მაქვს. ვიცი, რომ ჩემს ქიშოს ძალიან უყვარხართ და ახლა თქვენი შემხედვარე, იმაშიც ვრწმუნდები, რომ არჩევანში არ შემცდარა. ის თქვენთვის და თქვენი გოგონასთვის ყველაფერს გააკეთებს. ნიტას იშვილებს. ასე რომ, თქვენს პაწიას მამაც ევოლება და ბედნიერი მომავალიც გარანტირებული ექნება. დამოჯერეთ, გავადრო და ჩემს შვილს თქვენც შეიყვარებთ... იმიტომ, რომ ძალიან კარგი ადამიანია: კეთილი, თბილი, დამთმობი... ხომ გესმის ჩემი...

– დიან... მე მესმის თქვენი... – ძლივს ამოიღულღულა ნინიმ, რომელსაც ამ კეთილგანწყობილი ქალის წინაშე თავი უკვე საშინელ დამნაშავედ წარმოედგინა. მაგრამ, რა უნდა ექნა? იმას ხომ არ ეტყოდა, თქვენი შვილის მიმართ საშინელი ფიზიკური ზიზღი მაქვსო... თან, იმასაც ხვდებოდა, რომ ქალბატონმა თამარმა ქიშო სამსახურში სპეციალურად გაისტუმრა, რათა მის მოსვლამდე, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ნინისგან თანხმობა მიეღო, რაც თავად ნინის საკმაოდ აღიზიანებდა.

– თუ ასეა, ალბათ, ყველაფერზე შევთანხმდებით...

– ჯერ ვერა... ჯერ უნდა მოვიფიქრო...

– ჩემო კარგო, განა საამისოდ საკმარისი დრო არ გქონდა?

– დიან, დრო ნამდვილად საკმარისი მქონდა, მაგრამ... მაგრამ მშობლებსაც ხომ უნდა ვკითხო რჩევა... – გამოსავალი უცბად იპოვა ნინიმ და შვებით ამოისუნთქა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მშობლებს ნამდვილად უნდა დაეკითხოთ, – დაეთანხმა ქალბატონი თამარი და ფეხზე წამოდგა: – აი, ქიშოც მოვიდა, ასე რომ, შეგვიძლია კიდევ ვივასშმოთ...

ვასშმის შემდეგ ქალბატონი თამარი ნინის ლიმონიანი ჩაით გაუმასპინძლდა. ნინი და ბატონი ქიშო ჩაის უხმოდ სვამდნენ, ლაპარაკით მხოლოდ ქალბატონი თამარი ლაპარაკობდა:

– ქიშო, შვილო, ნინი ჯერ მშობლებს უნდა მოეთათბიროს. ვფიქრობ, ეს ძალიან სწორი და კარგი საქციელია...

ბატონი ქიშო დედის სიტყვებს მხოლოდ თავის კანტურით პასუხობდა. ნინიმ დედა-შვილის უცნაურ დიალოგს ერთხანს მღუმარედ უსმინა, შემდეგ კი ფეთიანვით წამოხტა:

– დიდი ბოდიში, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, ნიტამ, ალბათ, უკვე გაიღვიძა და ტირის...

ნიტა მართლა ტირიდა. ნინიმ მისი ხმა ქუჩაშივე გაიგონა, სახლში კისრისტეხით შევარდა და ბავშვი ხელში აიტაცა. როგორც კი ნიტა დედამ გულში ჩაიკრა, ისიც მამინვე მიყურდა.

ნიტას გაჩუმება და ოთახში მაკას შემოვარდნა ერთი იყო:

– რა ქენი? დაეთანხმე?

– ვის?

– თავს ნუ იგდებ, ქიშოზე გვეკითხები.

– ქიშოს ჩემთვის არაფერი უთხოვია.

– როგორ თუ არ უთხოვია?

– როგორ და ჭრელად. ძირითადად დედამისი ლაპარაკობდა, ის კი მხოლოდ ლენჩით თავს უქნევდა.

– ლენჩი და დებილი შენ თვითონა ხარ! გოგო, ბედი კარზე მოგდგომია, თანაც, რა ბედი?! შენ თამარ მინდელის რძობას ესუძრები? იცი, რამდენი ვერ ეღირსა მაგ ბედნიერებას?

– ერთ-ერთი მათგანი შენც ხომ არა ხარ?

– ხმა ჩაიწყვიტე! – უკვილა ნინის აჭარხლებულმა მაკამ. – უკანასკნელად გაფრთხილებ: ან ქიშოს წაჰყვები, ანდა შენი ფეხი აღარ ვნახო ჩემს სახლში!

მეორე დღით საბუღალავო მისულმა ნინიმ გოგიას სამი თვის ხელფასის წინასწარ გადახდა და ერთკვირიანი შვებულება სთხოვა. გოგიას მის თავხედობაზე თევზით თვალები კინაღამ შუღლზე აუვიდა:

– გამიმეორე ერთი, რა მითხარი, რა გინდა?

– სამი თვის ხელფასი და ერთი კვირის შვებულება, – მშვიდად მიუღო ნინიმ.

– გოგო, შენ თავი ვინ გგონია?

– არავინაც არ მგონია. უბრალოდ, ერთიც უსიკვლილოდ მჭირდება და მეორეც.

– ფული გასაგებია, მაგრამ შვებულება რაღა ეშმაკად გინდა, კანარის კუნძულებზე ხომ არ მიღიხარ დასასვენებლად?

– არა, სოფელში მივდივარ, მშობლებთან.

– ისევ მშვიდად მიუღო ნინიმ.

– მანც, რომელი უფრო მოგეწონება?

– ორივე. თანაც, შეილიშვილიც ხომ უნდა ვაჩვენო...

– რას ეტყვი, ციდან ჩამომივარდაო?

– რამეს მოვიფიქრებ.

– კარგი, წადი, ოღონდ, ას ლარს და სამ დღეს გაძღვე.

– სამასი ლარი და შეიდი დღე.

– ასი.

– სამასი...

– კარგი. ჯანდაბას შენი თავი! წადი, ოღონდ, იცოდე, სამი თვე შიმშილით სულაც რომ გაგძვრეს, აღარაფერი მთხოვო.

– კარგი, არ ვთხოვ.

მეორე დღეს გოგიამ ნინის სამასი ლარი მართლაც ჩაუთვალა. ნინი მამინვე ბაზრობაზე გავარდა და თავისთვის საკმაოდ ლამაზი კაბა, ფენსაცემელი იყიდა, ამას ზედ ბავშვის ნაირ-ნაირი ჩასაცემელი და სათამაშოც დაუმატა, ყველაფერი იქვე ნაყიდ ძვირად ღირებულ ჩემოდანში ჩააწყო და შინსაკენ გასწავა.

– რა იყო, ძლიანები იშოვე? რად გინდოდა ეგეთი ძვირფასი ჩემოდანი. შენს „ტრი-აკებს“ სამეზავრო ჩანთაში ვერ ჩაყრიდი თუ რა? – შეუღრინა შინ დაბრუნებულ ნინის მაკამ.

ნინიმ ჩემოდანი გახსნა და მაკასთან ნაკვრით თავი მოიწონა.

– გოგო, სულ მთლად გამოთაყვანიდი თუ რა არის? მთელი ფული მიაფშენი, ხომ? ხომ არ გგონია, გოგია ხელფასს მეორედ გადაგიხდის?

– უკან რომ დავბრუნდები, ქიშოს ხომ ცოლად გავყვები და გოგიას ხელფასი რაღა ფეხებზე მინდა?

– შენ რომ ქიშოს ცოლად გაჰყვები, ვირი ხეზე გავა... კიდევ რაღაც მაიმუნობა ხომ არ ჩაიფიქრე? სად მიღიხარ? თბილისიდან საერთოდ ხომ არ იფანტები?

– ეგეთ საიმეოვნებას ნამდვილად ვერ მოგანიჭებ. ერთ კვირაში ისევ აქ გაჩნდები, – დაამიძა მაკა ნინიმ.

სოფლისკენ მიმავალ ავტობუსში მჯდარი ნინი მთელი გზა მშობლებთან შესახვედრად ეშხადებოდა და გულში ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მთავარია, რაც შეიძლება, ბუნებრივი ვიყო. ვეტყვი, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ქმარი ცნობილი რეჟისორია. იქნებ, სულაც გოგი გორგილაძეა-მეთქი, ვუთხრა, სად შეამოწმებენ. ერთად ვეშხაობთ-მეთქი. მასაც ძალიან უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ გადაღებები ვერ მიატოვა-მეთქი... ნიტა კი იმიტომ ჩამოვიყვანეთ, რომ მე და ჩემი ქმარი სულ გზაში ვართ – ხან სად გვაქვს გადაღებები და ხან – სად. ბავშვი ამდენი წასვლა-წამოსვლით ძალიან გაწამდა და მინდა, ცოტა დაისვენოს, თანაც, სოფლის ჰაერიც არ აწყენდა-მეთქი...“

ნინის თავისსავე ტყუილზე გულში მწარედ ელიმებოდა და ერთი სული ჰქონდა, ხმამალა აღრიალავებულიყო...

რაიონში ჩასულმა ნინიმ სოფლამდე მისასვლელად ტაქსი აიყვანა. საბედნიეროდ, ტაქსის მძღოლი ნინის არ იცნობდა და მთელი გზა ხმა არ ამოუღია, რაც მას მშობლებსთვის მოსაყოლი ზღაპრის საბოლოოდ დაწყობა-გაზეპირებაში ძალიან დაეხმარა. ამასობაში მშობლების სახლიც დაინახა და მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვა.

ნინიმ ჰაერი ერთი ღრმად ჩაისუნთქა, მან-

ქანიდან ამაყად გადმოვიდა, ნიტა გულზე სათუთად მიხუტა და ჩემოდანს დასწვდა, მაგრამ მძლოლმა არ დაანება და ჩემოდანი ეზოში თავად შეიტანა. ნინიმ მადლობა გადაუხადა და ხმაძალა დაიძახა:

– დედა, მამა, სადა ხართ?

ნინის სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სახლის კარი გაიღო და ზღურბლზე თავწაკრული დედამისი გამოჩნდა. „ეტყობა, ისევ შაკიკმა შემოუტია,“ – გაიფიქრა ნინიმ. დედას უკან მამაც მოჰყვა.

– დედა, მამა – შვილი და შვილიშვილი გესტუმრათ! თანაც, ორივენი ძალიან დავი-ღალეთ...

ცოტა ხანში ნინი უკვე გაშლილ სუფრასთან იჯდა, ორი ყბით ილუკებოდა და დედ-მამას თავის ამბებს ტყვიამურქვევით აყრიდა. ნინის მამა გულდასმით უსმენდა, დედამ კი მთელი მისი აბაღებდა ნამბობიდან მხოლოდ ერთი და მთავარი გაიგო: ჩემი ქალიშვილი გათხოვილია და უკვე ბავშვიც ჰყავსო.

– კი, მაგრამ, მე და მამაშენი იმის ღირსიც აღარ ვიყავით, რომ შენი გათხოვების ამბავი შეგეტყობინებინა? – უსაყვედურა დედამ ქადავად დავარდნილ ნინის.

– სიურპრიზის მოწყობა მინდოდა.

– მეტი ვერაფერი მოიფიქრე, ხომ? – უსაყვედურა დედამ და შვილიშვილი ნინის ოთახში გაიყვანა. ნინიც მამინვე უკან აედევნა.

ნინის თავისი ოთახი ხელუხლებლად დახვდა. ყველა ნივთი ზუსტად ისევე იქ იდგა თუ იღო, სადაც თავად დატოვა. იატაკზეც ისევ ის ძველი, ხელით ნაქსოვი ხალიჩა ეგო. ყველაფერ ამის შემხედვარე ნინის გული ყელში ისე მოებჯინა, რომ ცოტაც და დედას გულში ჩაეკვრებოდა, სიმართლეს ეტყოდა და აქედან, აღარასოდეს არსად წავიდოდა. მაგრამ ნინი გონს დროზე მოვიდა და დედას სულ სხვა რამე უთხრა:

– ნიტა ჩემს ოთახში დააძინე ხოლმე! რა...

– კარგი, შვილო, დავაძინებ, რას მეხვეწები? – გაცხებით შეხედა დედამ.

მეორე დღეს გრძელიშვილების სახლი მეზობელს ქალეხით აივსო, რომლებიც ნინის დედას ქალიშვილის გაბედნიერებას ულოცავდნენ. თუმცა, ერთი-ორმა ენამწარემ ისიც ჰკითხა: ქორწილში დედ-მამა მანც ვერ დაპატიჟეთო? – რაზეც ნინის დედას მზა პასუხი ჰქონდა: წერილი გამოუგზავნა, მაგრამ ხომ იცით აქაური ფოსტის ამბავი, ჩვენ არაფერი მიგვიღიაო. ნინის, დედის ტყვილზე გული მოეწურა.

როგორც კი ბოლო მეზობელი გაისტუმრა, ნინის დედა მამინვე ქალიშვილს ეცა:

– მეზობლები მართლები არიან, რას იფიქრებდა შენი ქმარი? მართლა ამოწყვეტილი ხომ არა ხარ, ქორწილში მე და მამაშენი მანც როგორ არ დაგვაპატიჟე?! – დედა, მე და დიტოს... – ნინი თავადაც

ვერ მიხვდა, ეს სახელი ისე წამოსცდა...

– დიტო ვინდა, ჩემს ქმარს გოგი ჰქვიაო, ასე არ მიხსარი?

– ჰო, გოგი, გიორგი ოფიციალურად, პასპორტში უწერია. ისე, შინაურები დიტოს ეძახიან. მეც ეს სახელი უფრო მომწონს...

– ჰო, კარგი, სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მე ქორწილის ამბავს გეკითხები. რატომ არ დაგვაპატიჟე-მეთქი? – გაუძეოდა ნინის დედამ.

– რა არის, იცი?.. მე და დიტომ უბრალოდ ხელი მოვაწერეთ. ქორწილს კი მერე, თქვენთან ერთად გადავიხდით...

– რას ჰქვია „მერე“? – შეიცხადა დედამ.

– ქალო, ბავშვი ნუ შეაღონე, – საუბარში ჩაერია ნინის მამა, – ხომ იცი, არტისტები ყველაფერს უკულმა აკეთებენ...

– ბავშვი ვის ჰყავს? შენი ქმარი წითურია? – საუბრის თემა უცბად შეცვალა ნინის დედამ.

– კი. დიტო ნამდვილად წითურია.

– ერთი ფოტო მაინც ჩამოგეტანა. ქორწილის სურათი მაინც არ გქონდა?

– ქალო, აკი გითხრა, ქორწილი ვერ არ გადავიხდითო? – ისევ ჩაერია საუბარში ნინის მამა. – გაიხარე, შვილი სახლში გყავს, რა დროს სიძის სურათია...

– ძალიანაც მიხარია, მაგრამ სურათი მაინც უნდა ჩამოეტანა, დაამბიბებდა თუ რა? – უკან მანც არ დაიხია დედამ.

– მართალი ხარ, დედა. მეორედ რომ ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოგეტან.

– მეორედ უქმროდ არ ჩამოხვიდე, თორემ სახლში არ შემოვიშვებ! – დაემუქრა დედა. მშობლების სახლში უზრუნველად გატარებული ამ ერთმა კვირამ წაშში გაიბრინა და ნინის გამეზავრების დროც დადგა.

– მისამართის დატოვება არ დაგავიწყდეს. ხომ უნდა ვიცოდე, სად მოგწერო ან დაგირეკო! – შეახსენა დედამ ნინის.

– დედა, იცი, რა არის?.. – ცოტათი დაიხნა ნინი, – ხომ გითხარი, მე და დიტო ხან სად ვართ და ხან – სად. მე თვითონ დაგირეკავთ... ყოველკვირა დაგირეკავთ და ფულსაც გამოგვგზავნი.

– ეგ აუცილებელი სულაც არ არის.

– რა?

– ფულზე გეუბნები, – დაუზუსტა დედამ. – რა, ჩემი შვილიშვილისთვის ლუკმა ისე ვერ მიჭმევია?

– დედი, ჩემოდანს აქ დავტოვებ და შენს ჩანთას ავიღებ, რა... – საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა ნინიმ და, რატომღაც, შალვა ბიძია გაახსენდა. მასაც ხომ ჩემოდანი დავუტოვე და ჩანთა წამოვიღეთო.

– აიღე, შვილო, რაც გინდა, ყველაფერი აიღე, – ცრემლი მოერია დედას.

– კარგი, ქალო, რას იცრემლები? მაგას სჯობია, ბავშვს ცოტა რამე გაუშხადო და დროზე გაგვიშვა რაიონში, თორემ ავტობუსმა თუ გავასწრო, მეორეს ჩამოდგომამ-

დე მთელი საათი მოგვიწევს მოცდა, – ფეხზე წამოდგა ნინის მამა.

– ახლავე, მამა, ერთხელაც დავხედავ ნიტას და წაველით, – ფეხზე წამოხტა ნინიც. ნინის ოთახში, საწოლზე ჩაძინებული ნიტა გვერდულად იწვა და გვერდით ნინის ბავშვობის დროინდელი თოჯინა ელო. ნინიმ შვილს თვალი ვეღარ მოაცილა და გული ისევ ყელში მოებჯინა. მაგრამ ამჯერადაც სწრაფად გამოერეკვა. ნიტას ბუნჩულა ლოყაზე ნახად აკოცა და ოთახის კარი ჩუმად გამოიხურა:

– მამა, მზად ვარ, წაველით.

– წაველით, შვილო, თორემ მართლა დაგვაგვიანდება.

ამის შემდეგ ნინი და მამამისი ძველისძველ მანქანაში ჩასხდნენ და რაიონისკენ გასწიეს. გზაში არც ერთს ხმა არ ამოუღია. ავტოსადგურში, დამშვიდობებისას მამამ ნინი უწინდელივით ნაჩქარევად გადაკოცნა და ხელში გახეთში გამოხვეული რაღაც ჩაუღო:

– აიღე, გამოგადგება. მთელი წელი შენთვის ვაგროვებდი, – უთხრა ბოლოს და უკანმოუხედავად გაშორდა.

ავტობუსში ნინიმ გახეთი გაშალა და ხელში ათლარიანების მოზრდილი შეკვრა შერჩა.

„მამა ყველაფერს მიხვდა, ყველაფერს...“ – გაიფიქრა ნინიმ და ლოყაზე „ობოლი“ ცრემლი ჩამოუგორდა.

სოფლიდან დაბრუნებულ ნინის მაკა კარშივე შეეფეთა.

– დაბრუნდი, ქალბატონო? ცოტა კიდევ რომ დაგვეკიანა, შენს ოთახს უკვე სხვას მივაქირავებდი, – მისვლისთანავე „დაგესლა“ მან მღვპური.

– არ მითხრა ახლა, რიგი დამიღგაო...

– რიგი მიღგას თუ არა, ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის! ზედმეტ ლაქლაქს გირჩენია, დარჩენილი ბინის ქირა გადამიხადო, – უცბად აბილპილდა მაკა.

– თუ ამომასუნთქებ, მომდევნო თვისასაც ზედ მოვაცილებ.

– ოჰო, ამდენი ფული საიდან? მშობლებს აახვი?

– აი, ეგ კი უკვე შენი ჭკუის საქმე არ არის, – უპასუხა ნინიმ. შემდეგ ჩანთა გახსნა, ფულის დასტას ამოიღო და მაკას ნახევარი თვის ქირა გადაუთვალა.

– აკი შემდეგი თვისასაც მოგცემო? – ფულის დასტას ხარბად დააშტერდა მაკა.

– შემდეგი თვისა შემდეგ იყოს. იქნებ, შენგან, საერთოდაც, გადავიღვარ? – ამ სიტყვებზე ნინიმ დარჩენილი ფული ისევ ჩანთაში შეინახა.

– სანამ გიჭირდა, ასე არ ჭიკჭიკებდი, – ხმაში ამკარა წყენა დაეტყო მაკას.

– კარგი, ჰო, გეხუმრე. აბა, სადა ვარ გადამსვლელი? ეს ფული კი ჩემი არ არის, მეზობელმა თავის შვილთან გამომატანა, –



იცრუა ნინიმ.

— მეც არ გამიკვირდა? — უცბად დამშვიდდა მაკა. — მოწივებული იქნები. წამო „კუნხაში“, ვახომ ფარში მომიტანა და კატლეტები გვაკეთე...

ნინის მართლაც გვარიანად შიოლა, ამიტომ, თავპატივი აღარ გამოუღვია და მაკას სამზარეულოში გაჰყვა. მაკამ სუფრა უცბად გააწყო და ცოტა რომ დანაყრდნენ, ნინის ნიტას ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა.

— იცი, ეგ პატარა მიმუნე როგორ მომენატრა? რომ წახვედით, აქაურობა ისე უცებ დაცარიელდა და გამოყრუვდა, რომ ნამდვილად აღარ ვიცოდი, რა მექნა... — გულახდითად გამოუტყდა ის ნინის.

— უკვე მეც მენატრება, — ამოიოხრა ნინიმ. — არ ვიცი, ნიტას გარეშე როგორ გავძლებ...

— სხვა რა გზა გექნება, უნდა გაძლო. მთლად მშობლებს ხომ ვერ დააწვები სარჩენად. ცოტა ფული შენც უნდა იშოვო. მართლა, იცი, ქიშოს ღელამ რომ გიკითხა?

— ქიშოს ღელამ? — ტანში ცივად გაცრა ნინის. — რაო, რა მინდა?

— როდის დაბრუნდებო, ჩემთვის რაღაც ამბავი აქვს ჩამოსატანიო. ჩამოუტანე?

— კი, ჩამოუტანე, — შუბლი შეიკრა ნინიმ.

— სიფათზე დაგეტყო, რომ კარგი არაფერი ჩამოგიტანია.

— ჯერ არ ვიცი, ვნახოთ... — ჩაბურტყუნა ნინიმ და სასწრაფოდ სუფრის ალაგებას შეუდგა.

— ვიცი, შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვამ, მაგრამ სანამ ქიშოს საბოლოოდ უარს ეტყოდე, მაინც დაფიქრდი... — ურჩია მაკამ და თავის ოთახში გავიდა.

მარტოდ დარჩენილი ნინი ყველანაირად ეცადა, თავი ქიშოს ცოლად წარმოედგინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „უბრალოდ, ხელი რომ დამაკაროს, მოვკვდები, ამიტომ,

ეს ამბავი გადაწყვეტილია. ქიშოს ცოლად ვერასოდეს გავყვები“, — დასკვნა მან ბოლოს და შუბლით ამოისუნთქა.

მეორე დღით ნინი გოგიას ბაზრის შესასვლელთან დახვდა. მას ვიღაც უცხო კაცი ახლდა. თუმცა, ნინის მოეჩვენა, რომ გოგიას გვერდით მეორე, ოღონდ ბევრად უფრო დაბალი და ჩამრგვალებული გოგია იდგა. ნიკო კი აღარსად ჩანდა.

— ჩამოხვედი? — ნინის დანახვაზე სახე გაბადრა გოგიას. — ძალიან კარგი, გაიცანი, ეს ჩემი ძმაა, მიხო.

ნინიმ გოგიას „ტყუპისცალს“ ხელი ჩამოართვა. შემდეგ გოგიამ ძმა გვერდზე გაიხმო, რაღაც გადაულაპარაკა და უკან მარტო მობრუნდა, თევზით დატვირთული მანქანის საჭეს თავად მიუჯდა და ნინის გვერდითა სავარძელზე ანიშნა, დაჯექო.

კარგა მანძილი ისე გაიარეს, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია. ბოლოს, ღუმილი ისევ ნინიმ დაარღვია:

— ნიკო სად არის? ხომ არ დაითხოვე? გოგია ნინის კითხვაზე უხერხულად შეიმშუმუნა, ერთი ნერვიულად ჩაახველა და დაიწყო:

— რა არის, იცი?

— ჯერ არა.

— სულსწრაფი ნუ ხარ. როცა უფროსი გელაპარაკება, პირში ნუ უვარდები, — დატუქსა გოგიამ ნინი.

— გემინია, ყელზე არ დაგადგე?

— ჩემს მტერს, ვისაც შენ ყელზე დაადგები, გაგუღვა ნაღდად არ ასცდება, — „დააიძედა“ გოგიამ ნინი.

— ჰო, კარგი, ამოშაქრე, რა მოხდა? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ნინის.

— რა არის, იცი? — დაიწყო ისევ გოგიამ და აღმაცერად გადმოხვდა, მაგრამ ნინის სიტყვა აღარ გაუწყვეტინებია. — მე და ჩემმა ძმამ ბიზნესის გაერთიანება გადავწყვიტეთ...

— რისი გაერთიანება? — გაელიმა ნინის.

— რას იკრიბები, გოგო? რა, ვითომ, ცუდი ბიზნესი მაქვს წამოწყებული თუ ზოგიერთივით ლუკმაპური მაქვს საძებნელი?... ჰოდა, მე და ჩემმა ძმამ გადავწყვიტეთ, საქმეში ერთად ჩავდეთ და მოვებაც შუაზე გავიყოთ. „რულთან“ მე დავვადები, ის კიდეც ბაზარში ივაჭრებს...

— გასაგებია, — როგორც იქნა, სათქმელს მიუხვდა ნინი. — გამოდის, რომ მე და ნიკო აღარ გვჭირდებით, ხომ?

— ეგრე გამოდის... — ძლივს ამოღერდა გოგიამ.

— მერე ამის თქმას აძენი იწილო-ბიწილო რად უნდოდა? როგორც თავად თქვი, ბიზნესი შენია, გინდა სხვას დაიქირავებ, გინდა არა. საღამოს მანქანას ჩაგაბარებ და ერთმანეთს დავეშვიდობებით, მაგრამ შენი ვალი რომ მაქვს?

— მაგაზე არ იღაროდ, როცა გექნება, მაშინ მომეცი, — დაამშვიდა ნინი გოგიამ და შემდეგ ისევ განაგრძო, — რა არის, იცი?

— კიდე რამე მოხდა?

— ახალი საქმე მინდა შემოგთავაზო.

— რა საქმეა?

— ბევრი არაფერი... ჩემი ძმის ცოლს თუ დაუდგები შოფრად?

— შენი ძმის ცოლს? ასეთი, მაინც, რა მოხელე „ნაჩალნიკია“, რომ პირადი მძღოლი დასჭირდა? — გაუკვირდა ნინის.

— „ნაჩალნიკი“ კი არა, წურბელაა, ნამდვილი წურბელა, მეორე წელაა, ჩემს საწყალ ძმას სისხლსა სწოვს... მაგრამ ისევ ჩემი ძმის ბრალია ყველაფერი. ოჯახს სიბერეში მოეკიდა, თავისზე ნამეტანი უმცროსი ქალიც მოინდომა ცოლად და აგე შედეგით: ეგ შობელმადლი ხან ალთას დაეთრევა და ხან — ბალთას, ბაღლი კიდეც კერძო ბაღში ჰყავს მიგდებული...

— ვერ გაგიგე, „შობელმადლი“ შენს ძმაზე თქვი თუ რძალზე? — აშკარად ხუმრობის ხასიათზე დადგა ნინი.

— ჰა, ახლა მთლად ნუ გაუტყე! — შეუღრინა გოგიამ. — მოკლედ, მაგ დედაკაცს ჩემმა ძმამ ფირმა მანქანა უყიდა, მაგან კიდეც ხეს არ მიაფშენა? მანქანა მანქანად მოსპო და ხელიც ზედ მიაყოლა. ნეტავ, ხელის მაგივრად კისერი მოეტეხა, ყველანი დავისვენებდით...

— ვერ ვხვდები, მძღოლი რაღაში სჭირდება, საავადმყოფოში რომ ატაროს?

— რომელ საავადმყოფოში? შენ მაგას არ იცნობ! ხელი ჯერ ბოლომდე თაბაშირშიც არ ჰქონდა ჩასმული, ჩემს ძმას „ნოლ შესტი“ წაართვა, „რულთან“ მასავით ნაგიყარი ძმისშვილი დასვა და მთელი ქალაქი შემოირბინა...

— მაინც, სად დარბის?

— აბა რა ვითხრა, ხან მალაზიებში დაეთრევა, ხან პარიკმასხერებში, ხან კიდეც, რა ჰქვია იმათა?... ჰო, „ვიჟანისტები“ თუ „ვიზანისტები“, იმათთანა, მერე დაქალებსაც ჩამოუვლის და ამასობაში, დღეც გადის... მოკლედ, „პასტაიანის შოფერი“ სჭირდება, დაუდგები?

— ჯანიც გავარდეს, დაუდგები! — გოგიას კილოზე მოუქცია ნინიმაც.

— მე მგონი, აღარ უნდა გეცინებოდეს, ისეთი ქალის ხელში იგდებ თავსა, აჰა, მისამართი, უთხარი, გოგიამ გამოგზავნათქო, — სათქმელი როგორც იქნა, დაასრულა გოგიამ.

ჯაბრანი და პიპენი ორთმანეთის პიტისპიტ


მაკლ ჯორდანი, რომელსაც მიმდინარე საკალათბურთო სეზონის სტარტზე მუხლების ტრავმის გამო არ უთამაშია „ვაშინგტონ უიზარდზის“ ძირითად შემადგენლობაში, მოედანს დაუბრუნდა და „პორტლენდთან“ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ამ შეხვედრაში „მფრინავი ჯორდანის“ მეტოქე ლეგენდარული სკოტი პიპენი იყო. როგორც კალათბურთის მოყვარულთათვის არის ცნობილი, მაიკლი და სკოტი წლების წინ „ჩიკაგო ბულზის“ ღირსებას იცავდნენ და გუნდს NBA-ს ჩემპიონობა ექვსჯერ მოაპოვებინეს... ამჟამად კი, ჯორდანი და პიპენი თავიანთი საკალათბურთო კარიერის მანძილზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც მეტოქეები. „ჩიკაგოელი ხარების“ ყოფილი ლიდერების პირადი დუელი სკოტი პიპენის გამარჯვებით დასრულდა. NBA-ს ორივე ვარსკვლავმა 14-14 ქულა



შესძინა თავ-თავის გუნდს, თუმცა პიპენმა 7 „მოსხნა“ შეასრულა, ხოლო ჯორდანმა – 5. გარდა ამისა, სკოტიმ ხუთი შედეგიანი გადაცემა განახორციელა და თანაც, მისმა გუნდმა ის შეხვედრა ანგარიშით 98:79 მოიგო. „ჯორდანი კვლავ დიდი მოთამაშეა, რასაც სტატისტიკით ვერ განსაზღვრავ. მას ხომ ჯერ კიდევ შეუძლია ისეთი რამის გაკეთება, რასაც

შემდეგ ვერავინ იმეორებს“, – განაცხადა მატჩის შემდეგ სკოტი პიპენმა „მფრინავი მაიკლის“ შესახებ, რომელიც მიმდინარე საკალათბურთო სეზონის დასრულებისთანავე აპირებს აქტიური სპორტისათვის თავის დანებებას. „სეზონის გასვლისთანავე საბოლოოდ დავტოვებ დიდ კალათბურთს, – ამბობს ჯორდანი, – ამჟამად მე უბრალოდ, მოქმედი კონტრაქტის პირობებს ვასრულებ. როდესაც სეზონი გავა, ახალ კონტრაქტს აღარ გაფაფორმებ“. მკითხველს შეგახსენებთ, რომ მაიკლ ჯორდანმა, რომელიც 2003 წლის თებერვალში 40 წლის გახდება, შარშან ორი წლით გააფორმა კონტრაქტი „ვაშინგტონ უიზარდზთან“. ხელშეკრულების თანახმად, კალათბურთის ცოცხალი ლეგენდა 2,1 მილიონ დოლარს მიიღებს. ამავე დროს, მაიკლი „ვაშინგტონ უიზარდზის“ ერთ-ერთი თანამფლობელიცაა. ■

„პიტცლონდ მლოიგზგი“ NBA-ს ყვლაგე სასელგაფეხილი გუნდია



„პორტლენდ ბლეიზერზი“ დამნაშავეთა გუნდად იქცა. ამას წინათ კლუბის ხელმძღვანელობამ ფორვარდი რუბენ პეტერსონი „პორტლენდის“ დისკრედიტაციისათვის 100 ათასი დოლარით დააჯარიმა. გარდა ამისა, „ბლეიზერზის“ თავკაცობამ NBA-ის ადმინისტრაციასა და მოთამაშეთა პროფკავშირს სთხოვა, რომ შეამოწმონ ყველა იმ კალათბურთელის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებთან ხშირად უჩნდება პრობლემები. რაც შეეხება პეტერსონს, იგი ცოტა ხნის წინ, მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც მისმა ცოლმა „დახმარების სამსახურში“ დარეკა და განაცხადა, რომ საოჯახო კამათისას მეუღლემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცხადა. პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, მისი პეტერსონს

სხეულზე მართლაც აღმოაჩნდა ძალადობის შედეგად მიღებული უზნიშნელო დაზიანებები. როგორც გამოირკვა, ინციდენტის დროს, ცოლ-ქმარ პეტერსონების გარდა, მათ სახლში ორი ბავშვიც იმყოფებოდა, რაც ორეგონის შტატის კანონმდებლობით კიდევ უფრო ამძიმებს „პორტლენდ ბლეიზერზის“ ფორვარდის დანაშაულს. სხვათა შორის, მეორე დღეს, რუბენის მეუღლემ, შერონ პეტერსონმა საჯაროდ განაცხადა, რომ მან პოლიციაში აღვლევების გამო დარეკა და ახლა ძალიან წუხს, საქმე ესოდენ სერიოზულად რომ შემობრუნდა. მიუხედავად ამისა, რუბენ პეტერსონი პოლიციამ მაინც დააკავა და შტატის საოლქო ციხეში უკრა თავი, საიდანაც ცოლზე მოძალადე კალათბურთელი მხოლოდ თანაგუნდელ დერეკ ანდერსონის მიერ გირაოს სახით 1.000 დოლარის შეტანის შემდეგ გაათავისუფლეს.

ცოტა ხნის წინ, ამერიკელი სამართალდამცავების მხედველობის არეში მოხვდა „ბლეიზერზის“ კიდევ ორი მოთამაშე – რამიდ უოლესი და დეიმონ სტაუდმაიერი, რომლებსაც მანქანებში ნარკოტიკები აღმოუჩინეს. სტაუდმაიერი მარბუანის მოხმარებისათვის ადრეც დაუკავებიათ: მასინ „პორტლენდის“ წევრი ნარკოტიკული ნივთიერების შინ შენახვაში აშხილეს.

სამართალდამცავ სტრუქტურებთან პრობ-

ლემები წარსულში რუბენ პეტერსონსაც შეჰქმნია. მას 2001 წელს გაუპატიურების მცდელობაში ედებოდა ბრალი და ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ „პორტლენდ ბლეიზერზის“ ნიჭიერი ფორვარდი საკმაოდ ხანგრძლივი ხნით ციხეში აღმოჩენილიყო, მაგრამ მოულოდნელად, სასამართლომ ბრალდებულისათვის მხოლოდ 15-დღიანი შინაპატიმრობის მისჯა გადაწყვიტა. NBA-ს ხელმძღვანელობამ კი, თავსებულალებული პეტერსონი საკალათბურთო სეზონის სტარტზე ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

გასულ საკალათბურთო სეზონში, „ბლეიზერზის“ მოთამაშე ბონზი უელსი და მისი ყოფილი თანაკლუბელი, ერიკ ბარკლი პორტლენდის პოლიციამ ქალაქის ცენტრში წამოწყებული ჩხუბისთვის დააჯარიმა. ჯარიმის ვერ გადაურჩა ახალგაზრდა თავდამსხმელი, ზაკ რენდოლფიც, რომელიც ალკოჰოლის მოხმარებისათვის დააკავეს (როგორც ცნობილია, აშშ-ის ზოგიერთ შტატში 21 წლამდე ახალგაზრდებს ალკოჰოლური სასმელების დაღვევა ეკრძალებათ).

... დაბოლოს, „პორტლენდ ბლეიზერზის“ ლიდერი, რამიდ უოლესი, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიღებული ტექნიკური შენიშვნების მხრივ, NBA-ში პირველ ადგილს არავის უთმობს. ■

„ფორმულა-1“-ის ყველაზე ახალგაზრდა პილოტი

ესპანურ ტრასაზე გამართულ ტესტში ერთგვარი რეკორდი დაამყარა ფინელი მსოფლიო ჩემპიონის, კეკე როსბერგის 17 წლის ვაჟიშვილმა, ნიკო როსბერგმა. იგი ყველაზე ახალგაზრდა პილოტი, რომელიც „ფორმულა-1“-ის კლასის ავტომობილის საჭეს მიუვდა. მრბოლელმა BMW-Williams FW24-ით 38-ჯერ შემოუარა ავტოდრომს და ფინიშთან მერვე მივიდა. „ეს არაჩვეულებრივი იყო. ამერიიდან მე სხვა ტიპის ავტომობილების საჭესთან ვეღარ დავვადე, – ამბობს ნიკო როსბერგი, – ყველაფერი ისე სწრაფად ხდებოდა, რომ არარეალურად მეჩვენებოდა. მამაჩემმა მიჩნია, რომ ძალიან სწრაფად არ მეველო და პირველი რბოლიდან სიამოვნება მიძელო. ვფიქრობ, ეს შესანიშნავად გამომივიდა“. ახალგაზრდა ფინელმა მას შემდეგ მოიპოვა „ფორმულა-1“-ის ბოლიდზე დაჯდომის უფლება, რაც „ფორმულა BMW ADAC“-ის ჩემპიონატში გაიმარჯვა. სულ კი, როსბერგ-უმცროსს თავისი სარბოლო კარიერის მანძილზე, 20 შეჯიბრებაში, 9 გამარჯვება აქვს მოპოვებული.



კულტპარდის ესპანური ბრუნვა



McLaren-Mercedes-ის პილოტმა, დევიდ კულტპარდმა კატალონიის ავტოდრომზე რეკორდი დაამყარა. შოტლანდიელმა ეს მანძილი წუთსა და 15,674 წამში დაფარა. ესპანურ ავტოდრომზე ჩატარებულ ტესტში, მეორე ფინიშთან BMW-Williams-ის მრბოლელი ზუან-პაბლო მონტია მივიდა, ხოლო მესამე – Jaguar-ის ახალბედა პილოტი, ბრაზილიელი ანტონიო პიცინია.

რაც შეეხება, კატალონიურ ავტოდრომზე კულტპარდის ნაჩვენებ შედეგს – დღემდე ასეთი შედეგი არავის დაუფიქსირებია.

Arrows-ი „ფორმულა-1“-ს გამთავალდა

„ფორმულა-1“-ის 2003 წლის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა ათამდე შემცირდა. ცოტა ხნის წინ ყველაზე პრესტიჟულ ავტოსარბოლო ტურნირში მონაწილეობა რიგს Arrows-ი გამოაკლდა, რომელმაც ფინანსური პრობლემების გამო „ფორმულა-1“-ის წლებანდელი ჩემპიონატის ბოლო შვიდი რბოლიდან, მხოლოდ ერთში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, გუნდმა 2003 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი მაინც გამოთქვა, მაგრამ FIA-ს ხელმძღვანელობამ მას ამაზე უარი განუცხადა, თუმცა Arrows-ს მაინც აქვს მომავალი სეზონის რბოლებში მონაწილეობის შანსი. ამისთვის საჯინბომ FIA-ს 48 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს. აღსანიშნავია, რომ Arrows-ის ბოსი, ტომ უოკინ-შოუ ბოლო თვეების მანძილზე გუნდის გაყიდვას აპირებდა და ერთ-ერთი გერმანული კომპანიის ყურადღებას მიიპყრო, რომელსაც არაბეთის გაერთიანებული სამეფოებიდან აფინანსებენ.



ძმები კლიჩუკი ტოტო და ტოტო მეფე მთავალბრძანის ხსენებენ

როგორც კრივის მოყვარულებისათვის არის ცნობილი, ცოტა ხნის წინ, ვიტალი კლიჩუკომ ლარი დონალდი დაამარცხა. მოგვიანებით კი, მისმა უმცროსმა ძმამ, ვლადიმერმა ლას-ვეგასში 119-კილოგრამიან ამერიკელ ჯამილ მაკლანის სძლია და WBO-ს (მსოფლიო კრივის ორგანიზაცია) ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. ამ გამარჯვებების შემდეგ, უკრაინელი ძმების პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა ჰამბურგში, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან და მომავალი ორთაბრძოლებისათვის ემზადებიან. გერმანელები ამყობენ იმით, რომ ვიტალიმ და ვლადიმერმა პროფესიონალურ კრივში ევროპას კვლავ დაუბრუნეს ლიდერობა. უკვე გადაწყვეტილია, რომ მარტში კლიჩუკო-უფროსი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ინგლისელ ლენოქს ლუისთან გამართავს ორთაბრძოლას. ამასთან, გერმანიაში უკვე ძმებს შორის მატჩის მოწყობის თაობაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა თავად უკრაინელი მძიმეწონოსნები ამას კატეგორიულად გამორიცხავენ. „შემიძლია საჯაროდ განაცხადო, რომ ვლადიმერი და მე რინგზე ერთმანეთს არასოდეს შევხვდებით! რა თანხაზეც არ უნდა იყოს საუბარი, – ამბობს ვიტალი კლიჩუკო, – და იცით, რატომ? იმიტომ რომ ამის გამო დედას შეიძლება გული შეუღონდეს“. ამასობაში კი, მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისში ლენოქს ლუისთან მარცხგანცდილი მაიკ ტაისონი ვლადიმერ კლიჩუკოსთან შეხვედრაზე ოცნებობს. „თუ ვაჟაკობა გეყოფა, დამირეკე...“ – ასეთი განცხადებით მიმართა „რკინის მაიკმა“ ცოტა ხნის წინ კლიჩუკო-უმცროსს, რომელსაც ვაჟაკობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა ნამდვილად არ აკლია. სხვათა შორის, ვლადიმერ კლიჩუკოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს თავად ლეგენდარული ჯორჯ ფორმენი, რომელიც უკვე სუთი წელია, რაც ერთ-ერთი ტელეარხის საკრივო კომენტატორად მუშაობს. „ვლადიმერმა დაამტკიცა, რომ იგი დიდი მოკრივეა, – ამბობს ფორმენი, – მას მრავალი წლის განმავლობაში შეუძლია სუპერმძიმე წონისან მოკრივეთა დივიზიონში ლიდერად ყოფნა. ვლადიმერს დიდი პოტენციალი აქვს და შეიძლება შემდეგი ჩემპიონი გახდეს რომელსაც ყველა ელოდება“.

Opel Astra-ს სპორტული

ვაჩიანტი



რითაა საზგასმული, არსებითად კი – 200 ცხ.მ-იანი ბენზინის ძრავით, რომელიც მანქანას, 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,5 წმ-ში განავითარებინებს და 240 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს უზრუნველყოფს. ახალი „ასტრა“ საკმაოდ შთამბეჭდავი კომპლექტაციით იპყრობს ყურადღებას: მას უსაფრთხოების 6 ბალიში აქვს, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემითა და 17-დუიმიანი საბორბლე დისკებითაა აღჭურვილი; სალონში ავტომოყვარულს, ცნობილი ფირმის – Recaro-ს მიერ დამზადებული სავარძლები, კლიმატ-კონტროლიანი კონდიციონერი, ბორტ-კომპიუტერი, კომპაქტ-დისკიანი ფირსაკრავი და მინების ელექტროამწეები დასვდება. OPC-ის ხელმძღვანელი ფოლკერ შტრიცეკი დარწმუნებულია, რომ სატიუნინგო „ასტრას“ დიდი წარმატება ელის ავტობაზარზე. მას ამის საფუძველი ნამდვილად აქვს, რადგან ამ ქვედანაყოფის მიერ წარმოებული მოდელები მართლაც კარგად საღდება. მაგალითად, წლეწადელი წლის 10 თვის მანძილზე Opel Zafira OPC-ის მარკის 8500 კომპაქტური მინი-ვენე გაიყიდა.

ამერიკულ კორპორაცია „ჯენერალ მოტორსში“ სტრუქტურულ ქვედანაყოფად შემაჯავლი გერმანული კომპანია „ოპელი“ წარმოებისთვის ამზადებს კომპაქტური მოდელის – Astra-ს სპორტულ ვერსიას. ავტომობილი შექმნილია „ოპელის“ სპეციალურ ქვედანაყოფში – OPC-ში (Opel Performance Center), რომელიც სპორტულ და სატიუნინგო მოდელებზე მუშაობს. ამკარაა, რომ Opel Astra OPC-ი, ახლანდელი მოდელის ბოლო, მოდერნიზებული ვარი-

ანტია: ზოგიერთმა გერმანულმა საავტომობილო გამოცემამ უკვე ამცნო თავის მკითხველებს, რომ ქალაქ რიუსელსხაიმში, სადაც კომპანიის შტაბბინა მდებარეობს, პრაქტიკულად მზადაა ახალი „ასტრა“, რომელიც დაახლოებით ერთ წელიწადში გამოჩნდება ავტობაზარზე.

„ოპელი“ ამ მანქანის ორ ვარიანტს გამოუშვებს – სამკარიანს და უნივერსალს (Caravan-ს). გარეგნულად მისი სპორტული ხასიათი უკანა სპოილე-

Lupo-ზე განხილვები ექსპერიმენტები

Volkswagen Lupo-ს ოჯახის ყველაზე მინიატურულ ავტომობილს საკმაოდ მძიმე ხვედრი ერგო. ერთი მხრივ, ამ მანქანამ ეკონომიურობის თავისებური რეკორდი დაამყარა: ღიზელის „ლუპოს“ 100 კმ გარბენზე სულ რაღაც 3 ლ საწვავი სჭირდება. უკვე 3 წელია, ის გერმანული ინსტიტუტის Oeko-Trend-ის მიერ მოწოდებულ კონკურსში იმარჯვებს, რომელშიც გადაწყვეტი მნიშვნელოვანი ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: გამონახოლქვის ტოქსიკურობა, ძრავას ხმაური და იმ მასალების მეორადობის ხარისხი, რომლისგანაც დამზადებულია ავტომობილი. მაგრამ მეორე მხრივ, „ლუპო“ საკმაოდ ძნელად საღდება. რეალიზაციით მას შესაძინებლად სვანის მისი ესპანური „ტყუპისცალი“ – Seat Arosa, რომელიც იმავე პლატფორმაზეა აგებული. სწორედ ამიტომ, „ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 2005 წლიდან წარმოებიდან მოხსნას ეს მოდელი და POLO-ს დამოკლებული ვარიანტით შეცვალოს „ლუპო“. მანამდე კი, „ნამცეცა“ თავისებურ ექსპერიმენტულ ლაბორატორიად იქცევა: მის ბაზაზე კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს სიმპათიური



ავტომობილი, რომლის კარებიც ზემოთ გაიღება. როგორც ვარაუდობენ, ამ მოდელს შეზღუდული რაოდენობით აწარმოებენ, რაც შეეხება ფასს – 20.000 ევრომდე ეღირება. ახლა ინჟინრები კარის კონსტრუქციაზე მუშაობენ. მათი მიზანია,

დააპროექტონ კომბინირებული კარი – ე.ი. ისეთი, რომელიც ზემოთაც გაიღება და გვერდულადაც. ეს იმთავითაა განპირობებული, რომ ევროპაში გავრცელებული ავტოფარეხების ძირითადი ნაწილის სიმაღლე 2 მ-ს არ აღემატება.

Skoda-ს ახალი ავტომობილები



ავრეგატივად აღიჭურვება. ეს ძრავა მეტი ეკონომიურობით გამოირჩევა: 100 კმ-ზე საშუალოდ, 5,6 ლ საწვავს ხარჯავს. გერმანელი დილერები ამ მოდელს – Superb TDI-ს 23.090 ევროდ აფასებენ.

კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს მოდელ Octavia-ს უნივერსალის ბაზაზე აგებული სპორტული ვარიანტი – Combi

RS-ი. მას 180-მალთან ავრეგატს ჩაუდგამენ, რომელმაც საუკეთესო გამოცდა გაიარა სედანზე Octavia RS-ი. ამ მოდელის მაქსიმალური სიჩქარე 231 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, ის 8 წმ-ში ავითარებს. სპორტული უნივერსალი Superb-ზე ცოტა ძვირია – მისი ფასი 25.560 ევროს აღწევს.

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში სტრუქტურულად შემაჯალმა ჩეხურმა კომპანია „შკოდამ“ ძრავათა პალიტრა გააფართოვა. მაგალითად, კომპაქტური ავტომობილის – Skoda Fabia-ს საბაზო ვერსია ახლა 3-ცილინდრიანი, 1,2 ლ საშუალო მოცულობის ავრეგატივით აღიჭურვება, რომელიც 54 ცხ.ძ-ს განავითარებს. ეს მანქანა უპირველესად, ევროპის იმ ქალაქებისთვისაა გამიზნული, რომელიც მეტისმეტად ინტენსიური მოძრაობით არ გამოირჩევა. თუმცა, 3-ცილინდრიანი ძრავითი აღჭურვილი „ფაბია“ საკმაოდ დინამიკური მანქანაცაა და ეკონომიურიც: ყოველ 100 კმ-ზე სულ 6 ლ საწვავს ხარჯავს. მის საბაზო კომპლექტაციაში შედის: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები, საჭის გამძლიერებული, სიმალლეში რეგულირებადი სავარძლები და საჭე.

გერმანიაში ამ კომპლექტაციის „ფაბია“ 10.790 ევრო ელირება. ბიზნეს-კლასის სედანი Skoda Superb-ი, დასახელებულის გარდა, 100 ცხ.ძ-იანი დიზელის

VW Touran-ის იშვიათი დეტალები

გერმანულმა კონცერნმა „ფოლკსვაგენმა“ თავისი ახალი პროდუქტის – „გოლფის“ ბაზაზე შექმნილი კომპაქტური ვენის – Touran-ის ტექნიკური თავისებურებების შესახებ ამცნო საავტომობილო სამყაროს. ძირითად კომპლექტაციაში ავტომობილი ხუთადგილიანი იქნება, მაგრამ მყიდველის სურვილით, მასში დამატებითი სავარძლები შეიძლება ჩაიდგას; ასეთ შემთხვევაში, დასაჯდომი ადგილების

რაოდენობა შეიძლება გაიზარდება. თვით სავარძლები 16-16 კგ-ს იწონის, ადვილად იკეცება და მანქანის ძირზე თავსდება. გარდა ამისა, Touran-ში უამრავი უჯრა და თაროა (მათი საერთო რაოდენობა 39-ს აღწევს); ისინი წინა სავარძლების წინ, ჭერსა და ყველა კარზეა განთავსებული. საბარგულის მოცულობა ხუთადგილიან ვარიანტში 695 ლ-ს აღწევს. შეიდადგილიანში კი – სულ 121-ს, მა-


გრამ უკანა სავარძლების ორივე რიგის დაკეცვის შემთხვევაში, ის 1913 ლ-მდე გაიზარდება. ეს მაჩვენებელი გაცილებით უკეთესია, ვიდრე Touran-ის კონკურენტებისა: Opel Safira-ს საბარგული შესაბამისად, 550-სა და 1700 ლ-ს შეადგენს, Renault Scenic-ისა – 410-სა და 1800-ს. რაც შეეხება ძრავებს – ახალი „ფოლკსვაგენი“ ერთი ბენზინის 1,6 ლ (115 ცხ.ძ.) და ორი დიზელის – 1,9 ლ (100 ცხ.ძ.) და 2,0 ლ (136 ცხ.ძ.) მოცულობის ავრეგატივით იქნება აღჭურვილი.

წნევა აონტხოცზე იქნება აყვანილი

2003 წლის პირველი იანვრიდან, ყველა ახალ ავტომანქანას, რომელიც აშშ-ის ტერიტორიაზე გაიყიდება, აუცილებლად უნდა ახლდეს საბურავის წნევის კონტროლის სისტემა – ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ამერიკელმა კანონმდებლებმა, რადგან საგანგებოდ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსუბუქი მანქანების 27%-ს და ყველაგანმავლების 33%-ს ნორმასთან შედარებით გაცილებით ნაკლებად აქვს დაბერილი საბურავები, რაც ავტოავარიების საფრთხეს ზრდის.

ახალმა კანონმა უმაღლესი ვადა კონკურენცია წნევის კონტროლის სისტემების მწარმოებელ ფირმებს შორის, რაც სავსებით

გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკაში ყოველწლიურად, 17 მლნ ახალი ავტომობილი იყიდება. ამჟამად ქვეყანაში ორი ტიპის ხელსაწყო იყენებენ: ერთ-ერთი მათგანი, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემის მეშვეობით მოქმედებს და ნორმიდან მხოლოდ საგრძნობი – დაახლოებით 30%-იანი გადახვევის დაფიქსირება ძალუძს; მეორე, უშუალოდ წნევას ზომავს და უმნიშვნელო ცვლილებასაც აფიქსირებს. სწორედ ამ ხელსაწყოთი დაიწვეს BMW-ს სერიული მოდელების – M3-ისა და Mini-ს აღჭურვა.



კატსუნტუხუ ზგსრლუტუხნად გათიშულნი ტიტანისტი უნენგინას ვრუხუნტალუხნად ხდნიღმუნს

ნათია თენიეშვილი

თემურ ყვითელაშვილი ერთადერთი გიტარისტი საქართველოში, რომელმაც სოლო კონცერტი გამართა 1998 წელს. ოთხნობიანი პაუზის შემდეგ კი, ფილარმონიაში შეკრებილი მუსიკის მოყვარულები კიდევ ერთხელ გახდნენ მისი საუცხოო საშემსრულებლო ხელოვნების თანაზიარნი. ბატონი თემური ერთნაირად ოსტატურად უკრავს სხვადასხვა მიმდინარეობის მუსიკას. მისი სახელი შეტანილია ორ ენციკლოპედიაში. გამოშვებული აქვს ოთხი სოლო ალბომი. უკანასკნელი — „მე საქართველოდან ვარ“ მოსკოვში ჩანერა და იანვრის ბოლოს გაიყიდება თბილისში.

თემურ ყვითელაშვილი თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო გიტარისტადაა აღიარებული. მსოფლიოში სახელგანთქმულმა გიტარის გამაძლიერებლების ფორმა „ენგელმა“ ის თავის სარეკლამო სახელ აირჩია. მას სიმბოთი ამრავებს



ფორმა „დადარი“, რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ სიმებს აწარმოებს. თემურ ყვითელაშვილი უკრავს „ჯიფსონის“ ფორმის გიტარაზე, რომელიც 1994 წელს გადასცეს ამერიკაში — გიტარის აკადემიის კონკურსზე პირველი ადგილის დაკავების შედეგად. არ უყვარს კონკურსები, რადგან მიაჩნია, რომ ნამდვილ ხელოვნებას ეს არ სჭირდება. „მთავარი არის ღონე“ — ამბობს ის. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მუსიკის თანხლების გარეშე წარიმართა, მაგრამ მთელი საუბრის განმავლობაში ბატონი თემური თითებს ისე ამოძრავებდა, თითქოს გიტარაზე უკრავდა...

— როგორც მეუბნებიან, მაშინაც კი, როცა ძალიან პატარა ვიყავი, მუსიკაზე სწორად ვრეაგირებდი. ჩემს დას მუსიკალური ათწლედი აქვს დამთავრებული, ჩემი ძმა უკრავდა გიტარაზე. ინტერესი აქედან გამომდინარეობდა. დანარჩენი, რაც დღემდე ხდება, დამოუკიდებლად გავაკეთე და მივალწვი. მე არსად მისწავლია მუსიკა და არასდროს მყოფილა პედაგოგი. ყველაფერს საკუთარი შრომით და არანორმალური სიყვარულით მივალწვი. თან იმ პერიოდში არ იყო არანაირი ინფორმაცია. რაც მე მინტერესებდა, ის საერთოდ აკრძალული იყო. ჩემით ვსწავლობდი რა-

დაცას. ეს ველოსიპედის ხელმეორედ გამოგონებას ჰგავდა, რაც თავისთავად არასწორია. მაგრამ ყველაფერი, რაც ვისწავლე, სწორი ანალიზის შედეგად მოხდა. ყველა ის ნაწარმოები, რასაც ვუკრავ „არავიტარულია“. ჩემთვის სწავლა რთული იმიტომაც იყო, რომ ვუკრავ ყველა სტილის მუსიკას. არიან გიტარისტები, რომლებიც ერთი მიმდინარეობის მუსიკას ასრულებენ. ეს მათი საქმეა. მე თავიდანვე ყველა მიმდინარეობა მინტერესებდა — ჯაზიც, როკიც, კლასიკაც და ა.შ. ამიტომ დამჭირდა ძალიან ბევრი შრომა.

— ე.ი. იმთავითვე რთული ამოცანები დაგისახავთ.

— დიახ, ყველაფერი, რასაც ვუკრავ, ჩემი, საკუთარი ინტერპრეტაციით გაკეთებული კომპოზიციებია. ვოკალური სიმერის გადატანა არც ისე ადვილია გიტარაზე. როცა „ავე მარაის“ ვამზადებდი, ბევრი, ეჭვის თვალთ მიყურებდა. რა გამოვა? ეს ზომ ძალზედ მღორე ინტონაციის ნაწარმოებია! ზოგს ჰგონია, რომ ტექნიკა სისწრაფეშია, მაგრამ შეიძლება, ერთი ნოტი აიღო და ამაშიც გამოჩნდეს პროფესიონალიზმი და ოსტატობა. ქართული ნაწარმოებები გიტარაზე პირველად მე დაუკარი 1977 წელს. ესეც საკმაოდ რთული იყო. აქ არ არსებობს დაწერილი წესი და კანონი. ვერავინ გასწავლის, — როგორ უნდა დაუკრა. ყველაფერი დიდი შრომის, დაუკმაყოფილებლობის გრძნობისა და საქმისადმი გულწრფელი დამოკიდებულების შედეგია. არასდროს მიფიქრია — რაღაცას მივალწვი და მაგარი ვარმეთქი. მე დღესაც ვსწავლობ.

— ბავშვობიდან მუსიკით ხართ დაკავებული. მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ ამაზე?

— სკოლაში „ოროსანი“ ვიყავი. ჩემი დამა ფრიალსანი იყო, წითელი ღიპლომზე დამითავრეს უმაღლესი. მე კიდევ, არანორმალურად ცუდი, მოუწესიერებელი მოსწავლე ვახლდით. გატაცებული ვიყავი ფეხბურთით და ქუჩით. ბევრჯერ მრიცხავდნენ სკოლიდან და ინტერნატში ჩემს გადაყვანაზეც კი იყო ლაპარაკი, მაგრამ გავიდა წლები და სკოლაში გაიმართა საღამო — „ჩვენი სახელოვანი კურსდამთავრებულები“, რომელზეც პრეზიდენტში პირველი ვიჯექი. ის აღამიანები, ვინც ყველაზე მეტად მეჩხუბებოდნენ და „ორიანებს“ მიწერდნენ, მეუბნებოდნენ: ხედავ, თემურ, როგორ გამოვადგა ჩვენი გაკიცხვაო?.. მამაჩემი ძალიან განიცდიდა ყველაფერ ამას. ერთხელ გიტარაც დამიბტვრია, სულ ნაკუწებად მიქცია. მაშინ ძალიან გვიჭირდა მატერიალურად. დედაჩემი ამომიღვა მხარში და მიყიდა უბრალო გიტარა. მეც გავაგრძელე მეცადინეობა. მერე გაჩნდა უამრავი, ე.წ. თვით-



შემოქმედებითი კოლექტივი. 15 წლისა, უკვე სწავლასხვა ინსტიტუტის ჯგუფში ვუკრავდი. მერე პუშკინის (ახლანდელ სულხან საბა ორბელიანის) ინსტიტუტში ჩავიციე — ისტორიულ ფაკულტეტზე. მერე გამრიცხეს ამ ინსტიტუტიდან...

— რატომ? იქაც არ სწავლობდი?

— ვერ გეტყვით, სწავლით თავს ვიკლავდი-მეთქი, მაგრამ აუცილებელ მინიმუმს ვაკეთებდი. არ დამიწერა ერთმა ვაი-ლექტორმა ჩათვლა იმიტომ, რომ ფული არ მივეცი, არც იმის მიწის ნაკვეთში ვიმუშავე და არც ერთი კილო ვაშლი არ მიყიდა მისთვის. ასეთი სულმდაბალი ადამიანი იყო. ამ პერიოდში უკვე ვუკრავდი ანსამბლ „დილოში“, მერე იყო „ორერა“, „ნატერის ხე“, „ივერია“. ამას სოლო კარიერის პარალელურად ვახერხებდი.

— როგორ ფიქრობთ — რა არის თქვენი წარმატების ძირითადი მიზეზი?

— მთავარი, რასაც მივალწი, არის ვიტარაზე ხელის დაყენება. მე ჩემი მიდგომა მაქვს იმისადმი, თუ როგორ უნდა დადოთ თითი ვიტარაზე. რამდენი ადამიანიც არის, იმდენი ხელის ფორმა არსებობს. ყურნალმა „ინაუტმა“ ჩემზე დაწერილი სტატია ასე დასასათაურა: ღერ ბლ/ნ ჯნ გვკმწლტ ფ ვეპსრფ ჯნ ლეიბზ სწორია. იმიტომ, რომ ხმა მართლაც ხელიდან მოდის. ხელი განაპირობებს იმას, თუ როგორ გრძნობ სიმს. არ შეიძლება, ცალკე იყოს ვიტარა და ცალკე — შენი. ეს ერთი მთლიანია და შერწყმული უნდა იყოს ტვინთან და გულთან. როცა მუსიკას უსმენ და მოგწონს, არ ჩაეძიები — მუსიკოსმა რაზე დაუკრა და რა ცოდნა გამოიყენა. ხშირად მომისმენია მუსიკა, რომელშიც წინა პლანზე ცოდნა წამოწეული. ნამდვილად კარგ მუსიკას კი გრძნობა სდევს თან.

— რა კრიტერიუმებით ირჩევთ მუსიკას, რომელიც უნდა დაუკრათ?

— პირველ რიგში, უცილობლად უნდა მომეწონოს. და კიდევ — არსებობს „ჩაფლები“ მომენტი: როცა რაღაცას ვისმენ, უკვე „ვხედავ“, თუ როგორ უნდა დაუკრა.

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ნაწარმოების ვიტარაზე გადატანა არ გამოგსვლიათ?

— უამრავი ფურცელი დამიხვეია და გადამიყრია. მიმუშავია და მივმხდარვარ, რომ არ გამომდის, ან არ არის საინტერესო. ისეთი ამპარტაგანი არა ვარ — რახან ვიმუშავე, აუცილებლად მსმენელამდე უნდა მივიტანო. მიზეზებსაც ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებ...

— კონცერტზე აშკარად იგ-

რძნობოდა, რომ დაილაღო. დახარჯული ენერჯის აღდგენა როგორ ხდება? ისევ მუსიკით?

— მე არ ვიღლები, უბრალოდ, ბოლომდე ვიხარავ. გათიშული ვარ აბსოლუტურად და სხვაგან ვარ. უფრო სწორად, ეს სასიამოვნო დაღლაა, ამიტომ ენერჯის აღდგენაც მომენტალურად ხდება.

— ამჟამად, ძირითადად, მოსკოვში იმყოფებით. კონკრეტულად, რას საქმიანობთ იქ?

— მე ხშირად ვარ თბილისში, უბრალოდ არ ვყვირი და არ ვჩანვარ. არ ვარ იმის მოძრე, რომ თბილისში ყოველთვე ვმართო კონცერტები. წელიწადში ერთხელ სავსებით საკმარისია. გარდა ამისა, საჭიროა გასტროლები, შეხვედრები და ჩაწერები. მუსიკოსი უნდა მოძრაობდეს და ვითარდებოდეს. მოსკოვი ჩემთვის გადაადგილების უფრო იოლი საშუალებაა... მოსკოვში ჩაიწერა ჩემი ახალი ალბომი „მე საქართველოდან ვარ“. მინდა ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს დავით ტატულაშვილს, რომელმაც ეს ალბომი დააფინანსა. მე საქართველოს შვილი ვარ და ამით ვამაყობ. ეს ალბომი მთელ მსოფლიოში გაიყვანა და საქართველოს სახელს გაიგებენ. ერთხელ მითხრეს: ამერიკაშიც არის შტატი ჯორჯია და შეიძლება, ეს სწორედ ის ჯორჯია ეგონოთო. ჯორჯია ორია, მაგრამ თბილისი — ერთი. ამ ალბომში პირველი კომპოზიცია, რევაზ ლალიძის „თბილისოა“. ამით მინც მიხვდებიან, რომ მე საქართველოდან ვარ.

— ბატონო თემურ, ახლა ცოტა რამ თქვენს ოჯახზეც მიაბზეთ?

— მყავს ორი შვილი და მეუღლე — ლინა, რომლის გვარიც არის ფელდმანი, მაგრამ ახლა ყვითელაშვილია. ის ბალერინა იყო, მაგრამ თავი დავანებებინე ამ საქმიანობისთვის.

— რატომ? ეჭვიანი ხომ არ ხართ?

— ჯერ ერთი, თუ გიყვარს, ეჭვიანიც უნდა იყო. მეორეც — როცა სახლში მოხვალ და ცოლი არ დაგხვდება, დღეში ორჯერ რეპეტიციაზე იქნება წასული, — ეს რა ოჯახია?! მე ვარ მამაკაცი და ვარ პასუხისმგებელი ყველაფერზე. ცოლის მოვალეობა ის არის, რომ მიხედოს ოჯახს, შვილებს და ყველაფერი იქ უმაღლეს დონეზე ჰქონდეს მოგვარებული.



— წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე დაანება ამ საქმიანობას თავი?

— გამიწვედა წინააღმდეგობას და მე არ მიჭირს ადამიანებთან ურთიერთობის გაწყვეტა... თავიდანვე იცოდა, ვის მიჰყვებოდა ცოლად. მე თვითონ ხელოვანი ვარ, მაგრამ ოჯახს ეს არ არგებს: ბავშვებს ვინ მიხედავს? თანაც, ვერასდროს გავიგებ, როგორ უნდა გაუშვა ცოლი გასტროლებზე. ქალი — გასტროლებზე? (იცინის) როგორ გეკადრებათ?! ქმართან ერთად კიდევ შეიძლება, მაგრამ მართლ? არა, ვერ წარმომიდგენია.

— შვილები? ალბათ მათთანაც მკაცრი ხართ...

— მყავს 11 წლის მაიკო და ხუთი წლის თემურიკო. უფროსს ყოველთვის ვეუბნები, რომ აქვს ყველა პირობა საიმისოდ, რომ კარგად ისწავლოს. ერთ პუნქტს მინც დაარღვევს თუ არა, მომენტალურად წაერთმევა ყველაფერი.

— ... და თქვენ ამას მართლა გააკეთებთ? თუ უბრალოდ, ასე აშინებთ?

— თვალსაც არ დავახამხამებ, ისე ვაკეთებ. გაიზრდება და მერე დააფასებს. მე მთელი ცხოვრება არანაირი პირობა არ მქონდა. მას ყველაფერი აქვს, ამიტომ თავის საქმეს უნდა მიხედოს.

— პატარა?

— პატარა ჯერ თამაშით არის გართული და ივინება. „სართულებიანი“ ვინება იცის. ჩემნაირი ბავშვია — მეც ასეთი ვიყავი.

— კონცერტზე, როცა „ყვავილების ქვეყანა“ დაუკრით, თქვით, რომ ამ კომპოზიციას ყველა ქვეყნის მსმენელი ერთნაირად ლეზულობს. მართლა ასეა?

— კი, მისი მოსმენისას ყველა ქვეყანაში ერთნაირი რეაქცია აქვთ და ყველგან ძალიან მოსწონთ, ისევე, როგორც სხვა ქართული მელოდები.

აკაკი ბეჟინაძე

მეტიხველისთვის ბევრჯერ მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორრო, რომ ამერიკა სასწაულებისა და მოულოდნელობების ქვეყანაა. აქ ყოველდღე შეიძლება, რაიმე ახალსა და განსაცვიფრებელს ნაახვედო, მით უმეტეს, თუ ისეთი ცნობის-მოყვარე ხარო, როგორც მე.


- ახლა ვზოვარ და თბილისში, ვერის ბაღში გატარებულ ბავშვობის დღეებზე ვფიქრობ. იქ ერთი ადგილი მქონდა ამოჩემბულო, სადაც მოხუცები იკრიბებოდნენ: ხან ჭადრაკით იქცევდნენ თავს, ხან დომინოთი, ხანაც სოჭაბუკის დღეების მოგონებებით. ბევრი რამ იყო მათ მოგონებებში ჩემთვის უჩვეულო და საინტერესო... და ახლა, როცა ამერიკაში მყოფს, ნოსტალგიამ და მელანქოლიამ ერთდროულად დაძრია ხელი, რატომღაც ვფიქრობ, მოხუცებულობაში მეც ვერის ბაღში შევიტყვიო თავი და ცნობისმოყვარე პატარა ბიჭებს ბევრი რამ ვუამბო ჩემი მოგზაურობების შესახებ... ამ ამბებში კი უმთავრესი, ამერიკაში ნანახი და განცდილი იქნება.

შრომის ბირჟიდან პირდაპირ... ეგზოტიკაში

როგორც იქნა, ჩემი ცხოვრება ბრუკლინში კალაპოტში ჩადგა: დავდიოდი სატვირთო მანქანის კურსებზე და მძღოლის პროფესიას ვეუფლებოდი. დავდიოდი ბიბლიოთეკაში, სადაც მშვენიერ ბიბლიოთეკარ გლორიას გვერდით მუშაობა დღითი დღე სულ უფრო ნაყოფიერი ხდებოდა. ყოველდღიური ფულის სამოგონად, შრომის ბირჟაზეც ხშირად მიწვევა გასვლა... მოკლედ, არც კარტალში მაწუხებდა ვინმე და სახლში ხომ დეიდა სვეტა გადაყოლილი იყო ჩემზე... ერთი ნატვრადა მქონდა, როდის ჩავაბარებდი „გამოსაშვებ“ გამოცდებს, მიუუკვდებოდი სატვირთო მანქანის საჭეს და შემოვივლიდი შტატებს.

იმასაც ვეტყვი, რომ ბირჟა მაგნიტივით მიზიდავდა. განა იმიტომ, რომ საინტერესო და სახარბიელო სამუშაოს ეპოულობდი... არა, ბირჟა ყოველდღე ახალ სამყაროში გადამისვრიდა ხოლმე, ახალ სახეებთან, ადამიანებთან, ხასიათებთან მახვედრებდა. მაშინაც კი, როცა უკვე ტრაილერზე დავვეკე და ასე თუ ისე, მატერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავი, თავისუფალ, უქმე დღეებშიც გავდიოდი ბირჟაზე. თანამემამულეებს ჩემი ეს საქციელი ვერაფრით აენსნათ და ხშირად გაცოცხლებები მეკითხებოდნენ:

ამერიკული შრომის ბირჟიდან ეგზოტიკურ დასახლებაში და... «გომეჯის» კოსმონთა



- კაკო, რა მოგდის? ასეთი კარგი სამსახური გაქვს, და ამ ბირჟაზე რაღას გამოიხსნარ?

- ხალხს ვსწავლობ, ბიჭებო, ამერიკელ ხალხს! თქვენ არ იცით და ეთნოლოგობა გადავწყვიტე!... - ვპასუხობდი.

- რა ჯანდაბაა ეს ეთნოლოგობა?... - დანტერესდა ერთხელ ქუთაისელი ზაზაიე (ასე ვეძახდი ვეკლანი ზაზას).

- ეთნოლოგობა კი არა, ეთნოლოგობა, ჩემო ზაზა, ისე, რომ იცოდე, ეთნოლოგია ხალხის ყოფასა და კულტურას სწავლობს! - როგორც წარსულში, ასევე აწმყოში.

- რაის აწმყო? ქართულად მელაპარაკე! - სულ გადაირია ზაზაიე.

- ბიჭო, სკოლაში მაინც არ დადიოდი? ილიას სიტყვები მაინც აღარ გახსოვს?

- რომელი სიტყვები?

- რომელი და - აწმყო თუ არა გწყალობსო...

- ჰოო, სულ გამოვშტერდი, აწმყო ახლანდელი დროა, ხომ? - დაირცხვინა ზაზაიამ.

- ასეა, ძმაო, - ამერიკაში რომ ჩამოვდივართ, ჩვენი ქვეყანა კი არ უნდა დავივიწყოთ. აქაურ ყოფას და კულტურას რომ მინდა ჩავწვე, იმისთვის მინდა, კარგი რაც არის, შევითვისო და გადმოვიღო... - ფილოსოფოსობის ხასიათზე დავდექი. რაც მთავარია, ჩემს „ლექციას“ აუდიტორია ჰყავდა.

და, ბიჭები ყურადღებით მისმენდნენ.

მოკლედ, ჩემი მოუსვენარი ბუნებიდან გამოძინარე, გამუდმებით ვებები სიასხლესა და მრავალფეროვნებას. ერთ ადგილზე დიდხანს ვერასდროს ვჩერდებოდი. სამსახურებს იმიტომ კი არ ვიცვლიდი, რომ საქმეს გულს ვერ ვუდებდი, - უბრალოდ, ერთფეროვნებას ვერ ვუძლებდი (ეტყობა, ამის გამოა, რომ ჩემი შრომის წიგნაკი გვარიანადაა აჭრელბული სულ ნაირ-ნაირი ჩანაწერით). ბირჟა კი სწორედ „საჩემო“ აღმოჩნდა. ყოველდღე, ახალ-ახალ ამბულაში მიხდებოდა ყოფნა: ერთ დღეს თუ ებრაელების უბანს ვეწვეოდი, მეორე დღეს ჩინელების გარემოცვაში ამოვყოფდი თავს. ხან ნიუ-იორკის ყველაზე მდიდარი რაიონის „სტუმარი“ ვახლდით, ხანაც მიგდებულის, კრიმინალური უბნისა... ასეთი მრავალფეროვნება სულ უფრო და უფრო მიზიდავდა. ზოგჯერ თუ უცხო და საშინო გარემოში მიწვევა ყოფნა ან კიდევ ეგზოტიკური „დაბრკოლებები“ მხვდებოდა, ეს ჩემს ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მდიდრდებოდა ჩემი ამერიკული შთაბეჭდილებები...

შრომის ბირჟის ციებ-ცხელებანი

მოგესხენებთ, ყველაფერს შეიძლება მიეცეს დაღებითი ან უარყოფითი შეფასე-

ბა. არც ბირჟა იყო გამოჩენილი. მის „რეპერტუარში“ კარგი საქმეც მრავლად იყო და ცუდიც. კარგი იყო, თუ საშუალო ე.წ. „სუფთა ამერიკელთან“ მოხვდებოდი (ანგლოსაქსებს რატომღაც ასე მოიხსენიებენ). ეს იმას ნიშნავდა, რომ სუფთა ამერიკელი ცოტას გამოჰყავდა, რამდენსაც დაგპირდებოდა, ზუსტად იძენს (ზოგჯერ მეტსაც) გადაიხდიდა, მოტყუებითაც არასოდეს მოგატყუებდა. სულ სხვა იყო, თუ დამქირავებელი, ებრაელი, რუსი ან ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენელი იქნებოდა. მათ შორის შეიძლება, ნორმალური დამქირავებელიც შეგხვედროდა და ისეთიც, რომელიც თავბუდს გაწყველინებდა... მაგრამ ყველაზე ცუდი იყო, თუ საშუალო შაკანნიანი წაგიყვანდა. რატომღაც შაკანნიანებს ყოველთვის მძიმე და ჭუჭყიანი საშუალო ჰქონდათ, თანაც ცუდადამხდლებადაც ითვლებოდნენ.

შესაბამისად, შრომის ბირჟაზე ყველა ცდილობდა, ანგლოსაქსებთან მოხვედრილიყო. მაგრამ ჩემი საქმე სულ სხვაგვარად იყო. ხშირად, კურსების შემდეგ გვიან მიწვევდა ბირჟაზე მისვლა და ძალაუბნებურად შაკანნიანი დამქირავებლის ხელში ვხვდებოდი ხოლმე. ჩემი კვარტალის ფონის, შაკანნიანი ბილის გადაკვიდე, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ვიყავი მათ ხასიათსა და წეს-ჩვეულებებში და სხვებივით არ გავნიცილი შაკანნიანთა „ტყუებაში“ მოხვედრას. არც იმის შიში მქონდა, ვაითუ, ფული არ გადამიხადონ-მეთქი, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, — მუდამ მძიმე სამუშაოს მთავაზობდნენ... რას ვიზამდი, ფული პაერივით მჭირდებოდა, თანაც არც რაიმე ალტერნატივა მქონდა. ჰოდა, მივეყვებოდი ასე, ბედს დამორჩილებული, ზანგებს სამუშაოდ. განსაკუთრებით ერთ შაკანნიან „კონტრაქტორს“ — ჯიმის დაუახლოვდი. ჯიმი წარმოშობით კენიდან იყო. ამერიკაში ოცი წლის წინ ჩამოსულა და უკვე მოქალაქეობის მიღებაც მოესწრო. ჯიმი პროფესიით „პლამბირი“ იყო (ნაყინში არ აგერიოთ, პლამბირი ჩვენებურად შეძლებულია, ჯიმი კი წყალგაყვანილობის მიღების შეძლება-შეკეთებით იყო დაკავებული). კენიელი „ბიზნესმენი“ პატარა სატვირთო ავტომობილით მდიდრიდა ხოლმე. ეს ავტომობილი ერთგვარი მოძრავი საამქრო გახლდათ — ძარა გატენილი იყო სხვადასხვაგვარი ელექტრო თუ მექანიკური შესაღებელი აპარატით, ათასგვარი ძლით და მრავალფეროვანი სამუშაო იარაღით...

როდესაც ჯიმის მივეყვებოდი, ყოველთვის მიმქონდა ძველი სამუშაო ტანსაცმელი, ვინაიდან ვიცოდი, სულ ერთიანად ამოვიტხვრებოდი და საამისოდ მზად უნდა ვყო-

ფილიყავი.

იმ დღესაც, მოგვიანებით (თუმცა არც-თუ ისე გვიანი იყო) — 12-ის ნახევარზე მომიწია ბირჟაზე მისვლა. მანამდე მთელი სამი დღე არ მეშუშავა (ბიბლიოთეკაში გვიანობამდე ვმეცადინებოდი) და ფული თითქმის არ მქონდა, უკანასკნელ ცენტებსღაც ვითვლიდი. ჰოდა, ბირჟას მივუახლოვდი თუ არა, ბიჭები მომცვივდნენ და „მახარეს“ — კაკო, „ანგლოზი“, თანაც ფერადი ძმაცაი რომ გყავს. ის გეტებს გამწარებულყო.

— ვისზე ამბობ? — თავიდან ვერ მიგვხვდი, ვის გულისხმობდნენ.

— აი, ის, მუგუზალივით შავი რომაა და სულ რომ იკრიჭება!..

— აა, ჯიმი?.. რა უნდა, თუ იცით? — მიხვდი ვისზეც ლაპარაკობდნენ.

— ბანკეტზე გეპატყუება და არ დაგვიანოსო!.. — ხუმრობის ხასიათზე დამდგარიყვნენ ბიჭები.

— მერე წაჰყოლოდით, მე რას მულოდობოდი?

— მასეთ ბანკეტზე, ძმაო, ტანკით რომ დამადგენ, შეიძლება დავეჭირდე, წავიდე თუ არა! იმ დღეს წავეყვი შენს ძვირფას ძმაცაცს და ლამის თავბელი ვიწყველე. ისეთი ჭუჭყიანი დაებრუნდი შინ, რომ ბინის მეპატრონემ სანამ ბოლომდე არ გამახდევინა ყველაფერი, რაც ზედ მეცვა, მანამ ცხვირი არ შემაყოფინა სახლში!.. — შემაცოდა თავი ნათლულელმა ზურამ.

— მაინც სად გაშუშავა ასეთ საშინელ ადგილას? — გამიკვირდა.

— მიწას ვთხრიდით. ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ ძალი პატრონს ვერ ცნობდა. მეგონა, შევისვენებდით, გადაიღებდა წვიმა და მერე გავაგრძელებდით... ნურას უკაცრავად, ვინ შეგასვენა! გალუმულბემა ბოლომდე ვთხარეთ საკანალიზაციო ორმო თუ ჭა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჩვენთან ერთად ის შენი ძმაცაცაც მუშაობდა. სულ ერთიანად ტალახში იყო ამოგანგლული და იმის მაგივრად, რომ ოდნავ მაინც შეწუხებულიყო, ვირულად რომ გვაშუშავებდა, სულ იკრიჭებოდა, თეთრ კბილებს გვახარებდა თუ რა იყო, ვერ გავიგეთ!.. რომ მოძკლა, მაგასთან სამუშაოდ აღარ წავალ!..

ისე დრამატულად ჰყვებოდა ზურა ამ ამბავს, გვერებოდა, დეამიწის ზურგზე ამხედიდი ტრაგედია ვერ არ დატრიალებულა...

— ფული თუ გინდა, ძმაო, ცოტა უნდა იწვალო კიდევ!.. — შევეცადე, როგორმე გამემართლებინა ჯიმი.

— მირჩვენია, მშვიდი დავრჩე, ვიდრე მასე ვიწვალო... — იყო პასუხი.

რა უნდა მეთქვა? ვცადე, სხვა თემაზე გადამეტანა საუბარი...

ათიოდე წუთის შემდეგ, ჩვენს ბირჟას ჯიმის პიკაპი მოადგა. ჯიმით რომ ღამინახა, ისე გაეხარდა, მანქანა გაჩერებულიც არ იყო ბოლომდე. გადმოხტა და ჩემკენ გამოქანდა. დიდი ხნის უნახავი ბიძაშვილივით გადამეხვია...

— ოო, აკაკოს! სადა ხარ? გეტბე, რამდენი ხანია!.. — სეტყვასავით დამაყარა ჯიმი.

— რა ვიცი. დაკაიბოოოოო... არ და ხშირად ვერ გამოვიღვიარ ბირჟაზე... — კუბასუხე, თან ცალი თვალი ბიჭებისკენ გავაპარე; გაოცებულები მიყურებდნენ და ვერ გაგეოთ, რით დავიმსახურე, რომ ეს „შავი კაცი“ ასეთი აღფრთოვანებით გამოხატავდა თავის ემოციას...

— აკაკოს, ძალიან სერიოზული შეკვეთა მაქვს ალებული და უნდა მიშველო... ერთი კვირაა, ვერაფრით დავამთავრე სამუშაო. ვინც წავიყვანე, მეორე დღეს აღარ მომყვებიან — მძიმე საქმეაო. თუ ძმა ხარ, ერთიც ვინმე წამოიყვანე და ისე გადაგიხდით, რომ უკმაყოფილონი ნამდვილად არ დარჩებით... — მუღარით შემომხვდა ჯიმი.

— ჯიმი, კაცურად მითხარი ერთი, რა უნდა გავაკეთო და რამდენს გადამიხდი, რომ ჩემს მეგობარს ვუთხრა წინასწარ? — მიემართე კენიელს.

— მიღებია შესაცვლელი, სხვა კი არაფერი! თანაც საათში... 15 დოლარს გადაგიხდით.

— რამდენს? — ახლა მე დავალე პირი გაოცებისაგან.

— თხუთმეტს და ლანჩიც ჩემზე იცოს!.. — გაიმყარა ჯიმი „პოზიცია“.

არადა, ასეთი ფასი, რაც ბირჟაზე „გმოლვაწობდი“, ჩემთვის (და არც სხვებისთვის) არავის შემოუთავაზებია. დაეჭვებით ავხედე ჯიმის, რომელიც ისე ჯიქურ მიყურებდა, მიხვდი, ჩემს მოტყუებას არ აპირებდა! მეც კმაყოფილი სახით წავედი ბიჭებისკენ.

— აბა, ბიჭებო, ჯიმის მივეყვი. ერთი კაციც გვეკვირდება. რომელი წამოხვალთ? — დავიწყე ხალხმრავალი მიტინგის წამყვანივით — ხმაძალა და რიხიანად, მაგრამ საქმეში ხარ? ვითომც იქ არ ყოფილიყავი, ჩემს მოწოდებას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. კიდევ ერთხელ რომ გავიმეორე: მამინ ერთ-ერთმა ინება და მიპასუხა:

— კაი, რა, კაკო! ხომ იცი, ამ ზანგების ამბავი? ვის უნდა ზედმეტად თავის ატკივება, ან შენ რა ძალა გადგას?

— თხუთმეტ დოლარს იხდის საათში!.. — ეს რომ ვთქვი, ყურები კი ცქციტეს, მაგრამ მაინც ეჭვით ამთვალა...

— ადენი წელი აქ ვდგავარ და მაგხელა ფასი სიზმარშიც არ შემოუთავაზებია ვინმეს. ვერ ხედავ, ნათ რომ გატყუებს?! — მითხრა ერთმა სტაჟიანმა რუსმა „ბირჟაიკმა“. ბოლოს, რომ მივხვდი, არავინ მომყვებოდა, ჩემ გვერდით მდგომ ქეთაისელ ზაზაიას მივმართე.

— ზაზაია, ბიჭო! წამომყვები, ვიმუშაოთ, — უკმაყოფილო არ დარჩები. ხომ ვიცი, მაინც ვერაფერი იშოვე და ვინ იცის, სხვაჯერ არავინ მოვიდეს მუშის დასაქირავებლად. თანაც საათში 15 დოლარს თავიდან არნოლდ შვარცნეგერსაც არ უხდინენ ამერიკელები!

ზაზა იმიტომ ამოვარჩიე, რომ ძალიან უჭირდა მარტოს ვინმესთან სამუშაოდ გაყოლა: ახალი ჩამოსული იყო, არც ინგლისური იცოდა, არც რუსული და სულ უმუშევრობაზე წუწუნებდა.

— კაკო, შენ ხომ იცი, რაფერ მიჭირს ახლა მე, მარა, რო „ავგაყირაოს“ ამ უპატრონომ?! ზანგია, რაც არ უნდა იყოს... — უნდობლობა გამოხატა ზაზამ.

— ზანგი რა, ადამიანი არ არის, თუ როგორ ფიქრობ შენ? თანაც, სულ მაგას დაეყვები და არასოდეს „გადაუვადივარ“...

— არ ძვერა მე ვიდაც ზანგების, ძმაო და მოძკალი თუ გინდა! მარა შენ თუ იქნები „ატკეჩაი“, რო არ გადამაგდებს, წამოვალ, თუ არადა, თავში ქვა უხლია მაგ შენს ჯიშის თუ ბიშის!..

რას ვიზამდი? — ზაზას ვუთხარი, ჩემი იმედი გქონდეს-მეთქი და ჯიშის სატვირთო მანქანაში დავიკავეთ ადგილები...

„ბომბების“ სამყაროში

ნიუ-იორკის მსგავსი მრავალფეროვანი და კონტრასტებით სავსე ქალაქი არა მგონია, დედაიქონის ზურგზე სხვაგანაც რომ არსებობდეს. საოცარია, ასეთ მდიდარ ქალაქში, ცათამბჯენების, ბანკების, უმდიდრესი ფირმებისა და დაწესებულებების, გადაჭვდილი მაღაზიებისა და კაფე-ბარ-რესტორნების გარემოცვიდან ორიოდ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება მოულოდნელად ისეთ ადგილს გადაეყარო, რომ საგონებელში ჩავარდე. და თუ ერთხელ თავი დააღწიე ასეთ ადგილს, მეორედ ყოველმხრივ ეცდები, რომ იქით არც კი გაიხედო!.. მეტსაც გეტყვით: ნიუ-იორკში ისეთი ადგილებიცაა, სადაც საექსკურსიო ავტობუსები არ შედიან, იმის გამო, რომ ტურისტები რაიმე შარს არ გადაეყარონ. ნიუ-იორკელებს არ უყვართ ამ თემაზე ლაპარაკი...

სამაგიეროდ, ასეთი უბნების შესასვლელთან მუდამ დგანან პოლიციელები (ჯგუფ-ჯგუფად, რადგანაც იქ მარტო დგო-

მისა მათაც ეშინიათ), რომლებიც შემთხვევით გამვლულებს ზრდილობიანად აფრთხილებენ, რომ თავი შეიკავონ ამ რაიონში (თუ უბანში) სეირნობისაგან.

შორიდან ეს რაიონები თითქოს ბევრით არაფრით განსხვავდება სხვებისგან, მაგრამ საკმარისია, ახლოს მიხვიდე, რომ ბევრ უჩვეულოს შეამჩნევო:

— ავტომანქანები თითქმის არ მოძრაობენ და ერთი ან ორი მანქანა თუ დალანდეთ, ისიც აუცილებლად ძველი და დანჯღრეულია;


— ნავავი პირდაპირ ტროტუარზე ან სულაც ქუჩაში ყრია;

— შენობები მოძველებულია და ძნელად თუ შეამჩნევთ, რომელიმე ფანჯარაში გაუბზარავ მინას...

ერთი სიტყვით, ეს ადგილები ომგადახდილ მიდამოს უფრო მოგაგონებს, ვიდრე ქალაქს. აქ სიცოცხლე თითქმის არ იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შეგვხვდნენ... ეს ადამიანები ეწ. „ბომბები“ არიან (რუსულ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ). უსახლკარო, ღარიბი-დატაკი მოხეტიალენი იქ თავისუფლად გრძნობენ თავს — მათ არც რაიმე გადასახადს სთხოვს ვინმე და არც რაიმე ვალდებულებები აწუხებთ...

როდესაც მოვინდომე, უფრო ღრმად ჩავევლოდი ამერიკული ცხოვრების ამ უჩვეულო საკვიფიკას, არაფერი გამომივიდა. ეს მოვლენა ჩვეულებრივი კაპიტალისტური სამყაროს შედეგაო, „ამისსენეს“ და მორჩა!

ნიუ-იორკში არის ადგილები, სადაც სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი დასახლების იერსახე ცუდიდან კარგისკენ და პირიქით. პირველს განეკუთვნება ეწ.



„ისტ ვილიჯი“. ამ რაიონს ზოგი „ბომბების“ უბანს უწოდებდა, ზოგი — კრიმინალურს, ზოგი კიდევ — ნარკომანების სამეფოდ ნათლავდა. „ისტ ვილიჯი“ მხატვრების რაიონად იქცა და ერთ-ერთ იმ უმშვენიერეს ადგილად, სადაც თავისუფალ დროს ხშირად ვცდილობდი, მოვხვედრილიყავი...

მანანალების ჯოცონთან

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჯიში ამჟამად კარგ ხასიათზე იყო; ვერ ერთი, მე შემხვდა ბირჟაზე, არასოდეს რომ არ გამიწილებია და მშვენივრად ვუსრულებდი არცთუ ისე „თეთრ“ სამუშაოს. მეორეც, ჩემი წყალობით კიდევ ერთი მუშახელი იშოვა. მეც გულდანდობილი ვიჯექი მანქანაში და აზრადაც არ გამივლია, რომ სახიფათო ადგილას მივდიოდით. მაგრამ როდესაც პოლიციელებმა გაგვანერეს და გაგვფრთხილეს, კვარტალში შესვლა სახიფათოა, ცოტა არ იყოს, ხასიათი წამიხდა. ჯიში, ვითომც აქ არაფერი, პოლიციელს, სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად აღებული მერიის ნებართვა უჩვენა და მშვიდად განაგრძო გზა.

— ჯიში, ეს სად მოვედით? — ვერ მოვითმინე მე.

— სამხრეთ ბრონქსში! — მიპასუხა და გველნაკბენივით შეგვკრიტიკა: დღე არ გავილოდა, ტელევიზორში რაიმე საშინელი დანაშაული არ მენახა და... ბრონქსი არ ესენებინათ...

— მერე, რა ჯანდაბა გვინდა ბრონქსში?! — ამოვილულულე.

— პატარა სამუშაოა. მალე მოვრჩებით და წამოვალთ... — ისე მიპასუხა, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს.

რას ვიზამდი? უკან ხომ ვეღარ გავიქცეოდი? რაც იქნება, იქნება-მეთქი და ხმა აღარ ამოძლია. ზაზამ, მართალია, ჩემი საუბრიდან ვერაფერი გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც „მთლად ისე ვერ იყო“... როდესაც ნახევრად დანგრეული შენობები გავიარეთ და უზარმაზარ ორმოსთან ამოყვავით თავი, სადაც ათამდე მაწანწალას ცეცხლი აენთო და ეფიცებოდნენ, ცივად მითხრა:

— ეს არის კაკო, შენი „ატკეჩაი“ ვარო? ეს რა ხალხში მომიყვანე?!

მანქანიდან უხალისოდ გადმოვედით. ერთადერთი, ჯიში იყო კმაყოფილი... ჯოცონთან მივიდა, ხელები გაითბო და სამოქმედო ობიექტს დაუწყო თვალთვლება...

მექანიკურად ჩვენც მივფიცხებთ „ბომბების“ კოცონს... ახლა ალბათ იმ ადამიანებს ვგავდით, სახლი რომ ეწვით და ხანძარზე ხელებს ითბობენ...

„მეტსედის“ კამბიოლოგი, მთმომლოქლი „ვეტნისაქი“ და ზედასტა მათსუტომთან



წმინდა ბარბარეს დღესასწაულზე, მომღერალმა დათო ხუჯაძემ, სპორტის სასახლეში, დანაპირები სოლო კონცერტი გამართა. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იმ დროს, კომპანია „არტ-იმედი“ ფილარმონიაში გრანდიოზულ კონცერტს მართავდა, სპორტის სასახლეში ტინიფერების ტევა არ იყო. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, კონცერტი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. მანამდე კი დარბაზში გაურკვეველი ჟანრის მუსიკა უღერდა. მოთმინებადაკარგულ ფანებს, სცენის გარშემო საგანგებოდ ჩაყენებული დაცვის თანამშრომლები ძლივს აკავებდნენ.

კონცერტი გვარიანად მომშველელ მოცეკვავეთა ჯგუფმა – „ვეტნისაქი“ გახსნა. დათო ხუჯაძე „მერსედის“ კაბრიოლეტით შემოვიდა სცენაზე, მანქანიდან გადმოსულ მომღერალს, თაიგულესსა და პატარა, რბილ სათამაშოებს ესროდნენ თაყვანისმცემლები. დათომ ბევრი ძველი და ახალი სიმღერა იმღერა. ანსამბლ „ძველი თბილისის“ დუდუქებისა და ნიკა მეშინიშვილის მუსიკის თანხლებით, კარგად ნაცნობი სიმღერა – „მანინჯი ვარ“ შეასრულა: ამ სიმღერაზე დათოს ფანები ისე ტიროდნენ, მაიკლ ჯექსონი და მისი აცრემლებული თაყვანისმცემლები გამახსენდა. სცენაზე თიკა ჯამბურიაც ვიხილეთ. მან ხუჯაძესთან ერთად „ცისარტყელები“ იმღერა. კონცერტი ფოლკლორულმა ანსამბლმა „მეტეხმაც“ გააღამაზა. მან მომღერლის მიერ ახალი ინტერპრეტაციით შესრულებულ ხალხურ სიმღერაზე – „ხოხბის ყელივით ლამაზი“, იცეკვა.

ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ერთი გაუთვალისწინებელ ამბავი რომ არა: დარბაზის ჭერში ცელოფანის ლამაზი, მოზრდილი პარკი ეკიდა, რომელშიც უამრავი ფერადი ბუშტი და თეთრი მათსური (მომღერლის პორტრეტინი) იყო მოთავსებული. კონცერტის დასასრულს, ცელოფანი გაიხსნა და ეს ყველაფერი ფრიალ-ფრიალით წამოვიდა მოცეკვავე ფანებისკენ. აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა... გოგობიჭები ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის დაესწროთ და მათსური დაესაკუთრებინათ, არავინ დაგიდევდათ, ფეხს ვის ადგამდა, ან ვის ეჯახებოდა. ერთი სიტყვით, „სანიშნო“ ზედახორა იყო. ამასობაში დათო თავის „მერსედისში“ ჩაჯდა და სცენა დატოვა.

ნინი ძაბსელაძე თბილისს უმღერის

პატარა მომღერალმა – ნინი ქარსელაძემ ახალი კლიპი გადაიღო რუსა მორჩილაძის სიმღერაზე „ჩემი ქალაქი“. ტექსტი გია ჯონხაძეს ეკუთვნის. სცენარი და რეჟისურა გოგა ჭყონიასა და მის მეუღლეს, მათა ყიფიანს ეკუთვნის. მოგვიტხრობს ნინის დედა – ხათუნა შორღანი:

– დიდი ხანია მინდოდა, ნინის თბილისზე ემღერა რამე. მე მიცხოვრია საზღვარგარეთ და ვიცი, რას ნიშნავს თბილისის მონატრება. წელი, ზაფხულში, პარიზში ვიყავით დასასვენებლად. ნინიმ ერთ თვეში წუწუნი დაიწყო – თბილისში მინდა, – რადგან მანაც გამოსცადა ეს სიყვარული და ნოსტალგია ქალაქის მიმართ, ჩავთვალე, რომ უკვე დრო იყო ნინის თბილისზე სიმღერა შეესრულებინა. ამდენი სასიყვარულო სიმღერის ფონზე, თბილისის სიმღერის ტექსტი მართლაც ლამაზი გამოვიდა.



დედასთან ერთად

– სად გადაიღეთ კლიპი?

– ტექსტში ნახსენებია ვერა, ვაკე, ამიტომ შორს აღარ წავედით და ჩვენს უბანში – კოსტავას ქუჩაზე გადავიღეთ. კლიპში 30 ბავშვი მონაწილეობდა. მიუხედავად იმ ხმაურისა და ყრიამულისა, რაც ჩვენ გამოვიწვიეთ ქუჩაზე, მთელი უბანი გვეხმარებოდა. ყველამ გაგვილოკარი და შეგვიშვა თავის აივანზე გადასაღებად.

– როდის იქნება კლიპის პრემიერა?

– სავარაუდოდ – ახალ წელს, „პირველი არხის“ ეთერით ნახავს ამ კლიპს მაყურებელი. იმედი მაქვს, მოგეწონებათ.

„სუდისთვტი ძალმაცტონი“ უკლავ ამღერდა

ერთწლიანი პაუზის შემდეგ, მსმენელთა წინაშე ნატო გელაშვილი წარდგა. ქართულ მელოდისა და ჰანგებს დანატრულ მელოდებს 16 დეკემბერს კომპოზიტორმა დიდი სიურპრიზი მოუწყო: რესტორან „თეთრ სახლში“ კომპოზიტორის წიგნის პრეზენტაცია მოეწყო. წიგნში შესულია ნატოს ახალი და ძველი სიმღერები, ლექსები (რომელიც ჯერ არ „ამღერებულა“), მეგობრების მოსაფერებელი და ლამაზი სიტყვები. მაგრამ ნატოს კრებულს განსაკუთრებულს ხდის ის ფაქტი, რომ მას თან ახლავს სანოტო სისტემისა და ვიტარის აკორდების მთელი ნუსხა, რაც სახლეს წარმოადგენს მუსიკალურ ლიტერატურაში.



სალამოზე ნატოს 10 ახალი სიმღერა აუღერდა, მათ შორის რამდენიმე – ლექტში. კონცერტს მუსიკისმცოდნე მათა დათუნაშვილი უძღვებოდა. ნატოს სიმღერები მსმენელისათვის კარგად ნაცნობმა და საყვარელმა მომღერლებმა წარმოადგინეს: ნუკრი კაპანაძემ, ეკა მამალაძემ, მათა ჯაბუამ, თემურ თათარაშვილმა, გიო და მათა ხუციშვილებმა, ტრიოებმა – „სიმმა“ და „თბილისმა“, ანსამბლებმა – „ფორტე“ და „ფესვებმა“. სალამოზე პირველად აუღერდა სიმღერა, რომელიც კომპოზიტორს 12 წლის ასაკში დაუწერია. ის 12 წლის ელენე კალანდაძემ შეასრულა. სალამო თავად ნატომ დაასრულა და დაგვემშვიდობა სიმღერით „ნახვამდის“.

სტუმრებს შორის ამ მშვენიერ სამყაროს ძალოვანი სტრუქტურების ახლანდელი და ყოფილი წარმომადგენლები (ვალერი ხაბურძანი და სოსო ალაიძე, მეუღლეებითურთ), პოლიტიკოსი ირინა სარიშვილი, მასმედიის წარმომადგენლები (ინგა გრიგოლია, ვია გუბერძე) ესწრებოდნენ.

ბასკო ქართის დაღვინება მთხმთუქს

ჟურნალი „სთარი“ თუწყება, რომ ამას წინათ, ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში რასელ ქოლუს მიერ ატეხილი ჩხუბი (ჟურნალ „ვზის“ მკითხველთათვის ცნობილია ამ ინციდენტის შესახებ. ვარსკვლავი რესტორანში ავსტრალიელ ცნობილ ბიზნესმენს – ერიკ ვაცანს ჩხუბა), მისი საცოლის – დანიელა სპენსერისათვის ის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომელმაც მისი მოთმინების ფაილა აავსო. 32 წლის ქალბატონმა განაცხადა, რომ ქოლუს ბავშვურ გამოხედობებს აღარ მოითმენს, რადგან მის ასაკში ყველა ქალმა ოჯახის შექმ-



ნასა და ბავშვებზე უნდა იფიქროს. მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწყო, თუმცა მსახიობის მხრიდან დანიელას სერიოზული წინადადება არ მოუღია. 1995 წელს რასელმა თავისი ავსტრალიელი მეგობარი ქალბატონი, მეგ რაიანის გამო მიატოვა. მათი რომანი 2000 წლამდე გაგრძელდა. რაიანთან დაშორების შემდეგ კი, რასელი კვლავ დანიელა სპენსერს დაებრუნდა. საცოლემ რასელს ულტიმატუმი წაუყენა: არ დაელია, არ ჩხუბა და არავინ შეეცდებინა მის გარდა. ქოლუმ კი სიტყვა მისცა, რომ გამოსწორდებოდა და დენის გვერდით ყოფნის მიზეზით, თავისი ვკვუვის – 30 Old Foot of Grunts – დაგვებულ ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ 38 წლის მსახიობი ნიუ-იორკში ტერაქტთან დაკავშირებულ სატელევიზიულ კონცერტზე სხვა ქალთან ერთად შენიშნეს. შეგვერებანი უცნობი ქალბატონი, ფოტოგრაფი კორინ კატი აღმოჩნდა. იმავე საღამოს ქოლუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავის ვკვუვთან ერთად, ტურნეში გამგზავრებას კვლავ აპირებდა. დანიელამ რასელს დაურეკა და აცნობა, რომ მასთან ურთიერთობა აღარ სურდა. საქმის ასე შემობრუნებას ქოლუ არ ელოდა... მდგომარეობის გამოსასწორებლად მსახიობმა უამრავი წითელი ვარდი გაუგზავნა საცოლეს და დაიფიცა, რომ აუცილებლად გამოსწორდებოდა. დანიელამ მხოლოდ ამის შემდეგ მოიღო მოწყალება და რასელს ცოლობაზე დათანხმდა.



ჯილიან ანდერსონი გათხმუქმას აპირებმს

ამას წინათ, ბრიტანული პრესა იტყობინებოდა, რომ ამერიკელ მსახიობს – ჯილიან ანდერსონს ჟურნალისტები ლონდონის ქუჩაში მათთვის უცნობ მამაკაცთან ხვევნა-კოცნისას წაადგნენ თავს. პრესის მუშაკებმა „საიდუმლო მასალების“ გმირის რჩეულის ვინაობაც გაარკვიეს; უცნობი ინგლისელი დოკუმენტალისტი ჯულიან ოზენი აღმოჩნდა. ხუთკვირიანი ვნებიანი რომანის შემდეგ, წვეილმა თურმე დაქორწინებაც კი გადაწყვიტა. მართალია, მათ წლის დასაწყისში კენიაში გაიცნეს ერთმანეთი, მაგრამ ახლო ურთიერთობა მხოლოდ მსახიობის ლონდონში ჩასვლის შემდეგ დაამყარეს, სადაც ანდერსონი სერიალისაგან თავისუფალ დროს ბრიტანეთის დედაქალაქის სცენაზე გამოხვლასაც ასწრებს. ქორწილი 2 აგვისტოსთვისაა დაინშნული. შეყვარებულების მეგობრები ირწმუნებიან, რომ ისინი იდეალურ წვეილს წარმოადგენენ.

ბთმი უილიამსს მთმის დღესასწაული ან ჰყვარებმია


პოპულარულ მომღერალს, რომბი უილიამსს, იმდენად არ ჰყვარებია შობის დღესასწაული, რომ თურმე მას ტრადიციული ვახშმითაც კი არ აღნიშნავს და სწორედ იმ დროს, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო უდიდესი სიხარულით ეგებება შობას, მას ძაღლები გაჰყავს სასეირნოდ. ერთადერთი რამ, რაზეც ბრიტანელი მომღერალი უარს ამ ამბობს, ნაძვის ხეა. „არ მიყვარს შობის დღესასწაული, ამ დროს ძაღლები გამყავს ხოლმე სასეირნოდ. ნაძვის ხეს შევიბენ, მაგრამ ჩემთვის კი არა, – სტუმრებისათვის. ასე რომ არ მოვიქცე, შეიძლება ვინმემ სიძუნწეც დამწამოს“.



ნიკოლ კიდმანი ახალ სიყვარულზე თცნებმთმს




როგორც ამბობენ, ნიკოლ კიდმანი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს ტომ კრუზთან გაყრის შემდეგ. ამას წინათ, ამერიკული ტელეარხისთვის (CBS) მიცემულ ინტერვიუში მსახიობმა ექსქმარს „მთელი თავისი ცხოვრების სიყვარული“ უწოდა. გაყრის სკანდალურ დეტალებზე საუბარს კიდმანი მორიდდა, დღამხსს კი მისთვის მძებ წუთებში თანაგრძობისა და მხარში დგომისათვის ტელეეკრანიდან დიდი ძაღლობა გადაუხადა. პოლიუქლის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი ვარსკვლავური ოჯახი თერთმეტწლიანი იდილიის შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად დაინგრა. ეს გასულ ზამთარს მოხდა. წვეილმა გაყრის მიზეზად მუტისმეტად გადატვირთული საბუშაო გრაფიკი დაასახელა. თუმცა ამის თაობაზე, პრესაში სულ სხვა ინფორმაცია დაიბეჭდა – ჟურნალისტები მიზეზად რელიგიურ კონფლიქტს ასახელებდნენ. იყო მეორე ვერსიაც, თითქოსდა ყველაფერი „მულენ რუჟის“ ვარსკვლავის ალკოჰოლისადმი მოჭარბებულმა სიყვარულმა გამოიწვია. პოლიუქლში კრუზისა და მსახიობ პენელოპა კრუის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის შესახებაც გაისხენეს. სიმართლესთან ყველაზე ახლოს, უკანასკნელი ვერსია აღმოჩნდა. ტელეგადაცემა „60 წუთში“ კიდმანმა ისიც განაცხადა, რომ ოცნებობს, კვლავ განიცადოს ეს დიდი გრძობა, რათა თავდავიწყებით გადაეშვას სიყვარულის მორევში.



ჯორჯ კლუნი ძიბწინემის წინააღმდეგი აბ ყთოილა

პოლიუდის ცნობილმა მსახიობმა, ქალთა გულთამბყრობელმა ჯორჯ კლუნმა, თავისი თავყანისმცემლების გასახარად, განაცხადა, რომ შესაძლოა, კიდევ ერთხელ დაქორწინდეს. „ქორწინების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! ჩემს უამრავ ახლობელს ჰყავს ცოლი და მათ ეს არავითარ პრობლემას არ უქმნის. შესაძლოა, კიდევ ერთხელ ვცადო ბედი და დაქორწინდე“, – განაცხადა 41 წლის მსახიობმა.

კლუნის ქორწინებასთან დაკავშირებული უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, ლაპარაკი მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯორჯმა უკანასკნელ ცოლთან, მსახიობ ტალი ბალზამთან გაყრის შემდეგ, ტელეშოუში მონაწილეობისას განაცხადა: „მე აღარასოდეს დაქორწინდები!“ კლუნი აღიარებს, რომ ეს, არცთუ ისე ჭკვიანური ნათქვამი გახლდათ.



შონ პენი ობაცყმი კონთულიცვის დასაბგოულიბლად გაემგზავტა

ცნობილი ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი შონ პენი, სამდლიანი ვიზიტით ორაცყმი გაემგზავრა. მისი მიზანია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაში მონაწილეობა, ვინაიდან მიიჩნევს, რომ საომარი მოქმედებების დაწყებას, შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოჰყვეს.

„როგორც მამა, მსახიობი, რეჟისორი და რაც მთავარია, პატრიოტი, ვალდებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი“, – აცხადებს პენი. „იშვიათი შესაძლებლობა მეძლევა, რათა ამ კონფლიქტის მიზეზებს ჩავწვდე“.

შონ პენმა კრიტიკული ღია წერილით მიმართა ჯორჯ ბუშს, სადაც ეჭვქვეშ დააყენა ვაშინგტონის პოლიტიკა ორაციის მიმართ. მან მოუწოდა აშშ-ის პრეზიდენტს, გაეროვთ მოჯადოებული წრე და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა ეცადა. ამ წერილის „ვაშინგტონ პოსტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებაში მსახიობმა 56.000 დოლარი გადაიხადა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პოლიუდის ცნობილი წარმომადგენლები ორაცითან მოსალოდნელი საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით, საკუთარ აქტიურ სოციალურ პოზიციას აფიქსირებენ: დეკემბრის დასაწყისში პოლიუდის 100-მა მოღვაწემ ამერიკის პრეზიდენტს ღია წერილი გაუგზავნა, სადაც მოუწოდა, თავი შეეკავებინა ორაციის მისამართით გამოთქმული საომარი მუქარისაგან. ამ წერილს ხელი მოაწერეს ისეთმა ცნობილმა ადამიანებმა, როგორებიც არიან: კიმ ბესინჯერი, მეთ დეიზონი, ლორენს ფიშბორნი, უმა თურმანი, სემუელ ჯექსონი, ჯესიკა ლანჟი და მარტინ შინი.

კამერონ დიასს, დი კაპრითს ცყმა მთსწინემია

კამერონ დიასმა თურმე გადასაღებ მოედანზე მთელი დღე გაატარა და მთელი ეს დრო, თავისი კოლეგის – ლეონარდო დი კაპრიოს ცემატყეპას მონადომა. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დიასის თქმით, ამ პროცესმა მას უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. პოლიუდის ვარსკვლავებს ამჟამად ერთად იღებენ მარტინ სკორსეზუს ფილმში – „ნიუ-იორკის ბანდები“. სასიყვარულო თამაშით დაწყებული სურათის ეპიზოდი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და 17 დუბლის გაკეთება გახდა საჭირო. გადაღებების შემდეგ, დიასმა განაცხადა, რომ მან და ლეონარდომ გვარიანად ულაწუნეს ერთმანეთს სახეში, შემდეგ კი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. კამერონის თქმით, ახალგაზრდა გოგონების საოცნებო დი კაპრიოს ცემა მას ძალიან მოეწონა.



ნიცავ, ლტპესს სინდისი თუ შყაწრესმს?!

მომბარობის – „ადამიანები, ცხოველებისადმი ეთიკური მოპყრობისათვის“ – აქტივისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ ბენ აფლეკმა თავის საცოლეს – ჯენიფერ ლოპესს ძვირად ღირებული შინშილის ქურქი აჩუქა. აქტივისტებმა აფლეკს სასწრაფოდ წერილი გაუგზავნეს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ კლავენ პატარა, უსუსურ მღრღნელებს ელექტროშოკის მეშვეობით. აფლეკმა მაშინვე საპასუხო წერილი გაუგზავნა მათ, სადაც იტყობინებოდა, რომ ამა თუ იმ ნივთის შექენასთან დაკავშირებით, არავის წინაშე ანგარიშვალდებული

არ იყო. ამასთან ისიც დასძინა, რომ მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ცხოველებისადმი გამოჩენილმა ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ. მსახიობმა ორგანიზაციას ფულადი დახმარებაც აღუთქვა. ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა – დენ მეთიუზმა იმედი გამოთქვა, რომ „ბენი ჯენიფერს ცხოველთა უფლებების აღიარების აუცილებლობაში დაარწმუნებს“. ასე რომ, შესაძლოა, ლოპესი ქურქის გარეშე დარჩეს! თუმცა, ისიც საკითხავია, რაში სჭირდება მას ქურქი მზიან კალიფორნიაში?!

როგორ ვუმკურნალოთ სურდოს

რუბრიკას უძღვება ექიმი
ოსიპარ მამასკაშვილი

გაცივებისას, როცა ეს-ესაა იგრძენით ცხვირში „ღუტუნ“, შეგიძლიათ, სურდოს ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალოთ.



იოდ-მარილიანი
გამორეცხვები

ერთ ჭიქა თბილ წყალში გახსენით ნახევარი ჩ/კ ზღვის მარილი და 3 წვეთი 5%-იანი იოდის ნაყენი. მიღებული ხსნარი გამოივლეთ ცხვირსა და ყელში.

ლიმონის ზეთით დაზეულვა

დიდი ზომის ლიმონი კანიანად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და კარგად აურიეთ. მიღებულ მასას დაუმატეთ 40 გ ზეთუნის ზეთი და 1 ს/კ თაფლი. ათქვეფეთ ერთგვაროვანი მასის მიღებად. მიღებული ლიმონის ზეთი შეიზილეთ ნესტოებში დილა-საღამოს. მისი შენახვა საჭიროა თავდასურულ ჭურჭელში, მაცივარში.

ბალახის ინჰალაციები

მცირე ზომის ჭურჭელში ჩაასხით წყალი, წამოაღლეთ, დაუმატეთ 1 ჩ/კ მარილი, 1 ს/კ ზეთი და ეკალიპტის გამხმარი ფოთლები. ისევ ადუღეთ. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან, ფროთხილად დაიხარეთ მისკენ და ისუნთქეთ ღრმად ცხვირით, 5-10 წუთი. პროცედურის შემდეგ, ცხვირის კანში მკვებავი საცხი შეიზილეთ. ინჰალაცია უშუალოდ ძილის წინ უნდა გაიკეთოთ.

სტაფილოს წვეთები

ახალგამოწურული სტაფილოს წვეწვს დაასხით თანაბარი რაოდენობის ძღუღარე წყალი. ჩაიწვეთეთ თითოეულ ნესტოში 3-3 წვეთი. გაიმეორეთ 4-5-ჯერ დღეში.

სითბური პროცედურები

ცხელ ტაფაზე დაყარეთ ნახევარი ჭიქა ხორბლის ან წიწიბურას ბურღული (შეიძლება - სუფთა ქვიშაც). კარგად მოშუშეთ და ჩაყარეთ ტომსიკაში. ცოტა შეაგრილეთ და დაიდეთ ცხვირის მიძებარე არეებთან 10-15 წუთით. გაიმეორეთ დღეში 2-3-ჯერ.

ნივრის საფენები

გარჩეული ნივრის კბილი განივად გადაჭერით და მიღებული ნახევრები დაიდეთ ცხვირის ნესტოებზე გარედან 10-15 წუთის განმავლობაში. პროცედურის დაწყებამდე, კანზე მკენარეული ზეთი წაისვით, რომ ნივრის წვეწვა არ გამოიწვიოს მისი გაღიზიანება. უმჯობესია ეს პროცედურა ძილის წინ შესრულდეს.



ვადისინის სიხსნაჯი

ორგანოები იცოცხლებენ

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო კვლევით ცენტრში ექსპერიმენტული მეთოდი შემუშავდა, რომელიც საშუალებას იძლევა, მთლიანად მოიხსნას იმუნური შეუთავსებლობა ორგანოების გადაწერვის დროს.

საცდელ ცხოველებს შეუყვანეს ორი პროტეინი, რომელიც უცხო ქსოვილზე მოქმედი ლიმფოციტების წარმოქმნას აჩერებს. ამ ეფექტის გამომწვევი ფიზიოლოგიური მექანიზმის დეტალები ჯერჯერობით ბოლომდე ნათელი არ არის, თუმცა თერაპიის ეფექტურობა დამტკიცებულია ექსპერიმენტებით. მაიმუნი მაკაკები, რომლებზეც გამოიყენეს ახლი მეთოდიკა, გადანერგული თირკმლებით უკვე ნახევარი წელია ცოცხლობენ და სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებიან. საკონტროლო ჯგუფის ყველა იმ მაიმუნს კი, რომელთაც არ გაუკეთდა ინიექცია ან გაუკეთდა არასაკმარისი დოზით, დაეწყო „ჩამოშორების“ რეაქცია.

ელექტრომაგნიტური ველები უნიფიცირდება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ელექტრომაგნიტური ველების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების ინიციატივით გამოვიდა. ამ ველებს ისეთი გამოსხივების წყაროები

წარმოქმნის, როგორცაა: მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რადარები, მობილური ტელეფონები და მათი სადგურები. სტანდარტების დადგენა აუცილებელია მათი უსაფრთხოდ გამოყენებისათვის, სხვა ხელსაწყოებსა, და რაც მთავარია, ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებისაგან თავდასაცავად.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეს ინიციატივა არის იმ სიახლის საპასუხო რეაქცია, რომ ბევრ ქვეყანაში (მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც), განიხილება ელექტრომაგნიტური ველების ახალი სტანდარტების საკითხი. ტელეკომუნიკაციის მობილური საშუალებების ცხოვრებაში უსწრაფეს დანერგვასთან ერთად, სხვადასხვა სახელმწიფოში აღნიშნული ველის სრულიად განსხვავებული სტანდარტები და ნორმები დამკვიდრდა. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ის ზოგჯერ 100-ჯერ და მეტადაც კი განსხვავდება, რაც მედიკოსთა შემოთვბავს იწვევს.

რძიანი ყავა სასარგებლოა

ნატურალური ყავის ზოგიერთი ქიმიური კომპონენტი ხელს უწყობს კალციუმის გამოტანას ძვლოვანი ქსოვილიდან. რძის დამატება ყავაზე კი ამ ნივთიერებების ნეიტრალიზებას იწვევს. რძე იერთებს ამ კომპონენტებს და ეწინააღმდეგება ოსტეოპოროზის განვითარებას, რომელიც მოხუცებში მოტეხილობების მიზეზი ხდება ხოლმე.

ნეკროზები

ნეკროზი დაავადებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ნერვული სისტემის ფუნქციური აშლილობა. მისი სრული გამოსწორება შესაძლებელია სათანადო მკურნალობის ჩატარებით. არსებობს რამდენიმე სახის ნეკროზი: ნევრასთენია, ისტერია და აკვიატებულ მდგომარეობათა ნეკროზი. გარდა ამისა, შეიძლება გამოიყოს ჰიპოქონდრიული (ავადმყოფური შიში საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვების გამო), სექსუალური და დეპრესიული ნეკროზი.

ნეკროზის გამოწვევად ითვლება ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლა, გადაქნცვა, უსიამოვნო განცდები, შინაგანი ორგანოების, ინფექციური და სხვა დაავადებანი. ამ ტიპის ნეკროზი უფრო ხშირად 20-40 წლის მამაკაცებში აღინიშნება. მისი ნიშნებია: მომატებული ალგუნება, ემოციური აშლილობა, სწრაფად დაღლა, ყურადღების გაფანტულობა. შრომის უნარისა და გამბეობის დაქვეითება, უძილობა ღამით და თვლელა დღისით, სხვადასხვაგვარი უსიამოვნო შეგრძნება მთელ სხეულში, უძაღობა, სექსუალური ლტოლვის დაქვეითება. ამას თან ახლავს ისეთი ვეგეტაციური აშლილობანი, როგორიცაა გულისცემის ხან გახშირება, ხან კი გაიშ-

ვითება, არტერიული წნევის მერყეობა, ოფლიანობა და სხვ.

ისტერიული ნეკროზი ვითარდება თავისებური ხასიათის მქონე პირებში, უმეტეს შემთხვევაში შედარებით ახალგაზრდა ასაკის ქალებში. იგი შეიძლება გამოვლინდეს თითქმის ყველა დაავადების მსგავსი ნიშნებით. უფრო მეტად დამახასიათებელია: 1. მოძრაობითი მოშლილობანი (ისტერიული დამბლები, კრუნჩხვები, კანკალი, ისტერიული სიმუნჯე); 2. შეგრძნებათა მოშლილობანი (მგრძობელობის მკვეთრი დაქვეითება ან პირიქით მკვეთრი გაცხოველება, ღრობითი სიბრძავე, დაყრუება, ყნოსვისა და გემოვნების დაკარგვა); 3. ვეგეტაციური მოშლილობანი (სპაზმები ყლაპვისა და სუნთქვის დროს, სლოკინი, ბოყინი, ჭარბი ნერწყვის დენა, კუჭ-ნაწლავში გაზების დაგროვება, ღამით შარდის გაპარვა და სხვა).

აკვიატების მდგომარეობათა ნეკროზის დროს, ნეკროზის ზოგად ნიშნებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის აკვიატებას, სახელდობრ, აკვიატებულ აზრებს, აკვიატებულ მოქმედებებსა და შიშებს. აკვიატებული იდეების დროს აღსანიშნავია ავადმყოფური მერყეობა, ყოყმანი. ზოგს აქვს აკვიატებული სურვილები და მოთხოვნებიანი, კერძოდ: აკვიატებული დათვლა (ართომომანია); სხვადასხვა რიტუალი - გადაულახავი სურვილი დაითვალოს ქუჩაში ბოძები, ფანჯრები, შე-



მოუაროს ხეებს, ჯისურებს და ა.შ. შეიძლება იყოს აკვიატებული შიში: სიკვდილის - თანატოფობია, კიბოთი დაავადების შიში - კანცეროფობია, ცოფის შიში - ლიზოფობია, გულის დაავადების შიში - კარდიოფობია და ა.შ. ზოგს აქვს ღია სივრცის შიში (აგროფობია), დახურული სივრცის შიში (კლუსტროფობია) და ა.შ.



პერიოდონტიტი ათეროსკლეროზს იწვევს

ღრმისებრი ანთეზამ შესაძლოა საგრძნობლად გაზარდოს გულის პათოლოგიის განვითარების რისკი. აღმოჩნდა, რომ ბაქტერია *Porphyromonas gingivalis*, რომელიც პერიოდონტიტს იწვევს, გადადის სისხლში, აღწევს გულის სისხლძარღვებამდე, იწვევს ანთებით რეაქციას, რასაც ათეროსკლეროზის განვითარებამდე მივყავართ.

პერიოდონტიტი პირდაპირ კავშირშია გულის დაავადებებთან. ამ სიტუაციიდან გამოსავალს პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა და *Porphyromonas gingivalis* წინააღმდეგ ვაქცინაცია წარმოადგენს. დიდი მნიშვნელობა აქვს სტომატოლოგთან ღრულ მისვლას იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს გულის პათოლოგიის განვითარების სხვა რისკ-ფაქტორებიც აქვს.

ორსულთა ტოქსიკოზის მიზეზი დადგენილია

აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც ორსულთა ტოქსიკოზს იწვევს. ტოქსიკოზი პირველი ორსულობის შემთხვევაში, ქალების 10%-ს უვითარდება. მძიმე შემთხვევებში იგი დედისა და ნაყოფის ორგანიზმში სერიოზულ გართულებებს იწვევს.

ინგლისურ ჟურნალ *Nature*-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ბრიტანელი მედიკოსები ამტკიცებენ, რომ დაავადების მიზეზია პლაცენტის მიერ გამოშუშავებული ნივთიერება ნეიროკინინი **B(NKB)**, რომლის დონე ტოქსიკოზიან ორსულებში 100-ჯერ სჭარბობს ჯანმრთელ ორსულებში მის დონეს. ბრიტანელი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ **NKB**-ს სჭარბობს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა და მისი ეფექტების ბლოკირება მრავალი ქალისა და ბავშვის გადარჩენის საშუალებას მოგვცემს.

ნეკროზები

მკურნალობა

ნევროზი აბსოლუტურად განკურნებადი დაავადებაა. მისი მკურნალობა აუცილებლად ექიმის დანიშნულებით უნდა წარიმართოს. წამყვან მეთოდად ითვლება ფსიქოთერაპია, სხვადასხვა ნევროზის დროს ფსიქოთერაპიის შესაფერისი მეთოდის დიფერენციული გამოყენებით. ნევრასთენიის მკურნალობაში წამყვანი როლი ენიჭება რაციონალურ ფსიქოთერაპიას და ავტოტრენინგს. ისტერიის დროს – შთაგონებას, ხოლო აკვიატებული ნევროზის დროს – ყველა ფსიქოთერაპიული მეთო-

დის კომბინირებულ გამოყენებას.

წამლებს დამხმარე როლი მიეკუთვნება. გამოიყენება შიშების საწინააღმდეგო ტრანკვილიზატორები (ელენიუმი, სედუქსენი, ტაზეპამი, ფენაზეპამი, რულოტელი). ანტიდეპრესანტები (აზაფენი, ამიტრიპტილინი, მელიპრამინი და სხვ). ბოლო დროს ეფექტურად გამოიყენება მცენარეული პრეპარატები: ბარამბო, ნევროსტიმი და სხვა.

ნევროზული ამლილობა ბავშვებში

ბავშვთა ნევროზი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, ხშირად გვხვდება ლოგონევროზები (ენაბლუობა), ღამის შიშები, ღამით შარდის შეუკავებლობა, კრუნჩხვითი განტვირთვები გაღიზიანების დროს (ყვირილი, უთავბოლო მოძრაობანი, იატაკზე გორაობა), მკვეთრი უმადობა, ჭირვეულობა.

ბავშვთა ნევროზების

სამკურნალოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოტრავმული მიზეზების მოცილებასა და ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი ადვილად ემორჩილება შთაგონებას, ამიტომ მისი ყურადღება არ უნდა ფიქსირდებოდეს ავადმყოფურ ნიშნებზე. უფროსების შეუსაბამო ქცევა: შფოთვა, შიში იმის გამო, რომ ბავშვს შეიძლება გაურთულდეს ნევროზული მოვლენები, ხელს უწყობს ავადმყოფური ნიშნების გამყარებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო ფსიქოთერაპიული გარემოს შექმნას. დამხმარე საშუალებად კი პედიატრის კონსულტაციით პატარას შეიძლება დაენიშნოს საერთო გამამაგრებელი საშუალებანი, ვიტამინები, გამაჯანსაღებელი ვარჯიში, თამაშები და ა.შ. უნდა ვერიდოთ ფსიქოფარმაკოლოგიური მედიკამენტების გამოყენებას. ასეთი წამლების მიცემა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია გამართლებული სპეციალისტის დანიშნულებით, მცირე დოზებით. თუ მედიკამენტოზური თერაპია აუცილებელია, ბავშვებში უმჯობესია მცენარეული პრეპარატების გამოყენება.




სექსუალური ორიენტაცია – რა განსაზღვრავს მას?

ადამიანის სექსუალური ორიენტაცია დამოკიდებულია ადამიანის ტვინის ფუნქციურ თავისებურებებზე – ცაციაა იგი თუ მემარჯვენე. ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთეს ბრიტანელმა მეცნიერებმა საერთო ბრიტანულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

ექსპერტი მედიკოსები ცდილობდნენ, განესაზღვრათ ურთიერთკავშირი ჰომოსექსუალიზმსა და ადამიანის ტვინის ფუნქციურ თავისებურებებს შორის. 4-წლიანი ძიების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სექსუალური ორიენტაცია ფორმირდება ნაყოფის განვითარების სტადიაზე, ჩასახვიდან 15 კვირის შემდეგ. იმის მიხედვით, თუ როგორია ღედის სისხლში ტესტოსტერონის დონე (მას მამაკაცურ სასქესო ჰორმონსაც უწოდებენ), ყალიბდება მომავალი პრეფერენცია ჰეტერო ან ჰომოსექსუალური ურთიერთობებისადმი. როგორც აღმოჩნდა, ტესტოსტერონის რაოდენობაზე აგრეთვე დამოკიდებულია თავის ტვინის იმ ნაწილის განვითარება, რომელიც პასუხს აგებს ადამიანის ცაციად ან მემარჯვენედ ჩამოყალიბებაზე.

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჰომოსექსუალისტები და ლესბოსელები უმეტეს შემთხვევაში ცაცეები არიან...

სხვა სამეცნიერო გამოკვლევაში, რომელიც სამედიცინო გამოცემა „ფსიქოლოგიურ ბიულეტენში“ გამოქვეყნდა, არის მონაცემები, რომ ცაცეები 39%-ით მეტნი არიან ჰომოსექსუალისტთა შორის, ვიდრე ჯანმრთელ მამაკაცებს შორის. ანალოგიური მონაცემები ქალებს შორის კიდევ უფრო დამაფიქრებელია: ცაცეები 50%-ით მეტნი არიან ლესბოსელებს შორის, ვიდრე ჯანმრთელ კატეგორიაში.



კვირის (23 - 29 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

თხის რქა - 22/XII-20/I




ოთხშაბათს და ხუთშაბათს ძალზედ შეგაწუხებთ ყოველდღიური საზრუნავი: განმარტობისა და ყოფისაგან მოწყვეტის სურვილი შეგიპყრობთ. პარასკევს ზოგიერთი თხის რქა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს წაუყენებს კატეგორიულ მოთხოვნას: თანასწორობა და უბრუნებლობა! კვირის დამდევისთვის თქვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება.

მეჩხელო - 21/I-19/II




ორშაბათს და სამშაბათს ვარსკვლავები გირჩევენ, გარშემოყოფთა კეთილგანწყობის დასაბრუნებლად იბრძოლოთ; კვირის შუა პერიოდისთვის ისეთი იდეები გაგინდებთ, რომლის დამახსოვრება და მომავალში გამოყენება ღირს. კვირას სასიამოვნო მოულოდნელობა გელით, რომელიც ბევრ ცვლილებას შეიტანს თქვენს ცხოვრებაში.

თევზები - 20/II-20/III



განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი დღე თქვენთვის პარასკევი იქნება, ამიტომ, ნუ შეწინააღმდეგებით უფროსს იმ საკითხზე, რომელიც არაერთხელ განვიხილავთ, ნუ გაუმხელთ საიდუმლოს მეგობარს, რომელიც შექმნიული გყავთ ენაჭარტალობაში...

მშვიდი - 21/III-20/IV




საკმაოდ მძიმე კვირა გელით. შესაძლოა, უთანხმოება მოგივიდეთ საყვარელ ადამიანთან. ნათესავებიც ბევრ უსიამოვნებას მოგიტანენ, მატერიალური ხასიათის უთანხმოების გამო. პარასკევისთვის ცოტას ამოისუნთქავთ და სასიამოვნო სურპრიზიც გელით: ვარსკვლავები გაირღებინან შეხვედრას, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის.

ბუბო - 21/IV-21/V




პლანეტების მდგომარეობა სამშაბათს და ოთხშაბათს თქვენს ცხოვრებაში შეუცნობლისა და მისტიკის შემოჭრას გიქადით. ამ დღეებში შეიძლება სიზმარი ავიხედოთ. ოთხშაბათი უზჯოლესია, ოჯახში გაატაროთ, რადგან სხვაგვარად, ინტრიგებისა და ჭორის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ. პარასკევსა და უქმე დღეებშიც სჯობს, მუტისმეტი გულახდილობა არ გამოიჩინოთ გარშემომყოფებთან.

მარცხი - 22/V-21/VI




ამ კვირაში გულს ვერ დაუღებთ სამუშაოს - არც ორშაბათს, არც სამშაბათს ბევრი არაფერი გამოგივათ. ოთხშაბათს სჯობს, საკუთარ თავს ჩაულრმავდეთ და კარგად გააანალიზოთ საკუთარი გუნება-განწყობა და სამსახურისადმი დამოკიდებულება. ოჯახის წევრები კი, კარგად დასვენების პირობებს უქმე დღეებში შეგიქმნიან.

ბიწნი - 22/VI-22/VII



თქვენი ინტერესების სფერო მუტისმეტად ფართოდ გაიშალა, ამიტომ მკაცრი არჩევანის წინაშე დადგებით. თუ სწორ არჩევანს არ გააკეთებთ, პრობლემები შეგექმნებათ. თქვენი პირადი არჩევანი ბევრი გარშემომყოფისთვის უსიამოვნო იქნება, რადგან უქმე დღეებში შეგხვდებათ ადამიანი, რომელიც ერთადერთი და განუყოფელი აღმოჩნდება თქვენთვის.

ლომი - 23/VII-23/VIII




ორშაბათს საღამოს, მოულოდნელი რომანტიკული თავგადასავალი გელით. კვირის შუა პერიოდისთვის, გაგიმდაფრულებთ ინტუიცია. პარასკევს კი მოსალოდნელია ცვლილებები პირად ცხოვრებაში. შესაძლოა, თანამშრომლთან საქმიანი ურთიერთობები, სასიყვარულო ურთიერთობებში გადაიზარდოს.

ქალწული - 24/VIII-23/IX



კვირის შუა პერიოდამდე მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. ოთხშაბათს და ხუთშაბათს ასაკოვან ნათესავებთან ურთიერთობა მოგიწევთ. პარასკევს საუცხოოდ გაატარებთ დროს ბავშვებთან, რომლებთან თამაშიც დიდ სიამოვნებას მოგვცვით. მაგრამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ სპორტულ მოედანზე ყოფნისას.

სასწიბო - 24/IX-23/X



ორშაბათს თქვენი გაგებით უკეთილშობილესი ნაბიჯებიც კი, კონფლიქტის მომტანი შეიძლება გახდეს. აჩქარება განსაკუთრებით სავალალო შეიძლება იყოს ოთხშაბათს. პარასკევს თავი შეიკავეთ სერიოზული გარეგნობის დადებისგან. ამ კვირის ზოგიერთ უსიამოვნებას თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა გაგილამაზებთ.

ღიბნებელი - 24/X-22/XI



ოთხშაბათს ახალი საქმიანი კონტაქტები და საინტერესო წინადადებები გელით. ხუთშაბათს შესაძლოა, საქმიანობის სფეროს კარდინალური შეცვლა მოგიხდეთ. პლანეტების მდგომარეობა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გიქადით. პარასკევს უმჯობესია, მეთვალყურის პოზიციას დასჯერდეთ და სხვის კონფლიქტებში არ ჩაეროთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



კვირის დასაწყისში, პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. შესაძლოა, სამსახურებრივი რომანი დაგეხმარებთ დიდიმის გადაწყვეტაში. ხუთშაბათს საინტერესო ნაცნობობა გელით. სასიყვარულო სიამოვნებებთან ერთად, საქმიანი და ფინანსური პრობლემების გადაჭრასაც მოახერხებთ.

ტესტი ქალებისთვის

განგიზდით თუ არა ოდესმე ქალური ბედნიერება?

ეს ოდნავ არაორდინარული ტესტი დაგეხმარებათ იმის დადგენაში, ნაცნობია თუ არა თქვენთვის ცნება — „ქალური ბედნიერება“. ალბათ ყველას აქვს გამოცდილი, როგორც ბედნიერი, ასევე სასონარკვეთის წუთები, მაგრამ კითხვაზე — ხართ თუ არა ბედნიერი? — პასუხის გაცემა ბევრს უჭირს. კიდევ უფრო ძნელია გადაჭრით პასუხის გაცემა, როცა საქმე ე.წ. ქალურ ბედნიერებას ეხება. უმჯობესია, ამ ტესტის კითხვებს განმარტოებით და, რაც მთავარია, გულწრფელადაც გასცეთ პასუხები:



1) თუ იმის საშუალება მოგეცემით, რომ სამსახური თავად შეარჩიოთ, რას მიანიჭებდით უპირატესობას?

- ა) სამსახურს ისეთ სფეროში, სადაც მუდამ შეძლებთ თავის გამოჩენას - 1;
- ბ) რთულს, მაგრამ პერსპექტიულს - 2;
- გ) შედარებით უფერულს და იოლს - 3.

2) როგორ მოიტყვეთ, თუ წვეულებაზე ყოფნისას მამაკაცი მოგეწონებათ და შეამჩნევთ, რომ არც ის არის თქვენ მიმართ გულგრილი?

- ა) არაფერს მოიმოქმედებთ და მშვიდად დაელოდებით მოვლენების განვითარებას - 3;
- ბ) ყურადღების მიქცევის მიზნით, მეტ აქტიურობას გამოიჩინებთ - 2;
- გ) ეცდებით, თქვენს მოწონებულ მამაკაცს მასპინძლების მეშვეობით გააგებინოთ, რომ მის მიმართ გარკვეული სიმპათია გაგიჩნდათ - 1.

3) უბრტყლად, როგორ გძინავთ ღამით?

- ა) ფხიზლად - სულ მცირე ხმაურზეც კი გველიძებთ - 2;
- ბ) ღრმად გძინავთ და დილით გაღვიძება გიჭირთ - 1;
- გ) ღამით ღრმად გძინავთ, დილით კი შედარებით ფხიზელი ძილი გახასიათებთ - 3.

4) ყოფილა თუ არა ისეთი სიტუაცია, როცა მარტო დარჩენის სურვილი გაგჩენიათ?

- ა) ხშირად - მარტო ყოფნისას ყოველმხრივ ისვენებთ - 2;
 - ბ) არა, ხალხმრავლობა და საზოგადოებაში ტრიალი ძალიან გიყვართ - 1;
 - გ) მარტო რჩებით ხოლმე, მაგრამ ამის მოთხოვნილებას ვერ გრძნობთ - 3.
- 5) რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის წესრიგი და სისუფთავე?
- ა) ძალიან მნიშვნელოვანია - 1;
 - ბ) მნიშვნელობას არ ანიჭებთ - 2;
 - გ) საერთოდ, მოწესრიგებული ადამიანი ხართ, მაგრამ წესრიგისადმი ზედმეტი ლტოლვა არ გახასიათებთ - 3.
- 6) როგორი მამაკაცის ხილვა არ გსურთ თქვენს მეგობრებს შორის?
- ა) პრეტენზიული და ჯუჯულუნა - 2;
 - ბ) მოჩუბარი და შარიანი - 1;
 - გ) მამაკაცის, რომელიც საკუთარი ძალის დემონსტრირებას მხოლოდ მასთან შედარებით სუსტი ადამიანების მიმართ ახდენს - 3.
- 7) გაიხსენეთ, ბოლოს როდის გაატარებთ შინ რამდენიმე დღე ავადმყოფობის გამო.
- ა) არ გახსენდებათ - 3;
 - ბ) ორიოდე თვის წინ - 2;
 - გ) ბოლო ექვს თვეში ორჯერ თუ სამჯერ - 1.
- 8) როგორი რეაქცია გაქვთ, როცა თქვენთვის ძვირფას ადამიანს რაიმე უსამართლურება შეემთხვევა?
- ა) მის გასამხნეებლად ყველაფერს

- იღონებთ - 3;
 - ბ) ისევე განიცდით, როგორც თავად ის - 2;
 - გ) ცოტა ხნით მარტო დატოვებთ - 1.
- 9) ხართ თუ არა პუნქტუალური?
- ა) აბსოლუტურად - 2;
 - ბ) ძალიან არაპუნქტუალური ხართ - 1;
 - გ) მუდამ ცდილობთ, დათქმული დრო დაიცვათ, მაგრამ ამას რატომღაც ვერასოდეს ახერხებთ - 3.
- 10) რამდენი ხნით გაებუტებით ადამიანს, რომელმაც დაუმსახურებლად გაწყენინათ?
- ა) დიდი ხნით - ვიდრე ის თავად არ გთხოვთ პატიებას - 1;
 - ბ) საერთოდ, წყენა ძალიან ძალე გაგივლით ხოლმე - 2;
 - გ) რამდენიმე დღეში შეურიგდებით - 3.
- 11) ვიფიქრათ თუ არა ოდესმე სიკვდილის შესახებ?
- ა) ხშირად, თანაც საკმაოდ გეშინიათ მისი - 1;
 - ბ) ეს ბუნებრივი რამაა - 3;
 - გ) ცდილობთ, ამაზე არ იფიქროთ - 2.
- 12) თქვენი აზრით, როგორია თქვენი პირადი ცხოვრება?
- ა) საუკეთესო - 2;
 - ბ) არც ისე კარგი, მაგრამ მომავალში ყველაფერი კარგად იქნება - 3;
 - გ) კარგი, მაგრამ თქვენ ეს არ გაკმაყოფილებთ - 1.

დააჯამეთ ქულით


30-36: თქვენ ნამდვილად კარგად იცით, თუ რა არის ბედნიერება და სხვების გასაოცრად, „ქალური ბედნიერების“ არსსაც საუცხოოდ ჩასწვდით. შეიძლება ითქვას, რომ იდეალური ქალი ხართ, ამიტომაც თქვენი საყვარელი მამაკაცი თქვენ გვერდით თავს შესანიშნავად გრძნობს და ბედნიერაც არის.

20-29: საკუთარი ცხოვრების სტილი მოგწონთ და გაკმაყოფილებთ. თავს ბედნიერად გრძნობთ და „ქალური ბედნიერების“ არსში წვდომა არც გჭირდებათ. საყვარე-

ლი ადამიანის მიმართ მომთხოვნი ხართ და წინა პლანზე საკუთარი ინტერესები და შეხედულებები გაქვთ წამოწეული.

12-19: თქვენ გგონიათ, რომ ნორმალური და ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობთ, მაგრამ დაფიქრდით: ძალით ხომ არ ირთულებთ ცხოვრებას? მეტი თავისუფლება მიეცით საკუთარ თავს და უფრო ლაღად იცხოვრეთ. აი, მაშინ კი იგრძნობთ, რა არის ნამდვილი „ქალური ბედნიერება“.

რობოტი ვესტებზე ხეაგიებს




იაპონიაში შექმნეს ახალი რობოტი, რომელსაც ასიმო უწოდეს. ასიმო დადის, გარეგნულად ცნობს ადამიანებს, ნაცნობებს ხელის ჩამორთმევით ესალმება და ვესტების, ენაც ესმის. მას თუ ხელს დაუქნევთ, ახლოს მოვა. რაიმე ნივთზე თუ მიუთითებთ, მისკენ გაემართება. ქალებს თავაზიანად უთმობს

გზას, გამომშვიდობებისას კი ხელს გიქნევთ. ასიმო ხშირად ცნობს ადამიანებს, შეუძლია კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა და ადამიანის ნებისმიერი მოძრაობის გაქრობაც ხელეწიფება.

იაპონელები არ მალავენ იმ ფაქტს, რომ ექსპერიმენტის შემდგომი სტადია ადამიანის ინტელექტის იმიტაციაა. მეცნიერებმა არასტანდარტული გადაწყვეტილება მიიღეს: სპეციალური ანტენის მეშვეობით, მათ ასიმო სერვერთან მიაერთეს. ამის წყალობით, რობოტმა ფაქტობრივად განუსაზღვრელი მახსოვრობა და ქედითი უნარი შეიძინა. ჯერჯერობით რობოტი სარეკლამო ბიზნესში იმუშავებს: იგი ბუკლეტებს დაარიგებს და სარეკლამო განცხადებებს გააკეთებს. მართალია, ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება იქნება (ასიმოს არენდა მის მფლობელს წელიწადში 160 ათასი დოლარი დაუჯდება), თუმცა პოტენციურ კლიენტებს ეს არ აშინებთ, რადგან ასეთი თანამშრომელი არც დაიღლება და რაც მთავარია, მუპატრონეს ხელფასსაც არ მოსთხოვს.

ადამიანმა ნიანგს(!) ეხბინა და თავი გადაიხჩინა

BBC News-ი იტყობინება, რომ აფრიკაში მდებარე მალავის რესპუბლიკის 43 წლის მცხოვრებმა — მაკ ბოსკო ჩავინგმა მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, გასაგრძელებლად მალავის ტბაში ცურვა გადაწყვიტა. ტბაში მოცურავე მაკს თავს ნიანგი



დაესხა. რეპტილიამ მისი ორივე ხელი ყბაში მოიქცია და მსხვერპლის სიღრმეში შეთრევას ცდილობდა. ჩავინგმა რეპტილიისაგან თავის დაცვა ერთადერთი იარაღით — კბილებით სცადა და ნიანგს მისი სხეულის ყველაზე მგრძობიარე ადგილზე — ცხვირზე უკბინა. მისი ნაკბენი ნიანგისთვის იძენდა მტკიცე ნივთი, რომ რეპტილიამ პირი უშვა მსხვერპლს და კუდაბოძებულნი გაეცალა. ჩავინგმა ნაკბირს დამოუკიდებლად მიაღწია, სადაც იგი მთლიანად დასისხლიანებული ადგილობრივმა მთევრებმა იპოვეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმების თქმით, დაზარალებულმა ხელ-ფეხის მძიმე დაზიანება მიიღო და სრულ გამოჯანმრთელებამდე ხანგრძლივად მკურნალობა მოუწევს.

წვიმების სეზონის დროს, მალავის ტბაში ყოველდღიურად საშუალოდ ორი ადამიანი მაინც იღუპება.

ხამდენია დამთხვევის შანსი?


ერთ მშვენიერ საღამოს, მარიამ აღმოაჩინა, რომ მისი ლატარიის ბილეთს („ფასტაზია ზუთი“) 126 ათასი დოლარი მოეგო. ცოლ-ქმრის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა და მათ გადაწყვიტეს, რომ ღმერთმა ისინი უსაზღვრო მოთმინებისთვის დააჯილდოვა. თუმცა, მათ წინ კიდევ ერთი, უფრო დიდი სიურპრიზი ელოდათ. მომხდარიდან ერთი საათის შემდეგ, ტელევიზიით „სუპერლოტო პლუს“ ლატარიის გათამაშება მიმდინარეობდა. ამ ლატარიის ერთი ბილეთი (იგიც მარიამს ეკუთვნოდა) მის ქმარს — ანხელოს ხელში ეჭირა, რამდენიმე წუთში გაირკვა, რომ ცოლ-ქმარს 17-მილიონიანი მოგება ხვდა წილად. „სუპერლოტო პლუსის“ ორგანიზატორის თქმით, ასეთი მსხვილი მოგების შანსი მოთამაშეს 41 მილიონთან ერთის შეფარდებით აქვს. როცა სპეციალისტებმა „ფასტაზია ზუთის“ და „სუპერლოტო პლუსის“ ერთდროული მოგების შანსების გამოთვლა სცადეს, აღმოჩნდა, რომ მიღებული ციფრის ნულეების რაოდენობა ჩვეულებრივი კალკულატორის დისფლეიზე არ ეტეოდა. მათ მოზრდილდისფლეიანი კალკულატორი მოიძიეს და შემდეგი შეფარდება მიიღეს: 1:23000000000000. ნულეების დათვლით თავს ნუ შეიწუხებთ, რადგან მიღებულ ციფრს მაინც ვერ გამოთვლით. ჩვენ კი გეტყვით, რომ შეფარდება 23 ტრილიონთან ერთი იყო. ანუ, ფაქტობრივად ნული.




პიხვედმა თოვლმა გამბიელს თავზახი დასცა

ამ რამდენიმე დღის წინ, გერმანიის ქალაქ ჰილდესჰაიმში მცხოვრებ გამბიელს (გამბია — დას. აფრიკაში მდებარე რესპუბლიკა) პირველი თოვლის დანახვაზე თავზარი დაეცა, რადგან, მანამდე თოვლი თვალთაც არ ენახა. დილით, როცა მან ფანჯრიდან გაიხედა, თოვლის თხელი ფენით დაფარული საკუთარი ავტომობილი დაინახა; იფიქრა, რომ ღამით ბარბაროსებს მისი მანქანა თეთრად გადაეღებოდა და პოლიცია გამოიძახა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მომხდართან დაკავშირებით, ბევრი იცინეს და გამბიელი ტყუილბრალს გამოძახებისათვის არ დააჯარიმეს. მათი თქმით, აფრიკელმა მეხუთე სართულიდან კარგად ვერ გაარჩია, თუ რა ხდებოდა და დამფრთხალმა საშველად პოლიციელებს უხმო.



ფოტოკუჩიონები



ძაღვან სან ცენესო უენაელი!

677/42

TV-პროგრამა
16.12-22.12 2002 წ.

14 წლის ტყუაბა ბანი დააყარა

ჩიუნი

14-12 უანი 60 მ.



52



ვის „შაქანა“
უსინათლო მოვლარალი
ლიანა ღარსაიძე

13



ღაუჩიყარი შამთხვა
ლია ალია
„ანგალოზური ნაკთაბით
სახის...“

50



ვის ახლავინებს
ვანიკო თარხნიშვილი
„სინდისის გადასახადს“

უკიდურესად
იზვიათი
ბიოლოგიური
მოვლენა

„ჩემს აბავაზე
უფლება გავუიღე...“

ყოველ ორშაბათს!